ეროვნული ბიბლიოთეკა

13

ლიტერატურა და ხელოვნება

N8
8/2009

1522
2009

მისალმებისა
ილია ჭავჭავაძე

პოეზიისა
მარო თარხნიშვილი

ესეისა
მედეა კახიძე
მამა შიო

ძმებისა
ძმები
ვართაგავეები

ინტერესებიდან
კახა ცაბაძე

სასიმღერო
ჯუანშერ ჯურხაძე

ავთანდილ და ტარიელ ვართაგვები



ლიტერატურა და ხელოვნება

N8(44)

8/2009

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ავთანდილ და ტარიელ ვართაგავები

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com
Web: www.litandart.com.ge

ნომერი იბეჭდება ქალაქ თბილისის მერიის თანადგომით

სარჩევი

პროზა, პოეზია

4. მედეა ჯახიძე - ლექსები
8. ნიკოლოზ ლეჟავა - დღიური
18. მამა მიო - ცისკრის ვარსკვლავი
22. მერაბ მათიური - ევა და ემმაუსის მომჯელებელი (დასაწყისი)
43. გიორგი ძამეკაშვილი - ლექსები
45. იური სიგეა - მოთხრობები

თარგმანი

49. იოსიფ ბროდსკი - მოხსენება-ლექსია ნობელის პრემიაზე (თარგმნა ეროს გიორგოლიამ)

ხელოვნება

57. ეთერ სახვაძე - ლექსები

მარადისობა

59. ილია ქავქავაძე - ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი

ისტორიოსანი

61. ნინო ნეკერიმვილი - მუსიკაში ანლერებული ლექსი
63. მამეკა ნაცვალაძე - ჯახა ცაბაძე და "მზიური"

მეხსიერება

66. მარიკა ყვალიაშვილი - მარო თარხნიშვილი

სახლობა

75. მარია გელიაშვილი - ჯაქვის ბერანგოსანი (ჯუანშერ ჯერხაძე)

მხატვრობა

78. სიმონ ჯაფარიძე - ძმები ვართაგავები
84. ფოტოარქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ისიც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზელა!"

ილია ერისთავი

საპატიო სიგელი

მ ე დ ლ ი თ

"ქართული კულტურის დესპანი"

ჯილდოვდება

ჟურნალი "ლიტერატურა და ხელოვნება"

ქ. თბილისის მერი

თბილისი 2009

გიგი უგულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივესალმები თქვენი ჟურნალის კოლექტივს და მკითხველს. ამ ჟურნალში ყველაფერია ხელოვნებისა და კულტურის შესახებ. ჩვენი ახალი წამოწყებაც სწორედ კულტურის დარგის განვითარებას ემსახურება.

გასულ საუკუნეებში თბილისში ხშირად იმართებოდა სალონური შეხვედრები, სადაც ხელოვანი ადამიანები იკრიბებოდნენ და ერთმანეთს აცნობდნენ საკუთარ შემოქმედებას. გვინდა ეს ტრადიცია კვლავ აღდგეს.

ჩვენი ინიციატივით ორი კვირის განმავლობაში ქალაქის სხვადასხვა მუნიციპალურ მუზეუმში მიმდინარეობდა ფესტივალი - „მუსიკაში გაჟღერებული ლექსი".

მოწვეული იყვნენ კომპოზიტორები, პოეტები და ფერმწერები.

ფესტივალის მიზანია, ერთი მხრივ — ძველი ტრადიციების აღდგენა და მუზეუმების პოპულარიზაცია, ხოლო მეორე მხრივ — ახალგაზრდების დაინტერესება ქართული კულტურით.

ქალბატონ მარიკა კვალიაშვილის ინიციატივით, პირველი შეხვედრა მისი წინაპრის, მარო თარხნიშვილის მუზეუმში გაიმართა.

სამი კვირის განმავლობაში ახალგაზრდებს უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ კომპოზიტორებთან, პოეტებთან, ფერმწერებთან. ისინი ეზიარნენ ნამდვილ ქართულ ხელოვნებასა და შემოქმედებას.

26675

მსგავსი სალონური შეხვედრები მნიშვნელოვანია მერიის თანამშრომლებისთვისაც. ამ ხნის განმავლობაში უფრო ახლოს გავეცანით ხელოვანი ადამიანების პრობლემებს, მათ ხედვებს, რაც შეჯერდება და აუცილებლად გამოიღებს სასიკეთო შედეგს.

როგორც ფესტივალის გახსნა, ასევე დახურვაც სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. დასკვნითი საღამო წინანდალში ჭავჭავაძეების რეზიდენციაში გაიმართა, სადაც ქართულ ხელოვნებაში გაწეული ღვაწლისთვის კულტურის 25 მოღვაწე საპატიო სიგელებითა და მედლებით დავაჯილდოვეთ. ესენი არიან ადამიანები, რომელთა შემოქმედებაზეც ჩვენ გავიზარდეთ და ასევე უნდა აღიზარდონ მომავალი თაობებიც. რომ არა ძლიერი ფესვები, სუსტ საწყისზე ახალი სიცოცხლე ვერ აღმოცენდება. ნიჭიერი ახალგაზრდების ნაკლებობას ჩვენი ქვეყანა ნამდვილად არ განიცდის. ამის მაგალითია პიანისტი ირმა გიგანი და ჯგუფი „ბზიკები". მათ მერიამ კულტურის დესპანის საპატიო მედლები გადასცა.

ფესტივალი - „მუსიკაში გაჟღერებული ლექსი" წელს პირველად გაიმართა და რადგან კარგი გამოხმაურება მოჰყვა, გვინდა იგი უფრო ფართო მასშტაბით, ყოველწლიურად ჩავატაროთ.

ფესტივალის მიზანია, ახალგაზრდების დაინტერესება ქართული ხელოვნებით და ამავე დროს, მუზეუმების პოპულარიზაცია. ვისურვებდი, მომავალში უფრო მეტმა ადამიანმა გამოთქვას ფესტივალში მონაწილეობის სურვილი. ჩვენ მზად ვართ ქართული გენის, ნიჭისა და ხელოვნების მხარდასაჭერად.

გიგი უგულავა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთ

მიდეა ყასიძე

ნინათქმა

ლექსი ისეთივე დიადი უბრალოებაა, როგორც გაზაფხულის პირზე ყვავილის ამოღივება,

ჟუჟუნა წვიმის მოსვლა და ზამთარგამოვლილ ხეებზე შემომჯდარი მოლაღურის შემოძახილი.

ლექსი მადლია ღვთისა, სითბოდ მოვლენილი და ნაიარევ გულზე სალბუნად დასადები.

ის, სადა უნდა იყოს და არა ღვარჭნილი იეროგლიფი.

არ უნდა გავდეს ხის ფოთლეულიდან წამოსულ ლეშხს, საყელოში რომ გეწვეთება და სისხლში უსიამოვნო ჟრჟოლად გივლის.

ლექსი, უფლისგან ბოძებული წყალობაა, წყაროსთვალია, მწყურვალს რომ დაგარწყულებს და სულს მოგათქმევინებს, ჩაწყვდიადებულ სულის კუნჭულებში შუქ-ნათელს ჩამოღვენთს და ნუგეშს გცემს.

ლექსი ისე უნდა გამოსანთლო, როგორც შუბლის ქვა გამოჭყავთ ლარში, ისე უნდა იჯდნენ სტრიქონები მყარად და ბუნებრივად, როგორც ჩვენეული დოლის პურის თავთავებში მარცვლები სხედან.

ლექსი მხარზე უცებ უნდა შემოისვა, როგორც მიმინო, რომ კაცის გული დაინადავლოს, ხატპეპელასავით გულზე მოგაფრინდეს და გაგასიხარულებინოს, ან აგაცრემლოს, როგორც ვაზი ტირის და ხრიალებს ყვავილობის ჟამს ზვარში, ან დაქცეული ნიშვით ხელმეორედ აგაშენოს და აგაღორძინოს.

ლექსი პურია ჩვენი არსობის, ისეთივე აუცილებელი, როგორც ჰაერი, სმენა და მხედველობა, უიმისოდ გუნება ჩამქრალია და დაყრუმუნჯებული, წმინდა წყალია, აიაზმაა განსაწმენდელში შესვლის წინ საპკურებელი.

ის ცეცხლია, ერთი შებერვით, სულში ნაკვერჩხალს რომ აღვივებს, რომ შიგ ჩაიწვა, რათა აბრეშუმის ჭიასავით და ფენიქსივით მკვდრეთით აღდგომა და ხელმეორედ მოსვლა შეძლო.

ლექსი სინათლის სათავეა.

ისე უნდა დააბუდო მკითხველის გულში სტრიქონი, ვითარც მერცხალი იბუდებს შენი სახლის აივნის ჭერქვეშ.

ლექსმა გულსა და გონებაში უნდა შეაღწიოს და მისი წაკითხვა თოვლქვეშ იების აღმოჩენას უნდა გავდეს.

ლექსმა ისე უნდა მოირგოს სამკაულად სტრიქონები, როგორც ტახტზე დაბრძანებული დედოფალი იმშვენებს შუბლს გვირგვინით და დიადემით.

ლექსმა ისე უნდა გაგიაროს ძვალ-რბილში, როგორც ცაზე გადავლებულმა ელვამ ან ცისარტყელის სხივებქვეშ გამოდარებულმა წვიმამ და ისე შეაღწიოს შენში, როგორც მწიფობისას რქაწითელის მტევნის მარცვალში დაბუდებულმა მზის სხივმა.

ცუდი და კარგი მგოსანი არ არსებობს.

იბადება პოეტი, ვინც ღონის საცდელად ძნელზე ძნელად ხელმოსაკიდ ლიპ ქვას ეჭიდება, რასაც საჯილდაო ქვა ეწოდება.

ზოგი ამ საჯილდაო ქვას მუხლებამდე აიტანს, ზოგს მკერდამდე ააქვს, ზოგი მიწას ოდნავ ააცილებს და ქარის გატარებას ახერხებს მხოლოდ, ზოგი თავს ზემოთ გაიჩერებს.

მათ შორის ზოგი უმაღლესი რაინდია და საჯილდაო ქვას ცხენს ზემოთ გადააგდებს, მაგრამ ყველა მათგანი ფალავნად ითქმება და სხვებისგან გამორჩეულია.

ასევეა მგოსანიც, ყოველთამხილველი, უფლისხელდადებული და კურთხეული, რადგან „სიტყვა არის ღვთაებრივი საწყისი ადამიანში!“

კორიდა

ტკივილი მინგრევს გულის ფიცარს,
გიცან, ჩემი ზღაპრის გმირი გიცან;

მაგრამ უმწეო და ხელშიშველი,
შენ მე ვეღარაფერს ვერ გიშველი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფიც, სალაღობოდ გაჩენილო,
არ მსურს დავიჯერო დანახული;

ჩემო დამაშვრალო მარჩენალო,
კვდები კაცის ხელით დალახვრული;

გულში განუკურნელ დარდად ჩამრჩი,
ბოღმამ ერთიანად გამომცალა;

რისთვის გამოგწირეს დასადაშნად,
თავი ვერ გავართვი გამოცანას;

რატომ გაგიმეტეს სასიკვდილოდ,
ასე მიმნდობი და უწყინარი;

მინდა ვითავცემო და ვიკივლო,
გიგლოვო საყვარელი, უტყვი ხარი;

როცა ჩემს ზღაპარში მოხვალ კვლავაც,
არვის დაგანებებ მოსაკლავად;

სიბერე მიწეულს გიპატრონებ,
გიბოძებ ბალახიან მისადგომებს;

ვეღარ მოგაკარონ დაშნა, შუბი,
კოცნით დაგიფარო წმინდა შუბლი;

ბელტი-ბელტს აბრუნო შემართებით,
რქებზე დაგიმაგრო კელაპტრები;

საცირკედ აღარ გახდე ამაგდარი,
ჩემი მარჩენალი ლაბა ხარი!

შური

შური საავდროდ ჩამორაზმული ღრუბელი
სულის შემხუთველი შმორია,
თვალებდაელამებული ოჩოკოჩია.
შური საკუთარ თავზე დატრიალებული
ანათემაა,
ექოდ უკან რომ გიბრუნდება.
მადლუცოდინარი და ხელნაკრავი
საკუთარ სხეულს კორტნის და ფხაჭნის.
ძნელია შურის გამკლავება,
მეშურნე კაცი შეუწყნარებელია და
მწყრომი,
მისი მკურნალი დოსტაქარი ვერ
საპოვნელია.
შური მოურჩენელი სახადია,
ყულფიანი ქამანდია და შხამიანი ობობა
სიავკაცისკენ გადაზნექილი.
დაფჩხალული ძეძვის ბარდია.
შური კაცს ამცირებს და აცეროდენებს,
შური წყევლაა!

***

ჩალამგელა ჩასდევს
ჩრდილში ჩაფლულ ფანჩატურს.
ჩამომხმარ ჩალაზე
ჩიჩვირჩამოშვებული ჩიტები
ჩამომსხდარან.
სიჩუმეში ჩუმად დაჩალიჩობენ
ჩუმჩუმელები,
შეუმჩნევლად მოქუჩებულად ქუჩბა-ქუჩბა
ჩაშავებული გირჩები ჩეროში.
ჩამოდაბლებული ჩიორები
საჩიტეთში დაჩაჩუნობენ.
დედაჩემი საჩეჩელზე ჩეჩავს ჩანაფიქრს
და თვალებჩამქრალი შემომჩივის
ჩიხში ჩავრჩითო!
გამჩენი ჩამობრიალებულ ჩირაღდნებს
საჩუქრად
არ გვჩუქნისო!
მიჩუმებულან გულაჩუყებული
ჩელოები და ჩინგურებიცო!
ჩრდილებში ჩაყუჩებულან
ჩიტებდახატული ჩინარები,
მოჩვენებებს აჩრდილებენ
ჩალიანი და ფანჩატურები.
და სიჩუმეში ჩუმად დაჩურჩულებენ
გამჩენის შეჩვენებული
არ გასაჩენი ჩუმჩუმელები!

გავისაკუთრე

არც პაემანი, აღარც მთაკორდი
წართმეული მაქვს ტკბობის უნარი,
ვეღარას ვშველი ძარღვებს დაკორტნილს
სული მიკვნესის დაუჩუმარი.

ხმა დამეკარგა მე შენს ხმობაში
ვდიე შენს აჩრდილს, ვერ დავეწიე,
ჩემი იმედი შედის ხმობაში,
უშენობაა ჩემი მეწყვილე.

მხოლოდ ის არის ჩემი თავდები,
ჩემი უმკაცრეს მსჯავრის დამდები,
არ მსურს იმედი იქცეს ქარწყლებად
და კვლავ თვალები შენსკენ მაწყდება.

მინდა დავუწყო თავით საკურთხი
რწმენას, ვისუნთქო მინდვრების ფერით,
მე სიმარტოვე გავისაკუთრე
და აღარ მყოფნის უნარი ფრენის.

სიყვარული მანკია

თვალს ეძლევა ნაკვერჩხლის
ფერი და ელვარება,
თრთოლვა მივლის ნეკერჩხლის
სული არ მენანება.
სიყვარულის ძირკვებმა,
იცის როგორც ირკვევა
ხელში შემოდნობა და
ფეხის მობოძიკება.
სიყვარული მანკია,
გესხმის, გიტევს, უგვანოდ
გულთმისანი სარკეა,
ვერ გაბედავ უგანო.
ვერ გიშველის ლიტონი,
ვერც სიტყვა, ვერც თვისტომი
თუ არ იცი რას ეძებ,
ვერც როდისმე იპოვი.
ვერ დალანდავ საკვირველ
ნანატრ ციხე-სიმაგრეს,
ვერ გააღწევ ნაპირზე,
ფონს თუ ვერსად მიაგნებ!

***

მადლს სხივის ფრთები ასხია
სინათლედ დაფრენს გარშემო,
სურს ანგელოზის სახიანს
ოქროს კოშკები აშენოს.

მადლი, ისე ვით ალამი,
თავზე წყალობად დაგვნათის,
გულმოწყალე და თამამი,
კარდაკარ დადის თვალნათლივ.

თუ ხარ ნაწამებ ნადევნი,
შენს ფეხს, ფეხის ხმას აუწყობს.
გაგკურნავს სისხლად დადენილს,
არ დაგაყვედრის წყალს უწყლოს.

თუ გზა დაგქანცავს დამღლელი,
შენთან გაჩნდება მაშინვე,
გადაგიყაროს ნაღველი
გიშეღავათოს რაშიმე.

გინდ ცა დაფაროს უკუნმა,
მზე აღარ მოგწვდეს დაბოღმილს,
არ შეტრიალდეს უკულმა,
გამოგიყვანოს გამოღმივ.

მადლს სხივის ფრთები ასხია,
სინათლედ ფრინავს გარშემო,
სურს ანგელოზის ფრთებიანს
მხოლოდ სიკეთე აშენოს!

აღარ მედგომება

ყინვა რომ დაჯდება
გაყინულ ფანჯრებთან,
ეკალბარდს ბურუსი ბურავს,
ვკარგავ აღტაცების უნარს.

თებერვალს შევყურებ ბღვერით,
მე მიყვარს ჩიტი რომ მღერის,
სიმწვანე ტყისპირა ძეწნის,
სურო, რომ ლამაზ ხეს ეწვნის.

ენას ამოიდგამს გნოლი,
თვალს აიყვავილებს მოლი,
აღარ მედგომება მაშინ,
აღარც გარეთა და არც შინ!

მე დუმილს მოვძებნი

არ მინდა სიცივემ დამლახვროს,
დამამხოს, დამმარხოს,

მსურს, ლიპი ყინული გავალხვო,
არ მქონდეს სანაღვლო.

დუმილი მოვიხმო მოზავედ,
არ გავხდე მოზარეს სატირლად,
სიჩუმე ამოვხსნა მარტივად.

მაგრამ, ვერ ვიცილებ ჭრიჭინებს,
მათი ხმა სიმშვიდეს მიჭირვებს.

თითქოს და დაშლილი ტივი ვარ,
ვტირივარ და ხელებშიშველი
ნაფოტად ვიშლები.

ის კისერს იღერებს, განაგრძნობს
სიმღერებს
არ ელის, თანამგრძნობს,
არ ელის შეწევნას.

მე მათი ჭრიჭინი მახელებს,
თავხედებს სინდისი არ ყოფნით,
ძალა აქვთ სამყოფი.

მღერიან კრიმანჭულს, მოპრანჭულ-
მიპრანჭულს
მაინც დავეღწევი ჭრიჭინებს,
საქმეს რომ მიჭირვებს.

...მე დუმილს მოვძებნი და
თვითონ ვიჩუქებ,
რადგან ბოლო სიტყვა ეკუთვნის სიჩუმეს!

ციცინათელები

ღამით ციცინათელებს არავინ არ ინდობს,
დღისით ჭიაღუად ნათლავენ,
ისინი სანთლებივით უვლიან მთა-მინდორს,
შუქს ოქროს სიმებად ართავენ.
ციცინათელების სიცოცხლეს,
სინათლეს წყარო აქვთ სათავედ!

ვერ მოგიძაგებ

თუმც დამრჩა შენგან გული ნაკლული
ასე ადვილად ვერ მოგიძაგებ,
სად აღარ გეძებ თავგადაკლული,
ვერ დავღწევივარ მრუდე ზიგზაგებს.
აწვება ცხელი სისხლი საფეთქელს,
აწურული მაქვს პატარა მხრები,
ვით ფუტკრებს სკაში კვამლი აფეთებთ
შენს დანახვაზე მე ისე ვფრთხები.
მაგ სიყვარულს ვთვლი ფუჭ
ნასროლ ვაზნად,
ეჭვები მტანჯავს ქვეშეცნეული
ხელ-ფეხს ვერ ვითბობ ყინულით
დამძრალს
შენგან მკვდარი და ვერ შემჩნეული!

ჩამონაცრემლი

გულს ვარამის გადმონაცრელი,
ცრემლია ღაწვზე ჩამონაცრემლი.

ჯვარი ჩუმია, მკერდში ზის ყუჩად,
როდესაც კვნესის თვალს ცრემლი უჩანს.

ცრემლია შვება,
ჩურჩული მისნის,
შიგ დაჭრილ გულის
ფეთქვის ხმა ისმის!

ღარიბი იმედით იკვებება

ბედი იყიდება არც საითმე,
ხან ჩივის, ხან ჩანგზე უკრავს,
ღარიბი ითმენს, კვლავ დაითმენს,
ჭამს ოფლით მონაგარ ლუკმას.

მდიდარი სიხარბეში ნაცადია,
ბევრი აქვს, ბევრი სურს კვლავაც.
ღარიბის საქციელი თვალცხადია,
ნაბიჯს ღვთის ტაძრისკენ კვალავს.

ბობოლა ღალატობს დანაკისრალს,
იჩემებს, იტაცებს სხვის წილს,
ნამუსთან მყოფი დანასისხლად,
წაღმა ატრიალებს წისქვილს.

მდიდარს ეხარბება, უკვირს ვერცხლი,
ოქროა მისი ლოცვაც, წყევლაც,
ღარიბის თანამგზავრი უმკვირცხლესი,
არის ღირსება და რწმენა.

ღარიბი, მოწყალეა, სვეკეთილი,
ოხვრაა მხოლოდ მისი ხვედრი,
მდიდარი ბაკანშია შეკეტილი,
იღბალს არაფერში ყვედრის.

ღარიბს ცხოვრება აქვს სულ სხვა ჯურის,
არის ხურდა ფულის თვლაში,
მდიდარს მკერდზე აწევს უჯმაჯური,
მხოლოდ განძი მოსდევს თვალში.

ღარიბი იმედით იკვებება,
მდიდარი, მდიდრული სუფრით,
მდიდარი ხელს არ ანძრევს ისე კვდება,
ღარიბი იმედზეა უფლის!

გავჩნდი და მადლის მეტი

ცხოვრებას ვებრძვით, გვებრძვის,
აღარ ამთავრებს როკვას,
და დედამიწის ღერძი
დაუსვენებლივ ტოკავს.

მიწა თავისთვის ბრუნავს,
პურს გვაჭმევს ტკბილს და მძაღეს,
გვასევს ქინქლას და ბურნას
გვაწყვეტს ნერვებს და ძარღვებს.

თუმცა სიძნელე შეყრილს,
ურვა მხვდა, არა ერთი
გავჩნდი და მადლის მეტი
სხვა არაფერი მეთქმის!

ბრაითენ — შთაინი



ნიკოლოზ
ოდიკაძე

დღიური

ჩემი ბინა ერთიანად, კედლები და კარ-ფანჯარა, შავი საღებავით მიხატული მა-ვთულხლართით დავქსაქსე — რომ არავინ შემაწუხოთ! თუმცა, ვიცი, არც აპირებდით ჩემს შეწუხებას, არავის არაფერში გჭირდ-ებით, ჩემთან ქუდიც რომ შემოგიგდოთ ვინმემ, არ შემოიხედავთ, რადგან კაცთ-მოძულე ადამიანი ვარ და ამის გარდა, ჩემი ბინა სავსეა ტუბერკულიოზის ჩხირებით! მაგრამ ამ ფორმალური მავთულხლარ-თით ჩვენი გამიჯვნა დღეიდან უკვე, ჩემი გადაწყვეტილების თანახმად ხდება! ამ წერილსაც, ახლა რომ ვწერ, თქვენ კი არ გიძღვნით, მისი საშუალებით ჩემ ამჟამინ-დელ სულიერ მდგომარეობას ვაფიქსირებ, რათა რამდენიმე დღის შემდეგ გადავხედო და დავადგინო, უკვე გადავედი ჭკუიდან თუ ჯერ არა.

1999 წლის 4 იანვარი

დღეს ათი იანვარია.

ოთხი იანვრის ჩანაწერი გადავიკითხე... მისი მეშვეობით ვერ დავადგინე — გარეკილი მაქვს, თუ ჯერ ისევ სრულ ჭკუაზე ვიმყოფები. თუმცა, სულიერ მდგომარეობას აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა. სხვა უფრო მნიშვნელოვანი საფრთხის მოახლოვება ვიგრძენი — სისხლი ამ-ოვახველე! იქ, სადღაც, ფილტვების სიღრმეში, კაპილარებმა იწყეს დაშლა, ეს დაშლა, როცა არტერიამდე მიაღწევს, ერთ წუთში სისხლის-გან დავიცლები! ასე, რომ მნიშვნელობა არ აქვს, სრულ ჭკუაზე მოვკვდები თუ შეშლილი!

დღევანდელი დღით უნდა ვიცხოვრო!

რა მესაჭიროება დღეს? საჭმელ-სასმელის მხრივ სანუწუნო არაფერი მაქვს — მცირეოდენ-ი არაყი მომეძებნება და იაფფასიანი ძეხვის მოზრდილი ნაჭერი. რაც შეეხება სითბოს, ჩემს ბინაში ამ უკანასკნელის საშინელი დეფიციტია. მას მერე, რაც ქვეყანა დედაბუდიანად აირია და ყველაფერთან ერთად, ბინების ცენტრალური სისტემით გათბობა მოიშალა, ოთახში რკინის ჟანგიანი ღუმელი დავდგი, საკვამური მილი ქუჩაში გავაყოფინე და თუკი ხელთ რაიმე ისეთი ჩამივარდება, რაც წვას ექვემდებარება, ვწვავ და ვთბები. წუხელ, სიცივისგან რომ გავითოშე, დასაწვავად გავიმეტე ძველი ფეხსაცმელი, სა-დარბაზოში გასასვლელი კარების წინ გაფენ-ილი რეზინის ნაჭერი და ბებიაჩემისდროინდელი წითელი ოყნა. იმის საფასურად, ერთი საათით გავმთბარიყავი, მთელი უბანი შავ კვამლში გავხვიე — სულ არ მენაღვლება, ხალხი თუ შეწუხდა!

ახლა ვზივარ ოთახში და დავჩერებივარ იატაკს — გამომშრალი წიფელი... აქა-იქ, ზო-გიერთი ნაჭერი ისე მაცდურადაა ამოშვერილი, სიცხეც რომ იყოს, წაავლებ ხელს და შეუკეთებ ღუმელში! არ ვიცი, იატაკს აქამდე რატომ გა-ვუფრთხილდი — გრძელი ზამთრის ნახევარი რის ვაივაგლახით გადავაგორე; დარჩენილ ნახევარს, მთლიანად თუ არა, დიდ ნაწილს იო-ლად გადამატანინებს! მით უმეტეს, თუ გაზაფ-ხულამდე სიცოცხლე არ მიწერია, რაღა თავში სახლელად მინდა ეს დანაკუწებული ფიცარი?! მაგრამ... რაღაც უცნობი ძალა მაკავებს... ეჰ... როგორც არის, არის, იატაკი დაწვას თუ გად-აურჩა და მე მანამდე ფეხები გავფშიკე, ან-დერძს ვტოვებ: ჩემს საფლავს, ქვის ნაცვლად, იატაკის ნაჭერი დაადონ!

16 იანვარი

მთელი დღეა საწოლზე ლეშივით ვგდივარ... ჯერ იყო და წარმოვიდგინე, ვიზიტზე ვიღაც ექიმთან კაბინეტში შევედი — ვეკითხები: ეს ჩემი ნაადრევად შემოცვეთილი ძვალი და ტყავი სიკვდილამდე თუ გამიძლებს? — კი, სიკვდილ-ამდე უეჭველი გაგიძლებსო! — მიპასუხა მან და დავმშვიდდი.

შემდეგ, ჩემი პანაშვიდი წარმოვიდგინე:

ვწევარ... ვუყურებ მათ, ვინც მე მიყურებს; ვხედავ მათ, ვინც მე ვერ მხედავს — და არავითარი აზრი არა აქვს ამას!

P.S. დავადგინე: გარეკილი მაქვს.

26 იანვარი

ამაზრზენი ცხოვრებით სახლში ტუსაღივით გამომწყვდეული დილიდან ჩემ თავს ვებუზღუნები, ვილანძღები, ვიგინები — ალბათ, გავცოფდი?! ვინმემ ძაღლების გამოფენაზე რომ გამიყვანოს, სიავეში პირველ ადგილს მომანიჭებენ!

P.S. არ მეგონა, თუ დღეს ჩემს თავს გავაცინებდი.

2 თებერვალი

დღეს ისევ სისხლი ამოვახველე...

საცაა, ჩემი დაბადების დღე მოვა — ოცდაათ წელს მივუკაკუნე! ეჭვი არაა, ცხოვრების ნახევარზე მეტი განვვლე, ჩემი შერყეული ჯანმრთელობის პატრონმა, შეუძლებელია, სამოც წელს მივაღწიო.

11 თებერვალი

გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო...

სტუმრების კი არა, საკუთარი თავის დანახვაც არ მსურს!

რატომ მოვიძულე ადამიანები ასე? ამის გახსენება არ მინდა, მაგრამ ვერც დავინყებას ვახერხებ, თუ რა უმოწყალოდ გამწირეს უახლოესმა ადამიანებმა! მშობლებისგან მემკვიდრეობით ფულიც მერგო, ქონებაც... და აი, დაუდევრობითა და უფრო მეტად, გულუბრყვილობით, მათხოვარი გავხდი! როცა ადამიანი ცხოვრებას იწყებ, წინასწარ როგორ უნდა განჭვრიტო, თუ რაოდენ უმოწყალოა ადამიანთა მოდგმა?! ღირსებაში ტყის მხეცებმა როგორ უნდა გვაჯობონ?! თუმცა, სხვისგან რას ვითხოვ, განა მე თავად გაიძვერა არა ვარ!!!

12 თებერვალი

გათენდა... დაღამდა!

13 თებერვალი

„ ———————— „

20 თებერვალი

დეპრესიამ გადამიარა.

1 მარტი

გვიანობამდე ძილს მიჩვეული, დილაადრიან შიმშილის გრძნობამ გამომაღვიძა (დილის ათი საათი იყო) — ჩავიცვი, ქუჩაში გავედი... დამგესლა სუსხიანმა დილამ! გაბოროტებულია ქვეყანა — პურის ქურდობაზეც კი ციხეში სვამენ! ციხეში ვერ წავალ! ციხე ყველაზე მეტად ცუდი იმითაა, რომ ადამიანებს ვერ გაერიდები, ვერ განმარტოვდები, იქ ყველანი ერთმანეთის პირისპირ არიან! რაიმე უნდა ვიღონო — შიმშილისგან ლამისაა ნაგვის ბუნკერში ჩავძვრე! ფეხებმა ბრმად, ნაცნობ „მარკეტთან“ მიმიყვანა — რამდენი არაყი, ლუდი, ძეხვი და პური შემიძენია იქ — და არც ერთხელ ნისიად! „მარკეტის“ მფლობელი თავადაა გამყიდველი, ერთი გოგო ჰყავს აყვანილი დამხმარედ (ეს გოგო, კინაღამ „ძუკნად“ მოვიხსენიე... არ იმსახურებს; შარს ვერ მოვუდებ, კარგი გოგო ჩანს.). „მარკეტის“ მფლობელზე ვლაპარაკობდი („მედუქნე“ — გუნებაში ასე შევარქვი მას; რატომ და რისთვის შევარქვი, თავად არ ვიცი — მედუქნე ხომ, უფრო მეტად, „ზაბიგალოვკის“ მეპატრონესთან ასოცირდება). ცუდი არაფერი მახსოვს მისგან, მაგრამ ახლა მთავარი ისაა, რომ მას შემთხვევა არ მისცემია ეხილა ჩემი შეუნიღბავი სახე და აქედან გამომდინარე, პურს და მცირეოდენ ძეხვს ნისიად რატომ არ გამომატანს?!

„მარკეტში“ შესულმა, ჯერ „მედუქნეს“ გავუღიმე, შემდეგ, მის დამხმარე გოგოს და ამის შემდეგ, მგონი, ოდნავ უტაქტოდ მივახალე:

პური მინდა ნისიად!

სანამ პასუხს მივიღებდი, ერთი კი გავიფიქრე: უნდა დამეკონკრეტებინა, რომ მხოლოდ ერთი პური მინდოდა (რათა „მედუქნისთვის“ გამეიოლებინა გულმოწყალების გამოჩენა). მაგრამ... თხოვნაში კორექტირების შეტანა ვერ მოვასწარი; „მედუქნე“ იმავწამს დამეკითხა თუ რამდენი პური მინდოდა.

არ დავიბენი: ოთხი... ხუთი აჯობებს!

ხუთი პური გადმომილაგა და ღიმილით დასძინა: ალბათ, სტუმრები გყავს?

ხო, სტუმრები მყავს...

სხვას რას წაიღებ? — შემეკითხა. აშკარა იყო, არ დამცინოდა და გამხნევებულმა, გავაგრძელე: ძეხვი მინდა, აი ის, ყველაზე დიდი! მომაწოდა... და როდესაც, სხვადასხვა კონსერვები თავისი ნებით შემომთავაზა, მე ენა დამება.

შაქარიც გამომატანა, კარაქიც, ყველიც ჩამიდო და ყავაც. იანგარიშა... შევპირდი, ერთი კვირის თავზე ვალს დავუბრუნებდი. კეთილი, — მითხრა და ჩვენ დავშორდით.

სახლშივარ. დანაყრებამოვასწარი, საწოლზე ვწევარ და ვფიქრობ: „მედუქნე“ გადაირია(!), ან რაღაც სხვა რამეშია საქმე! იქნებ, უბრალოდ, საქონელი გაასაღა?! მაგრამ თუ გაასაღა, ვიზე გაასაღა, ჩემზე? სისულელეა! გულუბრყვილო ადამიანს არ ჰგავს! როგორც არის, იყოს, ხელი ჩამიქნევია — საჭმელ-სასმელი თავსაყრელი მაქვს! ჩავიკეტები სახლში, გარეთ ცხვირსაც არ გავყოფ! სტუმარიც რომ მოვიდეს, კარს არ გავუღებ, ვითომ სახლში არ ვარ! და ერთი კვირის შემდეგ, როცა „მედუქნეზე“ ვალის დაბრუნების დრო მოვა, რაღაც მოხდება! როგორც იტყვიან — „ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი“! ამ ხნის მანძილზე მე თუ არ მოვკვდი, შესაძლოა,

„მედუქნე“ მოკვდეს! ან იქნებ, წარღვნა იყოს და ყველანი ერთად დავიხოცებით!

8 მარტი

წარღვნა არ მოხდა... არადა, მის მოლოდინში მთელი ერთი კვირა გავატარე. დღეს, „მედუქნე“ ჩემგან ვალის დაბრუნებას ელოდება — ფული არა მაქვს! იქნებ, „მედუქნე“ მოკვდა? ასეთ შემთხვევაში, საჭირო აღარაა წარღვნა. არა, „მედუქნემ“ უნდა იცოცხლოს — რადგან სარჩო-სანოვაგე გამომელია და ისევ ძაღლივით მშია! მივალ, თავს შევაცოდებ... არა, პირიქით — სიმხნევეს გამოვიჩენ! დავარწმუნებ, რომ სამსახურს ვიწყებ და შემდეგი კვირის თავზე, უეჭველად დავუფარავ ვალს; ასე მეტი შანსია, რომ ახალ ნისიაზე დამთანხმდეს!

დღევანდელი დღის ჩანაწერს დროებით ვწყვეტ — ვნახოთ, შევძლებ თუ არა, მედუქნის გაცურებას?!

P.S. საღამო...

მგონი, მედუქნე შეშლილია! არავითარი ძალისხმევა არ დამჭირვებია მის გასაბრიყვებლად. როგორც პატიოსან კაცს, ისე გადმომილაგა იმაზე მეტი პროდუქტი, ვიდრე პირველად მომცა და — გამიღიმა... მეც გავუღიმე.

დღე დასრულდა.

10 მარტი

დღეს, ქალაქში მომიწია გასვლა... მთავრობის სასახლეს ჩავუარე. პოზიცია და ხელისუფლება ისევ გააფთრებით დაუპირისპირდა ერთიმეორეს — ხმაურით ცდილობენ ხმაურის ჩახშობას! ის, რაც მათ დემოკრატია ჰგონიათ, სინამდვილეში, მარცვალია, რომლისგანაც შემდგომში ანარქია აღმოცენდება! ასპარეზზე ვინმე ძლიერი უნდა გამოჩნდეს და დაპირისპირებულ მხარეთა შორის ჩადგეს — აი, ასე: В перёд калы, назад кондах! კიდევ: В перёд калы, назад кондах! იქამდე, სანამ ქვეყანაში „ბრბოს“ პოლიტიკოსობის ჟინი არ მოეშლება!

P.S. ვბრძანებ: მთელი ქვეყნის მაშტაბით აიკრძალოს ადამიანთა ჯგუფური თავშეყრა, პოლიტიკაზე საუბარი და ფიქრი!

ბრძანებას ხელს ვაწერ: სახელი, გვარი, ხელმოწერა, თარიღი

11 მარტი

ომი იქნება! საშინელი ომი იქნება!

ვაი იმას, ვინც არ იცის, ომი რა არის!

ორმაგად ვაი იმას, ვისაც დასაკარგი აქვს რაიმე!

მე გამიმართლა — ომიც მინახავს (აფხაზეთის ომის მონაწილე ვარ) და არც არაფერი მაქვს დასაკარგი! ამას წინათ, ძველ დღიურებში ვიქექებოდი, ომთან დაკავშირებული ჩანაწერები მინდოდა აღმომეჩინა. აღმოვაჩინე, ოღონდ, ძალზედ მცირეოდენი: ომში მოხალისედ წავედი. აი, წასვლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით რა ჩავინიშნე: „ვიფიქრე, იქნებ მეომარი ვარ? ომში წავედი, ვიომე! ომიც მომბეზრდა... სახლში დავბრუნდი.“

რა არის ომი? ომის შინაარსი სანგარში მწოლიარე „კარიფანის“ სიტყვებშია მოქცეული — უეცრად, ასეთი რამ წამოიძახა: „რას წარმოვიდგენდი, ოდესმე ადამიანებზე თუ მომიწევდა ნადირობა...“-ო კარიფანი, ომამდე საშუალო სკოლის მასწავლებელი იყო.

12 მარტი

დღესაც მომიწია ქალაქში გასვლა... უკანასკნელი გასვლისგან განსხვავებით, დღევანდელი „მოგზაურობით“ კმაყოფილი ვარ — ერთ-ერთი სამხატვრო გალერიის საგამოფენო დარბაზში, ჩემთვის უცნობი მხატვრის პერსონალურ გამოფენაზე მოვხვდი. მომეწონა ამ მხატვრის შემოქმედება. თუმცა, ექსპოზიციას დიდად არ ჩავკვირვებივარ. ერთმა ფერწერულმა ტილომ განსაკუთრებულად მიიქცია ჩემი ყურადღება და მთელი იქ ყოფნის მანძილზე, მას არ მოვცილებივარ — სურათის ცენტრში უცნაური არსება იყო გამოსახული, რომელსაც მკერდამდე ადამიანის ბუნებრივი სხეული ჰქონდა, ხოლო მკერდს ზევით, საიდანაც მკლავები და თავი იწყება, სხეული ორად იყოფოდა — ორი ახალი მუცელი, ორი ახალი მკერდი; თითოეული ეს გაორება, სხვა ახალ ანალოგიურ გაორებებში გადადიოდა; იმ გაორებებსაც იგივე რამ ემართებოდათ და ასე რამდენიმეჯერ. როგორც ჩანს, ავტორმა სურათში პერსონაჟის



მხატვარი **ნ.ლეჟავა**
www.newart.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბევრების პროცესის დაუსრულებლობის ნიშნად, გაბევრებული სხეულის დაბოლოებებში კვირტები ჩახატა. ამ სურათის სრული სახელწოდება ასეთი იყო — „პიროვნების გაბევრების ფაქტი გაორებულ და ერთაზრიან პირთა ფონზე". ერთი შეხედვითვე მივხვდი, რომ ეს ჩემი პორტრეტი იყო. თუმცა, რაც მეტად ჩავუღრმავდი და გამოვიკვლიე ეს სურათი, ჩემსა და მასზედ გამოსახულ პერსონაჟს შორის კლონირებული სიზუსტის მსგავსება აღმოვაჩინე. დარბაზში ხელთ ჩამივარდა რეცენზიის შინაარსის მქონე ჟურნალი, რომელშიც ამა თუ იმ სურათის მიმოხილვა იყო მოცემული. ჟურნალი როგორც კი გადავშალე იმ გვერდზე, რომელზედაც „პიროვნების გაბევრებასთან" დაკავშირებით ინფორმაცია მოიძიებოდა, სახტად დავრჩი — გადავწყვიტე, ფურცელი მალულად ამომეხია.

ამოვხიე.

იმედია, ეს ზარალი მხატვრისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი დანაკლისი. გონიერი კაცი ჩანს — გაგონილი ექნება, რომ წიგნის ქურდობა არ ითვლება ქურდობად! მით უმეტეს, მე მას წიგნი კი არა, კუსტარულად დამზადებული ჟურნალის ერთი ფურცელი მოვპარე. ამ ერთ ფურცელში მოთავსებული ინფორმაცია იმდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის, ზოგიერთი მონაკვეთი სიტყვა-სიტყვით გადმომაქვს დღიურში (სხვათა შორის, აღნიშნული ინფორმაცია თავად სურათშიც, ზედ ტილოზევე იყო განთავსებული — მიწერილ-მიხატული):

„თავიდან ჩვეულებრივი ადამიანი იყო. მერე რაღაც დაემართა და — გაორდა! მერე უფრო დაემართა... უფრო! უფრო! და ბოლოს, ისე გაბევრდა, ანგარიში აერია!"

„თავისი სურვილით სიამოვნებით მიატოვებდა ამ ქვეყანას. და განა უბრალოდ მიატოვებდა, გაიძურწებოდა ამ ქვეყნიდან — მოკვდა! მაგრამ, იცოდა რა, სულის უკვდავების შესახებ, აღნიშნული ქმედებისგან ის აზრი აკავებდა, რომ საკუთარ თავს ვერც იმ ქვეყანაში დააღწევდა თავს!"

ეჰ...

13 მარტი

ყველაფერი, რაც ამ დღეს თვალის გახელის წამიდან მოვიმოქმედე, სხვა არაფერია, თუ არა არსებობის ელემენტარული დაფიქსირება. და რადგან, ახლა უკვე დღე მიიწურა, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს დღე (უკვე საღამო ხანს) დღიურში განვლილი ცხოვრების ათასი სისულელით გადავსებული ფურცლების ფხრეწით დავიწყე! ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ღრმა ფიქრისა და ყოყმანის საკმაოდ ხანგრძლივმა პროცესმა განაპირობა; იატაკზე გულაღმა გართხმულს წინადღით საგამოფენო დარბაზში ნანახი ნახატი მედგა თვალწინ — „პიროვნების გაბევრების ფაქტი გაორებულ და ერთაზრიან პირთა ფონზე"... რაც მეტს ვფიქრობდი ამ ნახატზე, მეტად და მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ის ჩემი პორტრეტი იყო! რადგან დამხატეს, ესე იგი, მე ვიღაც მიცნობს და ან არც მიცნობს, უბრალოდ, მისი ავტორი პიროვნულად აბსოლუტურად ჩემი იდენტურია. ორივე შემთხვევაში, დასტურდება, რომ მე მარტოსული სულაც არ ვყოფილვარ ამქვეყნად! კმაყოფილმა ოთახს (ქვემოდან, მაგრამ მაინც ზემოდან) გადავხედე — მაგიდიდან, რამდენიმე დღის წინათ გამოცლილი არყის ბოთლი დარცხვენით მიმზერდა... გაშლილი ცარიელი ხელით ვადღეგრძელე აღნიშნული ნახატის ავტორი (გვარი კი დამავიწყდა მისი) — კარგად ხატავს!

თუმცა... ეს მხატვარიც მატყუარა იქნება! ისევე როგორც მე!

P.S. ძილი არ მეკარება.

წინანდელისგან განსხვავებით, ახლა საწოლზე ვწევარ... და ვფიქრობ: ყველა მატყუარაა, ცრუ! თავი ისე უჭირავთ, თითქოს ცხოვრებაში სულ წინ და წინ მიდიან! არადა, წრეზე ბრუნავენ! ერთ ადამიანს პირში მივახალე, წრეზე ბრუნავ-მეთქი(!) და ისე შემომხედა, იძულებული გავხდი დამემატებინა — ბრუნავ-და დედამიწასთან ერთად!

აპოკალიფსი გარდაუვალია! რადგან ჩვენ დროში ადამიანი განა სარკეში ჩანს, სარკე აჩვენებს მას, თუ როგორი უნდა იყოს იგი! თუ შესაძლებელი იქნება კაცობრიობის ზოგადი სახე რაღაც ფორმულაში აისახოს, მაშ ეს ფორმულა აბსურდის პროპორციული იქნება! თავად აბსურდი იქცა ქვეყნიერების შინაარსად! რადგან ირგვლივ სხვა წესრიგი აღარ არსებობს, აბსურდმა შეითავსა საყოველთაო წესრიგის ფუნქცია! განა სასაცილო არ არის, პოპვარსკვლავის ნაქონი ცხვირსახოცი ძვირფასეულობად რომ ითვლება; და ამ ხვირსახოცს ფასი ემატება თუ იგი, მფლობელის მიერ დასვრილია, ანუ, ჟღვლინტიანია! ამ სამარცხვინო ფაქტს კაცობრიობა ვერ გაექცევა, რადგან თავად ეს ფაქტი კაცობრიობაზე მაღლა დადგა, ის მართავს კაცობრიობას! ასე რომ, მავანთ და მავანთ, რაც უნდა მყარი ეგონოთ ის თავიანთი ბრჭყვიალა გემი, დრო მოვა და გემი ოკეანეში ჩაიძირება!

ძილის დროს, ღამით, თავქვეშ ზოგს ჰეგელი უდევს და ზოგს ფროიდი — თავს იმით იწონებენ, რომ ასეთი ავტორების ნაწარმოებთა დედანში კითხვის უნარი შესწევთ. წიგნი, რაც უნდა ღრმა და მრავლის მომცველი იყოს, ღამით მისი განსვენების ადგილი თაროზეა და არა, თავქვეშ! თავქვეშ კი, რა შეიძლება ამოიდოს ადამიანმა? რა და... ბალიში! დიახ, ბალიში ადამიანის ხელით ქმნილი ერთადერთი რამაა, რასაც ჰომოსაპიენსმა თავქვეშ შეუძლია მიუჩინოს ადგილი!

ეჰ... ძილი მომერია.

ღამე მშვიდობისა!

14 მარტი

მეოთხე დღეა, ჩემი ცხოვრების დღის წესრიგიდან ფილოსოფიის თემა არ გადადის; ტელევიზორში ერთმა „თოქ შოუმ“ გადაცემა აბსურდს მიუძღვნა — ლიტერატორები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და სხვა ათასი მსგავსი რჯულის სტუმრები ჰყავდათ მოწვეული; თითოეულმა ისეთი ცხოვრებისეული შემთხვევა გაიხსენა, რომელიც, მათი აზრით, აბსურდთან იყო კავშირში. მე გავოგნდი — არ მეგონა, თუ ჩვენ ქვეყანაში პრაქტიკულად არ ეცოდინებოდათ თუ რას ნიშნავს აბსურდი! ორი გავამრავლოთ სამზე, უდრის ჩვიდმეტს — ეს, ჩემო კარგებო, სისულელეა და არა აბსურდი! ვინმემ აბსურდის თემაზე სრულფასოვანი რაიმეს თქმა რომ შეძლოს, მას, სულ ცოტა, ცხოვრების ნახევარი უკან სვლით უნდა ჰქონდეს გავლილი! ამ გადაცემაში კი, სახე გაბრწყინებული ოპტიმისტების მეტი არავინ გამოჩენილა.

ფიქრებში ჩაძირულს, უეცრად, კედლების იქიდან შემოღწეული შემზარავი ხმა ჩამესმა: შენ, ამდენს რომ ლაპარაკობ აბსურდზე, უკანსვლით იარე კი ცხოვრების თუნდ ერთი მეოთხედი?! — არა! (ვუპასუხე ამ ხმას) უკანსვლით არასდროს მივლია! მაგრამ... (გავაგრძელე ფიქრი) რად გინდა? ვერც წინ წავედი!

15 მარტი

დასრულდა ფილოსოფია! უფრო სწორად, ის მოკვდა(!) — რადგან ახლა მე, შიმშილის გარდა, სხვა არაფერი მადარდებს. ჯიბეცარიელმა, წესით, „მედუქნეს“ დღეს წინა და იმის წინა ვალი უნდა დავუბრუნო. არ ვიცი, რა მოვიფიქრო? ალბათ, სხვა „მედუქნე“ უნდა ვიპოვო! მაგრამ ვინ? ვინ გაიბრიყვებს თავს ისე, როგორც მან გაიბრიყვა? ჰო, მან სწორედ რომ შეგნებულად გაიბრიყვა თავი, რადგან ყველაფერი იმდენად თავისთავად მოხდა, თითქოს წინასწარ იყო დაწერილი სცენარი. როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვერ შევიცანი მედუქნის პიროვნება! რაღაც ეტაპზე, იმ აზრმაც გამკრა თავში — ამ კაცს სექსუალური გადახრები ახასიათებს და პარტნიორის ძიებაშია? მაგრამ ეს აზრი, როგორც სერიოზული ეჭვი, აღარ ამეკვიატა, რადგან ვიცი — ოთხი შვილის მამაა, აღნიშნული საქმიანობისთვის ასაკი ხელს არ უწყობს და თანაც, მორწმუნე კაცი ჩანს — მაღაზია ხატებით აქვს გამოჭედილი. მოკლედ, როგორც არის, იყოს — მისკენ მივემართები... დავენახვები მაინც! ჩემი ქმედება თუ რამდენად არის განპირობებული სინდისის ქენჯნით და რამდენად შიმშილის გრძნობით, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის!

მარკეტში შესვლა ვერ შევბედე; შორიახლოს გავჩერდი ისე, „მედუქნეს“ შევემჩნიე და თან, შთაბეჭდილება შექმნოდა, თითქოს ვიღაცას საქმიანად ველოდებოდი. „მედუქნემ“ შემამჩნია თუ არა, ხელით მანიშნა, მასთან მივსულიყავი. ნაბიჯის თრევით გავემართე — მექანიკურად გონებაში სიტყვებს ვალაგებდი; მისთვის უნდა მეთქვა, თითქოს ნაცნობს ველოდებოდი, ვისაც ნასესხები ფული უნდა დაებრუნებინა. მაგრამ მარკეტში შესულმა, სიტყვა ვერ დავძარი; მისალმების ნიშნად თავი დავუკარი და გავხევდი.

მან ღიმილით ხელი ჩამომართვა და მოიკითხა ჩემი ჯანმრთელობა.

მოკლედ ვუპასუხე: მახველებს!

შემომთავაზა, ვიზიტზე მის მეგობარ ექიმთან მივსულიყავი... და ლაპარაკ-ლაპარაკში, ორი პოლიეთილენის პარკი პროდუქტით პირთამდე ამივსო; ერთი ბოთლი სამარკო წითელი ღვინოც გამოაყოლა. ამის შემყურეს, სიტყვა ყელში გამეჩხირა... შემატყო ეს და მხარზე ხელის მოთათუნებით გამომისტუმრა; მითხრა, არაფერზე მედარდა.

ახლა უკვე სახლში ვარ.

არაფერი ვიცი! და თუ რაიმე ვიცი, ერთადერთი ისა, რომ გვარიანად გავძღები! „მედუქნის“ სადღეგრძელოსაც დავლევ... არა, „მედუქნის“ არა — თომას სადღეგრძელოს! ადამიანს, რომელსაც მედუქნედ ვიხსენიებდი, თომა ჰქვია.

16 მარტი

სურვილი მაქვს დღეს რაიმე მივამატო დღიურს... მაგრამ არაფერი ხდება მნიშვნელოვანი. წარმოვიდგინე, რაღაც მიღწევის გამო ნობელის პრემიით მაჯილდოვებენ — მთხოვეს, ჩემი ავტობიოგრაფია გამეცნო საზოგადოებისთვის! კი ბატონო, გავაცნობ, არაფერი მაქვს დასამალი.

ავტობიოგრაფია:

დავიბადე... გავიზარდე... არასოდეს მყოლია მასწავლებელი და არც მასწავლებლად გამოვადგები ვინმეს! როცა დრო მოვა, მოვკვდები.

17 მარტი

როგორც იქნა გათენდა... მთელი ღამე კოშმარი მელანდებოდა — სიზმარი ვნახე, რომელშიც ერთდროულად ყრუ, მუნჯი და ბრმა ვიყავი!

დღის განმავლობაში თუ რაიმე მნიშვნელოვანი მოხდა, ამ ნაწერს ისევ მივუბრუნდები.

P.S. დღე მიიწურა — ვხედავ, მესმის და ვლაპარაკობ კიდეც(!), მაგრამ ეს ყველაფერი არად მარგია.

და კიდევ ის მინდა ვთქვა, რომ საკუთარი უსუსურობის შეგრძნება მძიმეცაა და როგორღაც, ჯანსაღიც!

ჯერ არ მინდა სიკვდილი...

22 მარტი

კიდევ ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც თომა უკანასკნელად ვნახე და ძღვენი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატანა. იცის, ვალს ვერ დავუბრუნებ. რატომ იქცევა ასე? როგორც უნდა ვარწმუნო საკუთარი თავი, თითქოს ეს ვითარება ჩემთვის, როგორც გაიძვერა ადამიანისათვის, სულერთი არის, კითხვები უპასუხოდ მრჩება, ფორიაქი მიპყრობს. რაღაც მცირეოდენით მაინც უნდა ვცე ამ ადამიანს პატივი — მამაჩემის ნაქონი, ძველებური, ჯაჭვიანი ვერცხლის საათი მაქვს... თვითონ არ ვიცი, როგორ შემომენახა ეს ფასიანი ნივთი გაუყიდავი. თუმცა, ფასიანი არც არის, ჩემ წარსულ, უღრუბლო ცხოვრებას რომ უკავშირდება, იმიტომ ვაფასებ. ეს საათი თომას ხელში თავს უკეთესად იგრძნობს, ვიდრე მისი პირვანდელი მეპატრონის უღირსი შვილის ხელში! გადაწყდა: თომასთან მიმაქვს!

P.S. მოხდა ის, რასაც არ ველოდი და სადღაც, გულის სიღრმეში მალულად, მაინც ველოდი: თომას საჩუქარი მოეწონა, ოღონდ, უკან დამიბრუნა და მთხოვა — ამ ნივთს გავფრთხილებოდი! და როცა, პროდუქტის მორიგი პარტიით დამტვირთა, ვკითხე, რითი უნდა გადამეხადა ეს ამაგი. ჩემთვის საკმაოდ მოულოდნელი რამ მიპასუხა: როცა ეკლესიაში შევიდოდი ღმერთისთვის ჩემი კეთილდღეობის შესავედრებლად, ორიოდე სიტყვით მასაც შევწეოდი!

ისე ვუპასუხე, როგორც არის: მე ეკლესიაში არ დავდივარ!

მან კედლიდან ერთი პატარა, ქაღალდზე დაბეჭდილი სიფრიფანა ხატი ჩამოიღო და გადმომცა; მითხრა: შენი კეთილდღეობა ამასაც შეგიძლია შეავედროო (საკუთარ თავზე აღარაფერი უთხოვია)! მადლობა გადავუხადე და დავშორდით. ხატებში ვერ ვერკვევი, მაგრამ იმ ხატის ცნობა არ გამჭირვებია, რადგან არ არის ადამიანი, რომელიც ღვთისმშობლის ხატს ვერ იცნობს.

დაბნელდა...

შეიძლება ითქვას, დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. თუმცა, არის ერთი დაფარული გარემოება, რომელიც, გარკვეულწილად, სულიერ დისკომფორტს მიქმნის. მიჭირს ზედმიწევნით ზუსტად შევიცნო ამ დისკომფორტის ხარისხი და მიზეზი, რომ პირველი (დისკომფორტი) მეორისგან (კონკრეტული მიზეზისგან) მოედინება. საქმე ეხება ქაღალდის სიფრიფანა ხატს, რომელიც თომამ გამომატანა და რომელმაც, „ჩემს სამფლობელოში" ჩემთან ერთად დაიდო ბინა. ვიცი, ეს ძალზედ ფაქიზი თემაა და ამიტომ, ამ ეტაპზე ზედმეტი ფიქრისგან თავს შევიკავებ. იმედია, იმის შეგრძნება, რომ ბინაში ვიღაც ისეთი შემომისახლდა, ვისაც თვალები აქვს და გამუდმებით მაფიქსირებს, გაიფანტება!

ხატს საკადრისი ადგილი მივუჩინე, შუშის კარადაში ჩავდე ისე, ოთახის ლამის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან მოჩანს... პირჯვარიც გადავიწერე.

ვწვები და ვიძინებ!

23 მარტი

გათენდა...

საწოლიდან წამომდგარი არ ვიყავი, თვალი ხატისკენ გამექცა — მაფიქსირებდა! ვიცი, რომ კეთილი განზრახვით მადევნებდა თვალს, მაგრამ რადგან თავად უწესო ადამიანი ვარ, ამ მზერამ დამამძიმა. ერთი კი გავიფიქრე — სიფრიფანა ქაღალდია... მაგრამ ჩემდა სავალალოდ, გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ ეს „სიფრიფანა ქაღალდი" ჩემზე ბევრად უფრო ცოცხალი არსება იყო.

ვცადე, ძილი გამეგრძელებინა... არ გამომივიდა.

წამოვდექი, ჩავიცვი და იქაურობას გავეცალე, ქუჩაში გავედი. იმის ნაცვლად, ხატს გაცლილს სიმშვიდე მეპოვა, უარესად დავმძიმდი; ბრაზი მომერია, საკუთარი სახლიდან ლტოლვილი, იძულებით გადაადგილებული პირი რომ გავხდი! ქუჩის პირას მდგომ გრძელ მერხზე ჩამოვჯექი და გამვლელ-გამომვლელის თვალიერება დავიწყე — ვაკვირდებოდი ბავშვებს, როგორ მიდიოდნენ სკოლაში... ასაკოვან ადამიანებსაც ვაკვირდებოდი, ვცდილობდი, გამომეცნო როგორები იყვნენ ისინი იმ ასაკში, როცა სკოლაში დადიოდნენ. შემდეგ წარმოვიდგინე ყველა ეს ადამიანი ერთად (დიდი და პატარა) სად და როგორ იქნებოდნენ ასი წლის შემდეგ, როცა აღარ იქნებოდნენ ცოცხლები!

საოცარია...

მთელი ცხოვრება უღმერთოდ ვცხოვრობ... რატომ არ მეშინია ეშმაკის?! თუმცა, ვინ იცის, არ მეშინია კი? თუ არ მეშინია, მაშ, რატომ მზარავს ღამით სასაფლაოს წყვდიადი? სასაფლაო არ არის ეშმაკის საბრძანებელი და გაქცეულს, არც მკვდრები დამედევნებიან! სწორედაც რომ მეშინია მისი და არა მარტო მისი, მეშინია ყოველივე არა ამქვეყნიურის! ხატისაც მეშინია — სიყვარულს არ განვიცდი მის მიმართ! და თუ ჩემს ბინაში საპატიო ადგილი მივუჩინე, ეს სულაც არ არის განპირობებული იმით, რომ მინდოდა მისთვის პატივი გულით მიმეგო!

მხდალი! სუსტი! მშიშარა! არ ვიცი, კიდევ სხვა რა სიტყვები ვიხმარო ჩემი თავის დასახასიათებლად. იმის ძალაც არ შემწევს, კბილის ტკივილი მოთმინებით ავიტანო. ვბობოქრობ მხოლოდ იმ დროს, როცა თავი ქვიშაში მაქვს ჩარგული. ჯანდაბას ჩემი თავი!

ქუჩამ კიდევ უფრო დამამძიმა. სახლში დავბრუნდი.

ახლა, ხატის პირისპირ სკამზე ვზივარ — არ ვიცი, ჩემს თავს ვესაუბრები თუ ხატს: თვითნებურად შემოიჭრა ის ჩემს კერძო ტერიტორიაზე! მე მხოლოდ ამ ტერიტორიის შიგნით არსებულ სივრცეში შემეძლო ვყოფილიყავი ისეთი, როგორიც სინამდვილეში ვარ, მეკეთებინა ის, რაც მინდოდა — ვილანძღო, ვიგინო, ათასი სამარცხვინო საქციელი ჩავიდინო, თუნ-

დაც, ნაგვის ვედრო ჩამოვიმხო თავზე! ახლა კი, იძულებული ვარ საკუთარი თავი მოვთოკო, რომ ანგარიში გავუწიო ჩემს თანამოსახლეს! ვიმეორებ: ვიცი, ხატი კეთილია, დასაღუპად არ ემეტება ადამიანი, მაგრამ პრობლემა ჩემშია და არა მასში — მან სინათლე შემოიტანა წყვდიადში და ახლა, ნათელში — წინანდელზე მეტად ბინძური გამოვჩნდი, იმდენად ბინძური, რომ ამ სიბინძურემ თავად შემაწუხა! დაახლოებით ასეთი რამ მოხდა: თუ დიდი ხნის დაუბანავს სუნი ამდის, ამ სუნს მხოლოდ იმ დროს ვგრძნობ, როცა ადამიანთა თავშეყრის ადგილებში ვხვდები. შევეგუე ჩემს მდგომარეობას და არაფრის შეცვლა არ მსურს! არც შეცვლის ძალა შემწევს! რამდენი შემთხვევა იყო ისეთი, ადამიანს წამალი საწამლავად რომ ექცა, რადგან მისმა ორგანიზმმა ის ვერ შეითვისა.

მე და ხატმა როგორმე მშვიდობიანად უნდა გადავინაწილოთ ჩემი ბინის ტერიტორია, ერთმანეთი რომ არ შევაწუხოთ. რადგან ბინა ერთოთახიანია, რომელიმე ჩვენგანს მოუწევს სამზარეულოში დამკვიდრება! მე სამზარეულოში ვერ დავსახლდები — ჯერ ერთი, ზომით დიდი ვარ (იქ ვერ დავეტევი!) და მეორეც, უფრო ადრე დავსახლდი ამ ბინაში! ასე, რომ გადაწყვეტილი ამბავია — პატიებას ვთხოვ ყველას (პირველ რიგში, ხატს) და... ახლავე საქმეს შევუდგები.

P.S. ხატმა სამზარეულოში დაიდო ბინა. იმედია, დღეს მნიშვნელოვანი სხვა აღარაფერი მოხდება.

24 მარტი

(ჯერ არ გათენებულა, ქუჩაში ისევ ბნელა)

თომას ბრალია ყველაფერი... ამირია ცხოვრება!

მთელი ღამე კოშმარი მელანდებოდა. ყველაზე საშინელი მონსტრი, რომელიც ვიხილე — უზარმაზარი ფრინველი, სანამ შორს იყო ჩემგან, დანარჩენი მაჯლაჯუნების ფონზე, არცთუ ისე სახიფათო ჩანდა, მაგრამ როცა მომიახლოვდა, სიმახინჯესთან ერთად, მისმა წარმოუდგენელმა სიდიდემ შემზარა — ყელში ჩამაფრინდა და იმ წუთამდე მგუდავდა, სანამ დამფრთხალი საწოლიდან არ გადმოვვარდი. აღარ შემიძლია ამდენის მოთმენა! გათენდება თუ არა, თომას ხატს დავუბრუნებ! ეხლავე შემიძლია ხატი მოვიცილო თავიდან — ფანჯრიდან გადავისვრი(!), მაგრამ მეშინია — აქამდე თუ ეშმაკები მარბევდნენ, ახლა ანგელოზებიც თავს დამესხმიან!

მე უბრალო, სუსტზე სუსტი ადამიანი ვარ! შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ღორი ვარ და ტალახში უნდა ჩავწვე — ოღონდ, არავინ გამომაფხიზლოს! განუკურნებელი სულიერი სენით ვარ ავად — გამაყუჩებელი მჭირდება და არა სამკურნალო პრეპარატი, რომელიც ჩემ სენს, განკურნების ნაცვლად, მეტად აღაგზნებს! დაძინებით, რაღას დამეძინება? ოღონდაც, მალე გათენდებოდეს — მაღაზია გააღოს თომამ!

ეს რა მიქნა ამ კაცმა?! აღარაფერი მინდა მისი! ვალსაც დავუბრუნებ! სახლს გავყიდი და დავუბრუნებ! რად მინდა სახლი — გამოზაფხულდა... ქუჩაში ვიცხოვრებ — „ბომჟი“ გავხდები! თუმცა, რატომ „ბომჟი“? პირიქით, ერთ პატარა ოთახს ვიქირავებ; დარჩენილი ფულით კარგს ვჭამ და კარგს ვსვავ! და როცა, ხელახლა სიცივეები დაიჭერს, ჩემი სენის პატრონი, იმედია, იმ დროს ფეხებგაფშეკილი ვიქნები! ოღონდაც, დროზე გათენდებოდეს!

მგონი, ინათა? ჰო, ინათა! მაგრამ, ჯერ კარგა ხანი გავა, სანამ თომა მაღაზიასთან მილასლასდება! თომა კი არა, „მედუქნე“(!) — ზედგამოჭრილია მასზე ეს სახელი. ოხ... შურს ვიძიებ! დრო ოთახში ბოლთის ცემით გამყავს.

ერთი საათი გავიდა.

კიდევ ერთი საათი გავიდა. დროა „მედუქნესთან“ გავწიო — ხატს ავიღებ და...

სამზარეულოში შესულს თავზარი დამეცა: არ ვიცი რანაირად, ხატი ზეთში დასველებული დამხვდა! ზეთს არ მივკარებივარ... მგონი, ზეთი საერთოდ არ მაქვს სახლში. გაოგნებული სკამზე მოწყვეტილი დავეშვი — ეს იყო ის, რაც სრულ „ბედნიერებამდე“ მაკლდა!

როდესაც გონება მოვიკრიბე, ერთმა უცნაურმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება — სამზარეულოში უცნაური სურნელი იდგა. აზრმა გამკრა, ზეთი, რომლითაც ხატი გაჟღენთილიყო, შესაძლოა ყოფილიყო ის, რასაც საეკლესიო ენაზე მირონი ჰქვია. მაგრამ სად? ჩემ ცოდვილ „ბუნაგში“, ასეთ წმინდა სასწაულს რა ესაქმება?!

ხატი პოლიეთილენის ერთჯერად, სუფთა პაკეტში ფრთხილად მოვათავსე და თომასკენ გავქუსლე... საჩხუბრად არა.

ახლა ისევ სახლში ვარ... ხატი ოთახში, თავდაპირველ ადგილას დავაბრძანე. აღარც ფიქრი შემიძლია და აღარც წერა. თომას სიტყვები გუგუნით მიდგას ყურში: ღმერთს ჰყვარებიხარო!

25 აპრილი

ერთი თვე შესრულდა, რაც ჩემს ოჯახში ღვთისმშობლის ხატმა სასწაულებრივად მირონი გადმოიდინა. იმ დღიდან მოყოლებული, ბევრი ისეთი რამ მოხდა, რამაც ჩემი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა. პირველ რიგში, ადამიანებს დავუახლოვდი — გახმაურდა ამბავი მირონმდინარე ხატის შესახებ და მორწმუნეებმა ჩემს ბინაში სტუმრობა დაიწყეს. ასეთი ვიზიტების დროს, პირველად, თავს უხერხულად ვგრძნობდი. ჯერ ერთი, სტუმრები მოსვლისთანავე ლოცვას იწყებდნენ, და რადგან მე, ლოცვისა არაფერი გამეგებოდა, უხერხულობისგან ოთახის კუთხეში მიმწყვდეულს, ყურებჩამოყრილი მოწმესავით მიხდებოდა დგომა; და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე, ჩემი ბინის ინტერიერის (კედლებსა და კარ-ფანჯარაზე მიხატული მავთულხლართის) მრცხვენოდა. კარ-ფანჯარას, აცეტონის საშუალებით მოვაცილე „ხლართი“, მაგრამ კედლებს არაფერი ეშველა. კიდევ კარგი, იატაკი ღუმელში დაწვას რომ გადაურჩა! თანდათანობით, მივეჩვიე სტუმრებს და ეს, იმ ვითარებამ გამიიოლა, რომ მომსვლელთ, თითქოს ერთმანეთში შეთანხმებულანო, ძღვენი მოჰქონდათ — საჭმელ-სასმელი. ზოგიერთმა ხატს ფულიც შესწირა. ასე და ამგვარად, თუ მანამდე თომას კმაყოფაზე ვიყავი, უკანასკნელი თვე მაძღარს ხატმა გადამაგორებინა.

ამ ხნის მანძილზე, სხვა კიდევ ის იყო მნიშვნელოვანი, რომ თომამ დამიყოლია ფილტვების გამოსაკვლევად მის მეგობარ ექიმთან მივსულიყავი. მოხდა ის, რასაც არ ველოდი და ახლაც კი მიჭირს დაჯერება — ტუბერკულიოზი არ აღმომაჩნდა! მიუხედავად ამ სენისთვის მახასიათებელი ნიშნებისა — ამონახველს სისხლს ვაყოლებდი, გამუდმებული დაბალი სიცხე, სისუსტე, ხველა, არც რენტგენმა და არც სისხლის ანალიზმა ორგანიზმში ასეთი სენის არსებობა არ დაადასტურა. სიცხე, სისუსტე და ხველა, როგორც ექიმმა ბრძანა — ადამიანებს პერიოდულად გვახასიათებს... რაც შეეხება სისხლის ამოხველებას, ეს თურმე, უამრავ სხვა მიზეზს შეეძლო გამოეწვია. როცა მან ეს სასიხარულო ამბავი მამცნო, გავშრი, გავოგნდი, ენა მუცელში ჩამივარდა. ექიმმა, ჩემი დუმილი სიხარულის ნიშნად მიიღო. მაგრამ მოგვიანებით, რომ ჩავაცივდი — ეგება, ამ სენის თუნდაც წარსულში არსებობის მცირეოდენი ნიშანი აღმოეჩინა, გაკვირვებულმა შეიცხადა: „შენ რა, ყმაწვილო, სურვილი გაქვს სამკურნალო ყოფილიყავი?!“

არა, ასეთი სურვილი არ მაქვს... — ვუპასუხე.

ძალისძალად გავიღიმე, მადლობა გადავუხადე და პირი გასასვლელისკენ ვიბრუნე — გაწუწული ძაღლივით კუდამოძუებულმა დავტოვე იქაურობა; ყველაზე მეტად, თომასთან შეხვედრისა მრცხვენოდა — ჯან-ღონით სავსე კაცმა ბავშვივით რომ ავიკვიატე ავადმყოფობა!

რატომ ავიკვიატე ავადმყოფობა?

არა, ეს აკვიატება არ იყო! ერთი ჩემი ბავშვობისდროინდელი მეგობარი ტუბერკულიოზით გარდაიცვალა. წინათ, ამ სენისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. იმ მეგობარმა დამიმალა თავისი სენის მნიშვნელობის შესახებ, საავადმყოფოდან (გაუსაძლისი პირობების გამო) გამოპარულმა, სწორედ იმ დროს, როცა თურმე სიცოცხლის უკანასკნელ თვეებს ითვლიდა, მთხოვა და ჩემს ბინაში ჩემთან ერთად საკმაო ხანი იცხოვრა. ბოლოს, ეჭვი გამიჩნდა მისი მდგომარეობის უკიდურესად სერიოზულობის შესახებ. თვითონაც იგრძნო ეს; თანაც, იმ დროისთვის, საავადმყოფოში პირობები გაუმჯობესდა და მან, უჩუმრად დატოვა ჩემი ბინა; მადლობაც არ გადაუხდია. როცა ბოლომდე გავაცნობიერე რა საფრთხის წინაშე ვიდექი, შიშმა ამიტანა. შემდეგ, თითქოს ყველაფერი გადამავიწყდა. მაგრამ, კიდევ უფრო მოგვიანებით, როცა თავად გამომაჩნდა ტუბერკულიოზისთვის დამახასიათებელი ნიშნები (თან, იმ დროისთვის, ცხოვრება უკიდურესად ამერია!) ყველაფერზე ერთიანად ჩავიქნიე ხელი.

ალბათ, ვერასოდეს დავიჯერებ, რომ ტუბერკულიოზი არც არასოდეს მჭირდა! და რომ დღეს, ამ სენისგან აბსოლუტურად გათავისუფლებული ვარ, ეს, მხოლოდ და მხოლოდ, კაცთმოყვარე ღმერთის, იმ მირონმდინარე ხატის წყალობაა, თომამ რომ მაჩუქა! ჩემთვის ასეა, სხვისთვის სხვანაირად! ტუბერკულიოზის თემას აღარასოდეს დავუბრუნდები.

ახლა დილაა.

დროა თომას მაღაზიისკენ გავწიო.

ჰო, მართლა, მუშაობა დავიწყე — თომას, დამხმარე მუშად, მაღაზიაში ვეხმარები (ერთი დღე, გამყიდველიც ვიყავი). და... ელენესაც დავუახლოვდი. ელენე ის გოგოა, თომასთან ვინც მუშაობს. ამ გოგოს მიმართ, რაღაც განსაკუთრებული გრძნობა გამიჩნდა. მაგრამ, არ ვიცი, ეს განსაკუთრებული გრძნობა რამდენად მისაღები აღმოჩნდება მისთვის და არ მინდა ჩვენს ურთიერთობაში რამე ისეთი შევიტანო, რაც არსებულ ურთიერთობას რამეს ავნებს. დაე, გარკვეულ დრომდე დარჩეს ზოგი რამ ჩემ საიდუმლოდ. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ელენემ იეჭვა კიდეც ამ საიდუმლოს შესახებ, როცა მაღაზიაში მყიდველთან საუბარში გართულმა, უცაბედად შენიშნა რა გამომწვევად მივჩერებოდი. იმ წამს, თითქოს, გაეღიმა კიდეც, მაგრამ ეს იმდენად დაფარულად მოხდა, დარწმუნებული არ ვარ ამაში.

რომელი საათია? მგონი, მაღაზიაში წასვლა დავაგვიანე. საღამო ხანს, დღევანდელი დღის ჩანაწერს აუცილებლად დავუბრუნდები.

სახლში დავბრუნდი.... გვიანი საღამოა.

მიუხედავად იმისა, ელენე დღეს სამსახურში არ გამოცხადდა, ჩემდა მოულოდნელად, ეს დღე, საბოლოოდ, მაინც ბრწყინვალედ დასრულდა. მაღაზიაში უგუნებოდ ვიყავი — პრინციპულად არ ვეკითხებოდი თომას ელენეს მოუსვლელობის მიზეზს; და რადგან, მის შესახებ თვითონაც სიტყვას არ ძრავდა (აშკარად, ელოდებოდა როდის მოვიკითხავდი!) ისიც კი ვიფიქრე — სამსახურიდან ხომ არ დაითხოვა-მეთქი! დღის ბოლოს, როგორც იქნა, გატყდა ნავსი, თომამ მაჯობა — ელენეზე სიტყვა პირველად მე ჩამოვაგდე. თურმე ავად ყოფილა — გრიპი, სიცხე. ჩემი თანამოსაუბრე კარგ გუნებაზე იყო და ხუმრობანარევი სერიოზულობით მომმართა: „მე, ელენე, ტელეფონით მოვიკითხე, მაგრამ შენ, ტელეფონი რომ არ გაქვს, რა გეშველება“-ო?

მივალ და მოვინახულებ! — ვუპასუხე.

ხოო... კარგი იქნებაო! — თქვა და თაროდან ელენეს საყვარელი შოკოლადის ორი ფირფიტა გადმოიღო — ერთი შენგან მიართვი, ერთიც ჩემგანო. გაიცინა. მეც გამეცინა. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ღმერთმა ეს ადამიანი ჩემ გადასარჩენად გამოგზავნა.

შოკოლადი გამოვართვი და წასვლის წინ, როგორც ჩემს მესაიდუმლეს, ვთხოვე, წარმატება მისურვე-მეთქი. თხოვნა სიამოვნებით შემისრულა. მაღაზია ერთად დავკეტეთ, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და...

გზაში ვღელავდი, ვფიქრობდი, ვატყობდი ჩემს თავს, უზომოდ ვიყავი დაძაბული. თუმცა, როგორღაც, ამ ფიქრებში იუმორის შერწყმასაც ვახერხებდი. აი, წარმოვიდგინე: ელენესთან პაემანზე მივედი (მის ბინაში არა, სადმე სხვაგან, ალბათ, ქუჩაში.) — მოვიკითხე... იქითური, აქეთური, გულში ჩავიკარი და ლოყაზე ვაკოცე! არა, ლოყაზე არა — თუ კოცნაა, მაშ, ტუჩებში იყოს! ტუჩებში? დიახ, ტუჩებში! კარგი, ტუჩებში... ტუჩებში ვაკოცე და — ბახ! — თავში ქოლგა ჩამცხო. და... რაღაც სწორად ვერ გავთვალე. რა ვერ გავთვალე სწორად? რა და... ამინდი! მზიანი ამინდი უნდა შემერჩია, რომ ქოლგა არ ჰქონოდა ხელთ.

ხუმრობა ხუმრობაში, ელენეს სახლს მივუახლოვდი... ერთ წამში გამიცამტვერდა იუმორის გრძნობა. აი, ის სადარბაზო, საჭირო სართული, მისი ბინის კარები მოვძებნე და ღილაკს დავაჭირე თითი.

ზზზ... ზზზ... ბაგ-ბუგ... ბაგ-ბუგ... (უკანასკნელი, ჩემი გულის ცემაა და არა, ზარის წკრიალი.)

კარი ელენეს დედამ გამიღო. უცხო ადამიანის დანახვაზე შეცბა, უნდობლად შემომხედა — ალბათ, გაზის ან დენის კონტროლიორი თუ ვეგონე! ვიცოდი, ამ ქალბატონს ვიოლა ერქვა და ისე თბილად და მოწიწებით მოვიკითხე, თან ვუთხარი თუ ვინ ვიყავი, შინ ლამის გულში ჩახუტებულმა შემიპატიჟა — „შვილო, ელენეს ცოტა სიცხე აქვს, მგონი ჩაეძინა, მაგრამ არა უშავს, გავაღვიძებ-ო!“ ოთახისაკენ მანიშნა, შევსულიყავი, თავად, სამზარეულოსკენ წავიდა — რძე ჰქონია ცეცხლზე დადგმული; შემპირდა, ერთ წამში ყურადღებას მომაქცევდა. ჩემდა გასახარად, რძის ადუღებას არც ერთი, არც ორი და არც ბევრად მეტი წამი ეყო. სასტუმრო ოთახში მოვხვდი... ალბათ, იმის ხარჯზეც, რომ ემოციურად უკიდურესად აღგზნებული ვიყავი, მომეჩვენა თითქოს არსებული გაცრეცილი სამყაროდან, რომელიღაც სრულიად სხვა, ჰარმონიულ სამყაროში გადავიხვეწე. იქ შევიგრძენი ის, რასაც ოჯახი ჰქვია და რაც, ჩემთვის, არათუ მხოლოდ ეგზოტიკად ქცეულიყო, სრულ დავიწყებას მისცემოდა. ირგვლივ ყველაფერი დალაგებული, მოწესრიგებული იყო, ნებისმიერ ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა — სითბო იდგა იქ, რაღაც სხვანაირი სითბო, დაახლოებით, ასეთი: ოთახში ტემპერატურა ნულს ქვემოთ რომც ჩასულიყო, ადამიანი სიცივეს ვერ იგრძნობდა.

მიუხედავად იმისა, ოთახში მარტო ვიყავი, განიერი სავარძლის კიდეზე ძალზედ მოკრძალებულად ჩამოვჯექი. იქაურობას კიდევ ერთხელ მოვავლე თვალი და იმავწამს, მძაფრ შთაბეჭდილებათა მორიგმა ტალღამ შმთანთქა: მთელი ეს სივრცე საოცრად ძლიერი ინტიმური მუხტით იყო გაჟღენთილი — რადგან, იქ ელენე ცხოვრობდა... იქ, ელენე ისეთი იყო, როგორსაც ყველა იცნობდა და ისეთიც, როგორიც არავის უნახავს. უცაბედად, ვიგრძენი, ჩემგან მარჯვნივ, სხვა ოთახში შემავალ, ნახევრად შეღებულ კარებში უნდა შემეჭყიტა. სავარძლის კიდეზე „სწორებაში“ მჯდომმა, კიდევ უფრო წინ წავიწიე, კისერი მოვიღერე და... დავინახე ის, რისი ცქერაც მთელი ცხოვრება არ მომბეზრდებოდა — ტახტზე, საშინაო სამოსში, ძალზედ უბრალოდ გამოწყობილ, ოდნავ მოკუნტულ, თმაგაწეწილ „მზეთუნახავს“ ჩასძინებოდა. მძინარე ელენე ახლა სწორედ ისეთი იყო, როგორიც არავის უნახავს. და მისი ასეთის ნახვის უფლება მხოლოდ იმას ჰქონდა, ვისიც იგი დაბადებიდან იყო და ვისიც გათხოვების შემდეგ გახდებოდა!

ხმა შემომესმა სამზარეულოდან... ქალბატონი ვიოლა მოაბიჯებდა. სასწრაფოდ სავარძელში ღრმად ჩავიძირე, საზურგეს ავეკარი — ამგვარად ვცადე თავი შინაურ ადამიანად მეჩვენებინა და თან, „მზეთუნახავზე“ თვალის შევლების ფაქტი დამემალა. საზურგეს ავეკარი თუ არა, სავარძლის თავზე შემომჯდარ თოჯინას თავით შევეხე და ის, პირდაპირ ხელებში ჩამივარდა. ქალბატონ ვიოლასგან შევიტყე, თურმე, ეს (ელენეს ბავშვობისდროინდელი) თოჯინა, ახლაც კი, მისი საყვარელი სათამაშო ყოფილა — ინსტიქტურად, მოვეფერე თიჯინას... ვიოლამ შეამჩნია ჩემი ქმედება და გაეღიმა. მაგიდაზე ლანგრით ჩაი, მურაბა და ნამცხვარი დადო. მოკლე საუბარი გამიბა — თომა მოიკითხა, მაღაზიაში საქმე როგორ მიგდითო? პასუხებს მექანიკურად ვაძლევდი; უფრო კი, სხვა რამეზე ვფიქრობდი: თაროებიდან, ელენეს ბავშვობისდროინდელი სხვა თოჯინები მიმზერდნენ... მან თავისი სათამაშოებიც კი შეინარჩუნა! მე? ცხოვრება დავკარგე! თუ არ დავკარგე, ძლიერ ჩამოვრჩი მას! ვინ იცის, ამის მერე რა იქნება?

ჩემი მასპინძელი სანამ ქალიშვილის გასაღვიძებლად მისი ოთახისკენ პირს იბრუნებდა, ელენეს ხმაურზე თავად გაეღვიძა — თვალების ფშვნეტით შემოგვიერთდა. კიდეც გაუკვირდა და კიდეც გაუხარდა ჩემი დანახვა. მე მას, ქალბატონ ვიოლას თანდასწრებით, საზეიმოდ გადავეცი შოკოლადის ფირფიტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თომას მოკითხვა. „ოოო...“ — თქვა ელენემ და სანამ სამადლობელ სიტყვას დაასრულებდა, დედამისს დელიკატურად ანიშნა, მარტო დავეტოვეთ!

ქალბატონმა ვიოლამ ისე დაგვტოვა, სახიდან ღიმილი არ გადასვლია. სამზარეულოს მიმართულებით გაუჩინარდა. გასულს, ელენემ კარები უხმოდ მიუხურა და მოპირდაპირედ მდგარ სავარძელში ჩაეშვა. ინტიმური ატმოსფერო, რომელმაც ჩვენს შორის დაისადგურა იყო ის, რაც, ეჭვი არაა, ორივეს გვსურდა, მაგრამ ამან, მოულოდნელად, იმდენად დიდი დოზით მოგვიცვა, დავიძაბეთ და ლაზღანდარობის უნარი წაგვერთვა — სულელური თემების მოძიება ვერ მოვახერხეთ; ხოლო, რაც შეეხება მნიშვნელოვანს, ერთმანეთისთვის იმდენად გაშინაურებულნი არ ვიყავით, რომ გაგვებედა.

მთლად მუნჯებივით რომ არ ვმჯდარიყავით, ელენემ ხან ჩაის ჭიქა მომიჩოჩა ახლოს, ხან მურაბა — გასინჯე, მოგეწონებაო... ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს. ბოლოს, მოიფიქრა: მცირე ხნით მარტო დავეტოვებინე, რათა ნამძინარევს თავისი გარეგნობა მოეწესრიგებინა. სავარძლიდან წამოიწია კიდეც. მაგრამ, იმდენად არ მემეტებოდა თუნდ წუთით მასთან განშორება და არც ის, რომ თავის სრულიად ბუნებრივ, უშუალო გარეგნობაში რაიმე ცვლილება შეეტანა, კი არ ვთხოვე, გულის სიღრმიდან ამოვიყვირე, რომ ასეთი უფრო ლამაზი იყო! ელენე თვალებში ჩამაჩერდა. ჩემმა თვალებმა იმაზე მეტი უთხრეს, ვიდრე სიტყვებით მოვახერხებდი. ეს იყო წუთი, როცა ერთმანეთის პირისპირ სრულიად გაშიშვლებული გრძნობებით წარვსდექით. მთელი ჩვენი ურთიერთობის მანძილზე ყველაზე მკაფიოდ ამ დროს ვიგრძენი, რომ ჩემი ცხოვრება მასთან სამუდამოდ უნდა დამეკავშირებინა! თავს უფლება მივეცი, მივახლოვებოდი და მეკოცნა. წინააღმდეგობა არ გაუწევია... თუმცა, არც ამყვა.

ოდნავ მოგვიანებით, როცა იმ კოცნის შემდეგ, გრძნობები მეტ-ნაკლებად დაგვიამდა, სიტუაციის ბოლომდე განელების მიზნით, ელენე გამეხუმრა: „არ გეშინია, გრიპი რომ გადაგდოო?!“ ხუმრობას, ხუმრობით ვუპასუხე: თუ გრიპს გადამდებდა, ხურდაში ტუბერკულიოზს დავუბრუნებდი!

შუაღამე გადაიწვერა... არემარე უკუნისებურმა სიჩუმემ მოიცვა. მიჭირს ხატს გავუსწორო თვალი — რადგან, მასზე მადლობის გადახდის ერთადერთი ფორმა, ლოცვაა.

ლოცვა უნდა ვისწავლო!

1 მაისი

ახლა, მე და ელენე ჩემს ბინაში... უკაცრავად — ჩვენს ბინაში(!) ვართ და კედლებს ვზომავთ — გვაინტერესებს რამდენი ხვევა შპალიერი დაგვჭირდება „მავთულხლართის“ გადასაფარად.

26675

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა ჯიო

სისხის ვასსვლავი

ზღაპარი

იყო და არა იყო რა,
იყო ქვეყანა-სამოთხე,
მასში მცხოვრები ბავშვები
ანგელოზებთან გალობდნენ!

ცა იყო ლურჯი, კამკამა,
ქლიავისფერი ქედები...
თავზე რომ ქუდად ეხურათ
მყინვარნი განახელები!

და მიდიოდა ცხოვრება,
გალაღებული დიადი,
სანამდე ერთხელ შურისგან
არ გადირია ეშმაკი...

***
და მერე მოხდა რაც მოხდა!..

***
...ზღაპარზე ვინ იფიქრებდა,
ვის ჰქონდა თავი ფიქრისა,
მთავარი იყო სიცოცხლე
რომ მორეოდა სიკვდილსა...

***
...ახლაკი მინდა გიამბოთ
ზღაპარში როგორ აღმოვჩნდი!
იცნობთ დიდ პაპა ელიას?
ბავშვებზე მზე რომ ამოსდის?!

საზღაპრო პაპას, ზღაპარში
ვინც ათენებს და აღამებს?!
სწორედ ამ პაპამ გვიშველა,
როცა დევებმა დაგვხანჯლეს...

ბოროტ-ცრუ კაცთა ქვეყნიდან
გამოგვიტაცა საზღაპრეთს,
ახლა მეც ზღაპრის შვილი ვარ
და მამა შიო დამარქვეს.

***
ლოცვით და
კრძალვით
რჩევისთვის
ვეახელ ნაცარქექიას!

— შევკადრე, დიდო ბატონო,
დამმარცხებელო დევების,
მართალ ზღაპართა ძებნისთვის
შვილი ვარ გადმოხვეწილი!

სულმადლიანმა მოხუცმა,
გულმშვიდმა, სახეანკარამ
იმდენი რამე მიამბო,
იმდენი რამე მასწავლა,

იმდენად გამიმარტივა
გართულებული ამბები
გაოცებული ბავშვივით
პირდაღებული დავდევდი!

***
ადგა და ხელი ჩამკიდა,
ვით გოლიათმა პატარას,
ბევრი ცა, ბევრი ვარსკვლავი
ბევრი მზე შემომატარა...

სანამდე რაღაც დიადი,
მიუწვდომელი, საზღაპრო
გამოჩნდა დედაქალაქი
მართალ ზღაპართა სამყარო!

ნაცარქექიას გაუღეს
ქალაქის დიდი კარები,
და როგორც მამას შვილები
შემოეჯარნენ ზღაპრები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვიპატიჟეს ქალაქში,
რას ნახავ კაცი უკეთესს,
წმიდა სამების ტაძარში
დიდების ზარი გუგუნებს!

ვილოცეთ წმიდა ტაძარში,
ვადიდეთ წმიდა სამება,
ერიც და სამღვდელოებაც
გვაკურთხა უნეტარესმა!

***

ნაცარქექია ბატონი
მეფემ აწვია თავისთან,
მე კიდევ ნაცარქექიამ
თავის ზღაპრებთან მაწვია...

უბრძანა ზღაპრებს: — შვილებო!
გაბარებთ მამა შიოსო,
აბა, თქვენ იცით, ზღაპრებით
შიო არ მომიმშიოთო...

სულაც „ცხელ-ცხელი“ უამბეთ
ამბები წინაპრებისა,
კურთხეული არს უფალი,
ღმერთი ქართველთა ერისა!

***

შემომეხვივნენ ზღაპრები
გახარებულნი ჟღურტულით,
ზოგი კახსა ჰგავს, ზოგი სვანს,
ზოგი მგონია გურული...

სრულიად საქართველოდან
მობრძანებულან ბავშვები,
რატომღაც დაურქმევიათ
ამ ბავშვებისთვის ზღაპრები!..

***

ვუმზერ,
ვადიდებ შემოქმედს,
რომ ამ დიად დღეს მომასწრო!
კიდევაც დაიზრდებიან!
ვფიქრობ, ამათიც მოვა დრო...

კიდევაც დაიზრდებიან!
გული ძალუმად გაჰკივის,
კიდევაც დაიზრდებიან!
შვილნი მზისა და არწივის...

და ამ იმედით ვუერთებ
ჩემს გულს მომავალ არწივებს,
გულს ვერ ვაჩერებ, ეს გული,
ლამის ბუდიდან აფრინდეს!

გაჰკივის გული, შვილებო,
ეგებ მაჩვენოთ სამოთხე!..
ჩემს გასაოცრად ზღაპრებმა
გაიღიმეს და დამლოცეს:
— ბავშვის თვალების მიღმაა
სიწმინდე, თქვენ რომ დაეძებთ...

***

აღმოჩნდა სამოთხის ბაღი,
ღმერთის დიდება და მადლი,
გალობდა უფლის დიდებას
კაცთ რუდუნება და ღვაწლი.

— წავედი შორს და... კიდევ შორს,
კიდით-კიდემდე მიმოვდექ,
ამკობდნენ ანგელოზები...
უკიდეგანო სიცოცხლეს!

ვნახე აქ ყველა დიადი
ვინც ვიცოდი და ვინც არა,
ვნახე იბერთა გზა-ხიდზე
რა ზღვებმა გადაიარა!

ვნახე ვით წმიდად იცავენ
სამოთხეს ჩვენი მამები,
ჩვენი დედები ლოცვებში
უფალთან ნაზიარები.

სიდიადეა ისეთი,
ენას არ ძალუძს გამოთქმა,
თვალნათლივ ვხედავ მიწაზე
ზეციურ ძალთა გადმოსვლას.

შევუდექ წმიდა გიორგის
ამაღლებული დიადი,
მზე გვადგა მაღლით ლოცვისა
გაფანტულიყო წყვდიადი!..

***

უფლის განგებით მამები
ადამ, სეით და ენოსი,
კაინან, მალილეილი,
იარედი და ენუქი,

მათუსალა და ლამექი,
ნოე, სემი და არფაქსად,
სალა, ებერი, იახსარ
კარებს ზეცაში აღსავალს

გვიღებენ
და გვახარებენ:
— ძილი ქართველთა დამთავრდა!..

***

გამოღვიძებას, რომ ვამბობთ,
კაცს ვამბობთ კაცად კაცადსა,
ჭირში და ლხინში გამომდგარს
ღირსეულს მრავალ ნაცადსა;

მსოფლიო მამას უფლისთვის
ჯვარზე მიმსჭვალულს მყარადა,
მამულის უღელში შებმულს
გამწევ საყევარ ხარადა,

მოშურნეობით და ლოცვით
ქცეულს სიცოცხლის ფარადა!

***

გამოღვიძებულ ქართველთა
თვალწინ დაიდეს ანდერძი,
რომ იოანე ზოსიმეს
ჩაუქრობელი სანთელი

მიუთითებდა ივერთა
გზას უფლისაკენ მიმავალს:
— მსოფლიოს საპატრონებლად
დაიკავებდეთ წინა ხაზს!

...და ერთ ოთახში მოქცეულს
დუნიას უქადაგებდეთ
უფლისთვის თავს გადასდებდეთ
და მტერს არ გაახარებდეთ!

***

და როგორც გმირებს სჩვევიათ,
ქართველთა იწყეს თავიდან,
სიწმიდეს გულში ჩახედეს,
ბუდე დაიდეს არწივთან!

...და მიეახლნენ წინაპრებს,
წმიდანებს სთხოვეს შეწევნა,
დაიწყეს ძილში დაქცეულ
ეკლესიათა შენება!

განკრძალულ ლოცვა-შრომაში
გული მართალი ჩაიდგეს,
ააგეს წმიდა სამება,
დარიალს კარი აუბეს,

და მონასტერთა ძირძველი
სწავლება შემოგვაგებეს:

***

ბერი, კაცს ნიშნავს, კაი ყმას,
შთამომავლობის დარაჯას,
უფლის ხმას, უფლის დიდებას,
მამულისათვის დამაშვრალს...

მონასტერი კი ბერების
არის სახლი და საძვალე,
ზნეობრიობის საყდარი,
სულიერების სავანე...
წვრთნად შემართული მარადჟამს
ფუტკარი მადლის მძებნელი,
სიწმიდის მებაირახტრე
და ერის ნათლისმცემელი!

***

მობრძანდნენ მეფეთ მეფენი
ვახტანგ, დავით და თამარი
გრიგოლ ხანძთელიც მობრძანდა,
წმიდა ილია მართალიც...

ვახტანგ თქვა, დიდმან, მამამან
მეფეთ-მეფემან: — შვილებო,
მინდა იცოდეთ ვინა ხართ
ან რატომ უნდა იმეფოთ...

მით უფრო მეტიც, ღმრთის შვილად
ღმერთად ვით გშობათ დედამ,
წმიდა სამებას მეოთხე
ვით შეუერთდით წევრადა...

ხართ სემის შთამომავალნი,
გმირნი იბერნი ტომითა,
საჯიშედ გამორჩეულნი,
განცდილნი ათას ომითა...

წმიდა სამების ენაზე
მეტყველნი განძის მფლობელნი,
იესო ქრისტეს ღირსებით
ღმერთად და კაცად მხმობელნი...

მსოფლიოს უნდა პატრონი,
პატრონი უნდა სამყაროს,
პატრონი უნდა თვით ღმერთსაც
და მისთვის თავი გადავდოთ!

დავით თქვა მეფეთ-მეფემან:

ადამიანთა დიდება,
ადამამდეც და მის მერეც
არის ნათელი უფლისა,
ვმეფობდით, კვლავაც ვიმეფებთ...

მეფეთ-მეფედ და ღვთის შვილად
დაბადებულებს გეძახით:
მიწას მივაგოთ თავისი,
ზეცას დავასხათ ვენახი...

ვადიდგორებდეთ სამშობლოს,
ღვინოს ვიხმევდეთ ზეციურს,
გმირებს ვუზრდიდეთ სამყაროს
სულით და ხორცით ღირსეულთ!

დაპყრობა უნდა მსოფლიოს,
დაპყრობა უნდა სამყაროს,
დაპყრობა უნდა ჩვენ თავსაც
შვილებს, რომ ვუთხრათ აქსიოს!

აღმპყრობელნი ვართ ხელისა,
კაცთა გულის და გონების!..
დამპყრობელნი ვართ განცხადნეს
მზის იმედის და ცხონების!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავბადებულვართ იმედად,
დავბადებულვართ წინამძღვრად,
ჩვენ შევძლებთ მადლიერების
დიდებით ვზრდიდეთ წინაპართ!

ცას შევქმნით ლურჯს და კამკამას
ქლიავისფერი ქედებით
და ღმერთის სადიდებელად
ქართველნი ფეხზე ვიდგებით!!!

თამართან ბრძანა დედამან:

პატრონზე როდესაც ვამბობთ,
დედა ცოცხლდება ჩვენ თვალწინ...
როდესაც პყრობაზე ვფიქრობთ
ღვთისმშობელს ყრმითურთ შევხარით!

დაბადებულნი ღვთის შვილად
პატრონნიც ვართ და მპყრობელნიც,
დედაშვილობის მადლია
ცით უფლის გამომხმობელი.

ჩვენც გულმოდგინედ ვიტვირთოთ
მსოფლიოს დედის მისია,
შემოქმედიც და შექმნილიც
ჩვილივით მოვლის ღირსია.

ჩვილივით უნდათ მათ დაცვა,
ჩვილივით უნდათ ალერსი,
ჩვილივით მივესათუთოთ,
ლოცვით ჩავხედოთ თვალებში.

წმიდა სამების შვილნი ვართ,
და მამა-შვილი რამ გაჰყო?!
დედად ვჭირდებით მსოფლიოს,
დედად ვუნდივართ სამყაროს.

თქვა მამამან გრიგოლ:

ყოველთა უზეშთაესი
უფალმან ჩვენთვის ინება:
— წმიდა სამების შვილნი გვყვნა
ემბაზით აღმოშობილნი!

წმიდა სამების შვილობამ
მთებ უნდა დაგვაძვრევინოს
და ჩვენი წილი უღელი
ღირსებით გაგვაწევინოს:
— ჩვენი უნდა ვშვათ დიდება!
ჩვენი უნდა ვშვათ მეფობა!
ჩვენ უნდა გული ვიყოთ და,
აღარ მივაკლოთ მცდელობა
ერთიანობას ქვეყნისას,
ერთიანობას ყოფისას,
და უფლის სადიდებელად
თვით სიკვდილს პირველ ყოვლისა!

ილია მართალმან თქვა:

— არსაიდამ ხმა, არსით ძახილი,
ამას ვამბობდი იქ როცა ვიყავ,
ახლა კი ვგალობ: — მრავალჟამიერ!
მრავალჟამიერ! — ცხოვრება იშვა!

დუმილი ახლა, შეცვალა რწმენამ:
— წმიდა სამების ზარი დიადობს!
შავნაბადაზე იწყება ლოცვა,
დარიალა რომ აახმიანოს!

ყოველი მხრიდან გამოღვიძება,
ყოველი მხრიდან რეკენ ზარები...
და ისმის საღმრთო შემოძახილი:
— არ გათათრდები! არ გათათრდები!

არც გავთათრდებით!
არც გავფრანგდებით!
თვითონ ეშმაკი გვიფრთხილდეს აწი,
სამყაროს გულის კარი გავაღოთ,
წმიდა სამებას დავუდგათ ტახტი!..

...წამ მიყო წმიდა გიორგიმ,
გამიკვირდა და გავვოცდი!
და უცებ სამოთხის ნაცვლად
ზღაპრების გვერდით აღმოვჩნდი!

დამლოცა ნაცარქექიამ,
დამლოცეს ლაღმა ზღაპრებმა...
პაპა ელიას ცის თაღზე
ცისკრის ვარსკვლავი აღმოხდა!..

***

ჭირსაც ვიყავ! ლხინს ვარ ახლა!
ქატო იქა, ფქვილი აქა!

2001-2009 წ.



მერაბ ჯალიტი

ევა და ეშმაკის მომჩჯელებელი

"და ფრიადისა ცემისაგან ხმალმანცა
დაღვლარჭნილმან უარყო ქარქაში თვისი".
ქართველი მემატიანე

ნაწილი პირველი

ე

კაცი გოგირდის აბანოდან ქუჩაში შიშველი გამოვარდა და „ხმალი ქარქაშში უნდა ჩავაგო"-ო, ისტერიულად აყვირდა. მექისეები ფეხდაფეხ გამოუდგნენ და მსწრაფლ შეაყოვნეს, ზენარი შემოაფარეს და აბანოს ჰოლში დააბრუნეს – ზედმეტი უსიამოვნება რომ თავიდან აეცილებინათ, სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს და ჭკუიდან შეშლილი თეთრხალათიანებს გადაულოცეს. ექიმებმა, ეს კაცი ჩვენი პაციენტი არ არისო და, მიუხედავად სინანულისა, ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანეს.

კაცი არეულად მეტყველებდა, საშინლად ეჭვიანობდა, რასაც ფიქრობდა, იმას არ ამბობდა და პირიქით, რასაც ამბობდა, იმას არ ფიქრობდა.

ფსიქიატრიული კლინიკის მთავარი ექიმი განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა, ხშირად სუფთა ჰაერზე გასეირნებას ურჩევდა; ექიმს მადლენი ერქვა და კატასავით ცბიერი იყო: პაციენტს წამლების მიღებას არ აძალებდა, თითქოს აღსარებისთვის ამზადებდა.

კაცი ჯიუტად დუმდა, ყველაფრისადმი გულგრილობას ამჟღავნებდა, ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვედრის ნამდვილ მიზეზს არავის უმხელდა, შიშობდა, გონიერად არ მიეჩნიათ – რაკი გიჟობას იჩემებდა და ჩვეულებრივ ცხოვრებაზე უარს ამბობდა, მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა, ბოლომდე გიჟად დარჩენილიყო.

მადლენმა დანამდვილებით არ იცოდა, ბენიამინი საუნაში ქერათმიან გოგონას ნამდვილად ახრჩობდა, თუ ეს ყველაფერი მისი ავადმყოფური წარმოსახვით შეთხზული ისტორია იყო; მკურნალი ვარაუდობდა, ალბათ, ცხოვრებას ვერ გაუძლო და სულიერება შეერყაო.

ფსიქიატრიულ განყოფილებაში უმეტესწილად შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებს მკურნალობდნენ. ბენიამინი პალატიდან თითქმის არ გადიოდა, მთელ დროს კარჩაკეტილში ატარებდა, გისოსებიანი სარკმლიდან მიდამოს გასცქეროდა და ხეებზე მოფრთხიალე ჩიტებს უჩვეულო ინტერესით აკვირდებოდა, მათი თავისუფლების კი არ შეშურდა, უბრალოდ, უკვირდა, რა აღტაცებდათ პატარა ფრთოსნებს და რისთვის ირჯებოდნენ, როცა გალიაში გამომწყვდეულებს ნაკლები საფრთხე ელოდათ — თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა მას დაკარგავ და მის მოპოვებაზე აღარ იზრუნებო.

მადლენისთვის არც ის ~~ამბავი~~ იყო ცნობილი, მის პაციენტს, თვრამეტი წლის ასაკში, ოდესის ფსიქიატრიულ კლინიკაში, სამთვიანი სამედიცინო კვლევა რომ ჰქონდა გავლილი.

ბენიამინს, როცა საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, ერთი გოგონა უყვარდა და მასთან განშორება ვერაფრით წარმოედგინა. მშობლებს კი შვილის დეზერტირობას სიკვდილი ერჩიათ და მონდომებით არწმუნებდნენ, სამშობლოს ვალი მოიხადე და სიყვარული არსად გაგექცევაო.

ახალწვეულები ეშელონში რომ შეხიზნეს და ლოკომოტივიც წელათრევით დაიძრა, ამ დროს ბაქანზე თვალგაფაციცებული გოგონა გამოჩნდა და მატარებელს სინანულით მიაჩერდა — «ტატა!.. ტატა!..» მისი ყურადღება ვაგონის ერთმა სარკმელმა და ხელის დაქნევამ მიიპყრო — თვალები აუწყლიანდა, «მშვიდობით, ბენიამინ!" გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა და აჩქარებულ მატარებელს საყვედურით გაადევნა თვალი, საყვარელ ადამიანს რატომ მართმევო.

ბენიამინი გამუდმებით ტატაზე ფიქრობდა, მის სურათს უბით ატარებდა, დროს რომ მოიხელთებდა, ჯარისკაცებისგან განაპირდებოდა და მის უძირო თვალებს სევდიანი ოცნებით

დასცქეროდა — ბარათებს უგზავნიდა და, პასუხს რომ მიიღებდა, მასზე ბედნიერი არავინ იყო.

ცოტა ხნის შემდეგ უეცარი დუმილი ჩამოწვა და შეყვარებულმა მისი არსებობა სულ დაივიწყა. ჯარისკაცი საგონებელში ჩავარდა, დედას დაუკავშირდა და უსიამო მოლოდინით აფორიაქებულმა საქმის ვითარებაში გარკვევა სთხოვა; თავზარდამცემი ამბავი შეიტყო: ტატა ვილაც ბიჭმა მოიტაცა და ბედს მშვენივრად შეეგუაო... თუ კაცი ხარ, არაფერზე ინაღვლოო, "დაამშვიდა" მშობელმა.

ვაჟი სიმწრისგან ატირდა, ბოღმამ შეიპყრო, დღე-დღეზე ჯარისკაცის ფიცი უნდა მიეღო და, ასეც რომ არ ყოფილიყო, არმიაში ცოცხალი თავით აღარ დარჩებოდა; გვიან ღამით გარნიზონი მიატოვა და ყმაწვილკაცური შურისძიებით აღვსილი სამშობლოსკენ გამოემართა: ტატას გამტაცებელზე შური უნდა ვიძიოო.

სამი დღე-ღამე უკაცრიელი ტბის მიმდებარე ტყეში მშიერ-მწყურვალმა გაატარა; ბოლოს სანაპიროზე ველოსიპედით მიმავალი ბიჭუნა შენიშნა, გავეშებით გამოუდგა, წამოეწია და საბარგულზე დამაგრებული პური გასტაცა; სიმწრით მოპოვებული ნადავლით დანაყრებაც ვერ მოასწრო, სოფლის მოსახლეობამ ალყაში მოაქცია, დაიჭირა და ღამის ლინჩის წესით გაასამართლა.

ადგილობრივი მილიციის განყოფილებაში, ვიდრე გარნიზონიდან მოაკითხავდ-ნენ, რამდენიმე დღე იყურყუტა.

გარნიზონის ჰაუპტვახტში, მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, მეტი ლმობიერება იგრძნო – წესით და რიგით სამხედრო ტრიბუნალს უნდა გაესამართლებინა და დისციპლინარულ ბატალიონში გაემწესებინა — მაგრამ უფროსობამ თავი შეიკავა, ჯერ ფიცი არ მიუღია და იქნებ დეზერტირობისთვის არ დავსაჯოთო.

ჰაუპტვახტის უფროსს, კაპიტან მალენკოვს, დატუსაღებული ჯარისკაცი დილეგიდან თითქმის ყოველდღე გამოჰყავდა და მეგობრულად ესაუბრებოდა – აშკარად ებრალებოდა და გაკვირვებითაც საყვედურობდა, ქალის გამო სამშობლოს სამსახურზე გული როგორ აიცრუეო; ბოლოს გარნიზონის ახალგაზრდა ექიმი, სერგეი კორჟინევსკი მოიწვია, იქნებ გზააბნეული ქართველი გონს მოიყვანოსო.

ბენიამინმა სამხედრო ექიმს უიღბლო სიყვარულის ამბავი გულწრფელად გაანდო, ტატას გარეშე ჯარში სამსახური კი არა, სიცოცხლეც აღარ მინდაო.

კორჟინევსკიმ ერთხანს ხმა არ გაიღო, ბოლოს ადგა და, ხვალ გეახლებიო, თანაგრძნობით დაიბარა.

მეორე დღეს ცოლთან ერთად მოვიდა.

- Это моя Настья, пока я два года служил в Германии, с нетерпением ждала, если твоя возлюбленная тебя любила, она так-же дождалась-бы! – უთხრა ჯარისკაცს.

ბენიამინი გაკიცხულივით დადუმდა, თვალები აუწყლიანდა.

ნასტიამ ჯარისკაცს შემწყნარებლურად გაუღიმა, ქმარს კი თვალებით უსაყვედურა.

- Даже если отправишся, она ведь уже не твоя?! – შინაურულად ჰკითხა.

- Умру, но все выясню... тут не могу остаться! – გადაჭრით წარმოთქვა ვაჟმა და ქალის მოწყალე თვალებს ხავსივით ჩაეჭიდა.

- Так безумно любишь?! – გამომცდელად იკითხა ქალმა.

ნასტია ცბიერი ჩანდა, ფეხს ფეხზე ხშირად ინაცვლებდა და ბენიამინს ფარულად აკვირდებოდა — რამდენად პატიოსან ჯარისკაცთან მაქვს საქმეო – თუკი მდედრული გუმანით გარყვნილებაში ამხელდა და მის თვალებში ავხორცულ სურვილს ამოიკითხავდა, მაშინ ჭაბუკის თაღლითობაში დარწმუნდებოდა, სიყვარულის მომიზეზებით სავალდებულო სამსახურს თავს არიდებსო.

ბენიამინს თვალები ისევ აუწყლიანდა, გამოთაყვანებულივით დადუმდა, თითქოს ნასტიასგან საბედისწერო განაჩენს დაელოდა.

- Сергей, что-то надо предпринять и парня спасти! – გულაჩუყებით წარმოთქვა ქალმა და ქმარს მრავლისმეტყველად მიაჩერდა.

- Только один выход! – დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ქმარმა და ცოლს მაამებლურად გაუღიმა.

სერგეიმ მეორე დღეს ქართველი ჯარისკაცი სამხედრო-სამედიცინო მანქანაში ჩაისვა და ოდესის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანა. ეს უკვე თავისუფლებას ნიშნავდა, მისთვის რა დიაგნოზიც უნდა დაესვათ, სათანადო გამოკვლევის შემდეგ ჯარში აღარ იმსახურებდა.

ფსიქიატრიულ კლინიკაში თითქმის სამი თვე დაჰყო; პირველ ხანებში ეშინოდა, გიჟების დანახვაზე ელდანაცემი გარბოდა, მერე ისე გათამამდა, ავადმყოფებს თავის ნებაზე ატარებდა და მედპერსონალსაც გაუშინაურდა.

მას ყველა შეყვარებულ ჯარისკაცს ეძახდა.

სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დროზე ადრე გათავისუფლებულმა ბენიამინმა, საკუთარი ეზოს ჭიშკარი რომ შეაღო, მამამისს მოულოდნელობისგან ფერიფური ეცვალა, "გამოიქეცი?!" შეშინებულმა მიაძახა და ცოლს საყვედურით გადახედა, შენი განებივრებულიაო.

დედამ ვაჟიშვილი გულში ჩაიკრა, ფარულად შეათვალიერა, საღ-სალამათი თუ დამიბრუნდაო.

ბენიამინის მამა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო და დეზერტირები ჭირის დღესავით ეჯავრებოდა; ხოლო ბაბუა მელქისედეკი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, აღშფოთდებოდა,

«რუსეთის მეფის ჯარში შვიდი წელი ვიმსახურე, ვიომე და ლამაზმანთა გულებიც დავიპყარიო, ეს ჩემი შვილიშვილი კი მშვიდობიან დროს დაფრთხა და ცხვირმოუხოცავი გომბიოს გამო კურდღელივით გამოიქცა" – ო, იტყოდა და, ავსტრო-უნგრეთის ომის ბატალიებს სიამაყით გაიხსენებდა.

მელქისედეკი XX საუკუნის «პროდუქტი" იყო, მეფის მთავრობა რომ დაემხო, მერე ბოლშევიკებს შეეკრა, სიკვდილამდე მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები იქადაგა – რაკი კომუნისტური პარტიის წევრი გავხდი და ევროპაში აღმოცენებულ იდეოლოგიას ვეზიარე, მეც ევროპელი ვარო, ჯიუტად აცხადებდა.

გულუბრყვილო რძალს ნაოფიცრალ მამამთილზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, მის უტეხ ბუნებას ხშირად ახსენებდა ბენიამინს და დედაშვილური სიფრთხილით საყვედურობდა: მელქისედეკის ნაშიერს გულის მორჩილებით ცხოვრება არ გეკადრებაო.

ვაჟი ნაღმზე გაწოლილივით სდუმდა, სასთუმალთან ჩამომჯდარი დედის შეგო-ნებას, ტატასგან თავი შორს დაეჭირა და მისთვის ოჯახი არ დაენგრია, გარე-გნული სიმშვიდით ისმენდა, დაკარგულ სიყვარულს მთელი არსებით მისტიროდა და ქალზე ოცნებას ვერაფრით ელეოდა.

გადიოდა ხანი.

«დეზერტირი" ბენიამინი თანდათან ყველა ნაცნობმა აითვალწუნა, ფუქსავატიაო, მის დანახვაზე ჩურჩულებდნენ და გან-გან იცქირებოდნენ.

ვაჟი უთავბოლოდ დაძრწოდა, ტატას დაეძებდა; ერთხელ ქუჩაში ქმართან ერთად გადაეყარა, ნაბიჯს აუჩქარა, დაწინაურდა, მერე თითქოს რაღაც გაახსენდა, შემოტრიალდა და წყვილს პირისპირ შეეჩეხა.

ტატა ქმრის მკლავს ძალუმად ჩაფრენოდა და თავშეუკავებლად იცინოდა — ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა — ძველი ნაცნობი თითქოს ვერ შენიშნა და გულგრილად აუარა.

ბენიამინი სახტად დარჩა, მოულოდნელობისგან გაწიწმატდა, გულის სიღრმეში უჩვეულო ტკივილი იგრძნო.

იმ ღამეს თვითმკვლელობაზე იფიქრა, დილით კი ექვსი აბი «დიმედროლი" და-ლია და ორი დღე-ღამე უგონოდ იყო – რაიონულ საავადმყოფოში ძლივსღა მოასულიერეს.

განრისხებულმა მამამ დაურიდებლად მიახალა: თუ თავის მოკვლა გინდოდა, თოკზე გამოკიდებულიყავი!.. ვაჟს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, გულ-მუცელი საშინლად ეწვოდა, ბუნდოვნად ახსოვდა, თეთრხალათიანები თავზე რომ დასტრიალებდნენ და სოდიანი წყლის დალევას აიძულებდნენ.

მას შემდეგ სიყვარულზე გული აიცრუა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს დაუპირისპირდა — სოფლის ბირჟაზე საათობით იდგა და დროს უქმად ფლანგავდა, ზოგჯერ მეძავ ქალებთან დაძვრებოდა, აყალმაყალს ტეხდა, უმიზეზოდ ჩხუბობდა და ვიღაცას შეურაცხყოფას აყენებდა, თითქოს შარს ეძებდა, სიყვარულში ხელმოცარული ყველგან ღვარძლს ანთხევდა.

ძველი ნაცნობები მასთან ურთიერთობას აშკარად გაურბოდნენ — მოზარდებს არიგებდნენ, არ გაეკაროთ, თორემ უსიამოვნებას გადაგყრითო; ბოლოს ნარკომანობაც დასწამეს; ისე, ჰაშიშს, ერთი-ორჯერ მართლაც გაუსინჯა გემო, თუმცა ვერაფრით შეეგუა, ქვეცნობიერმა შიშმა შეიპყრო, ჰალუცინაციური ზემოქმედებიდან ძლივს გამოვიდა.

მოკლედ, ამქვეყნად არც ბოროტებას თესდა და არც სიკეთეს, არც უყვარდა და არც სძულდა, უბრალოდ, საკუთარ თავს მტრობდა და ამ გზით რას მიაღწევდა, თვითონაც არ იცოდა.

ბოლო ხანებში უბნის ინსპექტორის სამიზნეც გახდა, საზოგადოების ხორცმეტი ხარ და უმუშევრობისთვის დაგაპატიმრებო, დაემუქრა და აღრიცხვაზე აიყვანა; თუ სადმე დანაშაული მოხდებოდა, ინსპექტორი მას აკითხავდა, წუხელ სად და ვისთან ერთად იყავიო, ახსნა-განმარტებას სთხოვდა; ერთხელ მილიციაშიც წაიყვანა, ფორმალურად დაკითხა, ბოლოს თითი დაუქნია და გამაფრთხილებელი მუქარით უთხრა: არ ხარ პატიოსანი კაცი და ამას სულ მალე დაგიმტკიცებ!..

ბენიამინს გულში ეცინებოდა, ადამიანებს ღვთის პირიდან გადავარდნილი რომ ეგონათ, საერთოდ არ ადარდებდა და თითქოს სხვების ცნობიერებაზე თამაში სიამოვნებდა გაუაზრებელი შურისძიების ნეტარებით ტკბებოდა.

ბოლო დროს ზღვისპირა ქალაქში სიარული დასჩემდა, ახალი ნაცნობები შეიძინა, თუმცა ბოლომდე არავის ენდობოდა, განსაკუთრებით – გოგონებს, მათ მიმართ მხოლოდ ავხორცული ჟინი ამოძრავებდა: ოღონდაც ვინმე ეცდუნებინა და საწოლში შეეტყუებინა.

მამამისს მისი ცხოვრების წესი აშკარად არ მოსწონდა, კისერზე წურბელასავით მაზიხარო, დღენიადაგ აყვედრიდა და ციხეში მოხვედრას უწინასწარმეტყველებდა.

მისი იმედი არც დედას ჰქონდა, ვერაფერი შევასმინეო, სინანულით იტყოდა ხოლმე და თვალებზე ცრემლი მოადგებოდა.

ბენიამინი სიყვარულში ხელმოცარვამ გააბოროტა – რაიმეს შეცვლაზე აღარ ფიქრობდა, არც მომავალი ადარდებდა და არც წარსული, ბედისწერის იდუმალებას ბრმად მინდობოდა და მიწიერ სურვილებს ემონებოდა — იმ ნაფოტს ჰგავდა, აზვირთებულ მორევს საკუთარი სიმჩატით რომ უმკლავდებოდა და საბოლოო ჩაყურყუმალავებამდე ნაფოტობას ინარჩუნებდა.

ერთი სიტყვით, ბენიამინი მიზანს აცდენილ ტყვიასავით მიფარფატებდა და მომაკვდინებ-

ელ დაბრკოლებას როდისღა შეაწყდებოდა, ეშმაკმა უწყოდა.

იმ დღეს ზღვისპირა ქალაქში ჩავიდა, დაღამებამდე ბულვარში იხეტიალა, უსაქმურ ლამაზმანს გამოვიჭერ და ცოტას გავერთობიო.

შავი ზღვის უკიდურეს ჰორიზონტს ჩამავალი მზე მეწამულისფრად აღაჟღაჟებდა, ადრეული შემოდგომის გრილი ნიავი ქროდა.

ვაჟი სანაპიროსკენ ცხვრის ფარასავით მოდენილ ტალღებს ოცნებადაშრეტილი თვალებით მისჩერებოდა.

«ბენიამინ!" — უცბად ვიღაცის განაზებულმა ხმამ გამოაფხიზლა, გულმა რეჩხი უყო, თითქოს იდუმალი წარსული შეეხმიანა, თავი მოაბრუნა და გაშეშდა.

მისკენ ტატა მოიწევდა, — «რამ გაგაოცა, ბიჭო?!" – თვალებით საყვედურობდა.

ვაჟი ხმას არ იღებდა.

— ჩემი ნახვა არ გესიამოვნა?! – გამომწვევად მოაგება ქალმა და თვალები მოწკურა.

— რას ამბობ...პირიქით!.. – ამოილუღლუღა ვაჟმა და დაბნეული კმაყოფილებით გაიღიმა.

ტატა შესამჩნევად დაქალებულიყო, დამრგვალებული თეძოები და ნახევრად მოშიშვლებული მკერდი მადის აღმძვრელად უთახთახებდა, წარსული მიმზიდველობა კი შერჩენოდა, მაგრამ ყმაწვილქალური რიდი აღარ ეტყობოდა, მის გამოხედვაში ნაცადი მდედრის სითამამე და ავხორცული სურვილი გამოკრთოდა.

წყვილი ზღვისპირა კაფეში მაგიდას მიუჯდა და ყავა შეუკვეთა.

ქალი გაუთავებლად ლაპარაკობდა, ვაჟს ათას რამეს უყვებოდა და ეკითხებოდა, მის დაბნეულ პასუხებს ცბიერი ინტერესით ისმენდა, მისკენ იხრებოდა და ხელზე ნაზად ეხებოდა, თითქოს აფხიზლებდა, ეს მე ვარ, ტატა, და გონს მოდიო.

ვაჟს თავი სიზმარში ეგონა, ქალის თითოეულ სიტყვას თუ შერხევას მომაჯადოებელი სიამით აღიქვამდა და საბოლოოდ რწმუნდებოდა, ამქვეყნად ყველაზე სასურველ არსებას ხედავდა — თვალი მოღიავებული მკერდისკენ გაურბოდა და მაისურში გამოკერტილ დვრილებს ურუანტელის მომგვრელი წარმოსახვით შეიგრძნობდა.

ტატა ყველაფერს ხვდებოდა და ვაჟს შეგნებულად ათამამებდა, მისი თვალების ტორლიალს მაცდური ღიმილით პასუხობდა, საწადელის ასრულებასა და გიჟურ სიყვარულს ჰპირდებოდა.

«ქმარ-შვილი ჰყავს!" – გაუელვა ბენიამინს და მწარე სინანულთან ერთად უიმედობამ შეიპყრო.

— აღარ ვართ ერთად... – ქალი თითქოს წუხილს მიუხვდა, — ბავშვი დედაჩემთან იზრდება! – რაღაცნაირი გამოწვევით დასძინა.

ბენიამინს გაახსენდა, ადრე დიმედროლის აბები რომ გადაყლაპა და წარსული საქციელი ინანა, ბეწვზე გადარჩენილივით ამოისუნთქა.

— დედაჩემს ვეჩხუბე, მასთან აღარ დავბრუნდები! – ტატას შემპარავმა ხმამ გამოაფხიზლა.

— ჩემთან წამოდი! – ვაჟმა გულწრფელად შესთავაზა.

— სად შენთან?! – გაიოცა ტატამ, ხელჩანთიდან სიგარეტი და სანთებელა ამოაძვრინა, მოუკიდა, გააბოლა და ვაჟს მრავლისმეტყველი მოლოდინით მიაჩერდა.

— სოფელში, მშობლებთან!.. – თითქოს ბენიამინმაც გაიოცა.

— ჯობს უკეთესი რამ მოიფიქრო... შენთან განმარტოება მირჩევნია!.. – ისე ვნებიანად მიუგო ქალმა, ვაჟს კუდუსუნამდე გააჟრჟოლა.

ქალაქის გარეუბანში მამიდაშვილის დაკეტილი ბინა ეგულებოდა.

დაღამდა.

ბენიამინმა ტაქსი საცხოვრებელ კორპუსთან გააჩერა და პირველი სართულის ჩაბნელებულ ფანჯრებს ქურდივით გახედა – ტატა მოფარებულში დააყენა, ღია აივანზე უხმაუროდ გადაღოღდა, შუშაბანდიდან ოთახში შეაღწია და სადარბაზო-დან შემავალი კარი ფრთხილად გააღო.

ვაჟი შუა ოთახში იდგა და თავს შებორკილად გრძნობდა.

ქალს ცბიერად ეღიმებოდა, თვალებს მომნუსხველად აკვესებდა; ბოლოს ხელჩანთიდან დაკორკოტებული ქაღალდი ამოიღო, «შეაკეთე!" – მესაიდუმლესავით გამოცრა, დივანზე მიწვა და კატასავით გაიზმორა – კაბა მუხლს ზემოთ აუცურდა და მზენაკრავი ბარძაყი გამოუჩნდა.

— რა უნდა შევაკეთო?!. – ვაჟმა თვალებით იკითხა.

— ჰაშიშია... ჩემი ქმრის მეგობარმა მომცა! – ვნებიანი მთქნარებით მიუგო ტატამ და უჩვეულო მოლოდინით გაიტრუნა.

ბენიამინმა სიგარეტიდან თუთუნი გამოყარა, წეგოს მსგავს ფხვნილში არია, ისევ უკან ჩააბრუნა, თავი წაუბეკნა და სანთებელას გაჰკრა – რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და ტატას გაუწოდა; იმანაც გააბოლა, თვალები მილულა და ფეხი მინდობილად მოხარა, კაბა უფრო ზემოთ აუცურდა, თეთრი საცვალი გამოუჩნდა.

ვაჟმა უჩვეულო თავბრუხვევა იგრძნო, მის წინაშე იატაკი და ჭერი ერთდროულად დატრიალდა, თითქოს ჰაერში გამოეკიდა, დივანზე ჩამოჯდა და ტატას სხეულს ძალუმად მიეტმასნა – დაუოკებელი სურვილით გათანგულს თავდავიწყების მოსალოდნელი ნეტარება დაეუფლა — მის ტუჩებს გრძნობით დაეწაფა და მკერდი მოუსრისა.

ქალი ვნებიანად კვნესოდა, გველივით იკლაკნებოდა, თითქოს გახურებული სხეულის დაგრილებას ესწრაფოდა, ვაჟის შარვლის უბეს გამაღიზიანებლად ეპოტინებოდა.

ბოლოს შიშველი სხეულები ერთმანეთში გადაიხლართა და ოთახში ვნების ოხვრა გაისმა.

ქალ-ვაჟმა თითქმის მთელი ღამე ალერსში გაატარა.

ბენიამინი აქამდე თურმე დაუმსახურებლად იტანჯებოდა, ბედნიერებისგან ზურგშექცეული სხვათა ზიზღსა და უნდობლობას იმკიდა – ახლა თითქოს საკუთარ თავში ახალი ძალა აღმოაჩინა და ყმაწვილკაცურ შეურყვნელობას თვალნათლივ დაუბრუნდა — ასეთი სიცხადით არასოდეს უგძვნია მდედრის სხეული და მისგან მონიჭებული სიამოვნება; სიზმარში რომ არ იყო, ამას მდედრის ვნებიანი კვნესა და შეხება ამცნობდა; ქალი თითქოს წარსულს ნანობდა, დაკარგულ დროს მისტიროდა და ხელნაკრავ ნეტარებას ინაზღაურებდა – სულის სიღრმიდან გავეშებული კიოდა, წამიერად კვდებოდა და გაორკეცებული ცხოველმყოფელობით ცოცხლდებოდა, აღტყინებულ მეწყვილესთან ერთად თავდავიწყების მორევში იძირებოდა.

გამთენიისას ჩაეძინათ.

ბენიამინს მალე გაეღვიძა.

ტატა სარკის წინ იდგა და თავს იწესრიგებდა — ეროტიული კმაყოფილებით ღიღინებდა.

ვაჟი ხმაურით წამოდგა და ქალს მოწყურებული მიეტანა.

ქალი აიმრიზა, ჩაიცვიო, გულგრილად მიუგო.

ბენიამინი შეცბა, საწოლზე დაეშვა და, ხმაში წყენა რომ არ დატყობოდა, დატუქსულივით დადუმდა.

ტატა სკამზე დასკუპდა, ხელჩანთა მუხლებზე დაიდო, ჭაბუკს გამომცდელად მიაჩერდა, «ადექი, წავიდეთ!" – ისევ გაუმეორა და შემწყნარებლურად გაუღიმა.

— სად წავიდეთ?! – ვაჟმა უიმედოდ ამოიხვნეშა.

— ჩვენ-ჩვენი გზით! – გადაჭრით მიუგო ქალმა და ფეხზე წამოდგა.

— რომ მიყვარხარ?! – ხმა გაებზარა ვაჟს და აშკარად იგრძნო, სულელს რომ ჰგავდა.

ქალს გაეცინა.

— ბიჭო, ჩემი ქმარი ციხეში ზის, მართლა კი არ გავყრივარ! – ღიმილითვე დასძინა, ვაჟს მიუახლოდა, ლოყაზე აკოცა და ვალმოხდილივით შებრუნდა.

ბენიამინი სახტად დარჩა, ვიდრე სიტყვის თქმას მოახერხებდა, სადარბაზოდან ტატას აჩქარებული ნაბიჯის ექო მოესმა.

დივანზე წამოწოლილი ჭერს ნაღვლიანად ასჩერებოდა, ერთიანად ხელმოცარულსა და იმედგაცრუებულს უმწეობის შეგრძნება დაუფლებოდა: თურმე ყველაფერი ტყუილი ყოფილა — ჰაშიშის ზემოქმედებასავით წარმავალი და ტკბილ ოცნებასავით მიუწვდომელი.

მისი არსება კვლავ უიმედობას მოეცვა – გულწრფელად ნანობდა, ტატას გამო ჯარში სამსახურზე უარი რომ თქვა და შინ დაბრუნებულმა თვითმკვლელობა განიზრახა.

დიდხანს ფიქრობდა, შეყვარებულის მიმართ თანდათან სიძულვილი ეძალებოდა და, რამდენადაც ამ ვერაგ გრძნობას ემორჩილებოდა, იმდენად გაუაზრებელი შურისძიებით ინთებოდა — ადრე სიყვარულმა თუ დაამარცხა და ცხოვრებაზე ხელი ჩააქნევინა, ახლა სიძულვილმა აუხილა თვალი და ყმაწვილკაცური გატაცებისთვის ღრმა სინანულში ჩააგდო.

ნათესავის ბინა მოგვიანებით დატოვა და ქალაქის ორომტრიალს მაწანწალა ძაღლივით შეერია...

...რაც აბანოში გადახდა, ეს მისი ცხოვრების ლოგიკური შედეგი იყო. ის ღმერთმა დასაჯა და გადამეტებული გარყვნილებისთვის, მას რომ სიყვარული ეგონა, სამუდამო განსაცდელში ჩააგდო.

მისი ავადმყოფური დუმილი და ფსიქოპატად თავის მიჩნევა, მის არსებაშივე ზნეობის ამოწურვამ — ბედისწერად ქცეულმა ამორალურობამ გამოიწვია.

ფსიქიატრიული კლინიკის თანამშრომლები გულწრფელად უთანაგრძნობდნენ, საქვეყნოდ ცნობილსა და პატიოსანის სახელით ცნობილს საგიჟეთში რა ესაქმებაო, სინანულით ამბობდნენ.

ბენიამინი თავდაპირველად სახელმწიფო მოხელეებმაც ინახულეს და მისი ბედით ქალაქის ინტელიგენციაც დაინტერესდა, მერე არავის გახსენებია — თანდათან მიივიწყეს.

ქვეყნისა და ხალხის წინაშე არასოდეს შეუცოდავს, თავს არ ზოგავდა და საზოგადოებას პატიოსნად ემსახურებოდა.

კლინიკის მედპერსონალი ქვეყნის წინაშე სწორედ უანგარო დამსახურებისთვის აფასებდა, ცალკე პალატაც გამოუყვეს, ავადმყოფებმა არ შეაწუხონო; თუმცა გიჟებისთვის აკრძალული ზონა არ არსებობს, ისევ ბენიამინმა დაიფრინა ისინი და ამიტომაც ერიდებოდნენ, თორემ პირველ ხანებში გულს უწყალებდნენ, მის პალატაში დაუკითხავად შედიოდნენ, ხან საჭმელს სთხოვდნენ და ხან — სიგარეტს.

ერთ გიჟს, ოტელოს ეძახდნენ, ვერაფერი მოუხერხა, მართალია, თავს აბეზრებდა, მაგრამ რაღაცით იზიდავდა კიდეც, მისი უცნაური აზრები ზოგჯერ აოცებდა და საგონებელში აგდებდა. გიჟი მის გამო ყველას ექიშპებოდა და მიზანსაც აღწევდა: საფასურად სიგარეტს ან სასუსნავს იმსახურებდა.

მასზე ამბობდნენ, საკუთარ მამას ახალმოყვანილ ცოლთან შეუსწრო და მას შემდეგ აურიაო; ხშირად ავადმყოფები დაუნდობლად ექცეოდნენ, შენს ცოლს მამაშენმა კაბა აუნია და უკანალში სახაზავი შეუყოო, აჯავრებდნენ და მერე გარბოდნენ, ვიდრე გაცოფებული ოტელო არ დაშოშმინდებოდა, შორიდან უთვალთვალებდნენ; მოთმინებადაკარგული გიჟი კი დერეფანში მიმოდიოდა, ბორგავდა, უკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასკნელი ხმით გაიძახოდა: — თქვენს კახპა ცოლებს და დედებს მიხედეთ!..

დამშვიდდებოდა თუ არა, ბენიამინს კარს შეუღებდა, თვალმოწკურვით გახედავდა ხოლმე, «ხომ არ შეგაწუხე?" – უჩვეულო რიდით ჰკითხავდა და გამომჯავრებელთა მისამართით უხამსად შეიგინებდა, ნერვები ამიშალესო.

იმ დღეს თითქოსდა შემთხვევით ჰკითხა:

— გოგირდის აბანო საშინელებაა, ხომ?!

— ყველაფერი ჰალუცინაციის შედეგია! – რაც სინამდვილეში გაიფიქრა, ის არ უპასუხა ბენიამინმა და, მეტი დამაჯერებლობისთვის, სიგარეტი უწყალობა.

— მოჩვენებებიც არსებობს! – მრავლისმეტყველი ირონიით დაუმოწმა ოტელომ და სიგარეტი უბეში დამალა.

იგი მწვავე შიზოფრენიით იყო დაავადებული; ახლობელთაგანი აღარავინ აკითხავდა და ან გარდაცვლილი დედის გარდა არავის ახსენებდა: მასეთი ქალი დედამიწის ზურგზე არ დაიარებოდაო;ფსიქოტროპულიაბებისსისტემატურად მიღებისგან ფიზიკურად გამოფიტულიყო, ეშმაკს ჰგავდა, ხერხემალი გამრუდებოდა, მარჯვენა ბეჭი კუზივით გამოშვეროდა, ხოლო მისი დალაქავებული სახის კანი, გაბურდული წარბები და ჩანთხლეული კბილები, სწორედ ფსიქიატრიულ კლინიკაში გამეფებულ ყოფაზე მეტყველებდა — უწინდელი გონიერების ნატამალიღა შერჩენოდა, ამიტომაც ოდესღაც სრულყოფილ ოტელოს ძნელად წარმოიდგენდი.

ღმერთმა თითქოს გარყვნილებისთვის ვერ გაიმეტა, მიწიერ ცხოვრებას განარიდა და, სრული გადაგვარებისგან რომ ეხსნა, ანგელოზთა მფარველობას მიანდო; სულიერად გახრწნილი მამის უზნეობამ მისი არსებობა დაამახინჯა; ამიტომაც უსახო მემკვიდრეობას გაუაზრებლად გამოექცა, რადგან წარმომავლობასა და გენეტიკურ ღირსებაზე ხელი აიღო, ლოგიკური აზროვნების უნარიც დაკარგა, მისთვის ცოდვაც და სიკეთეც ერთფეროვანი გახდა — მის აფორიაქებულ სულს თითქოს ეშმაკი დაუფლებოდა და საშველს არ აძლევდა.

ბენიამინი კი განგებამ ვნების ტყვე გახადა და მიწიერ სურვილებს დაუმორჩილა — ამიტომაც დაისაჯა, ჯოჯოხეთური ტანჯვა სიცოცხლეშივე იწვნია, მერე თითქოს ღვთის რისხვა აირიდა და გიჟის ნიღაბი მოირგო — ზოგჯერ თავს იმ ქვეწარმავალს ადარებდა, საკუთარი წიწილებით რომ იკვებება.

ტატასთან შეხვედრამ საბოლოოდ დაარწმუნა, სიყვარულის სანაცვლოდ ხორცით ტკბობას რომ ეზიარა და მიუტევებელი შეცდომა დაუშვა: გატაცება წმინდა გრძნობა ეგონა და სულიერებას გაემიჯნა, დაზარალებითაც თვითონ დაზარალდა და შურისძიების სამიზნეც თავადვე გახდა; ამქვეყნად მხარში მდგომი არავინ დარჩა, მასზე ყველამ ჩაიქნია ხელი, რამაც საშინლად დააეჭვიანა და მომავლის რწმენა შეურყია — საბოლოოდ დარწმუნდა, ბედი არ წყალობდა და გარდაუვალს ვერსად გაექცეოდა – წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა, ფუჭ ოცნებასა და უიღბლობას შორის გახირულიყო.

სკოლაში სანიმუშო ყოფაქცევის არასოდეს ყოფილა, მასწავლებლები ქვეყნის დამაქცევარს ეძახდნენ და, თუ ვინმე რამეს დააშავებდა, თითს მისკენ იშვერდნენ, ამას ბენიამინის გარდა არავინ ჩაიდენდაო — მათი ვარაუდი დაუყოვნებლივ მტკიცე ბრალეულობად იქცეოდა და თავის მართლებას აზრი ჰქონდა: დამბეზღებლისა და გადამბრალებლის რეპუტაციას ისევ განტევების ვაცობა ერჩია.

მუდამ სხვის გამო სჯიდნენ და სკოლიდან გარიცხვით ემუქრებოდნენ; გაკიცხული მოსწავლე კი პირში წყალს იგუბებდა, თავი მაგარი ბიჭი ეგონა, სინამდვილეში, თანატოლები მისივე შემწყნარებლობით სარგებლობდნენ, რა ენაღვლებოდათ, ჯოხი ყველა შემთხვევაში მასზე გადატყდებოდა.

ორი წელი მუსიკალურ სასწავლებელშიც იარა და პიანინოზე დაკვრის შესაშური უნარი გამოამჟღავნა, მაგრამ იქაც უსამართლოდ მოექცნენ, მევიოლინე ბიჭის გამო დასაჯეს და სასწავლებლიდან გააძევეს.

ბაბუა მელქისედეკი ობროდს ეძახდა, ულვაშს აიპრეხდა და გამქირდავი საყვედურით ეტყოდა: შენს ასაკში მამაჩემის ხარ-ურმით ორი სოფლის იქით მივდიოდი და ქირაზე შეშას ვეზიდებოდი... შენ კი უფხო ხარ და ცხოვრებაში დაიჩაგრები!..

ბიჭს უჩვეულო ცნობისმოყვარეობა იპყრობდა, პაპაჩემს მეხსიერება ჩემს ასაკში ხომ არ გაყინვია, მარტო ხარ-ურმის და შეშის ამბავს რომ იხსენებსო; სკოლაში როგორ სწავლობდიო, დაინტერესდა ერთხელ და ბერიკაცს ნიშნისგებით მიაჩერდა. მელქისედეკმა უკმაყოფილოდ ჩაახველა, ძველ დროში სად იყო სკოლაო, ამოახრინწა, განათლების მისაღებად ცხრა მთა უნდა გადაგევლოო, ისევ ჩაახველა – ნიჭიერი, მონდომებული ბიჭი ვიყავი და ოთხწლედი მაინც დავასრულე, ხრინწვით დასძინა — რაც ცხოვრებაში მოვახერხე, იმის ნახევარი შეძელი და კაცი გამოხვალო.

ნიჭიერი და მონდომებული ბენიამინიც იყო. ერთ წელიწადს მათემატიკაში საშემოდგომო გამოაყოლეს, გამოცდის ჩაბარებას სკოლის დირექტორის ცოლი, რუსუდან მასწავლებელი ესწრებოდა — გადაირია ქალი, ეს რა ნიჭიერი ბიჭი ყოფილაო და, მას შემდეგ ამოიჩემა, მის დანახვაზე სინანულით აქნევდა თავს: «აფსუს, რა ნიჭი იკარგება!" — ხმამაღლა ამბობდა და პედაგოგებს საყვედურობდა, ბენიამინზე თვალი გეჭიროთ, მეტი ყურადღებით მოეკიდეთ, სწავლა შეუძლიაო.

ღვთისნიერი ქალის შეგონება არავის ესმოდა. მასწავლებლები ბიჭს ისევ ოხერს და ღვ-

თის პირიდან გადავარდნილს ეძახდნენ. სხვათა შორის, არც თვითონ აპირებდა გამოსწორებას, თუმცა უჩვეულო პასუხისმგებლობას გრძნობდა, რუსუდან მასწავლებლის დანახვაზე დამნაშავესავით აილანძებოდა, გულის სიღრმეში ალალად ნანობდა, კეთლშობილი ქალის იმედს ვერაფრით ვამართლებო.

მოკლედ, ბენიამინის ნიჭიერების ამბავი მარტო რუსუდან მასწავლებელს სწამდა, ხოლო როცა ყმაწვილბიჭობაში შედგა ფეხი, მის დამაჯერებლობასაც ყავლი გაუვიდა, ალბათ, იმანაც დაასკვნა, მაგისგან კაცი არასოდეს დადგებაო.

იმ დღეს ვაჟი სოფლის ავტობუსს ელოდებოდა, უცებ რუსუდან მასწავლებლის კეთილგანწყობილ მზერას წააწყდა. ჩია ტანის მოხუცმა ახალგაზრდა კაცი მორიდებით შეათვალიერა და დანაოჭებული სახიდან ოფლი მოიწმინდა, თითქოს თავს ძალა დაატანა, ნეტავ ეს ბიჭი საიდან მეცნობაო.

ბენიამინი თბილად მიესალმა.

შეფიქრიანებულ ქალს სახეზე ნათელი მოეფინა და ვიდრე ჭაბუკის ნამდვილ ვინაობას გამოარკვევდა, ხელჩანთა იღლიაში ამოიჩარა, თვალზე ხელი მოიჩრდილა და დაკვირვებით შეათვალიერა, «გაზრდილხარ, დავაჟკაცებულხარ!" ყბის კანკალით თქვა, აშკარად იგუმანა, ყოფილ მოსწავლეს ველაპარაკებიო.

— ბენიამინი ვარ! – დუმილი დაარღვია ვაჟმა.

— გიცანი, ჩემო ბიჭუნი... – ტყუილზე წასწრებულივით ჩაილაპარაკა მასწავლებელმა და ლოყაზე ხელი მოუთათუნა. — ალბათ, დაოჯახდი! – ბებრულად დაინტერესდა.

— არა. – დაირცხვინა ვაჟმა.

— არც დასაქმებული ხარ?!

ბენიამინმა უარის ნიშნად თავი ჩაქინდრა.

— შენ, ისეთი ნიჭის პატრონი ხარ, ყველაფერს მიაღწევ!.. – თქვა ქალმა.

ბენიამინმა უიმედოდ ამოიხვნეშა.

— თავის დროზე არ მოვინდომე!

— ნიჭმა დრო არ იცის, მოინდომებ და ყველაფერს მიაღწევ! – ისევ შეაგულიანა მასწავლებელმა. — წიგნებს ჩაუჯექი, იმეცადინე! – გულწრფელად დამოძღვრა.

«ნუთუ ამ ღვთისნიერ ქალს ჩემი ნიჭის იმედი კვლავ აქვს?" გაიფიქრა ბენიამინმა და თავში თითქოს ფუჭად დაკარგული დროის სიცარიელე იგრძნო, შეუსმენელი ახალგაზრდის შთაბეჭდილება რომ არ მოეხდინა, მოხუცის დამჟღრალ ხელს დასწვდა და მადლიერებით აკოცა.

— მერწმუნე და ენდე ჩემს ალღოს! – ხმა გაებზარა დედაბერს, თვალებში სიბერის ცრემლი აუციმციმდა.

ბენიამინს მიზანი საერთოდ არ გააჩნდა, მისთვის ცხოვრება მხოლოდ ციცაბო დაღმართი იყო და არა ძნელად ასავლელი აღმართი, უსიყვარულოდ ნიჭსა და უნარს ვერაფერში გამოიყენებდა, ამიტომაც არ ინდომებდა და აღმართის დაძლევაშიც აზრს ვერ ხედავდა – განუხორციელებელ ოცნებას განხორციელებული იმედგაცრუება ერჩია.

რუსუდან მასწავლებელთან შეხვედრამ მასში თითქოს მეამბოხის სული გააღვიძა – ისეთი ვითარება მოამწიფა, როცა ადამიანმა ან თავი უნდა მოიკლას, ან ბრძოლისთვის მოემზადოს და უკან არაფერზე დაიხიოს.

ადგა და მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: სოფლის ბიბლიოთეკაში სიარული დაიწყო. ნაცნობები იღლიაში წიგნამოჩრილს რომ დალანდავდნენ, პირჯვარს იწერდნენ, ამას რას ხედავს ჩვენი თვალებიო.

ყველაფერს კითხულობდა: სასიყვარულო, ისტორიულსა თუ ფსიქოლოგიურ რომანებს მტვერივით ისრუტავდა – ერთ წიგნს რომ ჩაათავებდა, მეორეს იწყებდა, ბრძნულ გამონათქვამებს იზეპირებდა და მათში საკუთარი სულის გამოძახილს ეძებდა.

მალულად ლექსებსაც წერდა, თუმცა არავის უმხელდა, ისედაც ალმაცერად მიყურებენო.

მამამისი მოთმინებას კარგავდა, ბევრმა კითხვამ გაგიჟება და გონების ჭუჭყით გამოტენვა იცისო — დასტურად ერთ სოფლელ გიჟს ასახელებდა, წიგნებში ქექვამ ტვინი გამოულაყაო.

ცხოვრება თავისი კანონზომიერებით მუდამ გარდაქმნას განიცდის და სათანადოდ ბენიამინიც უნდა გარდაქმნილიყო, საბოლოო მიზანს თუ ვერ მიაღწევდა, წინ სწრაფვასა და გზის გაკაფვას მაინც ისწავლიდა.

უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარება გადაწყვიტა და შესაბამის საგნებში მომზადებას დამოუკიდებლად შეუდგა.

დედამისი ღმერთს თვალაპყრობილი ევედრებოდა, ჩემი შვილი დაიფარე და წუთისოფლის მძიმე ხვედრი აარიდეო — თავს იმით ინუგეშებდა, ცხოვრების სიბრძნეს წიგნებიდან შეიძენს, ცხოვრების აზრს მიაგნებს და ეშმაკს ადვილად დაამარცხებსო.

მეზობლები კვლავ ეჭვის თვალით უყურებდნენ, ბენიამინმა მუქთახორობის ახალი ხერხი მოიგონაო.

საგამოცდო ციებცხელება ზაფხულში დაიწყო; ზღვისპირა ქალაქი დამსვენებლებით გაივსო, პლაჟიდან მოაგარაკეთა გადამდები ჟრიამული ისმოდა, შეყვარებული წყვილები ბულვარში დასეირნობდნენ.

ბენიამინმა სსრკ ისტორიასა და მშობლიურ ლიტერატურაში საშუალო შეფასება მიიღო, რუსულ კარნახში კი ჩაიჭრა და, რაღა თქმა უნდა, კონკურსის მიღმა აღმოჩნდა.

აფსუს, სად იყო ბაბუა მელქისედეკი, თორემ რუსულში ვერავინ აჯობებდა. იმ მხარეში მარტო მან იცოდა რუსული, სხეპდაო, იკვეხნიდა ბენიამინის მამა. თურმე გლეხები მეზობელი სოფლებიდანაც აკითხავდნენ, მელქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისედეკ, შენი ჭირიმე, გვისაშველე რამე და გადმოგვიქართულე ერთი, რას ამბობენ ჩვენზე სოციალისტებიო.

ჭაბუკმა შემოდგომით კვლავ სცადა ბედი და რუსულში ისევ ჩაიჭრა.

ამასობაში ოცდაშვიდის გახდა.

აკადემიური მომზადება აკლდა და წამბიძგებელი არავინ ჰყავდა.

მშობლებს მისი წინსვლა და წარმატება როგორ არ სურდათ, მაგრამ ასეთ საქმეში გამოუცდელები იყვნენ, რა ეღონათ და ვისთვის მიემართათ, ნამდვილად არ იცოდნენ.

იგი ცხოვრებას ან სიყვარულით უნდა გამკლავებოდა ან – სიძულვილით, უკან ვერაფრით დაიხევდა და ვერც მოსალოდნელ განსაცდელს აირიდებდა.

ბოლოს ზღვისპირა ქალაქში გადასვლა გადაწყვიტა, რუსული ენის რეპეტიტორს მოვძებნი და საფუძვლიანად მოვემზადებიო — ერთ მივარდნილ უბანში სოროსავით ბინა იქირავა და საკონსერვო ქარხანაში ღამის მუშადაც მოეწყო.

სიყვარულზე უიმედოდ ოცნებობდა, ეჭვობდა, ამის ნიჭი ღმერთმა არ დამანათლაო; მიწიერ მოთხოვნილებებს ვერსად გაურბოდა და გულგატეხილობას არაადამიანური ძალისხმევით ებრძოდა — თითქოს შინაგან საყრდენს ეძებდა, ვნებამონყურებული ხშირად იმ ქალებს იხსენებდა, ოდესღაც ხორციელი ტკბობა რომ განაცდევინეს და, სანაცვლოდ, ჭეშმარიტი სიყვარულის უნარი წარსტაცეს...

...ვერცხლისწყალივით მოუსვენარმა ოტელომ დილაუთენია პალატის კარი შეუღო და შეწუხებული სახით ურჩია:

— ბატონო ბენიამინ, ორთქლის აბანოში მეორედ აღარ წახვიდეთ!..

კაცმა ხმა არ გასცა – შოკოლადი გაუწოდა.

— მამაჩემი სიცივისგან კვდებოდა, ჩემს ცოლს შეებრალა, გავათბობო, იფიქრა და ლოგინში შეუწვა... საწყალ მამაჩემს ვერაფერმა უშველა, მაინც სიცივემ მოუღო ბოლო!..

ბენიამინი ჯიუტად დუმდა, სინანულისგან სახედაღმეჭილ გიჟს მოურიდებლად მიანიშნებდა, დროზე გამეცალეო.

ოტელომ შოკოლადი ხარბად ჩაკბიჩა და, ვიდრე ლუკმას გადაყლაპავდა, ყოვლის მცოდნესავით იკითხა:

— იცი, ღმერთს მოთვინიერებული ეშმაკების გასაიდუმლოებული ლეგიონი რომ ჰყავს და ურჩ ეშმაკებს მათი ძალისხმებით არჯულებს?! – პასუხს რატომღაც აღარ დაელოდა, იქაურობას წარბმოჭმუხვნით გაეცალა.

ბენიამინი მოთვინიერებულ ეშმაკთა ლეგიონზე დიდხანს ფიქრობდა...

...ზღვისპირა ქალაქში გადაუღებლად წვიმდა.

ვაჟი ნაქირავებ ბინაში კი არა, ქალაქშიც მდგმურივით ცხოვრობდა – თითქოს საკუთარ აჩრდილს ეფარებოდა, არავინ შემამჩნიოსო, მარტოობას თვინიერი ღიმილით მალავდა, სინამდვილეში, მუდამ დამარქაფებული იყო, როგორმე ვიღაცის ყურადღება და მოწონება დაემსახურებინა.

«რუსული ენის მასწავლებელი?.. ევდოკია გიორგევნა?.. მეორე სართულზე, ხელმარჯვნივ ცხოვრობს!..” – გზაჯვარედინთან შეყოვნებულს თავის ქიცინით მიასწავლა ხანშესულმა ქალმა, სახელდახელოდ დაკეცილი ქოლგა ოთხსართულიანი შენობისკენ გაიშვირა და ჯეელი კეთილად შეათვალიერა.

ბენიამინმა წვიმისგან დატბორილ სადარბაზომდე ვაივაგლახით მიაღწია; ღამისთევისგან მოთენთილმა კიბის საფეხურები ზანტად აათავა და თეთრად შეღებილი კარის წინ შედგა, ზარის ღილაკს თითი დააჭირა, შიგნიდან შეხმიანებას გულისფანცქალით დაელოდა; მალე ფეხის ხმა მოესმა და რატომღაც უჩვეულო წინათგრძნობა დაეუფლა, თითქოს იდუმალი მასპინძელი მისი სულის კუნჭულებს საჭვრეტიდან ზვერავდა და წარსული ცოდვების გამო კარს არ უღებდა. ბოლოს სიჩუმე დაირღვა და ზღურბლზე ოცდაოცდაორი წლის ქერათმიანი გოგონა გამოჩნდა, ვაჟს სანდომიანად გაუღიმა, ფარული ცნობისმოყვარეობით ახედ-დახედა, «ვინ გნებავთ?” ზრდილობიანად ჰკითხა. “რუსული ენის მასწავლებელი...” – დაბნეულად მიუგო ბენიამინმა და იფიქრა, ალბათ, მისამართი შემეშალაო. გოგონამ ცისფერი თვალები გაოცებით მონკურა, უცნობი ახლა უნდილად შეათვალიერა, ამხელა მუ-ტრუკს მასწავლებელი რისთვის სჭირდებაო და, თავი მიაბრუნა, «გიორგევნა, გკითხულობენ!” – მისაღებიდან გასძახა.

ამ დროს ჰოლში ხუთიოდე წლის ქერაკულულებიანი გოგონა გამოვარდა, თითქოს ვიღაცას ხელიდან დაუსხლტა, ზღურბლთან შეყოვნებულმა სტუმარს ველურივით ახედა, იდროვა და, ვიდრე ყურადღებამოდუნებული უფროსები მოიხელთებდნენ, კიბეზე თავპირისმტვრევით დაეშვა. «ამელია, ახლავე მობრუნდი, თორემ გაგწკეპლავ!” ახალგაზრდა ქალმა მუქარა დაადევნა, ბენიამინს მოუბოდიშა, საკიდრიდან მოსაცმელი ჩამოხსნა და ბავშვს გამოუდგა — ვაჟს თავბრუდამხვევი სურნელი შეაფრქვია — მოქნილი წვივებითა და ატოკებული თეძოებით ფეხდაფეხ მიჰყვა.

ვაჟმა თვალი ვერ მოაშორა.

«მობრძანდით!” – უჩვეულოდ თბილმა, სტუმართმოყვრულმა ხმამ გამოაფხიზლა. მის წინაშე საშუალო ხნისა და სიმაღლის, ჩაპუტკუნებული, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი იდგა, რომელსაც მორუხო-მონაცრისფრო თვალები და ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა.

— ევდოკია გიორგევნა ბრძანდებით? – გონს მოსულივით იკითხა ვაჟმა და მოწყალების მომლოდინესავით დადუმდა.

— შემოდით, შემოდით!.. – ისე თქვა ქალმა,

თითქოს საკუთარი ვინაობის ხსენება მობეზრებული ჰქონდა.

ვაჟმა ქურქი გაიხადა და ჰოლში დაკიდა, მდიდრული ავეჯით მორთული სასტუმრო ოთახი ფარული სიხარბით მოათვალიერა, თავღია როიალმა და მასზე გადაშლილმა ნოტების რვეულმა ოჯახის წევრთა მუსიკალურობაზე მიანიშნა.

— ვასილისა ჩემი ქალიშვილია, ამელია კი შვილიშვილი... უკვე ვეღარ ვთოკავთ! – თითქოს მოიბოდიშა დიასახლისმა და შემოსასვლელს მიაყურადა, მერე ვაჟს დააკვირდა, ღიმილნარევი სიდარბაისლით შეათვალიერა და მშვიდად დასძინა: — გისმენთ, ყმაწვილო!

ბენიამინი უხერხულად შეიშმუშნა.

— რუსულში მინდა მოვემზადო!

— უმაღლეს სასწავლებელში აბარებთ?!

— დიახ! – დაირცხვინა ვაჟმა.

— დაუძლეველი არაფერია! – შეაგულიანა ქალმა.

— Евдокия, кто к нам пожаловал? – გაისმა გვერდითა ოთახიდან და ბენიამინი მიხვდა, ამ სახლში კიდევ ერთი ქალი ცხოვრობდა.

— Молодой человек желает учиться! – პატივისცემით შეეხმიანა გიორგევნა და ხმადაბლა დასძინა: — Моя мама, Евгения Степановна, между прочем, заслуженная учительница русского языка!

ოთახში შემოსულმა, მაღალმა, მკაცრი გამომეტყველების დედაქალმა, რომელსაც დანაოჭებული, თუმცა ჯერაც სილამაზეშენარჩებული სახის ნაკვთები ჰქონდა, სტუმარს თავი დაუკრა, რაკი ქალიშვილის გამომეტყველებაში კეთილგანწყობა ამოიკითხა, სანდომიანად გაუღიმა, ფარულად დააკვირდა, თითქოს სულში ჩახედა და მისდამი მოკრძალება აიძულა, «Очень приатно!» დინჯად ჩაილაპარაკა და, ვიდრე მაუდგადაკრულ სავარძელში ჩაეშვებოდა, ტელევიზორი ჩართო.

ევდოკია გიორგევნა ახალბედა მოსწავლეს მეცადინეობის დროსა და შეხვედრის ადგილზე შეუთანხმდა, ტექნიკუმის აუდიტორიაში მოხვალო.

— რა გქვია? – გასასვლელში შეყოვნებულს უწყინარი ცნობისმოყვარეობით ჰკითხა.

— ბენიამინი...

— ოჰ, ბენიამინ! – თეატრალური მოწონებით წარმოთქვა ქალმა და გულისყური პირველი სართულიდან მოღწეული ნაბიჯების ხმას მიაპყრო.

ვაჟი კიბეზე ამომავალ დედა-შვილს შეეჩეხა. დატუქსულმა ბავშვმა მტრულად აუარა გვერდი, დედამ კი ისე გაუღიმა, თითქოს რაღაცაზე გული დაწყდა.

— Бениамин, не забудь место и время занятия! – ევდოკია გიორგევნამ ვაჟის ყურადღება განგებ მიიქცია, არც ვასილისას ღიმილი გამოპარვია და არც მოსწავლის აღელვება.

სადარბაზოდან გამოსულ ჭაბუკს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ზურგს უკან სამოთხის კარი დაიკეტა.

«ოჰ, ბენიამინ!" მომაჯადოებლად ჩაესმოდა და ოცნების ბურუსში ეხვეოდა; შუაღამისას ჩაეძინა, უჩვეულო სიზმარი ნახა: თითქოს ულრან ტყეში დაეხეტებოდა, გზას ვერ იკვლევდა, ვიწრობებსა და ეკლიან ბუჩქნარს თავს ვერ აღწევდა, გარშემო შიშის მომგვრელი სიჩუმე გამეფებულიყო, ცა არ ჩანდა და ნათელი არსაიდან შეიმჩნეოდა – ზოგჯერ მიწაში ეფლობოდა და ეკლიან ბარდებში იხლართებოდა, მის ტანჯვას ბოლო არ უჩანდა; ამ დროს უკუნმა პირი გააღო, ცა გამოჩნდა და ტყე გაცისკროვნდა; იგი თითქოს თვალსაწიერში გაელვებულ ბილიკზე გამალებით გარბოდა, მიშველეთო, ყვიროდა, სინამდვილეში, ადგილიდან ვერ იძვროდა, პირიდან ხმის ნაცვლად უმწეო ხავილი ამოსდიოდა; უეცრად ბექობზე თეთრით შემოსილი ქალი გამოჩნდა, ხელში გასაღები ეჭირა, თავგზააბნეულ ჭაბუკს ამოუცნობი ღიმილი შეაგება და გასაღები გაუწოდა, თავს უშველეო, ანიშნა; თითქოს ამ მისტიკურ ქალში სამი, ასაკობრივად განსხვავებული მდედრი განსახიერებულიყო: ხან ბავშვად წარმოჩნდებოდა, ხან ქალიშვილად და ხანაც – დედაბერად; ვაჟს გასაღებმა ძალა შემატა, მსწრაფლ აამჩატა და მიწას მოსწყვიტა – ფრთები შეასხა და მწვერვალისკენ გააქანა — დაბურულ ტყიდან კი იდუმალი ხმა მოსძახოდა: «ევა, ევა, ევა!" და შიშისგან გული უსკდებოდა, გასაღებს ძალუმად ჩაფრენოდა, ხელიდან არ გამივარდესო, თორემ დედამიწას დაენარცხებოდა და კვლავ ჯოჯოხეთური წამება ელოდა; მერე თითქოს მის წარმოსახვაში იდუმალი მოძახილი სამ სახელად დანაწევრდა: "ევდოკია, ვასილისა, ამელია..." და უფრო მაღლა იგრძნო თავი, შიშისა და სიამოვნების ერთდროული განცდა დაეუფლა; ამასობაში გასაღები თანდათან დამძიმდა, გაუსაძლისი გახდა და მაღლა აჭრილი დედამიწისკენ დაზიდა, შურდულივით დააქანა და ეკალბარდებში ჩაანარცხა; ვაჟს მჩხვლეტავი ტოტები აბლაბუდასავით დაეხვია; თითქოს გაფრენა ისევ მოიწადინა, მაგრამ გასაღების სიმძიმე ვერ დაძლია, ვერც მის მაგნიტურ მიზიდულობას გაემიჯნა და ცალ გვერდშიც მწვავე ტკივილი იგრძნო — იქვე, ეკლიან ტოტზე შერჩენილი და გასისხლიანებული, საკუთარი ნეკნი შენიშნა და მტკივნეული მსხვერპლის სანაცვლოდ გასაღებისგან თავი დაიხსნა, ნელ-ნელა ცაში აიჭრა, «ევა, ევა, ევა!" – მოსძახოდა ტყე და იდუმალი ფრთები ისევ მწვერვალისკენ მიაქანებდა.

დაფეთებულს გამოეღვიძა, ოფლში ცურავდა, ისე ძალუმად მოემუჭა თითები, თითქოს უხილავი გასაღები ახლაც ეჭირა, ცალ გვერდში კი ყრუ ტკივილს გრძნობდა, ყურები გახანგრძლივებული ექოს წუილით დახშობოდა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიამო ხილვიდან გამოფხიზლებულს სუნთქვა უჭირდა; ბოლოს წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და ზღვიდან მონაბერი სიო სულივით ჩაისუნთქა.

სიზმარს თურმე ეშმაკი და ანგელოზი ერთად განაგებენ — სიზმარი მოკვდავის სამოთხე და ჯოჯოხეთია – სულის მარადიულობის, თითოეულის ბედისწერის ეკრანია, რომელზეც ის მისტიკური კადრები გაიელვებს ხოლმე, რაც გონიერმა არსებამ ცხოვრებაში უნდა იხილოს; სიზმარში ზოგჯერ წარსული და მომავალი აღრეულია, ვინც ამას ხვდება, ის ღვთისგან მონიჭებულ სიცოცხლეს სულით გრძნობს და არა – ხორცით; ხილვის დროს ადამიანს საკუთარი ორეული ეცხადება და ზოგჯერ სხვა ორეულშიც სახიერდება, კეთილი და ბოროტი რომ გაარჩიოს.

ადამიანის ნამდვილი მოკეთე სიზმრისეული ანგელოზია და არა ცხოვრებისეული კეთილისმყოფელი. ვისაც სიზმრის სწამს, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს დგას, რადგან ანგელოზისა და ეშმაკის ნაღვაწი სწორედ სიზმრით ვლინდება.

— ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს! – შემწყნარებელი ღიმილით თქვა მასწავლებელმა და ვაჟს თავისუფალ აუდიტორიაში შეუძღვა.

მეცადინეობა ერთი საათი გაგრძელდა.

ბენიამინი ზღურბლთან შეყოვნდა, მასწავლებელს ყოყმანით მიუბრუნდა და თვალებში მიაჩერდა, მომზადების საფასურის შეტყობა სურდა, თადარიგი რომ დაეჭირა და ხელფასი გამიზნულად დაეზოგა.

— მაგაზე ნუ წუხარ... შევხედავ, შენი მონდომების მიხედვით განვსაზღვრავ და, გარწმუნებ, არ დაგაზარალებ! – რეპეტიტორმა გულთმისანივით ამოიცნო მოსწავლის წუხილი და დამამშვიდებლად გაუღიმა.

მომდევნო მეცადინეობამ ჩვეულებრივად ჩაიარა.

მასწავლებელი მოსწავლის მონდომებას დღითიდღე ამჩნევდა და კმაყოფილებას ხმამაღლა გამოხატავდა, გულწრფელად აქებდა და გარდაუვალ წარმატებას უწინასწარმეტყველებდა; ზოგჯერ მასში სიყვარულმონყურებული ქალი იღვიძებდა და ამას ვაჟიც აშკარად გრძნობდა, მის სახეზე გაელვებულ სიმორცხვესა და უჩვეულო სურვილით ამღვრეულ თვალებს მზერას არიდებდა.

ბენიამინი ევდოკია გიორგევნას ნდობას ნელ-ნელა იხვეჭდა და ვასილისასთან დაახლოებაზე შეუპოვრად ოცნებობდა — ხელსაყრელ დროს ელოდებოდა.

ზღვისპირა ქალაქში საგრძნობლად ციოდა – დღე იკლებდა, ღამე მომაბეზრებლად იწელებოდა.

მასწავლებელი და მოსწავლე ზოგჯერ ცხოვრებისეულ თემებსაც ეხებოდნენ.

ევდოკია გიორგევნას ყოფილი ქმარი თბილისში ცხოვრობდა.

— ზედმეტად მომლხენი იყო, შინ თითქმის ყოველდღე მთვრალი ბრუნდებოდა! – სინანულით გაიხსენა ქალმა.

— თქვენს ხელში რამ გაალოთა?! – გაიხუმრა ვაჟმა.

გიორგევნამ ალმაცერად გახედა.

— დავიღალე, თავი მომაბეზრა, ახლობლების მრცხვენოდა... ცხონებული მამაჩემი ერთ დროს ქალაქის თავი იყო, ნაცნობებს ვემალებოდი, მეშინოდა, ქმრის შესახებ არაფერი ეკითხათ!..

ევდოკიას დედა, ევგენია სტეფანოვნა, მოსკოველი რუსი გახლდათ — როგორ აღმოჩნდა ზღვისპირა ქალაქში და ქართველ ჭაბუკზე დაქორწინდა, ამის შესახებ მასწავლებელი არაფერს ამბობდა – საკუთარ მამას აღმერთებდა, მსგავსი გულისხმიერი და მოწესრიგებული მამაკაცები დღეს იშვიათად მოიპოვებიანო.

ვასილისა თექვსმეტი წლის ასაკში საცხოვრებლად მამასთან გადასულა და სწავლა თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში გაუგრძელებია. გოგონა ერთ თელაველ ბიჭს მოსწონებია, მანქანაში მოტყუებით ჩაუსვამს და კახეთში გაუტაცია. პატარძალს ავი დედამთილი შეხვედრია, რძალი თავიდანვე აუთვალწუნებია, ვაჟს დამიჩაგრავსო. რვა თვის ორსული ქალიშვილი წესისამებრ დედასთან ჩამოსულა და მალე ამელია შეძენია. მისი მამამთილი თურმე იმ დღეს რესტორანში ქეიფობდა, შვილიშვილის დაბადება რომ შეუტყვია, სუფრიდან ამდგარა და მანქანით პირდაპირ ახალშობილის სანახავად გამომგზავრებულა – რიკოთის უღელტეხილზე საჭესთან ჩასძინებია და ხევში გადაჩეხილა.

დაქვრივებული დედამთილი მთლად გაბოროტებულა, არც რძლის სახელის გაგონება მსურს და არც შვილიშვილის, ყველაფერი მაგათი ბრალიაო.

«ვასილისა კეთილი გოგოა, მაგრამ უიღბლოა, ბედი არ სწყალობს". — სინანულით ამბობდა მასწავლებელი.

ბენიამინს ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს ევდოკია საკუთარ ქალიშვილს განგებ ახსენებდა — ინტერესს უღვივებდა, მახეს უგებდა, ეგება და გაებასო.

ერთხელ უცნაური რამ უთხრა:

— ვასილისა ბედნაცვალ კაცზე უნდა გათხოვდეს! — ბენიამინს გაუკვირდა. — ზედმეტ ტვირთს სხვა არავინ აიკიდებს და ამელიას არ უპატრონებს... გამოუცდელი საქმრო რა ვასილისას შესაფერია! – გადაჭრით დასძინა და მოსწავლეს დაუფარავად აგრძნობინა, სწორედ შენნაირები მყავს მხედველობაშიო.

ვაჟს გაეცინა.

— რატომ უნდა შეირთოს ბედნაცვალი ქალი უბინო საქმრომ?! – ევდოკიამ ვაჟს თვა-

მოწკურვით გახედა.

— სიყვარული ბრმაა! – ფრთიანი შედარება მოიშველია მოსწავლემ.

— შენ, შეირთავდი ბედნაცვალს?! – ქალი გაფაციცებული ინტერესით დააკვირდა.

— ალბათ, არა! – მაამებლური ყოყმანით მიუგო ვაჟმა.

— ეს იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ძნელია სხვისი შვილის მამობა! – დაუდასტურა მასწავლებელმა და ამაყად დასძინა: — მეორედ იმიტომ არ გავთხოვდი, მუდამ უცოდველი საქმროები მეძლეოდნენ! – გაიცინა, მოსწავლეს თვალებში შეხედა და მზერაში შიში გაუკრთა, ქარაფშუტა არ ვეგონოო.

ევდოკია გიორგევნა დღითიდღე უჩვეულო სითამამეს ამჟღავნებდა, მასში აღარ იგრძნობოდა ის რიდი და სიფრთხილე, რაც ბედნაცვალი ქალიშვილის მშობელს უნდა მართებდეს; მისთვის თითქოს ბენიამინი საშიშროებას აღარ წარმოადგენდა და ბრმად ენდობოდა, შეფარვით ეკეკლუცებოდა და თავს აწონებდა; მასში გარეგნული ცვლილებები აშკარად შეიმჩნეოდა: კოხტად, თვალში საცემად იცვამდა, ფერუმარილსაც ისვამდა და სარკეს ადრინდელზე მეტ დროს უთმობდა; ზოგჯერ გადამეტებით ხალისობდა, ზოგჯერაც უმიზეზოდ მოიწყენდა: თვრამეტი წლით უმცროს ვაჟთან ასაკობრივი ზღვრის გადალახვა უმძიმდა – თავდაჭერა მოჩვენებითი გამოსდიოდა და გამოუცდელ ქალივით იბნეოდა: «ჩემში გრძნობებისგან დაზოგილი, სიცოცხლით სავსე მდედრი თვლემს!" – სიცილით იტყოდა ხოლმე და ჭაბუკს გაცისკროვნებულ თვალებს მიაპყრობდა, თითქოს ახალგაზრდული ენერგიით ივსებოდა და მოწიფულობას ებრძოდა — ვაჟში სურვილების წყაროს ხედავდა და წყურვილის მოკვლას ლამობდა, თუმცა ვერ ეტანებოდა, გამბედაობა არ ყოფნიდა და მხოლოდ სასიამოვნო მოლოდინით კმაყოფილდებოდა.

მოსწავლე ზოგჯერ ქათინაურებით ანებივრებდა, მის მკერდს და თეძოებს ფარულად უჭვრეტდა, თითქოს საკუთარ თავს ამოწმებდა – ვნებას თუ აღმიძრავსო – დაუოკებელ სურვილს ნამდვილად არ განიცდიდა, უბრალოდ, იმ თაგვის როლში ყოფნა ხიბლავდა, კატას კუთხეში რომ მიუმწყვდევია და მასთან გართობა განუზრახავს.

იმ დღეს ევდოკია გიორგევნა აუდიტორიაში ელოდებოდა, მოსწავლეს თითქოს დაავიწყდა და სახლში დაურეკა. ყურმილი ვასილისამ აიღო, დედაჩემი სასწავლებელშიაო, გაუკვირდა და გამომცდელი ცნობისმოყვარეობით დადუმდა.

ვაჟმა მოუბოდიშა, მხედველობიდან გამომრჩაო.

ყურმილში უხერხული დუმილი ჩამოწვა.

— შენს შესახებ ბევრი რამ მსმენია! – ისე წამოროშა, თითქოს ვიღაცამ თავში წამოარტყა.

— მაინც რა?! – ირონიულად იკითხა ქალმა, აშკარად გაიქილიკა, საქმედალეულიო.

— მხოლოდ კარგი!.. – სულმოუთქმელად მიაგება ვაჟმა.

— ჩემგან რა გნებავს?!

ბენიამინს ტანში ისე გააცია, თითქოს საყინულეში შეაგდეს.

— არაფერი... უბრალოდ, მინდა ახლოს გაგიცნო... – ხმა გაებზარა.

— არავინ გიშლის!

— ევდოკია გიორგევნასი მერიდება! – გულწრფელად აღიარა ვაჟმა.

— საინტერესოა!.. – წაგრძელებით გამოცრა გოგონამ და შერბილებით დასძინა: — ნუ გერიდება!

ბენიამინს უჩვეულო კმაყოფილება დაეუფლა, ქალიშვილი თითქოს შეთქმულებაში ჩაითრია და წარმატება გაინაღდა, სინამდვილეში, აშკარად იგრძნო, ვასილისა ერთი იმ გოგონათაგანი იყო, რომელიც სიმართლეს გარკვეულ დრომდე მალავს და მერე ყველაფერს დოლაბივით ფქვავს.

— კიდევ რა გნებავს?! – გოგონა თითქოს მისმა დუმილმა გაანაწყენა.

— შენი ხმის ხშირად გაგონება! – იურცხვა ვაჟმა და ყურმილს გაფაციცებით მიაყურადა.

— გიორგევნასი არ გერიდება?!

ბენიამინმა შერისხულივით ამოისუნთქა.

— კარგი, კარგი, ჩემთან დაკავშირება სხვაგანაც შეგიძლია. – დაამშვიდა გოგონამ, წამით იყუჩა, თითქოს მიმოიხედა, არავინ მისმენდესო. — ჩემს მეზობელთან, მაგულისთან დარეკე, დამიძახებენ!.. – და ტელეფონის ნომერი მესაიდუმლესავით წასჩურჩულა.

ბენიამინი რუსულის მასწავლებელთან ქვეცნობიერი შიშით გარბოდა, რაიმეში არ დაეჭვდესო, თორემ ვასილისაზე ოცნებას სამუდამოდ გამოეთხოვებოდა.

მეცადინეობის შემდეგ მაგულისთან დარეკა და ვასილისას დიდხანს ესაუბრა.

ერთხელ ევდოკია გიორგევნამ გამომცდელად უთხრა:

— ვერაფრით დავიჯერებ, წარსულის გამო, სხვა გოგონაზე არ ფიქრობდე!

— გოგონებს არ ვენდობი, სიყვარულს არ უფრთხილდებიან!.. – დამარწმუნებლად მიუგო ვაჟმა.

ქალს მოჩვენებითი კმაყოფილებით გაეღიმა.

— აბა, მოწიფულებს ენდობი?.. მათ ხომ მომხიბვლელობა აკლიათ?! – აშკარად რაღაცაში დაეჭვდა.

— გოგონების მომხიბვლელობა საპნის ბუშტივითაა!

ბენიამინს თაგვის როლში ყოფნა უკვე აღარ ეპიტნავებოდა, მასწავლებელში მოტრფიალის ნდობა უნდა აღეძრა და ვასილისას გულისკენ გზა გაეკვლია.

აუდიტორიაში საგრძნობლად ციოდა. მოსწავლესა და მასწავლებელს ტექნიკუმის შენობიდან გამოსვლა ჩაბნელებული დერეფნით უხდებოდათ, ღამის დარაჯის გაკვირვებასაც იწვევდნენ და ქუჩაში შემხვედრი ადამიანებისაც.

ევდოკია გიორგევნას სიცივეც აწუხებდა, ნაცნობებისაც ერიდებოდა და ძალაუნებურად მოსწავლის ჩანაფიქრსაც ვერსად გაურბოდა: ვაჟი, როგორც იქნა, სამეცადინოდ შინ დაიბარა...

...გამთენიისას ოტელოს ღრიალმა მთელი განყოფილება ფეხზე დააყენა.

წვერგაპარსული და საგანგებოდ გამოწყობილი გიჟი კარისკაცს მიადგა, ექიმმა ყველაფერი იცის და გამატარეო — ცოლთან მივდივარო.

სანიტრებმა პალატაში შეაგდეს, ჭკუით იყავი, თორემ საწოლზე მიგათოკავთო. ასეთ მუქარას მოთმინებიდან გამოჰყავდა, გადაირია, ქალივით აკივლდა, დუუმორეული გაიძახოდა: ჩემს ცოლთან გინდათ წახვიდეთ, თქვე გათახსირებულებო!.. ბოლოს დერეფანში თავშეყრილმა ავადმყოფებმა მანჭვაგრეხით გამოაჯავრეს: შენს ცოლთან მამაშენი დადის და უკანალში სახაზავს უღიტინებსო. გიჟი პალატიდან გაგულისებული გამოვარდა და ავადმყოფები დააწიოკა.

ოტელო ხშირად იქცეოდა ასე: გაიპარსავდა, გამოეწყობოდა, მცირე ბარგს შეკრავდა, კარისკაცს მიადგებოდა, ხან მამამისთან აპირებდა წასვლას, ხან – ცოლთან და, ხან ვიღაც ლაურა ხიდაშელთან, ჩემი შეყვარებულიაო, დამნიშნა და ბეჭედიც მაჩუქაო, სიამაყით ირწმუნებოდა, საჩვენებელ თითზე წამოცმულ სპილენძის რგოლს ცხვირწინ დაგიტრიალებდა.

ნაშუადღევს ბენიამინს მიადგა და კარზე ფრთხილად დაუკაკუნა, არავინ გამოეპასუხა, ოდნავ შეაღო და ღრიჭოდან შესჩივლა:

— ცოლთან პაემანი მქონდა და ამ ფაშისტებმა არ გამიშვეს!..

თითოეული გიჟის აზროვნება გონივრულად მიჩნეულ ლოგიკას თავდაყირა აყენებს, დასაბამიდან დამკვიდრებულ სიბრძნეს ალოგიკურობის ელფერს სძენს; ფსიქიურად არეული აზროვნება განსაკუთრებული აზროვნებაა და ზოგჯერ საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებასაც ეჭვქვეშ აყენებს.

ოტელო თავისი აზროვნებით ალოგიკურობის ცოცხალი მაგალითი იყო — ამტკიცებდა, გარდაცვლილ გიჟსაც და ჭკვიანსაც უკანასკნელი სახე ერთნაირი აქვს, ვერაფრით გამოარჩევო, ადრე რომელი ითვლებოდა გიჟად და რომელი ჭკვიანადო.

— მადლენს მოველაპარაკები და გაგიშვებს! – რასაც ნამდვილად არ გააკეთებდა, ის აღუთქვა ბენიამინმა.

— მართლა?! – დაეჭვდა გიჟი და ზღურბლს გადააბიჯა.

— ჰო! – ისევ იცრუა ბენიამინმა და ხელის აწევით შეაჩერა, სიგარეტიც მიაგება.

ოტელომ უკან დაიხია და შესაბრალი გამომეტყველება მიიღო.

— რომ იცოდე, რა ლამაზი შეყვარებული მყავს! – რაღაცნაირი სინანულით თქვა. – აი, ბეჭედიც მაჩუქა! — და საჩვენებელი თითი მაღლა ასწია.

— მადლენს ვეტყვი-მეთქი! – გაბრაზდა ბენიამინი.

ოტელომ ამჯერად დაიჯერა, კარი მიხურა და დერეფანს ფლოსტების ფლახუნით გაუყვა.

«ჭკვიანსა და გიჟს თანაგრძნობა ერთნაირად სჭირდება — თუნდაც ტყუილზე აგებული!..» გაიფიქრა ბენიამინმა.

ოდესღაც მასაც სჭირდებოდა ევდოკია გიორგევნას თანაგრძნობა – როგორც კომპასი, მისი ქალიშვილისკენ სწორი სავალი რომ განესაზღვრა...

...ვასილისამ დედის მოსწავლეს შეთქმულივით გაუღიმა და მის მოულოდნელ სტუმრობას ხალისით შეხვდა — გულში შორეული იმედი აღუძრა.

ევგენია სტეფანოვნამაც გაიხარა, ევდოკია ძალზე გაქებს და შენზე დიდ იმედს ამყარებსო, ალბათ, არ გაუცრუებო და, მოსწავლე გამჭოლი მზერით დასუსხა.

პატარა ამელიაც უჩვეულო ინტერესით შესციცინებდა — როგორც იმ სათამაშოს, უფროსებმა მის შესახებ წარმოდგენა წინდაწინ რომ შეუქმნეს.

ბენიამინი გოგონას ლოყაზე შეეხო, ფაქიზად უჩქმიტა; პატარამ კოპები შეყარა, კაქტუსივით დაიეკლა და დედის კალთას ამოეფარა.

— ვასილისა, ბავშვი გაიყვანე, სამეცადინო გვაქვს! – ბრძანა ევდოკიამ და მოსწავლე მაგიდასთან მიიწვია.

მეცადინეობის დროს ბენიამინს მთელი გულისყური იქითკენ გადაეტანა, სადაც ვასილისა ეგულებოდა. ქალიშვილი ზოგჯერ მოჩვენებასავით გაიელვებდა, ოთახში დაუკითხავად შემოდიოდა, კარადასთან შეყოვნდებოდა, თითქოს რაღაცას ეძებდა და ისევ მოჩვენებასავით ქრებოდა.

მეცადინეობიდან წამოსულმა მოსწავლემ მაშინვე მაგულისთან დარეკა...

გასაიდუმლოებული ურთიერთობა მასწავლებლის ქალიშვილს თითქოს ართობდა, თავის თავში აღძრულ ცნობისმოყვარეობას უჩვეულო ინტერესით იკმაყოფილებდა და ვაჟს ისე ექცეოდა, როგორც მშობლის ორგულ მოსწავლეს — ღალატში თანამონაწილეობა და სახიფათო თამაშში ჩაბმა კი დამოუკიდებლობის შეგრძნებას ჰმატებდა.

ბოლო დროს ოთახში თვითნებურად შედიოდა, მაგიდას მიუჯდებოდა, მშობლის საყვედურებს არაფრად აგდებდა, მოსწავლეს კარ-

ნახის დაწერაში ეჯიბრებოდა და ცოდნისთვის შეუფერებელ შეცდომებს უშვებდა; ამ დროს ქალ-ვაჟის ფეხები ერთმანეთს ფარულად ეხებოდა, მოსწავლე ველარ აზროვნებდა, მასწავლებელს ულაზათოდ პასუხობდა და უნებლიედ მის გულისწყრომას იწვევდა; ვასილისას ეშმაკურად ეღიმებოდა, ვაჟის გამოთაყვანება ახალისებდა, თითქოს ნიშნს უგებდა და განგებ ავიწროებდა — დედის გრძნობებსაც სასაცილოდ იგდებდა.

ევგენია სტეფანოვნა ახალგაზრდა კაცს დაეჭვებით უთვალთვალებდა – ბედი არ გაუწყრეს და ევდოკიას კეთილგანწყობით არ ისარგებლოსო.

პატარა ამელიაც უნდობლობას გამოხატავდა, ბენიამინს მტრად მიიჩნევდა, ბებიისა და საკუთარი დედის უჩვეულო საქციელს ვერაფრით ხსნიდა, მათ იდუმალ ქიშპობას ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, თუმცა ყველაფერს გრძნობდა და ბავშვურ უკმაყოფილებას უფროსებისადმი დაუმორჩილებლობით ავლენდა; გოგონა ევდოკიას მოსწავლეში ბოროტ ძიას ხედავდა, ხოლო ევგენია სტეფანოვნა – საშიშ მამრს. ვაჟს ამ ორი არსების უარყოფითი დამოკიდებულება არაფრად მიაჩნდა, დაბრკოლებას ვერც ერთი შეუქმნიდა და ვერც – მეორე; გარყვნილებისგან დაზღვეულ ასაკს ანგარიშს არავინ გაუწევდა.

ევდოკია გიორგევნა თითქოს საშიშროებას გრძნობდა და გეგმას მოულოდნელად ცვლიდა, მოსწავლეს აუდიტორიაში იბარებდა, უჩვეულო ინტერესით აკვირდებოდა, ჩემთან განმარტოება ხომ არ ბეზრდებაო.

ასეთ დროს ვაჟი თავს სამოთხიდან გაძევებულად თვლიდა, თუმცა ჩვეული მონდომებით მეცადინეობდა და იმ სანატრელი წუთის დადგომას, როცა სამოთხის კარს კვლავ გაუღებდნენ, მოუთმენლად ელოდებოდა.

მასწავლებელი მის ალალმართლობაში მალევე რწმუნდებოდა და გულწრფელ სიყვარულს უმჟღავნებდა — არ იხირებდა და არც მის ცდუნებას ცდილობდა, გაღვივებული გრძნობის სიმძაფრეს მასზე ზრუნვით ანელებდა, მსხვერპლს იღებდა და მშობელივით უთანაგრძნობდა.

იმ დღეს აუდიტორიის კარი ვასილისამ შეაღო, ვაჟს მინიშნებით გაუღიმა, თითქოს გონს მოიყვანა, მისი უჩვეულო გამოჩენით ალანძულ მშობელს კი, დაქალთან ერთად კინოში მივდივარო, უცოდველივით აუწყა და მოსწავლეს თვალში ჩაუვარდა.

ევდოკიამ არაფერი შეიმჩნია, ქალიშვილს მხოლოდ ის უსაყვედურა, მოურჯულებელი ამელია სტეფანოვნას ანაბარა როგორ დატოვეო.

ბენიამინი ყველაფერს მიხვდა: ვასილისა ტექნიკუმში მის გამო მივიდა.

— შენ არ გინდა კინოში წასვლა?! – გამომცდელად იკითხა მასწავლებელმა.

— არა, მეცადინეობა მირჩევნია! – ნებისყოფის მოხმობით მიუგო მოსწავლემ და თვალებში ალალმართალივით მიაჩერდა.

ქალს ესიამოვნა.

ვაჟი შეგნებულად არ ჩქარობდა.

— ჩვენი მომდევნო შეხვედრა სახლში შედგება! – გადაჭრით თქვა გიორგევნამ და აუდიტორიიდან გავიდა. — ვიჩქაროთ, თორემ ამელია დედაჩემს ჭკუიდან შეშლის!

წვიმდა.

მოსწავლე და მასწავლებელი ქოლგის ქვეშ შეყუჟულიყვნენ და სახლისკენ მიიჩქაროდნენ. ქალი ბედნიერი ჩანდა და ამას ქუჩაში შემხვედრნიც ამჩნევდნენ.

ერთმანეთს გზაჯვარედინთან დაშორდნენ. ბენიამინმა კინოთეატრამდე სირბილით მიაღწია, ჩაბნელებულ დარბაზში ძლივს გაიკვლია გზა და გაფაციცებული მაყურებლის სახეები ნელ-ნელა გაარჩია – ვასილისას გვერდით თავისუფალი ადგილი დალანდა, სკამზე უხმოდ დაჯდა და სუნთქვა შეეკრა: ქალიშვილის სხეულის სიახლოვე პირველად შეიგრძნო.

ფილმი ისე დასრულდა, არც განძრეულა და არც სიტყვა დაცდენია.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. მის ერთადერთ იმედს კვლავ გიორგევნა წარმოადგენდა, მასთან ურთიერთობა ბეწვის ხიდივით უნდა გამოეყენებინა.

კოკისპირულად წვიმდა.

როგორც იქნა, გათენდა.

კარი ვასილისამ გაუღო, საყვედურნარევი მზერა შეავლო, მოგვიანებით დამირეკეო, უჩურჩულა.

ამ დროს სამზარეულოდან ამელია გამოვარდა, შოკოლადის კარაქით მოთხვრილი ტუჩები ენის წვერით გაილოკა, ბენიამინს ჯიქურ მიაჩერდა და დედის რისხვას მორჩილად დაელოდა.

ვასილისას შემწყნარებლურად ჩაეღიმა.

ვაჟმა მოგვიანებით დაურეკა.

— გიორგევნამ თქვა, ბენიამინი ბედნაცვალ ქალს არ შეირთავსო... მართლა?! – დაინტერესდა ვასილისა და ვიდრე მოულოდნელობისგან დაბნეული ვაჟი პასუხს გასცემდა, სიცილით დასძინა: — ისე, ჭკვიანი ყოფილხარ, სხვასთან ნაწოლი ქალი რა ჭირად გინდა!

— მე სხვაგვარად ვიცი, ვასილისა თავის ბედს მხოლოდ ბედნაცვალ კაცს დაუკავშირებსო! – გაკენწლა ვაჟმა.

— ეს გიორგევნას ახირებაა... მას საკუთარი მოსაზრება აქვს...

— ასეც ვფიქრობდი, შენთვის სიყვარულში შეზღუდვის მისაღები და მიუღებელი ფორმები არ არსებობს!

— მთავარია, მიყვარდეს...

— გეყვარება!

— ოჰო, რა თავდაჯერებაა!..

— ვნახოთ!

— არა მგონია! – ქალიშვილმა თითქოს კოვზი ნაცარში ჩაუგდო.

ვაჟმა შეხვედრა სთხოვა.
ქალიშვილი დათანხმდა.
პაემანი ბულვარში შედგა.
ცა მოღრუბლულიყო.
ზღვა ღელავდა.
ვასილისა მხიარულობდა, თვალმოკრულ ნაცნობებს შორიდან ესალმებოდა.
გაწვიმდა.
წყვილი, ვიდრე მთლად გაილუმპებოდა, მაღაზიის ფარდულს შეეფარა. ამ დროს ქუჩაში თეთრი "ჟიგული" გაჩერდა, ღია სარკმლიდან ახალგაზრდა კაცმა გამოიხედა და ვასილისას შინაურულად გამოსძახა: სიამოვნებით მოგემსახურები!.. გოგონა უხერხულმა შემოთავაზებამ არ დააბნია, მძღოლს უარის ნიშნად ხელი გაუქნია და ზრდილობიანად გაუღიმა, „ჩემი თაყვანისმცემელია!" გულუბრყვილოდ ჩაილაპარაკა და ბენიამინს განგებ მიეხუტა.
ვაჟი დაეჭვდა, ახალგაზრდა მძღოლის იდუმალმა გულისხმიერებამ მოსვენება დაუკარგა.
— რატომ მოიწყინე?! – ისე იკითხა თითქოს დანაშაულზე წაასწრეს.
— პირიქით, ჩინებულ გუნებაზე დავდექი! – არ გატყდა.
ვასილისა აილანძა.
— ვისაც ნამდვილად უყვარს, ეჭვს ვერსად გაექცევა! – გამომცდელად თქვა.
— საყვარელი ადამიანი ეჭვიანობით არ უნდა შეურაცხყო! – თავის მართლებით მიუგო ვაჟმა.
— გეთანხმები! – მოწონებით წამოიძახა გოგონამ, თითქოს ფარ-ხმალი დაყარა, ვაჟის მკლავს ძალუმად მიეტმასნა და მოჩვენებითი სიმშვიდით დასძინა: — სხვათა შორის, ის ვაჟბატონი ცოლიანია და როდის გაეყრება, ეშმაკმა უწყის!..
ბენიამინს გაეცინა – სხვა არაფერი დარჩენოდა.
მთელი ღამე ვასილისაზე ფიქრობდა.
გადაუღებლად წვიმდა.
მეორე დღეს მასწავლებელი მოწყენილი დაუხვდა — ნამტირალევიც ჩანდა, უპეები დასიებოდა.
ბენიამინი შეშფოთდა, ვასილისასთან შეხვედრის შესახებ ხომ არაფერი შეუტყვიაო – ქალს დაგეშილი მისჩერებოდა, თითქოს საბედისწერო განაჩენს ელოდა, «რა მოხდა?!" – რამდენჯერმე იკითხა.
მასწავლებელმა ხელი ჩაიქნია, ისეთი არაფერიო.
— ყავას ხომ დალევ? – თითქოს გამოსავალს მიაგნო, სამზარეულოში გავიდა.
ვაჟი საგონებელში ჩავარდა, ეგონა, ზრდილობიანად დაითხოვდნენ და სამოთხის კარს სამუდამოდ მიუხურავდნენ.
ყავიან ფინჯანს შერისხულივით დასჩერებოდა.
— ასეთი რა დააშავე?! – როგორც იქნა, დუმილი დაარღვია მასწავლებელმა და თვალებში ცრემლი აუციმციმდა.
მოსწავლეს თავგზა აებნა.
— რა დავაშავე?! – თითქოს საკუთარ თავს ჰკითხა და საკუთარ წარსულს შიშით გადაავლო თვალი.
— წუხელ ჩვენთან ვიღაც ქალმა დარეკა... არ იცით, ოჯახში ვინ შემოუშვითო... ავაზაკია, ყველაფრის მკადრებელიაო... გონს მოდით, თორემ ინანებთო... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა მასწავლებელი, აშკარად უმძიმდა, მოსწავლის გულის ტკენას ერიდებოდა, გაფაციცებული მისჩერებოდა. – გამოვლანძღე, შენი საქმე არ არის, ოჯახში ვის შემოვუშვებ-მეთქი და, სხვა დროს დარეკვა სასტიკად ავუკრძალე!.. – ევდოკიას ხმაში კატეგორიულობა დაეტყო, უეცრად იმ კრუხს დაემსგავსა, ქორის კლანჭებიდან დახსნილ წიწილს ქოთქოთით რომ გადაეფარება.
«ნეტავი ეს ამბავი ვასილისამ თუ იცის?" გაუელვა ბენიამინს და ბოროტ დედაკაცს გულით შეუკურთხა.
— ადამიანები ხშირად დაუნდობლები არიან... ვასილისაც შეწუხდა, დამარწმუნა, ვიღაც ღვარძლიანი დარეკავდაო... – თითქოს ბენიამინის გულისთქმას უპასუხა მასწავლებელმა.
— ევგენია სტეფანოვნაც აღშფოთდა, ვიგინდარას ტარტარს ყურს ნუ უგდებო... რა უნდათ შენგან?.. დღე-ღამეს ასწორებ, სწავლობ და მუშაობ, ნუთუ ეს შურთ?! – გიორგევნა თითქოს შეურაცხყოფილი მოსწავლის წინაშე თავს იმართლებდა. — იმ ქალის ხმაში ბოროტება ამოვიკითხე, ვშიშობ, რაიმე არ გავნოს!.. – დასძინა და ცრემლი მოიწმინდა.
ბენიამინმა შვებით ამოისუნთქა, თითქოს ხელმეორედ დაიბადა.
— ამქვეყნად საქმედალეულს რა გამოლევს! – უდარდელად თქვა და ხელი ჩაიქნია.
— ამაღამ ერთად ვივახშმოთ! – ქალმა უსიამოვნო საუბარი სასიამოვნო შეთავაზებით დაასრულა.
ეს უკვე მოსწავლის გამარჯვებას ნიშნავდა: მასწავლებლის ოჯახი სრულ ნდობას უცხადებდა.
იგი სამოთხიდან გაძევებას გადაურჩა — სიყვარულის ანგელოზმა დაიფარა და ჯოჯოხეთს აარიდა.
მალე ოთახში ევგენია სტეფანოვნა შემოვიდა, თითქოს არასასურველი ვითარების განმუხტვას მოუთმენლად ელოდა, ვაჟს თავზე ხელი გადაუსვა, შინაურულად მიუალერსა: «Наш порядочный Бениаминчик!» — და გულმოოხებით დამშვიდებულ ქალიშვილს მზრუნველი თვალით გახედა...

...ოტელო კარგა ხანი იკვეხნიდა, პიანინოზე დავუკრავ და საინტერესო კომპოზიციებს შევასრულებო. ბენიამინი უგულისყუროდ უსმენდა, ეტყობა, ესეც თავისებური ახირებააო. გიჟი კი მთავარ ექიმს კუდში დასდევდა, შე-

მოვლაზე მოიხელთებდა და გულს უწყალებდა, დარბაზი გამიღეთ, ახალი ნაწარმოები უნდა მოგასმენინოთო.

გიჟმა ბენიამინს პალატის კარი შეუღო და ამაყად გამოუცხადა:

— დღეს პიანინოზე დაკვრის ნება დამრთეს!..

ბენიამინი დარბაზის კუთხეში მოყუჩდა და ოტელოს ფაციფუცს ეჭვიანი მოლოდინით მიაჩერდა. განუხორციელებელი ნიჭითა და მუსიკალური ენერგიით დამუხტული გიჟი კლავიშებს უჩვეულო შთაგონებით დასცქეროდა, თითქოს მსმენელის ნერვებზე თამაშობდა – ბოლოს თითები გონს მოსულივით აამოძრავა და ირგვლივ სასიამოვნო ჟღერადობა მოეფინა, ჰანგები თანდათან მაღლა აიჭრა და ქარიშხალივით გაძლიერდა; მუსიკოსი, ვისი გამრუდებული ხერხემლის მალებიც თითოეული კლავიშის შერხევისას ციებიანივით თრთოდა, თითქოს ჯადოქრად იქცა და ნელ-ნელა ბგერათა სრბოლას აჰყვა; მისი დაკვარჩხული თითები კლავიშებზე ისე დახტოდნენ, როგორც მაიმუნები ტოტიდან — ტოტზე; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დემონები დაგეშილიყვნენ და ანგელოზებს უტევდნენ, ხან კიდევ პირიქით, ანგელოზები უმკლავდებოდნენ მძლავრ შემომტევებს და ჯოჯოხეთისკენ დევნიდნენ; ბოლოს, მუსიკის შთაგონებით გონარეულმა მაესტრომ თავი ასწია და ჭერს არაადამიანური აღტყინებით მიაჩერდა, თვალები ნება-ნება მილულა და თითქოს სიკვდილის აგონიას მიენდო – დარეტიანებულ ეშმაკს ჰგავდა, რომელიც აგერ-აგერ მოფხიზლდებოდა, მოჩვენებასავით გაქრებოდა და განუხორციელებელი სიყვარულის ტკივილს, არგანცდილი ნეტარების მომაკვდინებელ სურვილსა და კაცთა მოდგმისთვის მიუწვდომელ გრძნობათა საიდუმლოს თან წაიღებდა.

გიჟი მუსიკალურ ქაოსს ქმნიდა, სევდიანი ჟღერადობიდან მხიარულში თამამად გადადიოდა, პესიმისტური შეგრძნებიდან ოპტიმისტურში ბორიალებდა და ტალღისებურ სიამოვნებას განიცდიდა — ერთი უკიდურესობიდან მეორეში ყვინთავდა – თითქოს მის არსებაში კარგა ხნის მიძინებულ სიყვარულს გაეღვიძა, ვნება აბობოქრებულიყო და უკიდეგანო გასაქანს ეძებდა, მაგრამ ამ ზღვარგადასულ სრბოლაში გარდაუვალი მარცხის მოლოდინიც იგრძნობოდა, შემოქმედებითი წვა თანდათან მიინავლებოდა და შეუმჩნევლად ჩანაცრდებოდა — ოტელოს მოურიდებლად შეახსენებდნენ, გიჟი ხარ და გიჟურ მუსიკას ქმნიო; განწილებული მაესტრო კი საკუთარ სიმართლეში ვერავის დაარწმუნებდა, დამცინავად ჩაიქირქილებდა და ხელს ჩაიქნევდა — სიყვარულით გაგიჟების ნეტარება ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელიაო.

«ნუთუ ეს ოტელოა?!» – ფიქრობდა ბენიამინი და მის არსებაში რატომღაც მუსიკისადმი ინტერესი მისხალ-მისხალ იღვიძებდა.

— როგორი იყო? – თავის აწევით იკითხა ოტელომ და ბენიამინს შექების მოლოდინით მიაჩერდა.

— გიჟური! – «შესანიშნავიო" უნდოდა ეთქვა, თუმცა ქების საზღაურად გაუხსნელი სიგარეტის კოლოფი უწყალობა.

«სხვა დროს შენ დაგიკრავ, ჩემო საყვარელო!" — გიჟმა მოულოდნელად დერეფანში გაელვებულ მედდას წაუმღერა და კვიმატად ჩაიქირქილა...

...იმ ღამეს პიანინოზე ვასილისამაც დაუკრა – ნაზად და მგრძნობიარედ, თითქოს ბენიამინის გულის სიმებს აჟღერებდა, ჭეშმარიტ სიყვარულს უმღეროდა და მის გამოძახილს ნატრობდა.

ვაჟი გატრუნული უსმენდა. თითოეული აკორდი მის არსებას გულის შემატოკებლად აწყდებოდა და უჩვეულო წინათგრძნობით ავსებდა – აიმედებდა, ბედნიერების ილუზიას უქმნიდა: სატრფო მხოლოდ მისთვის მღეროდა, აქეზებდა და სიყვარულში იწვევდა.

მაგიდაზე კონიაკის ბოთლი იდგა. ვაჟს დათრობა სურდა, მაგრამ ევდოკია გიორგევნას ერიდებოდა — მას ხომ ალკოჰოლის მოყვარული მამაკაცები ჭირის დღესავით ეჯავრებოდა.

— არასოდეს გყვარებია?! – მოულოდნელად იკითხა ვასილისამ, პიანინოს გამოერიდა, მაგიდას მიუჯდა და ყავიანი ფინჯანი ტუჩთან მიიტანა, თითქოს ცბიერი ზრახვა დამალა.

მასწავლებელმა ქალიშვილს ალმაცერად გახედა.

— მეგონა, მიყვარდა, მაგრამ დავრწმუნდი, მწარედ ვცდებოდი! – გულწრფელი სინანულით მიუგო ვაჟმა და ისე ამოისუნთქა, თითქოს ღრმა წყლიდან ამოყვინთა.

— სიყვარულში იმედგაცრუება საშინელებაა! – გამომწვევად ჩაილაპარაკა ვასილისამ.

ევდოკია გიორგევნა იმ ქალის უპირატესობით დუმდა, ვინც სასურველი ადამიანის შესახებ სხვაზე მეტი იცოდა.

— ამიტომაც შეიყვარე მხოლოდ შენში და არა შენს საკეთილდღეოდ, აღიკვეთე სურვილები და ნუ ეცდები მის მორჯულებას! – უცებ სიჩუმე დაარღვია, თითქოს ქალიშვილს ნიშნი მოუგო.

ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილი ვასილისამ აიღო და ვიღაცას ვითარების შესაფერისად უპასუხა – თითქოს სიტყვები განგებ შენიღბა.

ევდოკია გიორგევნამ ქალიშვილს საყვედურით გახედა და ჩამოვარდნილი დუმილით აგრძნობინა, შეუფერებლად იქცევიო, «ვინ იყო?" — მაგიდასთან დაბრუნებულს თვალებით ჰკითხა და ტკბილეულის დაჭრა დაავალა.

გოგონას ყოყმანი დაეტყო, ვაჟს ფარულად გახედა, მერე გეტყვიო, ზერელედ ჩაილაპარაკა და ტკბილეულის დანაწილებას შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენიამინს ახლა ეჭვთან ერთად მტანჯველი ფიქრიც მოეძალა: «დედა-შვილი ერთმანეთს მშვენივრად უგებს, მათ შეთქმულებას ვერასოდეს გამოვამჟღავნებ და მუდამ გაბრიყვებული დავრჩები!"

ტკბილეულს პირი არ დააკარა, ვასილისას ნახელავი იყო და, მის თხოვნას, გასინჯე, გემრიელიაო, ყური არ ათხოვა.

ევდოკია გიორგევნამ «იმ ვიღაცის" ვინაობა აშკარად იცოდა და მოსწავლე სწორედ ამის გაფიქრებამ გაანაწყენა – თითქოს შურისძიებით განეწყო – მერე საკუთარ თავზე გაბრაზდა, დამამცირებელი თანაგრძნობით ვსარგებლობ და მოწყალებას გლახაკივით ველოდებიო; თუმცა სხვა გზა არ ჰქონდა, ჩუმად უნდა ყოფილიყო — მის პატიოსნებაში ეჭვი არავის შეეტანა, თორემ ნდობას დაკარგავდა; არადა, მასწავლებლის მზრუნველობა და მისი მომაბეზრებელი თაყვანისცემა სიხარულს ვერ ანიჭებდა – ყველაფერს ვასილისას გამო ითმენდა.

მოგვიანებით პიანინოს მიუახლოვდა, კლავიშებს დააჩერდა, თითქოს რაღაცა გაიხსენა, მერე დაჯდა და სევდიანი მელოდია დაუკრა.

ვასილისას ორი დღის შემდეგ დაუკავშირდა. ქალიშვილს გაუხარდა, სად დაიკარგეო, უსაყვედურა და ბოლოს, ამ დღეებში შეგხვდებიო, დაპირდა.

ახალი წელი ახლოვდებოდა.

გადაუღებლად წვიმდა, თოვლ-ჭყაპს ურევდა.

ვასილისას ახალი წლის ღამე თანაკლასელებთან ერთად უნდა გაეტარებინა; ბენიამინს მისამართი გამოართვა და წინდანინ შეუთანხმდა, თუ ქალაქში დარჩები, წვეულების შემდეგ გესტუმრებიო.

ვაჟმა სოფელში გამგზავრება მაშინვე გადაიფიქრა.

ნაქირავები ბინის წინ სპორტული სკოლის შენობა იდგა. ვაჟი სკოლის დარაჯს კარგად იცნობდა — რაღაცით ბაბუა მელქისედეკს აგონებდა – სამუშაოდან გვიან ღამით დაბრუნებული, მოხუცს ჯიხურში აკითხავდა, ხან მის სიგარეტს ეწეოდა, ხანაც თავისას სთავაზობდა – ტელეფონითაც სარგებლობდა და ვასილისას საათობით ესაუბრებოდა.

— ახალ წელს, ალბათ, სოფელში შეხვდები! – უთხრა ბერიკაცმა და სიგარეტი გაუწოდა.

— არა, ქალაქში ვრჩები!

დარაჯს გაუკვირდა, წარბები მოჭმუხნა და ბებრულად ჩაიქირქილა.

— ბედი არ გინდა, მორიგეობა სწორედ იმ ღამით მიწევს! – სინანულით ჩაილაპარაკა, მერე თითქოს სასიამოვნო რამ გაახსენდა და ღიმილით დასძინა: – მოდი, ახალ წელს ერთად შევეგებოთ!..

ბენიამინს მოხუცის შემოთავაზებამ თითქოს გონება გაუხსნა: ვასილისას თავის ვიწრო და ღარიბულ ბინაში ვერაფრით შეიპატიჟებდა, ასეც რომ მოქცეულიყო, დიასახლისი გაუგებდა და ქუჩაში გამოაგდებდა — ზაქარიას ჯიხურში კი სითბოც იყო და ტელევიზორიც.

— ახალ წელს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად მოილხინე, შენს მოვალეობას მე შევასრულებ!.. – ბიჭმა თითქოს ახალი რამ აღმოაჩინა.

ზაქარიამ შუბლი შეჭმუხნა.

— მაგას როგორ გაკადრებ! – შეწუხდა.

— არ მენდობი?! – ბენიამინმა განგებ გამოიწვია.

— რას ამბობ, ღმერთო, ნუ მომკალი! – დაიბნა მოხუცი.

— ღამისთევას ნაჩვევი ვარ, აქ ტელევიზორი მაინც არის, საახალწლო გადაცემებით გავერთობი! – დამამშვიდებლად მიუგო ვაჟმა და დადუმებულ ტელევიზორს გახედა.

— თუ მაგ სიკეთეს მიზამ, მადლიერი დაგრჩები! – ყოყმანი დასძლია ზაქარიამ.

ევდოკია გიორგევნამ დანამდვილებით იცოდა, მისი მოსწავლე ახალი წლის ღამეს მშობლებთან გაატარებდა, თორემ თავისთან მიიწვევდა და საახალწლო სუფრით გაუმასპინძლდებოდა.

თორმეტი საათი შესრულდა, ძველი წელი წარსულს ჩაბარდა, დაბინდული ცა საზეიმო ქუხილმა და ფეიერვერკმა გააკაშკაშა – ადამიანები ხარობდნენ და ახალი წლის მობრძანებას ლოცავდნენ.

ბენიამინი ფანჯარასთან ატუზულიყო და ვასილისას გამოჩენას ელოდა.

მაგიდაზე შამპანურის ბოთლი ერთგულ ჯარისკაცივით იდგა.

ღამის ორი საათი გახდა.

ქუჩაში ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

ვასილისა არსად ჩანდა.

ბენიამინს ნერვებთან ერთად ფეხებიც დააწყდა.

მალე წამოთოვა, მინა ალაგ-ალაგ დაპენტა.

ვაჟს იმედი გადაეწურა, ყელში ბოღმა ბურთივით მოაწვა, უნებლიედ «ჟიგულის" მძღოლი გაახსენდა და ვასილისა მასთან ერთად წარმოიდგინა – ეჭვმა შეიპყრო.

სარკმელს გაეცალა, ტელევიზორი გამორთო და დივანზე ზაქარიასავით მიწვა; ამ დროს ქუჩიდან მანქანის ხმა მოესმა, «ვასილისა!" — შინაგანმა ხმამ გამოაფხიზლა და გარეთ გავარდა.

— არ მელოდი?! – ვაჟს სახეში კონიაკის სუნი ეცა. – მცივა! – კბილების კანკანით დასძინა ქალმა და ქურქის საყელოში შეიყუჟა.

ბენიამინს წყენა და ეჭვი მსწრაფლ გაუქარწყლდა.

ვასილისა უცოდველივით იღიმებოდა.

წყვილი ჯიხურში შევიდა. ვაჟმა შუქის ანთება დააპირა. ასე მირჩევნიაო, არ დაანება ქალმა და კედელს მიეყრდნო – ქვედა ტუჩი ვნე-

ბის აღმძვრელად ჩამოუშვა, მერე შამპანურის ბოთლი შენიშნა და მხიარულნარევი სინანულით ჩაილაპარაკა: — ეს რომ მცოდნოდა, წვეულებას ადრე მივატოვებდი! – ვაჟს მიუბრუნდა, უჩვეულო გზნებით დააკვირდა, ისე, როგორც, მტაცებელი ცხოველი აკვირდება მასზე ძლიერ მტაცებელს, მერე ნაბიჯი წადგა, ოდნავ წაბორძიკდა, ვიდრე წონასწორობას აღიდგენდა, ვაჟმა ხელი შეაშველა, მიიზიდა და მოზღვავებული ვნებისგან ათრთოლებულ ტუჩებში აკოცა, თავბრუდამხვევი სისველე იგრძნო, თითქოს გამოფხიზლდა, მიაყურადა, ქალის სხეული ხომ არ მეჯიუტებაო — რაკი ეტმასნებოდა და მისი სურვილით ხურდა, ჯერ კედელთან მიიმწყვდია, მერე მაგიდაზე გადააწვინა და ძალუმად დაეკონა, დაგრილულ ტუჩებიდან თითქოს დამათრობელი სინოტივე შეისრუტა, ბოლოს ქურქი გადაუღეღა, გულისპირი გაუხსნა და ალმაცერად დაკერტილ ძუძუსთავებს ხარბად დაეწაფა, აქაც დამათრობელი არომატი იგრძნო და სითბო შენარჩუნებულმა სიშიშვლემ გონება თანდათან დაუბინდა.

ვასილისა თევზივით სხმარტალებდა, დაოკებით კვნესოდა, მოძალებულ ვნებას უმწეოდ ებრძოდა, მთანგავ აღტყინებას თავს ვერ აღწევდა, წაწლობდა და სურვილით გამძაფრებულ ბადეში ეხვეოდა; ამ დროს შამპანურის ბოთლი იატაკზე დაგორდა, წყვილი წამიერად გამოფხიზლდა და ახლებურად გახელდა, ვნების ქარცეცხლში გადაეშვა; ვაჟი ქვეცნობიერად ქალის ბოლომდე გაშიშვლების სურვილს შეეპყრო, ქვედაწელში ხელს უფათურებდა და სიფრიფანა საცვალს ფაქიზად ქაჩავდა.

ქალი თითქოს გონს მოეგო, შეტოკდა, აღმგზნები შემოტევა ვაჟის ტუჩებზე თითების შეხებით დააოკა და ამღვრეულ თვალებს მშვიდი მზერით ანიშნა: ეს არ ჩაიდინოო.

ბენიამინი მის ნებას დაემორჩილა.

გზაჯვარედინამდე ხმა არ გაუღიათ, თითქმის თავზე დაათენდათ.

ქალის ტუჩების გემო და სხეულის სურნელი ვნებით დაქანცულ ვაჟს საწოლშიც ჩაჰყვა, ასე მშვიდად და ბედნიერად არასოდეს ჩასძინებია...

...ბაბუა მელქისედეკი ხშირად ამბობდა: ჩვენს ჯილაგს ქალი გადაარჩენს და ქალივე დაღუპავსო!.. მამაკაცს შიშველ ხმალს ადარებდა, დედაკაცს – ქარქაშს; როცა ხმალი ქარქაშში ჩაეგება, მაშინ სიკვდილი აილაგმება და სიცოცხლე განახლდებაო. მეფის რუსეთის ყოფილი ოფიცერი უქარქაშო ხმალს სიკვდილის სიმბოლოდ თვლიდა — ეშმაკს მუდამ მახვილშემართული ვებრძოდი და ბოლოს სიმშვიდის ნაცვლად მარტოობა დამებედაო.

იმ დროს კედელზე უქარქაშო ხმალი ეკიდა...

...ოტელომ ბენიამინი ფიქრებიდან გამოიყვანა, კარი შეუღო და დამაინტრიგებლად აუწყა:

— ბატონო ბენიამინ, ჩვენი ზორბა სანიტარი, მცხეთელი ვანუა, განყოფილების დამლაგებელთან, ბოზანდარა მადონასთან მრუშობს! – წარბები უჩვეულოდ აძგიბა, ალმაცერად გახედა და მის გამომეტყველებაში გულგრილობა რომ ამოიკითხა, გამძაფრებული დამაჯერებლობით განაგრძო: — მაგის დედა, ნათელია დამლაგებელიც ძუკნა იყო, კარისკაცებს უწვებოდა, ახლა ქალიშვილთან ერთად მორიგეობს და ვანოსთან კვანწიობაში ხელს უწყობს, სიძეს თვალში ნაცარს აყრის, არაფერზე ინაღვლო, შენი ცოლი კალთაზე მყავს გამობმულიო; ერთორ ავადმყოფს ხურდით ქრთამავს და სააბაზანოს აწმენდინებს, მის ქალიშვილს, გარყვნილების დროს უკანალი არ დაესვაროს; მერე იმ გიჟებს დერეფანსაც ახეხინებს, მის გოგოს კი მცხეთელი ვანუა ხეხავს... – გიჟმა ბოროტად ჩაიხითხითა. – ბოზები, ქვეყანა ბოზებით აივსო, მსოფლიოს ბოზები მართავენ, ბოზები, ბოზები!.. – ხელები მაღლა აღაპყრო, უაზროდ აყვირდა და ხტუნვას მოჰყვა.

«ხმალი ქარქაშში უნდა ჩაეგოს!" — უნდოდა ეთქვა ბენიამინს. — ჭორიკანა კაცი ხარ, ოტელო! – გაკიცხა, იქნებ თავიდან მოვიშოროო.

— მე, ბევრი საიდუმლო ვიცი, ისიც კი, ჩვენი მთავარი ექიმის ახლანდელი ქმარი რატომ გაეყარა პირველ ცოლს!.. – გიჟმა ხტუნვა შეწყვიტა და ბენიამინს გამორჩენის მიზნით მიაჩერდა, მომეცი რამე და ახლავე გაგეცლებიო.

— აიღე სიგარეტი და აქედან მოუსვი!

— პური?! – მაგიდისკენ ხარბი მზერა გაექცა.

— პურიც!

— ღმერთმა გიშველოს! – ოტელომ გულით დალოცა კეთილი მწყალობელი და იქაურობას გაეცალა. — ბოზები, ბოზები! – დერეფანში ამოჩემებით გაიძახოდა.

ოტელოს ამქვეყნად სადარდებელი არაფერი ჰქონდა, ჩვენ, გიჟებს, ღმერთი გვიფარავს და სამოთხე განაღდებული გვაქვსო, ამტკიცებდა; საკუთარ გრძნობებში ვერ ერკვეოდა, ვერც შინაგანი შესაძლებლობების რეალიზებას ახდენდა, სხვათა ჭვრეტით იყო დაკავებული და მარტო უხამსობას ხედავდა, მაშინვე ხმაურს ტეხდა, თუმცა ყურს არავინ უგდებდა.

ბენიამინი ფანჯარასთან იდგა და რეაბილიტაციის ცენტრიდან გამოსულ პაციენტებს აკვირდებოდა. ამ დროს ხეებს შორის პირბადიანი ქალი შენიშნა, რომელიც მონაზონივით მიიჩქაროდა, ზოგჯერ ნაბიჯს ანელებდა, საგულდაგულოდ გასხლულ ბუჩქებს ხელისგულით ეხებოდა და რაღაცას ბუტბუტებდა – თითქოს ლოცულობდა.

უცნობი ქალი მიხრა-მოხრით ვასილისას ჰგავდა...

...ბენიამინი შეყვარებულს ახალი წლის ღამის შემდეგ ვერაფრით დაუკავშირდა.

ევდოკია გიორგევნამ ორი კვირით დაითხ-

ოვა და სახლში ვერაფრით მიაკითხავდა.

მაგულისთან რამდენჯერმე დარეკა, ვასილისა იკითხა, პასუხი კი ერთნაირი მი-იღო: „გიორგევნასთან ერთად ნათესავებში დადის და სალაპარაკოდაც ვეღარ ვნახულობ!"

ბენიამინი ნერვიულობდა, ვასილისა ოჯახურივითარებით სარგებლობს და თანატოლებთან ერთობაო — ჯიხურში გატარებული წუთები სიზმარივით მიივიწყაო.

ბოლოს, როგორც იქნა, ყურმილში მისი ხმა გაიგონა, უმალვე დაცხრა და პატარა ბიჭივით გახალისდა.

— რომ არ გნახო, გავგიჟდები! – უნებლიედ ამოთქვა.

ქალ-ვაჟი მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდა.

— ხვალ დედაჩემს არ გავყვები, ამელიას კი მეგობარ გოგოსთან დავტოვებ, თუმცა შებინდებამდე უნდა მოვიკითხო! – უთხრა ვასილისამ და მრავლისმეტყველად გაუღიმა.

ბენიამინი მოულოდნელმა სიურპრიზმა საგონებელში ჩააგდო, შეყვარებული სად უნდა წაეყვანა, ამაზე არასდროს უფიქრია; ბოლოს ნათესავის ბინა გაახსენდა, დღისით აივნიდან ვერ გადაძვრებოდა, თადარიგი უმალვე უნდა დაეჭირა.

ქალაქგარეთ წავიდა.

ბინაში საშინლად ციოდა.

დივანზე ჩამოჯდა, ტატასთან გატარებული წუთები გაახსენდა — შეცბა, სინდისის ქენჯნა იგრძნო, ვასილისას სხეულს სწორედ იმ სარეცელზე უნდა დაუფლებოდა, სადაც გაუნელებელი ტკივილი იწვნია.

შეცივდა, საბანში გაეხვია და გარიჟრაჟს დაელოდა.

ვასილისას დათქმულ დროს შეხვდა.

წყვილი გაყინულ ბინაში შევიდა.

გოგონას უსიამოდ გააჟრჟოლა, ქურქში მოხერხებულად გაეხვია.

ვაჟი მიუახლოვდა, აკანკალებული ტუჩები ფრთხილად მოუძებნა და ხარბად დაეწაფა – ცეცხლი შემოენთო, შინაგანი სიმხურვალის გამოძახილი მდედრისგანაც იგრძნო და მის ნაკვთებს აღტყინებით მიეტანა.

ქალი მსუბუქად გაერიდა, ქურქი გაიხადა, კაბიდან უჩვეულო სისხარტით ამოაძვრინა ქათქათა ტანი და თხელი საცვლის ამარა საწოლთან შედგა — ვნებიანად აკანკალდა.

ვაჟი მოჯადოებული მისჩერებოდა, მსგავსი მშვენიერება არასოდეს ენახა, თავი სიზმარში ეგონა, დაუჯერებლობის მბორკავ რიდს შეეპყრო – თითქოს მორალური უფლება წართმეოდა: ქალი თუ გულწრფელად არ უყვარდა, მის სხეულს არ უნდა მიკარებოდა.

ვასილისა ენდობოდა და სიყვარულზე თანხმდებოდა.

როცა მისი არაჩვეულებრივი ტანი საბნის ქვეშ შეიმალა, ოთახს თითქოს სიბნელე მოეძალა და ირგვლივ გაუსაძლისმა სიცივემ დაისადგურა.

ვაჟი სასურველ არსებას ცახცახით მიეტმასნა — ჩაეკრა, მის გახშირებულ სუნთქვას სულის შეხუთვამდე შეენივთა.

ქალი მამრის მკლავებში იგრიხებოდა, მორჩილებდა და თავდავიწყებას ეძლეოდა, დროდადრო უცოდველივით კვნესოდა, თითქოს მისი სხეული ნელ-ნელა ორ ნაწილად იპობოდა და ეს ნებაყოფლობითი მსხვერპლშეწირვა გიჟურ სიამოვნებას ანიჭებდა.

ვაჟმა, ვიდრე გონებას მიწიერი ნეტარებით მოადუნებდა, წამიერი გააზრება მოასწრო: განცდა, რომელსაც დაუოკებელი ვნებით ეზიარებოდა, მისთვის მუდმივ და ფარულ ტკივილად იქცეოდა.

გახელებული სხეულები ბოლოს ზამბარასავით დაიჭიმა, სუნთქვა გახშირდა და საკუთარი გრძნობებიდან თავდაღწევის უჩვეულო ოხვრა გაისმა – თითქოს ორი განსხვავებული სქესიდან ვნებასთან გამიჯვნის სინანულმა ლავასავით ამოხეთქა და სასიამოვნო მოდუნების ჰარმონია დაამყარა: გულის სიღრმიდან შეკავებული გრძნობა ძალუმად გადმოიღვარა და მამრს მოვარდნილ კივილივით აღმოხდა: „მიყვარხარ, მიყვარხარ, სიგიჟემდე მიყვარხარ!"

ვასილისას ცისფერ თვალებს კი ვნების ლიბრი გადაეფარა — სხეული სპირალივით შეუტოკდა და მშობიარე ქალის კვნესასთან ერთად მისმა საშომ წებოვანი სისველე გამოყო — მამრის ნაყოფი მაძღრად შეიწოვა.

დაბინდებამდე ერთმანეთის ალერსში გააატარეს.

მერე მანქანა ქალაქისკენ მიქროდა.

ვასილისას ქურქი და სხეული ვაჟს ათბობდა, იმ მოსალოდნელ სიყვარულს აგრძნობინებდა, რისთვისაც სიცოცხლესაც დათმობდა.

ერთმანეთს გზაჯვარედინთან დაშორდნენ; ვიდრე ვასილისა ქუჩას გადაკვეთდა, ამ დროს „თეთრმა ჟიგულმა" ნელი სვლით ჩაიარა, მძღოლმა ღია სარკმლიდან თავი გამოყო და მისკენ მოიხედა, თითქოს რაღაც ანიშნა.

ბენიამინი აფორიაქდა და მაშინვე ზაქარიას ჯიხურს მიაშურა. მოხუცი ტელევიზორს უყურებდა; ვაჟი უხალისოდ გამოელაპარაკა და ტელეფონს მიუახლოვდა, დარეკა — ყურმილი ევგენია სტეფანოვნამ აიღო — უცხო ხმით ვასილისა იკითხა, ამ დროს პატარა ამელიას სიცილი მოესმა, ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ, დედაკაცმა, ვასილისას შინ არყოფნის შესახებ რომ აუწყა, ტუჩი მოიკვნიტა და ყურმილი ცივად დაკიდა.

ბერიკაცმა ალმაცერად გახედა, — ვნება ეშმაკს ჰგავს, შემოგიჩნდება და მოსვენებას დაგაკარგვინებს! – ნაცადი კაცის ღიმილით ჩაილაპარაკა და წარსული ისე გაიხსენა, გუნებაწამხდარი ვაჟისთვის არც უკითხავს, აინტერესებდა თუ არა; მის არსებას თითქოს ეშმა მართავდა და თავის ნებაზე ალაპარაკებდა:

— მთაში ვცხოვრობდით, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, მაშინ ცამეტი წლის ვიყავი, სამი უფროსი ძმა მყავდა, მამაჩემი ფრონტზე გაიწვიეს, თუმცა ჩვენს ოჯახს უკაცობა არ დატყობია... – მოხუცმა სიგარეტს მოუკიდა და დივანზე მოხერხებულად მიწვა. – დედაჩემს, ოცდაორი წლის უმცროსი და, ნადეჟდა, კახეთში ჰყავდა გათხოვილი; დები დედით ერთნი იყვნენ, მამით – სხვადასხვა; ნადეჟდამ ქმარი ფრონტზე ისე გაისტუმრა, დაორსულებაც ვერ მოასწრო; ხელმარტოდ დარჩენილი ქალი ოჯახის საქმეს ვერ აუვიდა, გაუჭირდა და სოფელში ამოგვაკითხა, უმცროსი ბიჭი გამატანეო, დას შეევედრა. დედაჩემმა ცოცხლად გამომიტირა, ბოლოს მაინც შემელია და დეიდაჩემს კახეთში გამაყოლა. ისეთ ასაკში ვიყავი, როცა ჩემი ტოლი ბიჭები ფაშატს როჩოში ჩააყენებდნენ და, საშოსთვის გემო რომ გაესინჯათ, უკნიდან უქაქუნებდნენ. ნადეჟდა ხორცსავსე, მიმზიდველი ქალი იყო – როცა ტანს მბანდა, ასოს ბარძაყებს შორის ვმალავდი, ვარცლში თავით ვემხობოდი, აღგზნება არ შემეტყოს-მეთქი. ქალი სიცილით კვდებოდა და ჩემ გარშემო კაბაკაპინებული დაფაცურებდა. დეიდას დედის სუნი უდისო, ხომ გაგიგია?.. მაგრამ მთლად მასეც არ ყოფილა!.. – ბერიკაცს, „მთლად მასეც რომ არ ყოფილა", ამის ახსნა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა და იდუმალი ღიმილით განაგრძო: — ყოველ პარასკევს თბილისის საკოლმეურნეო ბაზარში მეზობელ ქალთან ერთად დავდიოდით, სოფლის ჭირნახული ჩაგვქონდა და კაპიკებში ვყიდდით; მაშიკოს ქმარიც ფრონტზე იბრძოდა და ისიც ნადეჟდასავით ხორცსავსე იყო – ჯიშიანი ძუძუები და ათქვირებული თეძოები ჰქონდა; როცა ფიცრულში ტანს იბანდა, ღობეზე გადავძვრებოდი, საღვარეში ჩავდგებოდი და ჭუჭრუტანიდან ვუთვალთვალებდი, ყმაწვილბიჭურ აღგზნებას ხელცქვიტობით ვიოკებდი. მაშიკო ყველაფერს ხვდებოდა, ფეხებს დაურიდებლად გაჩაჩხავდა და ვნების აღმძვრელი ბარძაყების ცქერით მატკბობდა. უქმროდ დარჩენილ ქალებს ქუჩაში ერთგულ მცველივით დავყვებოდი, თვალდაპრანწულ მამაკაცებს გაბედულად ვუბღვერდი. ახალი წელი ახლოვდებოდა, ბაზარში ცხვირს ვერ შეყოფდი, დახლები სოფლის ჭირნახულით გადახუნძლულიყო, მოვაჭრეები მტკაველი ადგილისთვის ერთმანეთს ხოცავდნენ. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ნადეჟდა და მაშიკო უმოქმედოდ იდგნენ, ატირებამდე არაფერი აკლდათ: გზის ხარჯის ზარალს ვინღა ჩიოდა, აღარც კაპიკი გვქონდა და არც — ღამის გასათევი. ამ დროს ბაზრის ზორბა, ულვაშიანი მილიციელი მოგვიახლოვდა და ზარბაზანივით დაიბუხუნა, რა გაგჭირვებიათო და, დეიდაჩემი ავხორცულად შეათვალიერა. ქალებმა ერთხმად შესჩივლეს, ადგილი ვერ ვიშოვეთო და, მხსნელად მოვლენილს სასოებით მიაჩერდნენ. მილიციელმა ბაზრის მოხერხებულ და სარფიან ადგილას დახლი გამოგვიყო, ვაჭრობას რომ მორჩებით, მერე ღამის გასათევსაც გაგიხერხებთო. ნადეჟდა და მაშიკო ღვთისნიერ მილიციელს დაღამებამდე ლოცავდნენ. მე კი ხმას არ ვიღებდი, მილიციელს არ ვენდობოდი, მისი ხარივით აწრიალებული თვალები, დეიდაჩემის მკერდსა და თეძოებზე ავხორცული ზრახვით რომ დატორღიალობდა, გონებიდან არ მშორდებოდა. ამასობაში ჩამობნელდა, მყიდველი თანდათან გამეჩხრდა, მოვაჭრენიც მილაგ-მოლაგდნენ და, ჩვენი მხსნელი მილიციელიც გამოგვეცხადა, გასაყიდად დარჩენილი ჭირნახული ბაზრის საწყობში შეგვანახინა, წინ გაგვიძღვა და ჩაბნელებული ქუჩით ერთ ვიწრო ბინაში მიგვიყვანა, მოხალვათდითო, ღიმილით გვითხრა, ულვაში აიპრიხა და სადღაც წავიდა. პატარა ოთახში მორყეული მაგიდა და ორი დაშორიშორებული საწოლი იდგა. გავიხადე და დეიდაჩემს ფეხებში შევუწექი, მაშოსკენ ქურდივით გავაპარე თვალი, ღამისეულ ბინდბუნდში, მისი ქათქათა ბარძაყები რომ დამელანდა; ყმაწვილბიჭურ ოცნებასთან ერთად მალე რულიც მომეკიდა და მკვდარივით ჩამეძინა; შუაღამე იქნებოდა, ზორბა მილიციელის ბუხუნმა და გვერდში წაკრულმა მუჯლუგუნმა გამომაღვიძა. კაცი საცვლისამარა იდგა და ჩემს მოფხიზლებას ელოდა. შევშინდი და დეიდაჩემის ფეხებს მოვეხვიე. „ადექი, ბიჭო, იქით გადაწექი!" მიბრძანა მილიციელმა, ქეჩოში მწვდა და მაშოსკენ ბურთივით მისროლა, თვითონ დეიდაჩემს შეუგორდა და მის ფეხებს ახლა ის დაეპატრონა. მაშიკომ შიშით გადმომიჩურჩულა, შემოწექიო და საბნის კიდე წამოსწია. მეც ქალის ფეხებს მივეტმასნე და ტანში უჩვეულო ჟრუანტელმა დამიარა. ამ დროს დეიდაჩემის საწოლი საეჭვოდ აჭრაჭუნდა, ოთახში ლომისებური ქშენა და უმწეო კვნესა გაისმა, მთელი სხეული ერთ კუნთად მექცა; უცებ ჭრაჭუნი შეწყდა, მილიციელმა მოგვაყურადა, „ბიჭო, ახლავე შეაღოღდი მაგ ქალს და საქმეს შეუდექით, თორემ ორივეს ქუჩაში გაგყრით!" დაგვემუქრა და ისევ მოგვაყურადა, ნათქვამი თუ შეისმინეს. მაშიკოს ფეხის ნაკვრამ გამომაფხიზლა, მოდი, ზაქარია!" უჩვეულო გზნებით გადმომიჩურჩულა და ბარძაყები ნებიერად გადამიშალა. – ბერიკაცმა მორიგ სიგარეტს მოუკიდა, მშვიდად გააბოლა, მსმენელისთვის არ შეუხედავს, წარუშლელი შთაბეჭდილებით განაგრძო: — მუდამ მადლიერი ვარ იმ ახმახი მილიციელის, ქალის გემო პირველად იმან გამასინჯინა. საწოლების ჭრაჭუნი დილამდე არ შეწყვეტილა, თითქოს ერთმანეთს ვეჯიბრებოდით და ვნებისგან დამშეულები ხარბად ვნაყრდებოდით. „მაგარი ოყრაყი ყოფილხარ!" დილით ქება შემასხა მილიციელმა, ულვაში დაიგრიხა და ჩექმების ბრახუნით ბაზრისკენ გაუყვა. – დარაჯმა ბენიამინს სინანულნარევი ღიმილით გახედა, თითქოს აწონ-დაწონა, დანარჩენის გამხელა თუ ღირსო. – დეიდაჩემი მას შემდეგ ცივ ნიავს არ მაკარებდა, ოღონდაც ნამუსი შემენახა და უშოვარს გამიჩენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშიკო კი ყოველღამ ტკბილეულით მიმასპინძლდებოდა, უკაცობა ომის დასრულებამდე არ დატყობია, გამუდმებით გადაჩაჩხულ ფეხებს შორის ვედექი და თავგამოდებით ვუქაქუნებდი. დეიდაჩემი თვეში ერთხელ თბილისის ბაზარში დადიოდა და იქიდან თვალდაწმენდილი ბრუნდებოდა. ვნება საიდუმლოებაა და მას მალვა უყვარს; ვნება იმად არის მოუთოკავი და სიგიჟემდე სასურველი, ცოდვის სიტკბოს რომ ატარებს... ახლა ის ქალები ამქვეყნად აღარ არიან, დარჩენილი სიცოცხლე ფრონტიდან დაბრუნებულ ქმრებთან ერთად გაატარეს და მოპარული ვნების საიდუმლო სამარეში წაიღეს! – მოხუცმა თხრობა დაასრულა, სევდიანად ჩაფიქრდა, თითქოს ის განუმეორებელი წუთები გამოიტირა, ოდესღაც კახელ მაშიკოსთან რომ განიცადა.

«ნეტავ პაპაჩემს თუ ჰქონდა მსგავსი საიდუმლო?!" – გაიფიქრა ბენიამინმა და ისევ ტელეფონს მიუბრუნდა, დარეკა, ვასილისამ უპასუხა, რადგან შინ დაიგულა, ხმა აღარ გასცა და ყურმილი უხმოდ დაკიდა.

ზაქარიამ ვაჟს დომინოს თამაში შესთავაზა, მაგრამ მის გამომეტყველებაში უარი ამოიკითხა და გაწბილებულივით დადუმდა.

ბენიამინმა ის ღამე მოუსვენრად გაატარა.

— გუშინ სად იყავი?! – ხმაში მღელვარება დაეტყო.

— სად ვიყავი და შენთან! – ვასილისამ ნიშნის მომგებად უპასუხა.

— როგორ, ჩემთან?!

ყურმილში დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა.

— შენს შემდეგ სად უნდა წავსულიყავი?! – ქალმა ახლა ირონიული სინანულით ჩაიქირქილა.

«სადღაც მაინც იყო!" ვაჟს ჯიუტად გაუელვა თავში და მოთმინება დაკარგა.

— არ გიყვარვარ! – საყვედური დასცდა.

— მაგისთვის დამირეკე?! – ხმაში წყენა გაერია.

ბენიამინი მიხვდა, წაკინკლავება არაფერს არგებდა და დაყვავება არჩია.

— მომენატრე და შენი ხმის გაგონება მომინდა! – დაფარული მღელვარებით მიუგო.

— მოგენატრე თუ იეჭვიანე?! – ქალმა ალერსიანი გამოწვევით ჰკითხა, თითქოს ეჭვიანობა მონატრებისთვის აპატია.

— მომენატრე, მომენატრე, მაგრამ მაინც სად გაძვერი? – მაინც იეჭვიანა ვაჟმა.

— დედაჩემს მივაკითხე და შინ ერთად დავბრუნდით! – ქალმა სიმართლე აღარ დამალა.

ბენიამინი თითქოს დამშვიდდა.

ევდოკია გიორგევნასთან მეცადინეობა ჩვეულებრივად განახლდა.

მასწავლებელი და მოსწავლე ერთმანეთს ზოგჯერ აუდიტორიაში ხვდებოდნენ — მართალია, საგრძნობლად ციოდა, მაგრამ ქალი ასეთ პირობებში თავს ლაღად გრძნობდა, ვაჟს კი ერთი სული ჰქონდა, სამეცადინოდ სახლში სწვეოდა.

ვასილისას შესახებ ბენიამინი არაფერს კითხულობდა, თუმცა მათი ოჯახის ახლობლებით ინტერესს ყოველთვის გამოხატავდა და, უნებლიედ, მისთვის საჭირო ინფორმაციას იგებდა.

— ახალი წლის დღეები მეგობარი ქალის, ლონდას გარემოცვაში გავატარეთ, რომელიც ჩემთანაც ახლობლობს და ვასილისასთანაც! – ღიმილით აღნიშნა მასწავლებელმა, ამითითქოს ასაკობრივი სხვაობის უმნიშვნელობას გაუსვა ხაზი: ახალგაზრდებსაც ეწყობოდა და ხანშესულებსაც. — ლონდა ბრწყინვალე ქალია, მაგრამ... — სახეზე ყოყმანი დაეტყო, უკმაყოფილოდ გააქნია თავი, მოსწავლეს დააკვირდა, გავუმხილო თუ არა საჩოთირო ამბავიო და, მინდობილად განაგრძო: — მისი პირადი ცხოვრების წესი არ მომწონს: ქმარიც ჰყავს და საყვარელი მამაკაციც, ცეცხლს ეთამაშება, ოჯახის კეთილდღეობას სასწორზე დებს, მართალია, იმ კაცს გულწრფელად უყვარს, პატივსაც სცემს, მაგრამ ჩემთვის ასეთი ურთიერთობა მაინც მიუღებელია! – ქალმა ვაჟს გონს მოსულივით გახედა, ამ ამბის გამო ჩემს ოჯახზე წარმოდგენა არ შეეცვალოსო.

ბენიამინი შემწყნარებლურად დუმდა.

— სიყვარული, ალბათ, არც საზოგადოებრივ შეხედულებას ითვალისწინებს და არც ოჯახურ კეთილდღეობას! – სიჩუმე დაარღვია, თითქოს ლონდას საქციელი გაამართლა.

— ქალის ოჯახური მდგომარეობა არაფერს ნიშნავს?! – გამომცდელად იკითხა მასწავლებელმა.

— როგორ არ ნიშნავს! – მოსწავლემ პასუხს თავი აარიდა.

— სიყვარულს სათანადო ასაკი და დრო სჭირდება... – ქალმა ეშმაკურად გაიცინა. – ისე, ჩვენში დარჩეს და, როცა ადამიანი შეყვარებულია, მაშინ ასაკი სულაც არ ეტყობა!..

— ასაკი არც შენ გეტყობა! – ვაჟი განგებ წაეპირფერა.

ევდოკიას ალმურმა გადაჰკრა, თითქოს მოსწავლის ქათინაურმა კიდეც ასიამოვნა და კიდეც შეაშფოთა.

— მე, ენერგიით სავსე ქალი ვარ, სიყვარულში არასოდეს დავხარჯულვარ, ამ წმინდა გრძნობის რეალიზაციისთვის კი, რამდენადაც დასანანი უნდა იყოს, ნამდვილად აღარ გამოვდგები... თუკი ვინმეს სულიერად, ვნების გარეშე შევიყვარებ, მაშინ თავს ბედნიერად ჩავთვლი!..

— ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! – ვაჟმა ბრძნული გამონათქვამი მოიშველია და ქალი მწველი მზერით შეათამამა, საკუთარ შესაძლებლობებზე წარმოდგენა ნაადრევად დაგკარგვიაო.

— არა, გარეგნობაში არ არის საქმე... ჩემი ფიზიკური შესაძლებლობა სულაც არ მაღელვებს, უბრალოდ, ჩემში უკვე სხვა ღირებულებები მძლავრობს, ამჟამად სწორედ იმ ასაკში ვარ, როცა ვნებას სურვილად განხორციელება არ უწერია, იგი ჩემში მინავლულია და მას სასიცოცხლო ბიძგის ჟინი არ გააჩნია... ვნების გაღვივება და თავაშვებულობა უცილობელ მარცხს მიქადის, რაც წინდაწინვე მომაკვდი-

ნებელ შიშს მგვრის და იმედგაცრუების მოლოდინით მზარავს; ხორციელი ნეტარება, გამუდმებულ სინანულად რომ მექცეს, ნამდვილად არ მიღირს, შესაძლოა, გავბოროტდე კიდეც და სულიერი სიმშვიდე სამუდამოდ დავკარგო; თუ ვინმეს შევიყვარებ, თვალის ჩინივით გავუფრთხილდები და მასთან ტრფიალების სურვილს გულში ჩავიკლავ! – მასწავლებელს მღელვარებისგან თვალები აუწყლიანდა.

იგი ვაჟში სიბრალულთან ერთად უჩვეულო თანაგრძნობას იწვევდა – ხოლო მისი უმწეობა ფარულ აღტყინებას აღუძრავდა და გარდაუვალი წარმატებისკენ უბიძგებდა.

მოსწავლეს მასწავლებლის კეთილგანწყობა ხაფანგივით სჭირდებოდა, რითაც ძნელად მისაწვდომ ვასილისას მოიხელთებდა.

— ვინც შეგიყვარდება, მან შენი ფაქიზი ბუნება უნდა გაითვალისწინოს და გული არასოდეს გატკინოს! – ვაჟი ნამდვილად არ თვალთმაქცობდა.

— ჩემ გამო ცხოვრებას ვერავის გავუმრუდებ, პირიქით, მისი წარმატებისთვის ვიზრუნებ! – ევდოკიამ თითქოს აღსარება თქვა, ისეთი გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა, ვაჟს უნებლიედ მისი მოფერება მოუნდა. – ლონდა, ალბათ, საყვარელ კაცს ანგარიშს სწორედ ამისთვის უწევს, აშკარად გრძნობს, ვუყვარვარო! – საკუთარი უმწეობა რომ დაეფარა, მეგობარ ქალზე გადაიტანა სიტყვა.

— ლონდას საყვარელი რას საქმიანობს? – ვაჟი თითქოს ზრდილობის გულისთვის დაინტერესდა.

— რუსეთიდან სანვავს ეზიდება და ადგილობრივ ნავთობაზას ამარაგებს.

— როგორც ჩანს, ფულიანია?!

გიორგევნა თითქოს მახეში გაება, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა.

— ფულიანია, მაგრამ გულუხვია, საყვარლისთვის არაფერს იშურებს! – უბოროტოდ გაიცინა, ვაჟს მიახვედრა, მანდილოსნებს პატივისცემა სიამოვნებთო. – ამას წინათ რესტორანში დაგვპატიჟა, ზღაპრული სუფრა გაგვიშალა, ლონდას ყვავილები მიართვა, მე კი, უცხოური სუნამო მისახსოვრა! – მოსწავლემ თითქოს სასიამოვნო სურნელი ახლაღა იგრძნო და ქალს უჩვეულო წინათგრძნობით მიაჩერდა. – მოგვიანებით ვასილისა შემოგვიერთდა, კაცი გულწრფელად შეწუხდა, მოუბოდიშა, შენთვის საჩუქარი ვერ გავითვალისწინე და შეცდომას სხვა დროს გამოვასწორებო.

ვაჟი სმენად იქცა.

— სამ ქალთან ერთად არ მოიწყინა?! – მასწავლებელს ანკესი ისე გადაუგდო, მღელვარება არ დატყობია.

— საქმის მეწყვილეც ახლდა, რომელსაც, ჩვენში დარჩეს და... – ევდოკია წამით დადუმდა, ბენიამინს ორჭოფულად გახედა, სისულელეს ხომ არ ვროშავო. – ნამდვილად აქვს სიყვარულის უფლება: ცოლს ახლახან გაეყარა!.. მამამისს შორიდან ვიცნობ, მის რძალს არაფერი გაუჭირდებოდა, ეტყობა, ხამნაცემია და უზრუნველი ცხოვრება ვერ შეიშნოვა! – გიორგევნას ხმაში უკმაყოფილება გაერია, თავი სინანულით გააქნია. — ჩემს ქალიშვილს, სამწუხაროდ, ასეთი ბედი არ დაურჩა!

„აი, თურმე, უსაფუძვლოდ არ მიეჭვიანია!" დაასკვნა ბენიამინმა და ყელში ბოლმა მოაწვა, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა, შეთქმულება გამოაშკარავდა: „რესტორანში წვეულება გამართეს, ვასილისა და ის ვაჟბატონი ერთმანეთს გააცნეს!"

ვასილისაზე ბრაზობდა, რომელიც დედის ახირებას უფრო ითვალისწინებდა, ვიდრე მის სიყვარულს — სიმართლეს უმალავდა და ორმაგ თამაშს ეწეოდა.

მასთან რესტორნის შესახებ სიტყვა არ დასცდენია, შეგნებულად შეიკავა თავი, არ მიხვდეს, დედამისის ნდობით რომ ვსარგებლობ და ფარულად ყველაფერს ვიგებო.

ვაჟი საკუთარი ბედის უკუღმართობას ჩიოდა: „მოწიფულ ქალს, რომელსაც ბრმად ვუყვარვარ და რომლის შვილისთვისაც ჭკუას ვკარგავ, ჩემთვის მარტო საკუთარი თავი ემეტება"-ო!..

გაგრძელება იქნება

გიორგი ქამუსაშვილი

აგვისტოს ზღაპარი

არც შემოდგომაა, აღარაც მერცხლებია
უკვე კავკასიონს თმა დავერცხლებია.
დღეს დაცხრა გრძნობებით დღე
სახემიმქრალი.
გვაქვს გულო რამდენი ჩვენთვის
საფიქრალი.
ზეცა არაკია ფერთა მოზვავებით.
ველური ფრთებით და არხოტის სვავებით
და ვით ღვინობისთვის ზმანება პირველი,
მზეც ასე ნაზია ხილვად საკვირველი.
წითელი დაისი ვიხილეთ აქედან,
მზეს გედი ესიზმრა მგზავრი შირაქიდან.
წაიღო ქალწულთა ფიქრი და ოცნება,
ასე სასოებით შორს გადიტყორცნება.
ქრება ეს ნიავიც ფოთლებს შენაპარი.
ქრება ვით ზაფხულის სპეტაკი ზღაპარი.
არც შემოდგომაა, აღარც მერცხლებია
უკვე კავკასიონს თმა დავერცხლებია...

* * *

ტბების სევდასავით ატყდება ნოემბერს
კვირტები
მწვანე სიმუქეში ზღაპრული
მუხებისხელიან
უნაზეს დაისებს ოცნებით ნუ
დააკვირდები,
რადგან გვიანია, იქ სულ სხვა უფლისწულს
ელიან

ეტლები ეტლები ეტლები აწყდება
ქვაფენილს
იქ შორს მეჯლისია ჩემთან ძველებურად
ვნებიან
ფოთლებს ამ ქალაქში შენგვარ გაფითრებით
დაფენილს
ჩემი ნაბიჯები ვერა და ვერ ეთხოვებიან

სალამი პოეტებს თქვენ კვლავაც
აღმერთებთ რუსთაველს
სალამი პოეტებს ჩვენ ერთად მოვიტანთ
ლირიკას
გზები მოვინატრე ლექსისთვის ომს რომ
მოუსწავებს
რომ ამ სისხლმა ჩემმა სიმშვიდე ვერ
შემოირიგოს

ტბების სევდასავით ატყდება ნოემბერს
კვირტები
მწვანე სიმუქეში ზღაპრული
მუხებისხელიან
უნაზეს დაისებს ოცნებით ნუ დააკვირდები,
რადგან გვიანია იქ სულ სხვა უფლისწულს
ელიან.

* * *

ღვინობისთვე ჯადოქარი შემოდგომა
სისხლმა ჩემში პოეზიად იარა
ცას აჩნია მზის დასავლად შემოდგომა
ვით გმირის გულს ნაადრევი იარა

ფერი შენი აზიური დაისია
ამგვარ ფიქრთა მოსვლასავით სადა ხარ
იმერეთმა ჰუნებივით დაისია
ზღვა ფერების შენ კი შენ კი სადა ხარ

სუნთქვამ იგრძნო ფერის ფერში გადარევა
და ჩემი გზა ერთი ფიქრით შეღება
რომ ამ სულით ადვილია გადარევა
გმირთა კარის შემოდგომით შეღება

* * *

შეღამების გაჩნდა ქობი,
სულის თრთოლვით შესამკობი,
სიო დაჰქრის ქვეყნად ყოველის მჯობი.
შესუდრული ზეცა დნება,
სოფლებს ბინდი ეფინება,
სიო დაჰქრის ქვეყნად ყოველის მჯობი.
გულო მხოლოდ ლექსი გვინდა,
გვინდა მხოლოდ ლექსი წმინდა,
სიო დაჰქრის ქვეყნად ყოველის მჯობი.
ბარდის ჩქამი, წყლის დგოფდგოფი,
გავარდება ბოლო თოფი.
ხმა მოისმის ოცნებაში მყოფი,
როგორც გიორგობის ბინდი
ასე წმიდად განარინდი.
ქალის სუნთქვავ რაზედ გამიფრინდი,
როგორც გიორგობის ბინდი,
ასე წმიდად განარინდი.
გრძნობა ამგვარ დადარებად ვინდე,
შორი სულის შექანება,
უცხო ხანს რომ ეხანება.
ფანტასტიურ სიახლოვით ვიცი,
ერთ სიმართლეს ატარებდე,
ერთ სინათლეს ატარებდე,
ახლა უკვე გვიანია ფიცი.
ლექსი მხოლოდ ლექსი გვინდა,
გულო მხოლოდ ლექსი წმიდა —
სიო დაჰქრის ქვეყნად ყოვლის მჯობი.
ისევ შეღამების ქობი.
უბრუნდება შამბს ხოხობი,
სიო დაჰქრის ქვეყნად ყოველის მჯობი.

ვარდების თოვაში

ვარდების თოვაში შენ ცრემლებს
მოიტან.
ვარდების თოვაში მზეც თოვას
აპირებს.
ორი ათწლეულის უხსოვარ დროიდან,
ვხედავ შენს თვალებში ნისლიან
ნაპირებს.
ვარდების თოვაში მთელ სისხლს
მოედები,
როგორც ლაჟვარდოვან სამხრეთის
ვნებიან
ზეცას ედებიან ჩემი იმედები
და შორით ჩამავალ მზეს ეფერებიან.
ღვინობისთვე ჯადოქარი შემოდგომა
სისხლმა ჩემში პოეზიად იარა
ცას აჩნია მზის დასავლად შემოდგომა
ვით გმირის გულს ნაადრევი იარა.

* * *

ალავერდი უყვარდა ალავერდს შესეული
მერცხლები
ის იყო მაშინ
როდესაც შემოსილი პარნასი არ ეძებს
აღტაცებას
ის იყო დროის მეგობარი.
და ამ ეპოქაში
როცა ნათელია გულთა დაქანება
ტრიბუნებს შემორჩათ უფლება მოირგონ
ხალხის წინ ნიღაბი.
ოჰ ეს უფლება...
გამარჯობათ ქალბატონო
გთხოვთ ნუღარ მიმიყვანთ ხელოვნურ
ვარდებთან
ნუთუ ეს დროება თქვენ კვლავ არ
განატრებთ ველურ სურნელებას
ნუთუ არ არსებობს ოცნება დალეწილ
დროში ხეტიალის?!
ჩვენ ისევ ვშორდებით.
გატყდება თვეები და
უსადავესად შემგლისფერებული თბილისი
ვერაფერს იგრძნობს.
იქ კი სოფლის გზაზე
ამბავსდაგვიანებული მოხუცი
ამოატარებს ნახირს
რა მოხდა?
ის იყო დროის მეგობარი
ის იყო მაშინ
როდესაც შემოსილი პარნასი არ ეძებს
აღტაცებას
ალავერდი უყვარდა
ალავერდს შესეული მერცხლები...

* * *

დღეს სიბერემ მოიგონა ფიცი
აივანზე ვარდისფერი სახლის
ახლა ერთი სიხარული ვიცი
ქარი ტოტებს სარკმელს შემოახლის
მე აგვისტოს ველებივით ვიწვი
მე მაწამებს მოლოდინი ახლის
დღეს სიბერემ მოიგონა ფიცი
აივანზე ვარდისფერი სახლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იური ლიგუ

მანია

„არა, არ არის ქვეყნად მოსვენება, ვინემ ნარეკალასავით ძირფესვიანად არ მოსთხრიანრუსულ ჭირს: ბოდვას, ოცნებას, ქედმაღლობას,უსაზომობას“.

ალექსი ტოლსტოი, „საწოლქვეშ ნაპოვნი ხელნაწერი“.

ღორი ნაპირში შეუშვი, შუაში შევაო.

ქართული ანდაზა

მივლინება რომ გამითავდა, ახლად შეძენილ რუს მეგობარს ჩემს სამშობლოში წამოსვლა შევთავაზე და მანაც სიხარულითა და დიდი მადლიერებით მიიღო მიპატიჟება, — ზაფხულმა ისე ჩაიარა, შვებულებით არ ესარგებლა, ეს ერთი და მეორეც, სამოთხედ სმენილ ქვეყანაში ჩამოსვლაზე განა უარს მეტყოდა რაიმე მიზეზის გარეშე.

ის ელაბუგელი ახალგაზრდა იყო. იმ დროს ორივენი ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, ორივე ერთი ქრისტიანული სახელით ნათლულნი, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ მე ჩემს სახელს „ი“-თი ვაბოლოებდი ქართული გრამატიკის ურყევი წესის თანახმად, ის კი რუსულისათვის დამახასიათებელი „ა“-თი. კოლეგებიც ვიყავით და გარდა პროფესიულისა, ზოგიერთი სხვა საერთო ინტერესებიც აღმოგვაჩნდა. სწორედ ამ ინტერესების დამთხვევამ დაგვაახლოვა ჩვენ მის მშობლიურ ქალაქში ჩემი ხანმოკლე სტუმრობისას.

ელაბუგა — ძველი რუსული სავაჭრო ქალაქია, გასული საუკუნის თავისებური, პოეტურად ამაღელვებელი სურნელით გაჟღენთილი. აქ ჯერაც შემორჩენილიყო ჩამშვიდებული იდუმალებით მოცული, ფუძედანესტიანებული, კიდეჩამორღვეული და, ასე გეგონებოდათ, წარსული წლების მოგონებებით დასევდიანებული ძველებური სოვდაგრული სახლები, რომლებიც სხვა დროს, სხვაგანაც არაერთხელ შემხვედრიან ელაბუგაზე ასაკით ბევრად აღმატებულ რუსულ პროვინციულ ქალაქებში, მაგრამ იქ ისინი, ახალშენებით გარემოცულნი, მაღლივ კორპუსებს შორის ჩაკარგულნი, დაკნინებულნი, ბუტაფორულ, საგამოფენო შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩემზე. ელაბუგაში, ამ მართლაცდა ნაკრძალად ქცეულ ქალაქში, სულ სხვა სული ტრიალებდა: თითქმის ხელუხლებლად შეენარჩუნებინა თავისი პირვანდელი ფონიცა და ატმოსფეროც. ახალი საცხოვრებელი მასივისათვის ძველი ქალაქისგან ორი კილომეტრის დაშორებით, სადღაც ტრიალ მინდორში მიეჩინათ ადგილსამყოფელი, თავად ელაბუგაში არაფერი ახალი არ შენდებოდა. ფერიც კი, ნაცრისფერი, ალაგ-ალაგ ჩამუქებულ-ჩანოტიებული, რაღაც აქსაკოვისეული, შჩედრინისეული შერჩენოდა და ეს ფერი ისეთივე ღირსებას სძენდა მას, როგორც ჭაღარაშერთულობა მხცოვან მემატიანეს. სიმყუდროვე, ღრმა პროვინციულ, მდუღარე სამოვრის გარშემო და დასუფებულ ზანტ და თვლემისმომგვრელ სიმშვიდეს რომ ახასიათებს, მკვიდრად ჩამოსწოლოდა ქალაქის ერთადერთ მაგისტრალურ მოასფალტებულ ქუჩას. მაგრამ ეს თანამედროვეობასთან დამაკავშირებელი ასფალტიც კი ვერ გიფანტავდათ იმის მკვეთრ შეგრძნებას, რომ აი, ახლა რომელიღაც ყრუ შუკიდან, ჟღარუნ-ნკარუნით გამოსრიალდება ეჟვენებასხმული სამცხენა ეტლი — „ტროიკა“, და მის სავარძელში გოროზად გაჯგიმული, წვერაბურძგვნილი პირველი გილდიის „კუპეცი“ ერთს კი დაგიბღვერს ნაბახუსარი, ჩასისხლიანებული თვალებით და მერე გუნებადაძმარებული გაიხედავს განზე... ორსართულიანი შენობებიც ქვედა სართული — ტრადიციულად ქვითკირით, ზედა კი ხით ნაშენი ისე მკვიდრად იდგნენ და ისე თამამად შეჰყურებდნენ ჟამთა სვლას, რომ, უეჭველად, მომდევნო საუკუნესაც გულდამშვიდებით და აუჩქარებლად გადაუთვლიდნენ კიდევ ერთ იმ-

დენივე სიცოცხლეს, რამდენიც უკვე გაეტარებინათ დედამიწის ზურგზე, ოღონდაც საკმარისი მზრუნველობა გამოეჩინათ მათდამი. რომ გეკითხათ, ბევრი არაფერიც აწუხებდათ ჟამგადასულთ: აქა-იქ ფასადებზე გაჩენილი მცირეოდენი ბზარები, სინეტისგან ჩამოშლილი ბათქაში, ჭრაჭუნა იატაკები და ჭრიალა კარები, ზოგ-ზოგან კიდევ წვიმაგამტარე სახურავები — ადგილობრივი ადმინისტრაციის მუდმივი დარდისა და გარჯის საბაბი, — თორემ სხვა მხრივ ელაბუგას სახლმუზეუმებისა და ღირსშესანიშნავი მოვლენების აღმნიშვნელი მემორიალური დაფების სიმრავლით უთუოდ საპატიო ადგილიც უნდა დაეკავებინა თავის ტოლებში.

ჩემს სეხნია მეგობარს მშობლიური ქალაქის ქუჩებში დავყავდი. მისი მონათხრობიდან ჩანდა, რომ თითოეულ ქუჩას და თითოეულ სახლს თავისი განუმეორებელი ისტორია შემორჩენოდა. განუმეორებელი, თავისი მეშჩანური დუხჭირობით, ბრუჟგაუვალი არყის სმითა და, არცთუ იშვიათად, შფოთიანი და სულგავერანებული ტრაგიკომიკურობითაც, — ყველა იმ ეროვნული თვისებების გამო, რაც ბედისწერამ ულმობელი სიუხვით არგუნა მათ... ამ გრძნობით ახლა ვარ შეპყრობილი, მაშინ კი, ცოტა არ იყოს, ჟრუანტელს მგვრიდა ელაბუგას პედაგოგიური ინსტიტუტის ყაზარმისეული სქელკედლებიანი და სწორკუთხოვანი შენობის ჩანესტიანებული, შუქნაკლული აუდიტორიები და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ვიწროსარკმლიანი სენაკ-ოთახები. ყოველი ნაბიჯი აქ ისეთ ყრუ ან მჟღერ გამოძახილს იწვევდა, ისეთი გუგუნით აწყდებოდა კედლებს და მერე ექსპრესის სიჩქარით ისეთნაირად შთაინთქმებოდა გვირაბის სიღრმეში, ყოველი ოდნავ ჩაბნელებული კუთხე-კუნჭული წარსულის ისეთ შთაგონებულ წარმოსახვებს გიღვიძებდათ, — გარეთ, დღის შუქზე, სუფთა ჰაერზე გაღწევას ენატრებოდა აფორიაქებული სული და, რომ არა მასპინძლებისადმი კრძალვისა და რიდის გრძნობა, აღარც დავაყოვნებდი საწადელის აღსრულებას.

მასპინძლებიც ამ შემთხვევაში ხომ მოლოდინს აჭარბებდნენ. ინსტიტუტს, დიდის ამბით ჩამჩურჩულეს ყურში, ორადორი ელაბუგაში მუდმივმაცხოვრებელი პროფესორი ჰყავდა, დოცენტების რაოდენობაზე მეხსიერება მღალატობს. ერთი რაღაც მანქანებით ყაზანიდან იყო თავის დროზე გადმობირებული, მეორე — ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულ გენიოსს წარმოადგენდა. ჰოდა, ამ ორადორმა ოქროსკბილებჩაჭიკჭიკებულმა, კარგა ნაჭაბუკარმა და სიმხნევე გამყიფებულმა ადეპტმა საქართველოს ხსენებაზე კახურ ჭაჭაზე წარმოთქვეს სახელდახელო ოდა და ისეთი გულმოდგინებით ააცმაცუნეს ტუჩები, ეტყობოდათ, პროფესორის ხარისხის მიუხედავად, ამის მეტი ჩემს სამშობლოზე არაფერი სმენოდათ, თორემ კახური ჭაჭა რა მოსატანი იყო მათთან: იმხანობაში, ვგონებ, ჭაჭის სუნსაც ლამის ადგილზევე წაექციათ... მაგრამ მე ხომ ახალგაზრდა ვიყავი, ო, რა ახალგაზრდა მერე, და გარშემო, მიწისქვეშეთში მიმობნეულ ბრილიანტების დარად, იმდენი ლამაზი სტუდენტი გოგო მეხვია!..

ისევ დავდიოდით ძველი ქალაქის ქუჩებში. მოვიკვლიეთ და ვინახულეთ ყველაფერი, რაც ღირსსაცნობად ჩათვალა ჩემმა რუსმა მეგობარმა. ვიყავით ელაბუგელთა მთავარი სიამაყის, მხატვარ შიშკინის სახლ-მუზეუმში, სადაც ხე-ტყით მოვაჭრე მამამისის სოვდაგრული სული უფრო ტრიალებდა, ვიდრე მისი სახელმოხვეჭილი შვილისა, და ბოლოს, მოვინახულეთ მარინა ცვეტაევას მიუსაფარი, ნახევრადჩაქცეული საფლავი... ჩემი რუსი მეგზური სიამაყის გრძნობას ვერ ფარავდა, როცა ჩემს გულწრფელ დაინტერესებას ამჩნევდა ყველაფრის მიმართ, რაც მისთვის ასე სათაყვანო გახლდათ, და მით უმეტეს აღტაცება ეუფლებოდა მაშინ, როცა მე, უცხოტომელი, მოულოდნელად ვამჟღავნებდი რუსული ისტორიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მასზე უმეტეს ცოდნას.

ჰოდა, მერე რა? ეს ხომ ჩვენც, ქართველებს, გვხიბლავს ჩვენს სტუმრებში?

მეც, ჩემის მხრივ, მახარებდა, რომ ჩქარა ჩემს ლამაზ ქალაქსა და სტუმართმოყვარეობით განთქმულ სამშობლოს გავაცნობდი და წინასწარვე ვტკბებოდი მისი განცვიფრებული სახითა და ფართოდ გახელილი მზეჩამდგარი თვალების ხილვით.

პირველად ზღვა ვაჩვენე, მანამდე რომ კინოეკრანებზე ჰქონდა ნანახი თვალუწვდენელი ტრამალების შვილს. სოჭში ჩამოვედით, თბილისამდის პირდაპირი ავიაბილეთი ვერ ვიშოვეთ, მაგრამ იმჟამად არც გვინანია. ზღვის პირად გავასეირნე. გვიანი შემოდგომა იდგა. ზღვა ქაფიან ტალღებს მოაქანებდა ნაპირისაკენ. ციოდა... ის კი იდგა და, თითქოს მოჯადოებული, უსასრულ სივრცეს გაჰყურებდა. ტალღები მისი ფეხსაცმელების ჭვინტებს სწვდებოდა, მას კი ერთხელაც არ დაუხედავს ფეხქვეშ. უცებ თვალწინ პუშკინისებური პეტრე დიდი წარმომიდგა:

„წყალთა ნაპირას — ქანდაკის მსგავსი —
ის იდგა, დიად ფიქრებით სავსე,
და ველს გასცქეროდა, წყალთა
გროვებით...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კონსტანტინოპოლი რომელ მხარეს არისო?“ — მკითხა უეცრად. გამიკვირდა, გაურკვეველი მიმართულებით გავუქნიე თავი და რატომღაც, ჩემდაუნებურად, შევუსწორე თუ შევახსენე: „სტამბოლი-მეთქი“. ალმაცერად გამომხედა, თვალები ოცნებაგაწბილებული ზმანებით მონისლოდა... და დიდხანს დუმდა ღელვით აზვირთულ სივრცეს თვალმიშტერებული. ისევ რომ მომიბრუნდა, ნუგეშისმომცემი ტონით, თითქოს ჩემში თანამოაზრე გამოეცნო, ისე, არც კი აეჭვებდა, ეს მითხრა: „საბჭოთა კავშირში ეს შენი ზღვა ასჯერ ჩაეტევა...“ თქვა და იმწამსვე გადაიფიქრა: „რის ასჯერ! რატომ ათასჯერაც არა!“ ვგონებ, კმაყოფილიც დარჩა, სახე დაუმშვიდდა... არაფერი მიპასუხნია საგონებელში იმით ჩავარდნილს, რომ ზღვის სილამაზეს სულაც არ მოუხიბლავს იგი, სიტყვაც არ დასცდენია ამის შესახებ, ოხვრას ვინ ჩივის, მე რომ მადგა იმწუთას ყელში.

იმიტომ ხომ არა, რომ ჩემი მშობლიური ზღვა ეუცხოვა? რუქაზე, ალბათ, ცოტა სხვანაირად ჩანს, — მკვეთრად მოხაზული, დაშტრიხული და ერთ უზარმაზარ ლაქად შეღებილი. ადვილი აღსაქმელია, ღმერთმანი, როცა თვალსაც შეაჩვევ და მაშინ დანარჩენი სამყაროც გეპატარავება. ანდა კიდეც გეცოტავოს ტრამალების შვილს.

...საღამო ხანს უაზროდ გამომთვრალი — მუშტებს რომ მიღერდა, ამერიკელებმა თავპენტერა ნიკალაშკა მოატყუეს რაღაც ორ გროშად, თორემ ალიასკა ახლაც ჩვენი იქნებოდაო, — სოჭის ვაგზალს შევატოვე და მატარებელს მარტო გამოვყევი.

ჩემი ლამაზი, გულუხვი ქვეყანა შემოდგომის სურნელებას აფრქვევდა ფანჯრებში, მონატრებულ თვალს ვერ ვაძღობდი მისი არამიწიერი ხიბლით...

მაშინ ხომ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მეტად ფიცხიც, მაგრამ არც ახლა შემიძლია იმის თქმა, რომ ძალიან ვნანობდე ჩემს საქციელს.

რამდენი ასეთი ბრუჟმორეული, ოცნებაშერყვნილი ელაბუგაა მიმოფანტული რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეებში!

***

„მოსკოვი არის მესამე რომი! — ამბობენ ეს მემატიანენი. — და მეოთხე აღარ იქნება. ქალაქის კაპიტოლიუმი (მოსკოვი) იმ ადგილას აშენდა, სადაც ადამიანის გასისხლიანებული თავი იპოვეს. მოსკოვიც სისხლზეა დაფუძნებული...“ — ამას ვიგებთ კარამზინთან.

რა განკურნავს იმ დიდმპყრობელურ მანიას, რომელიც ამ ერის სისხლშია გამჯდარი?

დრო?..

ბუბუს ძახილი

აჰ, ეს უკვე აუტანელი ხდება! დროა ბოლო მოეღოს ამ უმსგავსობას!

ასე ფიქრობდა ბესარიონ მაღალაძე და ძარღვებში სისხლი უდუღდა.

— თქვენ, ბადრუკაძე, ქლესა ბრძანდებით! — აღელვებას ვერ იოკებდა ბატონი ბესარიონი. — დიახ, ქლესა ბრძანდებით! და ამას პირში გეუბნებით, ბადრუკაძე! რისთვის მეჩხირებით მაგ სანთებელათი? არ მინდა, ბატონო, არ მჭირდება, თავადაც მშვენივრად მოვუკიდებ სიგარეტს... რაო? ჩემი ოჯახის ჯანმრთელობა რაში გენაღვლებათ თქვენ? რომელი ნათესავი თუ ახლო მეგობარი თქვენა ხართ ჩემი, რომ ყოველ დილას მეკითხებით ამას?.. აჰ, რას სჩადიხართ, ხელი გაუშვით ჩემს დიპლომატს! ახლავე დამიბრუნეთ, გესმით თუ არა!.. რათა, მე ვერ ვზიდავ? და რატომ მაინცდამაინც თქვენ განდოთ სახელმწიფოებრივი საიდუმლოების ქაღალდები?.. ოჰ, მაინც რანაირი ქლესა ხართ, ბადრუკაძე, პირწავარდნილი, გამოუსწორებელი ქლესა!..

— სავსებით გეთანხმებით, ბატონო ბესარიონ, ქლესა ვარ! პირდაპირ საკვირველია, რა კარგად ცნობთ ადამიანებს და რა ზუსტად გამოხატავთ თქვენს აზრს მათზე! — კვერს უკრავს სახეგაბადრული ბადრუკაძე და წელში ორად მოკეცილი, მოწიწებით უღებს მაღალაძეს მანქანის კარს. — მობრძანდით, ბატონო ბესარიონ, ჩაბრძანდით, არ შეწუხდეთ, რბილად მოთავსდით. აგერ, ინებეთ თქვენი დიპლომატიც... კეთილ მგზავრობას გისურვებთ, კარგად დაგესვენოთ, ბატონო ბესარიონ!..

— ოჰ, კარგით, კარგით, გეყოთ!.. თავი მომაბეზრეთ!..

აუჰ, ეშველა ბატონ ბესარიონს! კიდევ კარგი, დღეს პარასკევია და წინ ორი დღის დასვენება ელის. შორს, შორს ბადრუკაძესგან! აგარაკზე! ბუნებაში!..

და აი, ბესარიონ მაღალაძე აგარაკზეა. მაცივარში ჩაცივებულ ბორჯომს ნება-ნება მირთმევს, თვალხატულა ყვავილების სურნელს ყნოსავს, ტყის ბროლივით გამჭვირვალე ჰაერით ინიავებს ფილტვებს. აქ ბადრუკაძეების ჭაჭანებაც არ არის, სულით ისვენებს ბატონი ბესარიონი. პირდაპირ დიდებული მოსასმენია ამ მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადულის ხმა, ფრთაფარფატა პეპლების ცქერა, ფრთოსანთა ჟივილ-ხივილი ხომ ტკბილ ოცნებებს გიღვიძებს... აგერ, სადღაც გუგული გუგუს იძახის: გუ-გუ, გუ-გუ... რა საამო ხმაა! აბა, მითხარი, გუგულო, რამდენს ვიცოცხლებ? ერთ წელს... ორ წელს...

ათს... ოცდაათს... ხედავ, ბესარიონ, დღეგრძელობას გპირდება! ესე იგი, მაღალაძე იმ დროს მოესწრება, როდესაც ადამიანები ერთმანეთის პატივისცემით განისმჭვალებიან, ქლესაობას დაივიწყებენ? მოესწრება იმ ოქროს ხანას, როდესაც ცხოვრებიდან გაქრებიან ბადრუკაძეები? უთუოდ, უთუოდ, ბატონო ბესარიონ, აკი გუგულიც გპირდებათ...

ოცნებებში წასული, მშვიდად და ტკბილად იძინებს ბესარიონ მაღალაძე.

და არ იცის, სიზმრადაც არ ელანდება, რომ ქანცგამოცლილი, გუგუს ძახილისაგან ხმაჩახლეჩილი ბადრუკაძე ფორთხვა-ფორთხვით ძვრება ცას მოლამუნე მშობლიური ფლორის მომხიბლავი წარმომადგენლის ტოტებ-ღეროდან და გვიან ღამით გამვლელი მანქანით მიემგზავრება თბილისში.

ბუღის სითბო

ქართული სადღეგრძელო
იმედგაცრუებულთათვის

ხაზზე ძაბვა გამოირთო და მატარებელი უკვე რამდენიმე საათია დგას რომელიღაც უსახელო გადასარბენზე. მისი რკინის სხეული მდუმარედ გაწოლილა უკუნეთ ღამეში... ვაგონში ცხელა, ჭირს სუნთქვა. არადა, შუა იანვარია და გარეთ ალაგ-ალაგ თოვლიც დევს, გადათეთრებულ-გადაშავებულია სიცივისგან შეძგიბული, მიმქრალებული არემარე. ვაგონში ერთი-ორი ფანჯარაც ჩამოუწევიათ, კარებიც დაუღიათ ორივე მხრიდან და მაინც — ხალხი უჰაერობით იხუთება. ყველა თარო — ქვემოდან მესამე საბარგომდე — მგზავრებითაა გაჭედილი. ქვემო თაროზეც ისე მჭიდროდ სხედან, მხრების გაშლაც სანატრელი გახდომიათ. გასასვლელებშიც სხედან თავთავიანთ ბარგებზე, ჩახერგილია ამ ბარგით ყველა კუნჭული. აღარც ქვეყნის უბედურებაზე ბჭობენ უკვე და აღარ ცლანძღვით ახსენებენ გულქვა რკინიგზის უფროსობას. ძილქუშს მიცემულნი, საკუთარი დარდებით გამოცალკევებულან ერთმანეთისგან... ერთგან, სანთლის შუქზე, ქართული სმაჭამა გაუმართავთ ძიგლატეხილ მამაკაცებს, კარგადაც შეზარხოშებულან და ერთი, დათვივით ჩავაჟკაცებული, ყელხვანჩიანი, შავულვაშა და სახეგაბადრული თანამესუფრეთ ასე მიმართავს: — რო გვცხელა, ძმებო, თუ იცით რატომა გვცხელა? ადამიანთა სხეულებმა გაგვათბეს და იმიტომა, მაშა! თურმე, კაცო, რამოდენა სითბოს გამოსცემენ ჩვენი სხეულები! აეხლა, ამასა კიდევ ჩვენი გულის სითბოც რო დაემატოს, რა „პაჟარსა“ გავაჩენდით ვაგონშია, ა? ჰოდა, აი ამ სასმისითა, ძმებო, იმ გულებს გაუმარჯოს, რომლებიცა ჩვენ დუხჭირ დროსა არ გაცივებულან და სიყვარულის სითბოს გვიწილადებენ უშურველადა. — მძიმე დაშაშრული ხელისგული გადაისვა ულვაშზე ეშმაკური ღიმილით: — ადამიანების გულებმა გაგვათბონ, ძმებო! — და გადაჰკრა... ერთხანს განაბულნი უცქერდნენ გარეშემომსხდარნი, თითქოს რაღაც უცნაური ხმა შემოესმათო მივარდნილ უდაბნოში, — ხმა უდაბნოდან სამშვიდობოზე გამოღწევის იმედისა. მერე თავადაც გაიღიმეს, ჯერ ერთმა, მერე — მეორემ. „ტოკივით“ დაუარა სისხლძარღვებში ყველას სათითაოდ ამ ღიმილმა და სახეები გაუნათდათ...

ო, რა კეთილნი იყვნენ ამ დროს, საოცრად მოსიყვარულენი და მიმდობნი ერთმანეთისა... გულის სითბომ იცის ეს.

ოსიპ ბროდსკი

მოხსენება-ლექსია ნობელის პრემიაზე

1987წ.

ადამიანისათვის, რომელმაც თავისი კერძო ცხოვრება ამჯობინა ამა თუ იმ საზოგადო როლს და ადამიანისათვის ,რომელმაც ღრმადაც შეტოპა ამ კერძო არჩევანით და კერძოდ, საკმაოდ შორსაც გატოპა სამშობლოდანაც, რამეთუ მისთვის უმჯობესია ითვლებოდეს უკანასკნელ ხელმოცარულად დემოკრატიაში, ვიდრე წამებულ ან დიდ მოაზროვნედ შერაცხულ სულად დესპოტიაში, - ამ ტრიბუნაზე უეცრად თავის ამოყოფა საკმაოდ უხერხული და დიდი გამოცდაცაა.

ეს შეგრძნება ჩემში მწვავდება არა იმდენად იმის წარმოდგენით თუ რა ადამიანები იდგნენ აქ ჩემამდე, მეტადრე კი იმათი ხსოვნით, ვისაც არ ერგო წილად ეს პატივი, ვინაც ვერ შესძლო, რასაც ჰქვია, ამ ტრიბუნიდან მიემართა რასაც ჰქვია „ურბი ეტ ორბი„, ანუ ხალხისათვის და ქვეყნისათვის, და რომელთა საერთო დუმილი როგორღაც ეძიებს და ვერ პოულობს თავის გასასვლელს თქვენში.

ერთადერთი, რამაც შეიძლება შეგარიგოს მსგავს მდგომარეობას, ეს ის უბრალო მოსაზრებაა, რომ – სტილისტური მიზეზებისა გამო უწინარესად – მწერალს არ შეუძლია ილაპარაკოს სხვა მწერლის მაგიერ განსაკუთრებით - პოეტს პოეტის მაგივრად; რომ, მდგარიყო რა ამ ტრიბუნაზე ოსიპ მანდელშტამი, მარინა ცვეტაევა, რობერტ ფორსტი, ანა ახმატოვა, უისტან ოდენი, ისინიც უნებურად ილაპარაკებდნენ სწორედ თავისთავზე და, შესაძლებელია, ასევე განეცადათ გარკვეული უხერხულობა.

ეს აჩრდილები მაკრთობენ მე მუდმივ, შემცბარი ვარ მე დღესაც. ყოველ შემთხვევაში, ისინი არ მახალისებენ მე მჭევრმეტყველებაში. ჩემთვის საუკეთესო წუთებშიც კი თავი მიმაჩნია მათ კრებით ჯამად - მაგრამ ამავე დროს ყოველთვის ნაკლებად, ვიდრე ნებისმიერი მათგანი ცალკეულად. რამეთუ შეუძლებელია მათზე უკეთესი იყო ქაღალდზე; შეუძლებელია იყო მათზე უკეთესი ყოფაშიც, და რამდენად ტრაგიკული და მწარეც არ უნდა იყოს, სწორედ რომ მათი ცხოვრებაა, რომ მაიძულებს ხშირად – ალბათ გაცილებით ხშირად, ვიდრე ეგების – გამოვთქვა სინანული გარდასულ დროზე. ხომ არსებობს საიქიო,– და უარვყო მათი უკვდავება მე უფრო არ ძალმიძს, ვიდრე მათი თავის დროზე არსებობა ამ ცხოვრებაში, – ხოლო თუკი არსებობს საიქიო, მაშინ ისინი, ვიმედოვნებ, რომ მაპატიებენ მე და შეუნდობენ ჩემს მიერ აქ წარმოსათქმელის ხარისხს: ბოლოს და ბოლოს ტრიბუნაზე ქცევით ხომ არ იზომება ჩვენი მწერლური პროფესიის ღირსება.

მე დავასახელე მხოლოდ ხუთი მათგანი – ისინი, ვისი ხელოვნება და რომელთა ბედიც ჩემთვის ძვირფასია თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ, მათ გარეშე მე, როგორც ადამიანი და როგორც მწერალი დიდად არ ვეღირებოდი: ყოველ შემთხვევაში, მე დღეს აქ ვერ დავდგებოდი. ისინი, მათი აჩრდილები – უმჯობესია ვთქვათ: სინათლის წყაროები-ლამფები? ვარსკვლავები? – რაღა თქმა უნდა იყვნენ ხუთზე მეტი, და ყოველ მათგანს შეუძლია აბსოლუტურად დაგამუნჯოს. მათი რიცხვი გაცილებით დიდია ნებისმიერი შეგნებული ლიტერატორის ცხოვრებაში: ჩემს შემთხვევაში კი გაორმაგებული იმ ორი კულტურის წყალობით, რომელთაც განგების ნებით მე მივეკუთვნები. მდგომარეობას არ მიმსუბუქებს არც თანამედროვეებისა და ჩემი კალმოსანი ძმების მოაზრება ორივე კულტურიდან, პოეტებისა და პროზაიკოსებისა, ვის ნიჭსა და ტალანტს საკუთარზე უფრო ვაფასებ, და რომლებიც აღმოჩენილიყვნენ რა ამ ტრიბუნაზე, უკვე დიდი ხნის გადასული იქნებოდნე საქმეზე, ვინაიდან მათ გაცილებით მეტი აქვთ სათქმელი ქვეყნიერებისათვის,

ვიდრე მე .

ამიტომ, აქ თავს ნებას მივცემ გამოვთქვა – შესაძლოა არამწყობრი, დაფანტული და თქვენთვის სულაც გამაოგნებელად უთავბოლო რიგი შენიშვნებისა. თუმცა დროის ის ოდენობა, ჩემთვის რომ არის განკუთვნილი აზრის მოსაკრეფად, და თვითონაც ჩემი პროფესია მიშველის მე, იმედია, ნაწილობრივ მაინც ამარიდებს გაკიცხვას ნათქვამის ქაოტურობის გამო. ჩემი პროფესიის ადამიანს იშვიათად თუ აქვს პრეტენზია აზროვნების სისტემატურობაზე; ყველაზე უარეს შემთხვევაში, მან შეიძლება განაცხადოს პრეტენზია სისტემაზე, მაგრამ ესეც, როგორც წესი მას ნასესხები და შეთვისებული აქვს: გარემოსაგან, საზოგადოებრივი მოწყობისაგან, შემორჩა ნორჩი ასაკის ფილოსოფიური გატაცებებიდან. არაფერი ისე არ არწმუნებს ხელოვანს იმ საშუალებების შემთხვევით წარმოქმნაში, რომელთაც ის იყენებს ამა თუ იმ - თუნდაც მუდმივი - მიზნის მისაღწევად, ვიდრე თვით შემოქმედებითი პროცესი, ანუ შეთხზვის პროცესი. ლექსები, ახმატოვას თქმით, მართლაც რომ ნაგვიდან აღმოცენდებიან; პროზის ფესვები-არაუმეტეს კეთილშობილურია.

II

თუ კი ხელოვნება რაიმეს მაინც გვასწავლის ადამიანებს (და ხელოვანს-იმთავითვე), უპირველესად ესაა ადამიანის არსებობის კერძოობა. წარმოადგენს რა უუძველეს – და ყველაზე დაწვრილებით – კერძო რეწვის ფორმას, ის ძალაუნებურად აღვივებს ადამიანში მისი ინდივიდუალურობის, უნიკალურობის, განყენებითობის შეგრძნებას, რომელიც მას საზოგადო ცხოველისაგან პიროვნებად გარდასახავს. მრავალი რამე შეიძლება გაიზიარო სხვასთან: პური, საწოლი, მრწამსი, საყვარელი, – მაგრამ არა ლექსი, ვთქვათ მარია რილკე რაინერისა. ხელოვნების ნაწარმოები, ლიტერატურა განსაკუთრებით და კერძოდ ლექსი გულისხმობს ადამიანთან ტეტ–ა–ტეტ მიმართვას, შედის მასთან პირდაპირ, შუამავლის გარეშე ურთიერთობაში. ამისათვისაა, რომ ხელოვნებას ვერ იტანენ საერთოდ, ლიტერატურას განსაკუთრებით და კერძოდ კი პოეზიას ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობისათვის თავგამოდებული ქომაგები, მასების მესაჭენი, ისტორიული აუცილებლობის მოღაღადენი. რადგანაც იქ, სადაც კი გაიჭაჭანა ხელოვნებამ, სადაც წაკითხულ იქნა ლექსი, მოსალოდნელი თანხმობისა და ერთსულოვნების ნაცვლად მათ დახვდათ გულგრილობა და აზრთა სხვაობა, მოქმედებისათვის მზადყოფნის მაგიერ – უყურადღებობა და თავის არიდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ცარიელ ნოლებში, რომელთა მეშვეობითაც ისწრაფვიან ოპერირებას საერთო კეთილდღეობისათვის თავგამოდებულები, ხელოვნება თავის მხრივ ათავსებს „წერტილ–წერტილ–მძიმეს მინუსით„, რითაც ყოველ ნოლს გარდასახავს, თუნდ ზოგჯერ ნაკლებად მიმზიდველ, მაგრამ მაინც ადამიანის სახემდე. როდესაც თავის მუზაზე საუბრობდა, დიდი ბარატინსკი აღწერდა მას, როგორც „არაზოგადი გამომეტყველების სახეთა„ მქონეს. ამ არაზოგადი გამომეტყველების შეძენაშია, ეტყობა, რომ მდგომარეობს ინდივიდუალური არსებობის არსი, რამეთუ სწორედ ამ არაზოგადოობისათვისა ვართ ჩვენ შემზადებული იმთავითვე გენეტიკურად. იმისდა მიუხედავად, მწერალია ადამიანი თუ მკითხველი, მისი ამოცანა უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ იცხოვროს თავისი საკუთარი და არა გარედან თავს მოხვეული და დაწესებული ცხოვრებით, რაგინდ კეთილშობილურად არ გამოიყურებოდეს იგი. რამეთუ თითოეული ჩვენთაგანისათვის ის (ცხოვრება) ერთადერთია და ჩვენ კარგად ვიცით თუ რითი მთავრდება ყველაფერი ეს.

რაოდენ არასწორი იქნებოდა გაგვეხარჯა ეს ერთადერთი შანსი სხვისი გარეგნობის, სხვისი გამოცდილების გასამეორებლად, ტავტოლოგიისათვის – მითუმეტეს საწყენია, რომ ისტორიული აუცილებლობის მოღაღადენი, ვისი ჩაგონებითაც ადამიანი მზადაა დათანხმდეს ამ ტავტოლოგიას, კუბოში მათთან ერთად არ ჩაწვებიან და მადლობასაც არ იტყვიან.

ენა და, სავარაუდოა, ლიტერატურაც–უუძველესია, გარდაუვალი და მუდმივია, ვიდრე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნებისმიერი სხვა ფორმა. ლიტერატურაში გამოხატული აღშფოთება, ირონია და გულგრილობა, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიმართაც კი, არსებითად არის მუდმივის, უმჯობესია რომ ვთქვათ - უსასრულობის რეაქცია დროებითის, შეზღუდულის მიმართ. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ სახელმწიფო თავს ნებას აძლევს ჩაერიოს ლიტერატურის საქმეებში, ლიტერატურა უფლებას იტოვებს ჩაერიოს სახელმწიფოს საქმეებში. პოლიტიკური სისტემა, საზოგადოებრივი მოწყობის ფორმა, ისევე როგორც ყველა სისტემა საერთოდ, თავისი განსაზღვრებით არის წარსული დროის ფორმა, რომელიც ცდილობს თავისი თავი მოახვიოს აწმყოს (და ნაწილობრივ მომავალსაც), და ადამიანი, ვისი პროფესიაცაა ენა, უკანასკნელია იმ რიგში ვინც შეიძლება დაივიწყოს ამის შესახებ. მწერლისათვის ნამდვილ საშიშროებას წარმოადგენს არა იმდენად შესაძლებლობა (ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალურობა) დევნისა სახელმწიფოს მხრიდან, არამედ შესაძლებლობა იმისა, რომ აღმოჩნდეს მისი, ე.ი. სახელმწიფოს, მონსტრუოზული ან უკეთესობისაკენ ცვლილებების – მაგრამ ყოველთვის დროებითი – წარმოსახვისაგან ჰიპნოტიზირებული .

სახელმწიფოს ფილოსოფია, მისი ეთიკა, რომ არარა ვთქვათ მის ესთეტიკაზე – ყოველთვის არის „გუშინ„; ენა, ლიტერატურა – ყოველთვის „დღეს„ და ხშირად – განსაკუთრებით კი ამა თუ იმ პოლიტიკური სისტემის ორთოდოქსალურობის შემთხვევაში – თუნდაც „ხვალ„. ლიტერატურის ერთ - ერთი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ეხმარება ადამიანს დააზუსტოს მისი არსებობის ხანა, განისხვავოს თავი როგორც წინამორბედთა, ასევე მისსავე მსგავსთა სიმრავლისაგან, დააღწიოს თავი ტავტოლოგიას, ანუ ხვედრს, რაც სხვაგვარად „ისტორიის მსხვერპლთა„ საპატიო სახელითაა ცნობილი. ხელოვნება საერთოდ, და ლიტერატურა კერძოდ, იმითაცაა შესანიშნავი, იმით განსხვავდება ცხოვრებისაგან, რომ ყოველთვის გაურბის განმეორებას. ყოველდღიურობაში შეგიძლიათ ერთი და იგივე ანეგდოტი მოყვეთ სამჯერ, რითაც შესაძლოა ყოველ ჯერზე გამოიწვიოთ მხიარულება და აღმოჩნდეთ საზოგადოების სული და გული. ხელოვნებაში კი ქცევის მსგავს ფორმას ეწოდება „კლიშე„. ხელოვნება არის შეუქცევადი იარაღი და მისი განვითარება განისაზღვრება არა ხელოვანის ინდივიდუალურობით, არამედ მასალის დინამიკითა და ლოგიკით, უწინდელი ხვედრით იმ საშუალებებისა, რომლებიც ყოველ ჯერზე მოითხოვენ (ან გვკარნახობენ) ხარისხობრივად ახალ ესთეთიკურ გადაწყვეტას. თავისი საკუთარი გენეალოგიით,დინამიკითა და მომავლით ხელოვნება არა სინონიმურია, არამედ, უკეთეს შემთხვევაში პარალელურია ისტორიისადმი და მისი არსებობის მეთოდს წარმოადგენს ყოველთვის ახალი ესთეტიკური რეალობის შექმნა. აი რატომაა, რომ ის ხშირადაც აღმოჩნდება „პროგრესის წინ„, ისტორიის წინ, რომლის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს – და ხომ არ დაგვეზუსტებინა კიდევ ერთხელ მარქსი? – სწორედაც კლიშე.

დღესდღეობით განსაკუთრებულად გავრცელებულია მტკიცებულება, რომ თითქოს მწერალი, განსაკუთრებით პოეტი, თავის ნაწარმოებში უნდა იყენებდეს ქუჩის ენას, ბრბოს ენას. მთელი თავისი მოჩვენებითი დემოკრატიულობისა და პრაქტიკული გამოსადეგობის შეგრძნების მიუხედავად მწერლისათვის ეს მტკიცებულება ყალბია და წარმოადგენს ხელოვნების, ხოლო ამ შემთხვევაში კი ლიტერატურის, ისტორიისადმი დამორჩილების მცდელობას. თუკი ჩვენ ჩავთვალეთ, რომ „საპიენსმა„ დროა შეწყვიტოს თავისი განვითარება, მხოლოდ მაშინაა საჭირო ლიტერატურამ ილაპარაკოს ხალხის ენაზე. ყველა სხვა შემთხვევაში საჭიროა ხალხმა ილაპარაკოს ლიტერატურის ენაზე. ყოველი ახალი ესთეტიკური რეალობა აზუსტებს ადამიანისათვის მის ეთიკურ რეალობას. ვინაიდან ესთეტიკა – ეთიკის დედაა; მცნებები „კარგი„ და „ცუდი„ – ესთეტიკური მცნებებია უპირველეს ყოვლისა, რომლებიც წინამორბედებია კატეგორიებისა „კეთილი„ და „ბოროტი„. ეთიკაში არაა „ყველაფერი დასაშვები„ სახელდობრ იმიტომ, რომ თვით ესთეტიკაში არაა „ ყველაფერი დაშვებული„, იმიტომ, რომ ფერთა რაოდენობა სპექტრში შეზღუდულია. შეუგნებელი ბალღი, უცნობისაგან ტირილით ზურგის შექცევისას ან კი პირიქით მისკენ ლტოლვისას, უარყოფს მას ან ისწრაფვის მისკენ, რითაც ის ინსტიქტურად აკეთებს ესთეტიკურ, და არა ზნეობრივ არჩევანს.

ესთეტიკური არჩევანი ყოველთვის ინდივიდუალურია, და ესთეტიკური განცდა – ყოველთვის კერძო განცდაა. ყოველი ახალი ესთეტიკური რეალობა, რომელსაც ადამიანი განიცდის, აყალიბებს მას უფრო კერძო პირად და ეს კერძოობა, რომელიც ზოგჯერ ლიტერატურული გემოვნების (ან რომელიმე სხვა სახის) ფორმას ღებულობს, თავისთავად უკვე თვით შეიძლება აღმოჩნდეს, თუ გარანტად არა, დამონებისაგან თავდაცვის რაღაც ფორმად მაინც, რამეთუ ადამიანი გემოვნებით, კერძოდ კი ლიტერატურულით, ნაკლებად მგრძნობიარეა ისტორიული შემობრუნებებისა და რითმული შეგონებების მიმართ, რაც ასე დამახასიათებელია პოლიტიკური დემაგოგიის ნებისმიერი ფორმისათვის. საქმე არა იმდენად იმაშია, რომ კეთილისმყოფელი არ წარმოადგენს შედეგრის შექმნის გარანტიას, არამედ იმაში, რომ ბოროტება, განსაკუთრებით კი პოლიტიკური, ყოველთვის ცუდი სტილისტია. რაც უფრო მდიდარია ინდივიდუმის ესთეტიკური გამოცდილება, რაც უფრო მყარია მისი გემოვნება, მით უფრო გამოკვეთილია მისი ზნეობრივი არჩევანი და უფრო თავისუფალია ის, – თუმცა კი, შეიძლება არც თუ ისე ბედნიერი.

სწორედ ამ, უფრო გამოყენებითი, ვიდრე პლატონური აზრით არის საჭირო გავიგოთ დოსტოევსკის შენიშვნა, რომ „მშვენიერება გადაარჩენს სამყაროს„, ან არნოლდ მეტიუს გამონათქვამი, რომ „ჩვენ გვიხსნის პოეზია„. მსოფლიოს, ალბათ უკვე ველარ ვიხსნით, მაგრამ ცალკეული ადამიანის შველა ყოველთვის შეიძლება. ესთეტიკური შეგრძნება ადამიანში ძალიან სწრაფად ვითარდება, ვინაიდან , მიუხედავად იმისა, რომ მას არასრულად აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თურას წარმოადგენს თვითონ და რას საჭიროებს სინამდვილეში,

ადამიანმა, როგორც წესი ინსტიქტურად იცის და გრძნობს, თუ რა მოსწონს და რა არ აწყობს მას. ანთროპოლოგიურად კი, ვიმეორებ, რომ ადამიანი უწინარესად წარმოადგენს ესთეტიკურ, ვიდრე ეთიკურ არსებას. ამიტომაც ხელოვნება, კერძოდ კი ლიტერატურა, არა მეორეული პროდუქტია, არამედ ზუსტად პირუკუ. თუკი ის, რაც განგვასხვავებს ჩვენ ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლებისაგან არის მეტყველება, მაშინ ლიტერატურა, და კერძოდ პოეზია, რომელიც სიტყვიერების უმაღლესი ფორმაა, წარმოადგენს, უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენი სახეობის მიზანს.

მე შორს ვდგავარ ლექსის თხზვისა და კომპოზიციის საყოველთაო სწავლების იდეისაგან; მიუხედავად ამისა საზოგადოების დაყოფა ინტელიგენციად და სხა დანარჩენ ნაწილად ჩემთვის მიუღებელია. ზნეობრივად ეს დაყოფა ემსგავსება საზოგადოების დაყოფას მდიდრებად და ღარიბებად; მაგრამ თუ სოციალური უთანასწორობისათვის ჯერ კიდევ დასაშვებია ზოგიერთი წმინდა ფიზიკური და მატერიალური დასაბუთება, ინტელექტუალური უთანაბრობის დასაბუთება წარმოუდგენელია. რაში – რა, მაგრამ ამაში თანასწორობა ჩვენ გარანტირებული გვაქვს ბუნებისაგან. აქ ლაპარაკია არა განათლების მიღებაზე, არამედ მეტყველების წარმოქმნის შესახებ, რომელშიც მცირედი მიახლოებითობაც კი გამოიწვევს ადამიანის ცხოვრებაში მცდარი არჩევანის შეჭრას. საკუთრივ ლიტერატურის არსებობა ითვალისწინებს მის არსებობას ლიტერატურულ დონეზე – და არა მარტო ზნეობრივად, არამედ ლექსიკურადაც. თუკი მუსიკალური ნაწარმოები მაინც უტოვებს ადამიანს პასიური მსმენელის როლსა და აქტიურ შემსრულებელს შორის არჩევანის საშულებას, ლიტერატურული ნაწარმოები – მონტალის სიტყვებით რომ ვთქვათ: უიმედოდ სემანტიური ხელოვნება – იმეტებს მისთვის როლს მხოლოდ შემსრულებლისა.

ადამიანს, ჩემის აზრით, უფრო ხშირად მართებს ამ როლში გამოსვლა, ვიდრე რომელიმე სხვაში. უფრო მეტიც, მე მგონია, რომ სწრაფი პოპულაციური მატების შედეგად და ამასთან დაკავშირებით საზოგადოების მზარდი ატომიზაციის პირობებში, ე.ი. ინდივიდუუმის უფრო და უფრო იზოლაციის ფონზე, მისი ეს როლიც სულ უფრო აუცილებელი ხდება. მე არ ვფიქრობ, რომ ცხოვრების შესახებ ვიცი მეტი, ვიდრე ჩემი ასაკის ნებისმიერმა ადამიანმა, მაგრამ მე მგონია, რომ წიგნი უფრო საიმედო თანამოსაუბრეა, ვიდრე მეგობარი ან გულის სწორი. რომანი ან ლექსი არაა მონოლოგი, არამედ მწერლის საუბარია მკითხველთან – საუბარი, ვიმეორებ, უკიდურესად კერძო, რომელიც მათ გარდა გამორიცხავს ყველა სხვა დანარჩენს, თუ გნებავთ – ორმხრივ მიზანტროპული. და ამ საუბრისას მწერალი უთანაბრდება მკითხველს, ისევე, როგორც ამავდროულად პირიქითაცაა, მიუხედავად იმისა თუ რამდენად დიდია ეს მწერალი. ეს გათანაბრება – გონებრივი თანაბრობაა, და ის ბუნდოვნად თუ მკვეთრად ადამიანის მეხსიერებაში მთელი ცხოვრების განმავლობაში რჩება, და ადრე თუ გვიან, საჭირო თუ არაა საჭირო, განსაზღვრავს ინდივიდუმის ქცევას. სწორედ ესა მაქვს მე მხედველობაში, როდესაც ვამბობ შემსრულებლის როლზე, მით უმეტეს ბუნებრივზე, რომ რომანი ან ლექსი არის ცალკე მწერლისა და ცალკე მკითხველის ერთმანეთისაგან განმარტოების პროდუქტი.

ჩვენი სახეობის ისტორიაში, „საპიენსის„ ისტორიაში წიგნი – ანთროპოლოგიური ფენომენია, რომელიც არსებითად ანალოგიურია ბორბალის გამოგონებისა. წარმოშობილი არა იმდენად იმისათვის, რომ მოგვცეს წარმოდგენა ჩვენი საწყისების შესახებ, არამედ იმისათვის, რომ გვამცნოს, თუ რისი მაქნისია ეს „საპიენსი„, წიგნი წარმოადგენს გამოცდილების წიაღში გადასაადგილებელ საშუალებას, რომლის სიჩქარეც განისაზღვრება მისი გვერდების გადაფურცვლის სისწრაფით. ეს გადაადგილება, თავის მხრივ, როგორც ყველა გადაადგილება, საბოლოოდ მთავრდება გაქცევით გასაერთ მნიშვნელიანობისაგან, ამ მნიშვნელის მიერ თავზე მოხვევის მცდელობის ასაცილებლად იმ წილადის ხაზისა, უწინ წელს ზემოთ რომ არ იწევდა ჩვენს გულამდე, ჩვენს გონებაზე, ჩვენს წარმოდგენაზე. გაქცევა ესე – რბოლაა, სწრაფვაა არასაერთო სახის გამომეტყველებისაკენ, მრიცხველისაკენ, პიროვნულობისაკენ, კერძოობისაკენ. ვისი ხატებითა და მსგავსებითაც არ უნდა ვიყოთ ჩვენ შექმნილი, ჩვენ უკვე ხუთი მილიარდი ვართ, და სხვა მომავალი, გარდა ხელოვნების მიერ მოხაზულისა, ადამიანს არა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გველის წარსული – უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური, ყველა თავისი მასობრივი პოლიციური მშვენებებით.

ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა, როდესაც ხელოვნება საერთოდ და კერძოდ ლიტერატურა წარმოადგენს საზოგადოებაში უმცირესობის კუთვნილებას (პრეროგატივას), მე მეჩვენება არაჯანსაღად და საშიშად. მე არ მოვუწოდებ, რომ სახელმწიფო შევცვალოთ ბიბლიოთეკით – თუმცა კი, ეს აზრი არაერთხელ მწვევია, – მაგრამ მე ეჭვიც არ მეპარება: რომ შეგვერჩია ჩვენი ხელისუფალნი მათი ნაკითხობით და არა მათი პოლიტიკური პროგრამების საფუძველზე, დედამიწაზე ნაკლები ვაება გვექნებოდა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ბედის პოტენციურ გამგებელს უპირველესად უნდა მოვკითხოთ არა ის, თუ როგორ წარმოუდგენია მას საგარეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკის კურსი, არამედ, თუ რას ფიქრობს იგი სტენდალზე, დიკენსზე, დოსტოევსკიზე. თუნდაც მხოლოდ იმით, რომ ლიტერატურის არსობის პურს წარმოადგენს სწორედ რომ ადამიანთა მრავალსახეობა, არამსგავსობა და უმსგავსოებაც, ის, ე.ი. ლიტერატურა, გვევლინება საიმედო შხამსაწინააღმდეგო საშუალებად ნებისმიერი – უკვე ცნობილი, თუ ჯერაც უცნობი – ტოტალური, მასობრივი მიდგომის მცდელობის წინააღმდეგ ადამიანთა არსებობის პრობლემათა გადაჭრისას. როგორც სისტემა ზნეობრივად დაზღვევისა, ის(ლიტერატურა) გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ამა თუ იმ რწმენის სისტემა ან ფილოსოფიური დოქტრინა.

რადგანაც არ შეიძლება არსებობდეს კანონები, რომლებიც დაგვიცავს საკუთარი თავისაგან, არც ერთი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს ლიტერატურის წინააღმდეგ დანაშაულისათვის პასუხისგებას. და ამ დანაშაულობებს შორის ყველაზე მძიმეს არ წარმოადგენს არა ავტორების დევნა, არა ცენზურის შეზღუდვები და ა.შ., არც წიგნის კოცონში მოსროლა. არსებობს უფრო უმძიმესი დანაშაული – წიგნისადმი გულგრილობა, მისი წაუკითხაობა. ამ დანაშაულისათვის ადამიანი ისჯება მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში: ხოლო, თუკი ერი სჩადის ამ დანაშაულს – ის სასჯელს იხდის თავისი ისტორიით. იმ ქვეყანაში, სადაც მე ვცხოვრობ, მე პირველი უნდა ვყოფილიყავი მზად დამეჯერებინა, რომ არსებობს რაღაც პროპორცია ადანიანის კეთიდღეობასა და მის ლიტერატურულ უმეცრებას შორის; არადა მაკავებს ამისაგან ისტორია იმ ქვეყნისა, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე. რამეთუ მიზეზ–შედეგობრივ მინიმუმამდე და უხეშ ფორმულამდე დაყვანილი რუსული ტრაგედია – ეს არის სწორედ ტრაგედია საზოგადოებისა, რომლის ლიტერატურა აღმოჩნდა უმცირესობის – ცნობილი რუსული ინტელიგენციის – პრეროგატივა.

მე არ მინდა დავყოვნდე ამ თემაზე, არ მსურს დავამძიმო ეს საღამო აზრებით ათეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლის შესახებ, ჩახშობილი მილიონების მიერვე – ვინაიდან ის, რაცხდებოდა რუსეთში მე–20 საუკუნის პირველ ნახევარში, ხდებოდა ავტომატური იარაღის დანერგვამდე – პოლიტიკური დოქტრინის ზეიმისათვის, რომელიც არ შედგა თუნდაც იმიტომ, რომ მისი განხორციელება მოითხოვს ადამიანთა მსხვერპლს. ვიტყვი მხოლოდ–არა გამოცდილებით,სამწუხაროდ არა, არამედ მხოლოდ თეორიულად–მე ვვარაუდობ, რომ ადამიანისათვის, რომელსაც წაკითხული აქვს დიკენსი უფრო საძნელოა ესროლოს თავისსავე მსგავსს რაღაც იდეისათვის, ვიდრე ადამიანისათვის, რომელსაც დიკენსი, არ წაუკითხავს. და მე ვლაპარაკობ დიკენსის, სტენდალის, დოსტოევსკის, ფლობერის, ბალზაკის, მელვილისა და ა.შ., ე.ი. ლიტერატურის სახელდობრ წაკითხვაზე და არა წიგნიერებაზე – არა განათლებაზე. წიგნიერ კაცს კი, განათლებულ ადამიანს კი, ამა თუ იმ პოლიტიკური ტრაქტატის წაკითხვის შემდეგ, თავისუფლად შეუძლია მოკლას მსგავსი არსება და ამასთან განიცადოს შთაგონების აღტკინება თუნდაც. ლენინი ნასწავლი იყო; სტალინი ნაკითხი იყო, ჰიტლერიც; მაო ძედუნი – ის მთლად ლექსებს წერდა. ამისდა მიუხედავად, ამ ადამიანების მსხვერპლთა სიამ, რაოდენ გადააჭარბა მათი წაკითხვის შესაძლებლობებს.

დავსძენ, სანამ გადავიდოდე პოეზიაზე, მინდოდა დამემატებინა, რომ რუსული გამოცდილება ჭკვიანური იქნებოდა განგვეხილა როგორც გაფრთხილება თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთის სოციალური სტრუქტურა ზოგადად დღემდე ანალოგიურია იმისა, რაც არსებობდა რუსეთში 1917 წ–მდე. (სწორედ ამით, სხვათა შორის, აიხსნება მე–19 საუკუნის რუსული ფსიქოლოგიური რომანის პოპულარობა დასავლეთში და შედარებითი წარუმატებლობა თანამედროვე რუსული პროზისა. რადგან, საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიქმნა რუსეთში მე–20 საუკუნეში, მკითხველს წარმოუდგება, ალბათ, არა ნაკლებ უცნაურად, ვიდრე პერსონაჟთა სახელები, რაც ხელს უშლის მას საკუთარი თავის გაიგივებაში მათთან). ღირს აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ პოლიტიკური პარტიების რიცხვი 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების წინ არანაკლები იყო ვიდრე დღევანდელ აშშ–ში ან დიდ ბრიტანეთში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუკერძოებელ ადამიანს შეუძლია შეამჩნიოს, რომ მე–19 საუკუნე გარკვეული მოსაზრებით დასავლეთში ისევ გრძელდება. რუსეთში ის დამთავრდა; და თუ მე ვამბობ, რომ ის დამთავრდა ტრაგედიით, ეს უპირველესად ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობის გამო, რომელიც გამოიწვია სოციალურმა და ქრონოლოგიურმა ცვლილებებმა. ნამდვილ ტრაგედიაში იღუპება არა გმირი – იღუპება ქორო.

III

თუმცა ადამიანისათვის, ვისთვისაც მშობლიური ენა რუსულია და საუბრები პოლიტიკურ ბოროტებაზე მისთვის ისევე ბუნებრივია, როგორც საჭმლის მონელება, მე მაინც მსურს ახლა შევცვალო თემა. აშკარა სინამდვილეზე საუბრების ნაკლი ის არის, რომ ისინი რყვნიან გონებას თავიანთი სიადვილით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი სიმართლის შეგრძნების იოლად მიღწევით. ამაშია მათი ცდუნება, რომელიც თავისი ბუნებით მსგავსია სოციალური რეფორმატორისაგან მომდინარე ცდუნებისა, რომელიც თვით ამ ბოროტებას ბადებს. ამ ცდუნების შეცნობამ და მისგან გარიდებამ გარკვეულწილად განსაზღვრა ბედი მრავალი ჩემი თანამედროვისა, არაფერს ვამბობ ჩემ თანამოკალმეებზე, რომლებიც თავის მხრივ პასუხისმგებელნი არიან ლიტერატურისა, რომელიც მათი კალმით შეიქმნა. იგი, ეს ლიტერატურა, არ იყო არც მოკურცხვლა ისტორიისაგან და არც მეხსიერების დახშობა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს შორიდან. „ აუშვიცის შემდეგ შეიძლება ვწეროთ მუსიკა? „ – კითხულობს ადორნო, და ადამიანმა, რომელიც იცნობს რუსულ ისტორიას, შეუძლია გაიმეოროს იგივე კითხვა, შეცვლის რა ბანაკების სახელებს,– გაიმეოროს იგი, ასე ვთქვათ, მეტი უფლებითაც, რადგანაც სსრკ ბანაკებში დაღუპული ხალხის რაოდენობა გაცილებით აჭარბებს გერმანელთა ბანაკებში დაღუპულთა რიცხვს. „ და შეიძლება მივირთვათ ლანჩი აუშვიცის შემდეგ?„ – მიუგო ამაზე ამერიკელმა პოეტმა მარკ სტრენდმა. თაობა, რომელსაც მე ვეკუთვნი, ყოველ შემთხვევაში, აღმოჩნდა მზად დაეწერა ეს მუსიკა.

ეს თაობა – თაობა, დაბადებული სწორედ მაშინ, როცა აუშვიცის კრემატორიუმები მთელი სიმძლავრით მუშაობდნენ, როდესაც სტალინი თავისი ღმერთკაცური, აბსოლუტური, თითქოსდა, თვით ბუნების მიერ სანქცირებული ხელისუფლების ზენიტში იმყოფებოდა, – მოევლინა მსოფლიოს, ყველაფრიდან გამომდინარე იმისათვის, რომ განეგრძო ის, რაც თეორიულად უნდა შეწყვეტილიყო ამ კრემატორიუმებში და სტალინის არქიპელაგის უწარწერო საერთო საფლავებში. ის ფაქტი, რომ ყველაფერი არ შეწყვეტილა – ყოველ შემთხვევაში რუსეთში, – ამაში არცთუ ისე ცოტა დამსახურებაა ჩემი თაობისა, და მე არანაკლებ ვამაყობ მისადმი კუთვნილებით, ვიდრე იმით, რომ დღეს აქ ვდგავარ. და ის ფაქტი, რომ მე დღეს აქ ვდგავარ, არის კულტურის წინაშე ამ თაობის დამსახურების დაფასება; თუ გავიხსენებთ მანდელშტამსაც, მე დავამატებდი – მსოფლიო კულტურის წინაშე დამსახურების დაფასება. წარსულის შემყურე, მე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ დავიწყეთ ცარიელ ადგილზე – უფრო სწორედ, დამაფრთხობელ სიცარიელეში, და უმალ ინტუიტიურად, ვიდრე გააზრებულად, ვისწრაფოდით სწორედ რომ კულტურის უწყვეტობის ეფექტის აღორძინებისაკენ, მისი ფორმებისა და ბილიკების აღდგენისაკენ, მისი ზოგიერთი გადარჩენილი და ხშირად სრულიად კომპრომენტირებელი ფორმების შევსებისაკენ ჩვენი საკუთარი, ახალი ან ჩვენ მიერ ასეთად მიჩნეული, თანამედროვე შინაარსით.

არსებობდა ალბათ სხვა გზაც – გზა შემდგომი დეფორმაციისა, სუნთქვის შემხუთველი ნამსხვრევების და ნანგრევების პოეტიკისა, მინიმალიზმისა. თუკი ჩვენ უარი ვთქვით ამისაგან, ნამდვილად არა იმიტომ, რომ ის თვითდრამატიზაციის გზად გვეჩვენებოდა, ან იმიტომ, რომ ზედმეტად აღტაცებულნი ვიყავით ჩვენთვის ცნობილი კულტურის ფორმების მემკვიდრეობითი კეთილშობილების შენარჩუნების იდეით, რომლებიც ჩვენ ცნობიერებაში ტოლფარდი იყო ადამიანური ღირსების ფორმებისა. ჩვენ უარი ვთქვით მისგან, რადგანაც სინამდვილეში ეს იყო არა ჩვენი, არამედ კულტურის არჩევანი – და ისევ, ეს იყო ესთეტიკური და არა ზნეობრივი არჩევანი. რა თქმა უნდა, ადამიანისათვის უფრო ბუნებრივია წარმოიდგინოს თავი არა როგორც იარაღი კულტურისა, არამედ პირიქით, როგორც მისი შემოქმედი და მფარველი, მაგრამ თუკი მე დღეს ვასკვნი საპირისპიროს, ეს არა იმიტომ, რომ მე–20 საუკუნის მიწურულს პლოტინის, ლორდ შეფთსბერის, შელინგის ან ნოვალისის ფრაზირებაში არის გარკვეული ხიბლი, არამედ, ვინ–ვინ მაგრამ, პოეტმა ყოველთვის იცის, რომ ის, რაც უბრალო ენაზე მუზად იწოდება, სინამდვილეში არის ენის დიქტატი; ის, რომ არა ენა წარმოადგენს მის ინსტრუმენტს, არამედ ის თვითონაა საშუალება ენის არსებობის გასაგრძელებლად. ენა კი – თუნდ რომ მოვიაზროთ ის როგორც სულიერი არსება (რაც მხოლოდ მართებული იქნებოდა) – უუნაროა ეთიკურ არჩევანში.

ადამიანი ლექსის შეთხზვას იწყებს სხვადასხვა მოსაზრებებით: სატრფოს გულის მოსანადირებლად; გარემო რეალობასთან, გინდ იყოს პეიზაჟი და გინდ სახელმწიფო, თავისი დამოკიდებულების გამოსახატავად; რომ აღბეჭდოს ის სულიერი მდგომარეობა, რომელშიც ამჟამად იმყოფება; რომ დატოვოს –როგორც მას ჰგონია ამ წუთას – კვალი დედამიწაზე. ის მიმართავს ამ ფორმას –ლექსს – უფრო გაუაზრებელ-მიმეტიკური მოსაზრებებით: თეთრი ქაღალდის შუა შავი ვერტიკალური სიტყვათა კონა, ეტყობა, ადამიანს აგონებს თავისი მდგომარეობის შესახებ სამყაროში, სივრცის პროპორციას მის სხეულთან მიმართებაში. მაგრამ იმ მოსაზრებისაგან დამოუკიდებლად, რის გამოც ის ხელში იღებს კალამს, და მიუხედავად იმ ეფექტისა, რომელიც გამოწვეულია მისი კალმის ქმნილებისაგან მის აუდიტორიაზე – რაოდენ დიდი ან მცირე არ უნდა იყოს იგი, – მყისეული შედეგი ამ რეწვისა - ესაა ენასთან პირდაპირ კონტაქტში შესვლის შეგრძნება, უფრო ზუსტად-უეცრად გავლენის ქვეშ მოქცევის შეგრძნება მისგან, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფრისაგან, რაც კი ოდესმე თქმულა, დაწერილა და განხორციელებულა ამ ენაზე.

ეს გავლენა – აბსოლუტურია, დესპოტური, მაგრამ ამავე დროს შვების მომგვრელი. რადგანაც ენა იმთავითვე ხანდაზმულია, ვიდრე მწერალი, მას გააჩნია კოლოსალური ცენტრიდანული ენერგია, რომელსაც ივსებს დროითი პოტენციალით – ესე იგი მთელი წინ მდებარე მომავალი დროით. და ეს პოტენციალი განისაზღვრება არა იმდენად ამ ენაზე მოლაპარაკე ერის რაოდენობრივი შემადგენლობით, თუმცა ესეც მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამ ენაზე შეთხზული ლექსების ხარისხით. საკმარისია გავიხსენოთ ბერძნული ან რომის ანტიკური პერიოდის ავტორები, საკმარისია დანტეც. დღევანდელი რუსული ან ინგლისური ქმნილებები, იძლევიან ამ ენების მომავალ ათასწლეულში არსებობის გარანტიას. პოეტი, ვიმეორებ, არის ენის არსებობის საშუალება. ან, როგორც დიდმა ოდენმა სთქვა, ის – ისაა, ვისითაც ენა ცოცხლობს. არ ვიქნები მე, ამ სტრიქონების დამწერი, ოდესღაც, არ იქნებით თქვენც, მათი მკითხველი, მაგრამ ენა, რომელზედაც ეს სტრიქონები იწერება და რომელზედაც თქვენ მას კითხულობთ, დარჩება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ენა უფრო ხანგრძელია ადამიანზე, არამედ იმიტომაც, რომ ის უკეთ ეგუება მუტაციას.

მელექსე, ჩვეულებრივ, წერს არა იმიტომ, რომ ის დიდებას ელის სიკვდილის შემდეგ, თუმცა ხშირად იმედოვნებს ალბათ, რომ მისი ლექსი თუნდაც მცირედით მაინც იცოცხლებს მის მერე. ლექსის მთხზველი წერს იმიტომ, რომ მას ენა უბიძგებს ან სულაც კარნახობს შემდეგ სტრიქონს. ლექსის წერის დასაწყისში, პოეტმა, როგორც წესი, არ იცის, თუ რითი დამთავრდება ეს, და ზოგჯერ გაკვირვებულიც აღმოჩნდება იმით რაც გამოუვიდა, რადგანაც ხშირად შედეგი აღმოჩნდება უკეთესი, ვიდრე ვარაუდობდა, ხშირად კი მისი აზრი შეტოპავს გაცილებით ღრმად, ვიდრე მას შეეძლო წარმოედგინა. სწორედ ეს არის ის მომენტი, როდესაც ენის მომავალი ერევა ანუ ინერგება მის აწმყოში. არსებობს, როგორც ვიცით, შემეცნების სამი მეთოდი: ანალიტიკური, ინტუიციური და მეთოდი, რომლითაც სარგებლობდნენ ბიბლიური წინასწარმეტყველნი, – გამოცხადების მეშვეობით. პოეზიის განსხვავება ლიტერატურის სხვა ფორმებისაგან იმაშია, რომ ის იყენებს სამივეს ერთად (უპირატესად იხრება მეორე და მესამისაკენ), რამეთუ ენაში სამივეა მოცემული; და ხანდახან ერთი სიტყვის, ერთი რითმის მეშვეობით მელექსე აღმოჩნდება იქ, სადაც მანამდე არავინ ყოფილა, – და შესაძლოა უფრო შორს, ვიდრე თვით მას სურდა და უოცნებია. მელექსე უპირველეს ყოვლისა წერს იმიტომ, რომ რომ თხზვა – გონების, აზროვნების, მსოფლმხედველობის კოლოსალური ამჩქარებელია. ადამიანი, ვინც ეს ერთჯერ გამოსცადა, უძლურია უარი თქვას ამ მცდელობის განმეორებისაგან, ის ვარდება დამოკიდებულებაშიამპროცესისაგან, როგორც ნარკოტიკებისაგან და ალკოჰოლისაგან. ადამიანი, რომელიც იმყოფება ენისაგან მსგავს დამოკიდებულებაში, მე მიმაჩნია, რომ იწოდება პოეტად.

რუსულიდან თარგმნა
ერიკ (ერმინე) გრიგოლიამ

იოსიფ ბროდსკი

ORფეოსი და არტემიდა.

ოქტომბერი 1964 წ.

დადგა ზამთარი. ჩიტი მგალობელი
არ გაჩუმებულა, დაუდგრომელი.
ხედავს ბილიკზე ნაკვალევს მგლისას
და, ვით კოდალა – დურგალი ხისა
მიფოფხავს ზემოთ ტანმაღალ ფიჭვზე.
გაიფართოვა თვალსაწიერი,
შენიშნა ქარგი, მშვიდი იერით,
გამოსახული სიქათქათეზე.

ბორცვები და გორაკები
ნაკვალევით დაპენტილა,
ვით ქალწულის ლოგინს დილამ
შეამკო მარგალიტები.
მინდვრებსა და გზებზე გროვად,
დახლართულან ძაფები და
განა ძალუძს არტემიდას
მათი დართვა ერთ დიდ გორგლად.

ზამთარი ბრჭყალებში აქცევს
ყოფას. მზერას თან იტაცებს
ტოტთა ფოჩვები. ახალი
ORფეოსი კი დრო – ხანი
ჩამოხევს რა დიდ კალენდარს,
ყრუდ მიყუჟულ სულდგმულთ
ხარჯზე,
კვეცს ლექსიკონს, ივსებს ზღვარზე
თავის ბესტიარულ დავთარს.

ჩემის აზრით, ბოლო სტრიქონებში–„ახალ ORფეოსში„ ბროდსკი გულისხმობს ახალ პოეტს(შეიძლება თვითონ). დიდი კალენდარი, ალბათ აღმოსავლური კალენდრის მსგავსია ჩრდილოელი ცხოველებით, რომელთა სახელებითაც ავსებს თავის ბესტიარულ დავთარს–მეხსიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშობაო რომანსი.

(ევგენი რეინს, სიყვარულით)
1962 წ.

ამოუცნობი სევდით მოცული,
აგურის მახვილ გროვათა შორის,
მოცურავს გემი ნათლით მოსილი,
შიგ ალექსანდრეს ბაღიდან შორით,
ღამის ფარანი, ვით უკარება,
ვარდი ყვითელი-ვიღას ერგება,
საყვარელ გამვლელთ თავზე ევლება,
ფეხქვეშ ეგება.

მოდის, მოცურავს უცნობ ურვაში,
ლოთების გუნდი ზანტად, ზუზუნით,
ღამის ქალაქი ფოტოსურათში
ჩაბეჭდა უცხომ თითქმის ბუზღუნით,
და ამ დროს ტაქსით ავადი სულნი,
გამოემართნენ ორდინკისაკენ,
ჩახუტებულან მიცვალებულნი
დიდებულ სახლებს.

მოსჩანს, მოცურავს პირნაღვლიანი,
სევდის აშუღი დედაქალაქში,
და მეეზოვე მრგვალსახიანი,
კაეშნიანი დგას ნაფთის დახლში,
მოხუცმა,მაგრამ ჯერაც მიჯნურმა,
ერთსახე ქუჩა მყის გადაჰკვეთა.
მოცურავს ღამით სევდით მიჯრილი
მატარებელი მექორწილეთა.

ზამოსკვარეცკის ნისლებში ცურავს
ვიღაც შემთხვევით შეჭირვებული,
ყვითლად დაღვენთილ კიბეზე ურვით,
დაეხეტება ხმა ებრაული.
ახალი წლის წინ, კვირის წინა დღით,
სიყვარულიდან, თავჩამხობილი
ქალი მოცურავს უბის წიგნაკის,
თავის სევდაში გულჩათხრობილი.

თვალწინ მიცურავს საღამო მზრალი,
თოვლის ფიფქები თრთიან ვაგონზე,
მყინვარე ქარი, ქარი ფერმკრთალი
შემომტმასნია ხელისგულებზე,
ღამის შუქები იღვრება თაფლად,
დგას ტკბილი ხალვის სუნი და გემო,
და ორცხობილა ალილოს მდაბლად
მოაქვს თავს ზემოთ.

შენი ქალაქის ახალი წელი
მოცურავს მუქლურჯ ტალღების
წყებით.
ამოუცნობი სევდით ნელ–ნელა
თითქოს ცხოვრება ისევ იწყება.
თითქოს გვეწვევა ჩვენ ბრწყინვალება ,
დღე წარმატების და პურის ხარჯვის ,
თითქოს დაქანდა მარცხნივ ცხოვრება
რათა, გასწორდეს მარჯვედ.

რუსულიდან თარგმნა
ერიკ (ერმინე) გრიგოლიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924-1988

არაგვული

მივდივართ,
მზეა და აღმართი,
ჯერ კიდევ შორსაა ხახმატი,
ხან მოლზე,
ხან გზაზე,
ხან ხნულში
სხლტის ჩვენი ჩრდილების ნახატი.
ქმენ, მზეო, ისინი უკვდავად
და მთებში დატოვე ღაღადად:
ხარტიშოს, ხახაბოს, გუდარახს,
არახვეთს, არახინჯს, ახატანს,
ვით სახლში სამოსი გვაქვს დატოვებული,
ბამბის თუ შალისა,
ეკიდონ ისინიც ამ მთებში
შამბსა თუ
შალდამს თუ
შალიბას.
მივდივართ,
ცამ მხრები გაზიდა,
და მთა უნაგირაც გამაღლდა,
რომელიც გაბმული ხაზითა
ასე ჰგავს ძველ ქართულ ქარაგმას.

***

ბედმა მიჰმართა საით,
საით უბრძანე ცხენთა?
ეს ხეობაა ხრამის
თუ მშვენიერი მცხეთა!
მოულოდნელი მთები
რას გვპირდებიან ნეტავ?

რომ...

ცაში წასულო აკაციებო,
სახლებს ზემოდან რომ იცქირებით
და ვიდრე მოჩანს შუქი მცირედი,
აღფრთოვანებულ თვალს არ აცილებთ
მზეს, დასავლეთის ქვეყნისკენ მავალს,
რად მედიდურობთ სიდიდით თქვენით?
მეც რომ ერთ ადგილს ვმდგარიყავ, ალბათ,
ეგრე თქვენგვარი უდრტვინველ ლხენით
და არ მქონოდა გული, რომელიც
წვავსა და ფლანგავს დაუხანებლად
ძალს სიცოცხლისას, წადილს, ხარებას,
გული უწვდომის წვდომის მდომელი,
თქვენზეც მაღალი გავიზრდებოდი
და, რომ ფიქრები, ქვიშაზე ხშირი
არ იკარგვოდნენ უკვლოდ ესოდენ,
არამედ მხოლოდ
ლურჯ ფოთლებად გადიქცეოდნენ
მე მექნებოდა
თქვენზე მუქი და გრილი ჩრდილი.

***

საით მიფრინავთ სივრცეების დასათრგუნავად,
ჩემო თეთრონო,
ჩემო ლურჯავ,
ჩემო ქურანავ?
იმ გზებს შეჰბედავთ, თუ მართლა ხართ
დაუცხრომელი,
ყმაწვილქალობის სათავისკენ მიდის რომელიც,
იქ მიმიყვანეთ — და ამ დღეებს გადაასწარით
სად ოქროს მილით
სილამაზის ისმის წკანწკარი.

მე შენი სული მსურს

ტაბაწყურელო რაინდო,
გადმომევლინე სით?
თაფარავნელი ჭაბუკი
დაგიჯაბნიდა რით!
შენზე უსწრაფეს იორღით
გადათელავდა მთებს,
ჩაეხვეოდა ასპინძას

სატრფოს ბროლივით ყელს,
თუ შენზე ფიცხელ გაჰკვეთდა
ტაბაწყურსა და ქარს,
შეუყივლებდა ღამეს და
ბებერ, გულბოროტ ქალს?
ტაბაწყურელო რაინდო,
მე შენი სული მსურს.
მსურს, შენი ცოდო დავიდო,
გზა აგიბნიო სულ,
გამოღმით სანთელ აგინთო,
გაღმით ღელავდე შენ,
მერე ქარიან ღამითა
წამოაფრინდე ცხენს,
გზა შეიმოკლო, ისწრაფო,
გადმოასწორო ტბას,
ქარმა კელაპტარ ჩაგიქროს,
სურვილ აგიგდოს ბანს,
გაგწიროს, უფსკრულს წაგიღოს,
დაუსასრულოს, ვრცელს,
ატირდეს შენი იორღა,
მიწას ტორები სცეს,
მეც ჩემი დღენი გგლოვობდე,
შავები მეცვას სულ...
ტაბაწყურელ რაინდო,
მე შენი სული მსურს!

საინგილოს გზაზე

რას სჩადი, კატეხისწყალო,
რაღა დროს ეგეებია,
არც მე ვარ ოცი წლის ქალი
შენც თმები შეგთეთრებია,
რა დროს ხვევნა და კოცნაა,
ქვეყანა მოგვჩერებია.

***

ფიქრებს რომ ჰქონდეთ თვისება ქალის,
ფიქრებს რომ თოვლზე რჩებოდეთ კვალი,
გაგაკვირვებდა მოსვლა დილისა,
როს შენს პაწია ქუჩის ყურეში
შემოგხვდებოდა ნაფეხურები
ღამეგარეულ ჩემი ფიქრისა.
ფიქრის, რომელიც ღელავდა დიდხანს,
ტკეპნიდა თოვლს და ღამის სიბნელეს,
გაბედა ბოლოს და ჭიშკარს მიღმა
კრძალვით აუყვა რკინის კიბეებს.
ღამის თოვაში ჩადგმულ კიბეებს.
ის მოდიოდა შენთან ვით ღმერთთან,
მაღლა, სულ მაღლა,
ჩუმი და მუქი,
ის მოდიოდა შუქის იმედად,
შენი უცნობი, საკვირველ შუქის...
სხვა უარეყო ყოველივე,
განერიდნა, დაჰყვიწყებოდა...

დილით

შენ იქნებოდი ლამაზი ხარი,
შენ იქნებოდი მაღალი ხვამლი,
შენ იქნებოდი მდინარე დიდი,
მაგრამ შენ გაჩნდი ადამიანად.
და დღეს მოდიხარ ჩემს გვერდზე რიდით,
ლომივით დინჯი და ნაღვლიანი,
ნამიან ვარდებს უხდებათ დარი,
მაღალი ტანით კანკალებს სვია...
მე და ვარ შენი, უმცროსი დაი,
როგორც გრიგალის და არის სიო —
ეს არის ფიცი, მე კი — ფიცის ტყვე...
რა მაღალია დღევანდელი დღე.
რა მდუმარეა ბეთანიის ტყე
და ეს ბილიკი,
სად, ედემს ზრდილი
მეხვევა შენი მთრთოლვარე ჩრდილი.
მარტოდენ ჩრდილი და მთების ქარი...
ძვირფასო, ხედავ ამომავალ მზეს,
როგორ ამშვენებს იაღლუჯის სერს
მისი სისხლივით წითელი ზარი!
თქვი, არ გაგონებს მზის ამოხედვა
პირველ გამხელას — „მე შენ მიყვარხარ!“ —
სიტყვას, უნათლესს ყოველ სიტყვათა,
ლამაზ ბაგეებს რომ აღმოხდება,
როგორც მნათობი ამ მშვენიერ მთებს.
თქვი, არ გაგონებს?

ჰოი, ბათალბეგ!

ამ ბნელ ღამეში მსგავსად ვარსკვლავის,
საფეთქელს ზემოთ შემრჩა და ჰყვავის
უუკრძალესთა ბაგეთა კვალი.
ჰოი, ბათალბეგ, ზეცაა მკრთალი,
ვით შენი სწორი, ლამაზი შუბლი!
დაგტოვე, მივალ ქარით და ღრუბლით.
მივყვები ქვემოთ ცხენს და ცხენისწყალს.
და საფეთქელიც ქარში ღვივდება,
როგორც ნატეხი ნაკვერჩხალის,
მე მთებში ყოფნა არ მომწყრდება,
ნელი სურნელი ყარამფილისი,
მაგრამ მიჩქარის ჩემი თბილისი,
ჩემი ლურჯთვალა მზეთუნახავი,
მზის ღიმილით და ოქროს ნაწნავით.
ო, დაიფიცე, მარად იქნები,
ჩემი ძმა, ჩემი ჩუმი რაინდი.
მწუხარების ჟამს არ ჩამიქრები,
მარტოობის ჟამს ვით დას დამინდობ,
ისევ შემხვდები ალვიან გზაზე,
კვლავ გავიხარებთ, რითაც ვხარობდით,
ჰოი, ბათალბეგ, სულია სავსე
მხოლოდ ალვებით და საღამოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

ევროპის მილიტარობა და ამერიკის მეიმისი

თბილისის მერიის თაოსნობით ჩატარებული არტფესტივალის – „მუსიკაში გაჟღერებული ლექსი" – ერთ-ერთი ღონისძიება ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიმართა. საღამოს დაესწრნენ აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი, თბილისის მერი გიგი უგულავა, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, კულტურის მოღვაწეები და ახალგაზრდა შემოქმედები.

დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველურ წერილს ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოქვეყნდა.

ერთა-შორისი დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა, რომ კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპავია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვსთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელთ. იმისდა მიუხედავად, რომ ეგ აზრი მეტად ადვილი გასაგებია, მთელი ევროპა მუდამ იმასა ცდილობს, რომ საომრად მოემზადოს; ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ჰზოგავენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელი ჯარი იყოლიონ. ას-ორმოცდა-ათ წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი მონტესკიე სჩიოდა, რომ ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, ამისათვის არა ჰზოგავს არავითარს ხარჯს და ამითი თავს იღარიბებს და იღატაკებსო. მონტესკიეს სიტყვას არავინ გაუფრთხილებია და დღეს ევროპის სახელმწიფონი თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ. ევროპის ამ გვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს. ამ ჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს. ამ მოკლე ხანში ოც მილიონამდე შეისრულებს. ერთის სიტყვით, მთელს ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებელის ხალხისა. ეს ერთი მერვედი წლიდგან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანამოძმეთა ნაშრომითა და ნაღვაწით იკვებება. საფრანგეთი, რომელსაც ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს, ჯარსა და ფლოტს ანდომებს წელიწადში 900 მილიონ ფრანკზე მეტს. ეს ფული ყველა მკვიდრზე რომ გავანაწილოთ, გამოვა, რომ თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად იხდის წელიწადში 24 ფრანკსა და ნახევარს. ინგლისის თითო მკვიდრი იხდის წელიწადში 21 ფრანკს, და გერმანიისა $12^{1/2}$-ს.

ეხლა ვნახოთ, რამდენი ჯარი ჰყავს ჩრდილო ამერიკის შტატებს და რამდენი ეხარჯება. ამ შტატებს ჰყავს მხოლოდ 27.000 ჯარისკაცი. ამ მცირე ჯარის შესანახად თითო მკვიდრი წელიწადში იხდის $4^{1/2}$ ფრანკს.

როგორც ჰხედავთ, ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩენია ევროპისას. სამაგიეროდ ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამ-რიგად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერ-

თიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმწიფონი-კი თანდათან ვალებში სცვივიან.

რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება. ამ მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვთ სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისთვისაც ქალაქ ნიუ-იორკში კონგრესი შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს. სხვათა შორის, კონგრესზე ისიც გადასწყდება, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში მორიგებითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე. უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა.

ტფილისი, 25 თებერვალი, 1889 წ.

ნინო

ნიკურიძე

„მუსიკაში აჟღერებული ლექსი"

თბილისის კულტურულ ცხოვრებაში ზაფხულის თვეები ტრადიციულად, არც ისე დატვირთულია სიახლეებითა და საინტერესო მოვლენებით. გასაგები მიზეზების გამო ყურადღება ზღვისპირა რეგიონებზე გადადის და დედაქალაქი თავის ჯერს სექტემბრამდე მოთმინებით ელის. ამიტომ თბილისის მერიის ხელშეწყობით ჩატარებული სამკვირიანი სახელოვნებო ფესტივალის „მუსიკაში აჟღერებული ლექსის" სპონტანური შემოჭრა ქალაქში, აქ დარჩენილი მოსახლეობისათვის მოულოდნელი სიხარული იყო, მით უმეტეს, რომ ყველა ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალი გახლდათ.

ფესტივალმა თითქმის ყველა სახელოვნებო კავშირი გააერთიანა — მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, ქორეოგრაფთა კავშირი, მხატვართა კავშირი და ჟურნალისტთა კავშირი. ღონისძიებებში აქტიურად ჩართული იყვნენ თბილისის ხელოვნების სკოლები და „ახალგაზრდა ხელოვანთა სალონი". ღონისძიებები ცნობილი კომპოზიტორის, მარიკა კვალიაშვილის სახლიდან, კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირებისა და თბილისის მერიის ხელშეწყობით დაიწყო და მაყურებლის საბედნიეროდ, საინტერესო განვითარებაც ჰპოვა.

„მუსიკაში აჟღერებული ლექსის" დამახასიათებელ შტრიხად თბილისის მოქმედი სამუზეუმო სივრცეების ათვისება შეიძლება ჩაითვალოს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობისთვის მუზეუმების მონახულების მოთხოვნილების ჩამოსაყალიბებლად. ძირითადი მასპინძელი თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი იყო, სადაც თითქმის ყოველდღე საღამოობით შეხვედრები, გამოფენები, მუსიკალური საღამოები იმართებოდა და ძველ და ახალ თაობას ერთმანეთის გაცნობის საშუალებას აძლევდა. ფესტივალს გულთბილად უმასპინძლეს ზაქარია ფალიაშვილისა და ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმებმა.

ფესტივალი წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ბაღში ჩატარებული გრანდიოზული დახურვით დასრულდა. საღამოს მუსიკალურად თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი აფორმებდა. მიუხედავად სიცხისა, მიწვეული ხანდაზმული თუ ახალგაზრდა სტუმრები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ღონისძიებაზე მერიის საპატიო სიგელებითა და მედლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართული კულტურის ამაგდარი" დაჯილდოვდნენ: კომპოზიტორები: მარიკა კვალიაშვილი, ნუნუ დუღაშვილი, ნუნუ გაბუნია, შალვა დავითაშვილი, რუსუდან სებისკვერაძე, ჯუმბერ ჯანდიერი, გივი გაჩეჩილაძე; მწერლები: ჯანსუღ ჩარკვიანი, ფრიდონ ხალვაში, ნოდარ ტაბიძე, გურამ ბათიაშვილი, ცირა ქიტიაშვილი, გურამ გოგიაშვილი, რეზო ჭეიშვილი, რეზო მიშველაძე, ვახტანგ ჯავახაძე; ქორეოგრაფიის მოღვაწენი: თენგიზ უთმელიძე, ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე, ჯუმბერ ბერაძე; ჟურნალისტი ლალი კობახიძე – ღვაწლმოსილ ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; მსახიობი — ზინაიდა კვერენჩხილაძე. სპეციალური მედალი „ქართული კულტურის დესპანი" გადაეცა

ჟურნალს „ლიტერატურა და ხელოვნება", ქართული კულტურისა და ემიგრანტული შემოქმედების პოპულარიზაციისთვის საქართველოსა და უცხოეთში. „ქართული კულტურის ნორჩი დესპანის" მედლებით დაჯილდოვდნენ: ირმა გიგანი, „ევროვიზია ჯუნიორის" გამარჯვებული ჯგუფი „ბზიკები", მარიამ რომელაშვილი და გვანცა ქობალია.

ფესტივალმა რომ კულტურის მოღვაწეების და ქვეყნის მმართველი გუნდისგან ერთმანეთის მიმართულებით სვლის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი მისია იტვირთა, ამ ფაქტს ორივე „მხარე" განსაკუთრებით აღნიშნავდა; როგორც ჩანს, ურთიერთნდობის ჯერ ისევ მოლიპულ ნიადაგზე თითოეული ნაბიჯის გადადგმისას რომ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, თითოეული მხარე აცნობიერებს. ამის დასტური იყო თელავში გამართულ

დასკვნით ბანკეტზე ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების" დამფუძნებლის, ბატონი ვაჟა ოთარაშვილის სიტყვა თბილისის მერის, ბატონი გიგი უგულავასადმი, რომელშიც აღნიშნა: „გვჯერა, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნო ღონისძიება არ იყო და კულტურის სახელმწიფო პოლიტიკა რეალურად იცვლება ქართული ცნობიერების სასიკეთოდ".

საპასუხოდ, ქალაქის მერმა კულტურის მოღვაწეებს კიდევ ერთხელ დაუდასტურა მათთან ერთად ახალი და მრავალფეროვანი პროექტების განხორციელებისთვს მზადყოფნა.

ფესტივალ „მუსიკაში აჟღერებული ლექსის" პირველი სამკვირეული დასრულებულია. გახდება თუ არა ის ყოველწლიური, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ მთავარი ალბათ ისაა, რომ ჩვენი კულტურის სასიქადულო წარმომადგენლები მუდმივად გრძნობდნენ დაფასებას არა მარტო უბრალო მოქალაქეებისგან, არამედ ქალაქის ხელისუფლებისა და საკუთარი კოლეგებისგანაც. დავიტოვოთ იმედი, რომ მომავალშიც ასე იქნება.



მამუკა ნაცვლიძე

შეხვედრა კომპოზიტორ კახა ცაბაძესა და ლეგენდარულ ანსამბლ „მზიურთან“

ივნისი საკმაოდ დახუნძლული აღმოჩნდა კულტურული ცხოვრებისათვის. თბილისის მერიის ინიციატივით კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირთან ერთად გაიმართა საკმაოდ საინტერესო შეხვედრები სახლ-მუზეუმებსა და კულტურულ ცენტრებში. „მუსიკაში აჟღერებული ლექსი“ — ასეთი იყო ამ ღონისძიებების ლაიტმოტივი.

მოსწავლეახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში სწორედ ზემოაღნიშნული დევიზით შედგა შეხვედრა კომპოზიტორ კახა ცაბაძესა და ლეგენდარული ანსამბლის „მზიურის“ ხელმძღვანელ გურამ ჯაიანთან. საქვეყნოდ განთქმული ანსამბლის მეშვიდე თაობა ასრულებდა კახა ცაბაძის სიმღერებს, რომელთაც საკმაო პოპულარობა მოიპოვეს მსმენელთა შორის. ამიტომაც გადაწყდა, რომ ოცამდე ნაწარმოები, რომელიც გურამ ჯაიანის ანსამბლის რუპერტუარშია, უახლოეს ხანში გამოიცეს კომპაქტდისკის სახით.

„მუსიკაში აჟღერებული ლექსის“ ეგიდით გამართული შეხვედრა სახელოვან ხელოვანებთან, გახლდათ ამ დისკის საკონცერტო ვარიანტის ერთგვარი პრეზენტაცია. აღსანიშნავია, რომ კახა ცაბაძეს ანსამბლ „მზიურთან“ მრავალწლიანი შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, რაც საკმაოდ ნაყოფიერად აისახა ერთი მხრივ როგორც კომპოზიტორის, ასევე ანსამბლ „მზიურის“ შემოქმედებაზე. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული ავტორის მიერ სპეციალურად ანსამბლ „მზიურისათვის“ დაწერილმა არაერთმა სიმღერამ ისეთი საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, რომ სხვა საბავშვო ანსამბლებიც სიამოვნებით ასრულებენ მათ.

შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა მუსიკალური თუ საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, შემოქმედებითი სტუდიებისა და ქალაქის მერიის წარმომადგენლები. კახა ცაბაძის პერსონალური მოწვევით შეხვედრაზე იყვნენ წყნეთის 29-ე ხელოვნების კოლეჯის აღსაზრდელები, სადაც სწავლობენ მზრუნველობამოკლებული და ლტოლვილი მოსწავლეები.

შეხვედრა ანსამბლმა „მზიურმა“ გახსნა. მათ ჩვეული პროფესიონალიზმითა და ემოციურობით შეასრულეს კახა ცაბაძის ნაწარმოებები: „მგზავრული, „ბედნიერი დილა“, „ოცნებების სამყარო“, „ლურჯი ჩიტი“, „მამულო“, „და მოდიოდა თბილისი“ და სხვა, რომლებიც მსმენელმა ტაშით დააჯილდოვა.

მერვე ნომრის შემდეგ სცენაზე გამოვიდა შავერზაშვილთა დიდი მუსიკალური გვარის ყველაზე პატარა წარმომადგენელი ელენე შავერზაშვილი, რომელმაც შეასრულა კახა ცაბაძის სამი საფორტეპიანო პიესა: „წვიმა“, „წინაპართა ჩონგური“ და „კეთილი ხუმრობა“.

საკმაოდ საინტერესოდ წარუდგინა კახა ცაბაძემ პატარა ელენე მაყურებელს: „როცა ელენიკოს ვაჩუქე ამ ნაწარმოებების ნოტები, წავაწერე - „ულამაზეს, უნიჭიერეს და უჭკვიანეს ელენიკო შავერზაშვილს“. ახლა მოისმენთ ამ ნაწარმოებებს და თავად განსაჯეთ, რამდენად მართებულია ჩემი შეფასება.“

ისეთი ემოციური დატვირთვითა და სიღრმით შეასრულა პატარა ელენემ საფორტეპიანო პიესები, რომ მაყურებელმა მართლაც ვერ დამალა აღფრთოვანება და აპლოდისმენტებით დაადასტურა კომპოზიტორის შეფასება. ამ პატარა გოგონას მიერ დამუხტულ დარბაზს არანაკლებ საინტერესო სიურპრიზები ელოდა მაშინ, როცა სცენაზე წყნეთის 29-ე სამუსიკო კოლეჯის აღსაზრდელები გამოვიდნენ.

საგულისხმოა, რომ ამ ბავშვებისთვის საკმაოდ სასიამოვნო და ერთგვარი მოულოდ-

ნელობა გახლდათ კომპოზიტორის მიერ წინა დღით ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში გამართული შეხვედრისას გაკეთებული შეთავაზება მონაწილეობა მიეღოთ მოსწავლეახალგაზრდობის სასახლეში დაგეგმილ შეხვედრაზე. თავდაპირველად ბავშვებმა და მათმა აღმზრდელებმა ერთგვარი მორიდებით განუცხადეს კომპოზიტორს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა წასული იყო, რის გამოც კახა ცაბაძის მხოლოდ ორიოდე ნაწარმოების შესრულება შეეძლოთ. კომპოზიტორის დაჟინებული მოთხოვნით გადაწყდა, რომ მზრუნველობამოკლებული და ლტოლვილი ბავშვები შეხვედრაზე გამოვიდოდნენ მათთვის სასურველი რეპერტუარით.

წყნეთის ხელოვნების კოლეჯის აღსაზრდელებმა კონცერტზე შეასრულეს რამდენიმე საესტრადო ნაწარმოები, რეპერტუარში იყო როგორც კახა ცაბაძის, ასევე სხვა ქართველი კომპოზიტორების სიმღერები. მოსწავლეები სხვადასხვა შემადგენლობით წარსდგნენ მსმენელთა წინაშე. ამის შემდეგ გამოვიდა მათივე ფოლკლორის ჯგუფი. მსმენელმა წყნეთის კოლეჯის აღსაზრდელები მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს კახა ცაბაძის სტუდიის მოსწავლეებმაც, რომელთაც თავიანთი ხალისიანი განწყობითა და ლაღი შესრულებით შესძლეს მაყურებელთა სიმპატიების მოპოვება.

შეხვედრის დასკვნითი ნაწილი ისევ ანსამბლ „მზიურს“ დაეთმო, მაღალპროფესიულ დონეზე შესრულდა ნაწარმოებები: „სიყვარულის ჯადოსნური ზღაპარი“, „პაწაწინა ყვავილო“, „მოგვეცით გზა“ და სხვა. ანსამბლმა „მზიურმა“ კიდევ ერთხელ აჩვენა მსმენელს, რომ წინამორბედების მსგავსად დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევიან, რაც მათი შესრულების მანერას, არტისტიზმსა და ვოკალურ მონაცემებს განსაკუთრებულ ხიბლს მატებს.

კონცერტის ბოლოს მსმენელს მადლობა გადაუხადა კახა ცაბაძემ, მან შეასრულა მორის ფოცხიშვილისადმი მიძღვნილი სიმღერა, „სიმღერებით შემოვივლი თბილისს“, რომლის ტექსტი ბატონი მორისის ციტატებზეა აგებული. აგრეთვე შესრულდა „აღსარება“, რომელიც კახა ცაბაძემ მამამისის, ლეგენდარული კომპოზიტორის, გიორგი ცაბაძის ხსოვნას მიუძღვნა.

„საესტრადო სიმღერაში ლექსი და მუსიკა აუცილებლად ერთ დონეზე უნდა იყოს, მხოლოდ ასეთი რეალობისას შესძლებს სიმღერა პოპულარობის მოპოვებას, — აღნიშნა კონცერტის ბოლოს სამადლობელ სიტყვაში კახა ცაბაძემ, — ამის დასტურია ილია ჭავჭავაძის ლექსზე დაწერილი რევაზ ლაღიძის „ჩემო კარგო ქვეყანა“, სადაც ბატონი რეზო როგორც კომპოზიტორი ილია ჭავჭავაძის დონეზეა ასული. ტექსტისა და მუსიკის საინტერესო შერწყმის ასევე ჭეშმარიტი მაგალითია გიორგი ცაბაძის „გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ“, რომელიც ვაჟა-ფშაველას ლექსზეა შექმნილი, სადაც კომპოზიტორი გენიალური პოეტის სიმაღლეზეა.

კომპოზიტორებისა და პოეტების შემოქმედებითი ურთიერთობის არაერთი მაგალითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცის ჩვენმა ისტორიამ, საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი დუეტი შექმნეს გოგი ცაბაძემ და მორის ფოცხიშვილმა, ასევე გოგი ცაბაძემ და პეტრე გრუზინსკიმ, რომელთა ნაწარმოებებიც პირველი შესრულებისთანავე შეიყვარა მსმენელმა. ეს სიმღერები დღესაც არ კარგავენ თავდაპირველ ხიბლს და სხვადასხვა ასაკის მსმენელთა შორის ერთნაირი ინტერესითა და პოპულარობით სარგებლობენ. ასეთი მარადიულობის საფუძველი კი მაღალი დონის მუსიკასთან ერთად მაღალი დონის ლიტერატურული ტექსტია.

კახა ცაბაძე: „მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც ასეთი შეხვედრების იდეა დაებადა. იმათ, ვინც თავინთი ურთიერთობებით საკმაოდ საინტერესო კვალი დააჩნია ქართულ კულტურას, ჩემთვის ძვირფას ადამიანებს, რომელთაც ჩემი კონცერტი ყველაზე მეტად გაუხარდებოდათ... მამაჩემს, გოგი ცაბაძეს, ბატონ მორისს, ბატონ პეტრეს, რომელთა ფაქიზი ურთიერთობები, თანადგომა, სიახლოვე და ნაღდი, უშურველი მეგობრობა კვებავდა ქართული კულტურის უბრწყინვალეს ნიმუშებს...“

მერიის წარმომადგენლებმა კონცერტის შემდეგ გურამ ჯაიანსა და კახა ცაბაძეს გადასცეს ხატები, რითაც შემოქმედებითი შეხვედრისას არსებულ ამაღლებულ განწყობას საკმაოდ ძალუმი აკორდი დაუსვეს.

შეხვედრის ემოციური მუხტი კონცერტის დასრულების შემდეგაც იგრძნობოდა. ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ლეგენდარულ ანსამბლ „მზიურის“ ხელმძღვანელს გურამ ჯაიანსა და კომპოზიტორ ელიზბარ ლომდარიძეს.

გურამ ჯაიანი: „ველოდი, რომ შემოქმედისა და პუბლიკის შეხვედრა საინტერესო გამოვიდოდა, არც შევმცდარვარ, საკმაოდ სასიამოვნო ემოციები დაგვიტოვა ამ კონცერტმა. ვიტყვი, რომ ჩვენს რეპერტუარში ბავშვები განსაკუთრებული სიამოვნებით მუშაობენ კახა ცაბაძის სიმღერებზე, ეს განწყობა შესრულებისას ყოველთვის იგრძნობა. ასეთი პროფესიულად მაღალ დონეზე შექმნილი ნაწარმოებები ჩვენს მთავარ მიზანს, გემოვნებიანი მსმენელის აღზრდას ყველაზე მეტად უწყობს ხელს, რაც ერთ დროს მდიდარ, მუსიკალური ტრადიციების მქონე საქართველოს, სამწუხაროდ, ახლა დიდ პრობლემად ექცა...“

ელიზბარ ლომდარიძე: „საკმაოდ გასახარია, რომ მერიის კულტურის სამსახურმა დიდი ინტერესი გამოიჩინა პროფესიული კავშირების მიმართ, სხვადასხვა მუზეუმებში ჩატარდა შეხვედრები პროფესიონალ კომპოზიტორებსა და პოეტებთან. ეს ვფიქრობ საკმაოდ კარგი სვლაა. ყველაფერში პროფესიონალიზმი უნდა დავაფასოთ და ამ მხრივ მერიის კულტურის სამსახურის ინიციატივა მოწონებას იმსახურებს.

დღეს კახა ცაბაძის საესტრადო და საფორტეპიანო ნაწარმოებები შესრულდა, გარდა ამ ნაწარმოებებისა, კახას საკმაოდ ბევრი სიმღერა აქვს ბავშვებისთვის დაწერილი. კახა ცაბაძე ასევე წარმატებით მუშაობს კლასიკურ სფეროში, სადაც მას არაერთი საინტერესო ნაწარმოები აქვს შექმნილი. ამ საღამოს საკმაოდ კარგი დატვირთვა ჰქონდა. იყო პროფესიონალიზმის აპოგეა ერთი მხრივ კახა ცაბაძის შემოქმედებისა და მეორე მხრივ ანსამბლ „მზიურის“ სახით. ასეთ პროფესიონალიზმს, რომელიც ნიჭითაა გაჯერებული, მართლაც რომ პროპაგანდა უნდა გაეწიოს.

მინდა აღვნიშნო, რომ სამაგალითოა ანსამბლი „მზიური“ რეპერტუარისადმი მიდგომითა და პროფესიონალ კომპოზიტორებთან დამოკიდებულებით. ვერ ვმალავ ჩემს აღტაცებას, როცა ვხედავ ნიჭს და პროფესიონალიზმს ერთად შერწყმულს, ამ კონცერტს სწორედ ასეთი თანხვედრა გასდევდა წითელ ზოლად.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გურამ ჯაიანის ღვაწლი, რომელმაც საკმაოდ ბევრი გააკეთა პროფესიონალური მუსიკის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. გურამი საკმაოდ პედანტურად უდგება ანსამბლის წევრთა შერჩევას, რაც საბოლოო ჯამში კარგად აისახება ანსამბლის პროფესიულ დონეზე. ასეთივე კრიტიკული მიდგომა აქვს მას რეპერტუარის თვალსაზრისითაც, ამიტომაც არის, რომ „მზიური“ დღემდე ყველა დროის ერთ-ერთ უპოპულარეს ანსამბლად რჩება არა მარტო საქართველოს მასშტაბით.

მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ ემოციურად დატვირთული იყო კონცერტში ქალაქ თბილისის ჰამლეტ გონაშვილის სახელობის 29-ე ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობა. მზრუნველობამოკლებულმა და ლტოლვილმა ბავშვებმა საკმაოდ საინტერესო რეპერტუარი შემოგვთავაზეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის მგონია, რომ ასეთმა შეხვედრებმა, ასეთმა კონტაქტებმა, რაც დღეს ერთი მხრივ კახა ცაბაძესა და ანსამბლ „მზიურს“, ხოლო მეორე მხრივ მზრუნველობამოკლებულ და ლტოლვილ ბავშვებს შორის დამყარდა, მეტად კარგი შედეგი უნდა გამოიღოს როგორც გემოვნებიანი მსმენელის აღზრდის, ისე ჭეშმარიტი პროფესიონალიზმის დაფასებისთვის.

იმედი მაქვს, რომ ასეთი შესანიშნავი წამოწყება არ იქნება ერთჯერადი და შემდგომშიც გაგრძელდება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი შემოქმედებითი შეხვედრები საკმაოდ დიდ კვალს დაამჩნევს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას, სადაც ვიმეორებ, უნდა დომინირებდეს ნიჭი და პროფესიონალიზმი.“

მარიკა ყვარიანი

ბებიაჩემი – მარო თარხნიშვილი

(1891-1969)

თბილისის მერიის თაოსნობით ჩატარებული არტფესტივალი – „მუსიკაში გაყღერებული ლექსი“ გაიხსნა დიდი მამულიშვილის, ქართული სიმღერის ამაგდარის – მარო თარხნიშვილის ბინამუზეუმში (მაჩაბლის № 4).

მაროს მშობლები

თავადი ესტატე ნიკოლოზის ძე თარხან-მოურავი, ცნობილი ისტორიული გმირის, გიორგი სააკაძის პირდაპირი შთამომავალი გახლდათ. მდინარე კავთურას ნაპირებზე გადაშლილი კავთისხევი, მახლობელი სოფლები და მანგლისის ნაწილის თარხან-მოურავთა სამფლობელო იყო. მათვე ეკუთვნოდათ ქვათახევის ღვთისმშობლის ეკლესია.

ესტატე თარხან-მოურავმა ცოლად შეირთო კავთისხეველი დეკანოზის იოსებ მექანარიშვილის ერთადერთი ასული — ნატალია. თარხან-მოურავების ოჯახს არაფერი აკლდა: მოახლეები, შინამოსამსახურენი, მეჯინიბენი, მთიბავები, მწყემსები ათასგვარ სამუშაოს ასრულებდნენ. განთქმული იყო ესტატეს მარანი თავისი ვეებერთელა ქვევრებით.

ესტატესა და ნატალიას მაროს დაბადებამდე უკვე რვა შვილი ჰყავდათ — სამი ვაჟი და ხუთი ასული.

ესტატე მეტად კარგი პიროვნება ყოფილა: მოხდენილი, ბრგე ვაჟკაცი, ენაწყლიანი, არაჩვეულებრივი მოსაუბრე, სტუმართმოყვარე, მასპინძლობით გამორჩეული და სახელგანთქმული, სიმღერის კარგად ამყოლი, თვითონაც სუფრის მშვენება და დროსმატარებელი.

აი, სწორედ მაშინ იცოდნენ დროსტარება თუ იცოდნენ! სასმელის სმა და გატიალება რა მოსატანი იყო, იქ სიტყვისა და სიმღერის პაექრობა იმართებოდა, რომელიც კეთილმოსურნე ურთიერთობით განთიადზე მთავრდებოდა. „ბიჭო, მამალმა იყივლა, აპირებს გათენებასაო“, — მიუმღერებდნენ ერთმანეთს და განთიადს ეგებებოდნენ, თუმც მათი განშორება დიდხანს არ გრძელდებოდა.

ესტატე ასეთ ლხინს გლეხობასაც აზიარებდა. მათგან ბევრ რამეს სწავლობდა: სიბრძნეს, მართებულ სიტყვას, კაცობას, შრომას. არ თაკილობდა მათ გვერდზე პურის ჭამას — ღმერთმა შეარგოთ! ურთიერთპატივისცემა და სიყვარულიც აქედან მოდიოდა. ვის რას უშლიდნენ?!

მარიამობას, შობას, საახალწლო, სააღდგომო თუ საოჯახო დღესასწაულებზე თარხანმოურავებთან დიდი სტუმრიანობა ეწყობოდა. თბილისიდან, გორიდან, ახალქალაქიდან და სხვა ადგილებიდან კავთისხევში ნათესავები, ახლობლები და საპატიო სტუმრები — თარხან-მოურავები, ციციშვილები, ერისთავები, გედევანიშვილები, ამილახვრები, მაღალაშვილები და სხვები ჩამოდიოდნენ. დროსტარება რამდენიმე დღეს გრძელდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესტატე და ნატალია არაჩვეულებრივ გულისხმიერებას და ყურადღებას იჩენდნენ გლეხობის მიმართ. ნახევარ სოფელზე მეტი მათი ნათლული იყო. ცხვრის დიდი ფარა საძოვრიდან რომ დაბრუნდებოდა, ნატალია სამაგალითო გულუხვობას იჩენდა — ზოგს ყველს, ზოგს მატყლს, ზოგს ერბოსა და კარაქს დაურიგებდა ხოლმე. სოფლად, თუ სადმე ნათლობა ან ქორწილი იმართებოდა, თარხან-მოურავებს იქ საპატიო სტუმრებად იწვევდნენ. გარდაიცვლებოდა ვინმე და ესტატე უგზავნიდა დაზარალებულ ოჯახს ცხვარს, პურს, ღვინოს, ასევე ფულად დახმარებასაც. ესტატეაანთ მივიდეთ, ტატეაანთ ვთხოვოთ, — ხშირად გაისმოდა სოფელში, როდესაც ვინმეს რაიმე გაუჭირდებოდა.

თუ თავადს ჰქონდა, გლეხსაც ჰქონდა. თუ სატკივარი იყო, ყველას ერთად სტკიოდა. ლხინი იყო და — ყველა ერთად ხარობდა. მათი ურთიერთობა მეტად ახლობლური და ნათესაურიც კი იყო... ყოველ შემთხვევაში, ჩემს წინაპრებს ასე იხსენებდნენ გლეხობა თუ ოჯახის წევრები.

სათნო, კაცთმოყვარე ცოლ-ქმარმა მშრომელი ხალხის გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. აკი ამიტომ იყო, რომ რევოლუციის წლებში, როდესაც თავად-აზნაურთა მიერ განაწამებმა გლეხობამ მრავალი მემამულის კარ-მიდამო გადაწვა და გაანადგურა, თარხან-მოურავების სახლკარისათვის ხელი არავის უხლია, პირიქით, თავგამოდებით იცავდნენ.

მაროს დაბადება

1891 წლის 21 დეკემბერი. ქართლის ულამაზესი სოფელი კავთისხევი. შუაღამეა. სოფელს სძინავს, თუმცა საახალწლო სამზადისი ყველა ოჯახში დაწყებულია.

თოფის არაერთგზის გასროლამ და შეძახილ-გადაძახილმა სოფელი ფეხზე დააყენა: გაიღვიძეთ, ხალხნო, ესტატეს ქალიშვილი შეეძინაო. ბედნიერი ოჯახი და მთელი სოფელი ზარ-ზეიმით აღნიშნავდა ღვთის დიდ წყალობას — ბავშვის დაბადებას.

ახლადშობილი ქუდბედით დაიბადა. რა მართალი და ბრძენია ხალხი, როცა ასეთ ადამიანს ბედნიერ მომავალს უწინასწარმეტყველებს. მართალია, მაროს ცხოვრების გზა ნარეკლიანი იყო, მაგრამ ყველა გასაჭირს, ღმერთის რწმენითა და დახმარებით, თავს აღწევდა. ასე იყო თუ ისე, მარო მართლაც ბედნიერი ქალი გახლდათ.

თარხან-მოურავების სიკეთით სავსე ოჯახში იზრდებოდა მარო. იმ დროისათვის ბავშვის აღზრდის საუკეთესო მეთოდებს იყენებდნენ: მშობლები, შვილისათვის ცოდნის მიღებასთან ერთად, ქართული ოჯახური ტრადიციების შეთვისებაზე ზრუნავდნენ. ვაჟებს მამაკაცურ ჩვევებს, ოჯახის ერთგულებას, სარწმუნოებისადმი მოკრძალებას, კეთილშობილებას, მზრუნველობას, უფროს-უმცროსის გარჩევასა და პატივისცემას ასწავლიდნენ. ვაჟკაცებს დედა აკვანშივე შთააგონებდა, — მამის ქამარ-ხანჯალოო, — და მამულისადმი თავდადების გმირული სულისკვეთებით ზრდიდა შვილს. აკი ასეთებად იზრდებოდნენ კიდეც. გოგონებს ასწავლიდნენ პატიოსნებას, ერთგულებას, ხელსაქმეს, სინატიფეს, მოკრძალებას... მაშინ გოგონებმა თურმე განითლება იცოდნენ. რა კარგი დრო ყოფილა...

მარიკა კვალიაშვილი
და მარო თარხნიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარო იზრდება

მარო იზრდება უაღრესად თბილ ატმოსფეროში. ნებიერი ნაბოლარა — მეცხრე შვილი — მშობლების, და-ძმების, ბებიების, პაპების, სოფლის ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

პატარა მარო მოუსვენრობით, აქტიურობით, ცნობისმოყვარეობით და, რაც მთავარია, თანდაყოლილი მშვენიერი ხმით და მუსიკალური ნიჭითაა დაჯილდოებული. მისი სიმღერისადმი მისწრაფება ოჯახის წევრებსა და სტუმრად მისულ დიდგვაროვნებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ. ურმის კოფოზე შემომჯდარი გოგონა სულგანაბული უსმენს თავიანთი მეურმის ნამღერ „ურმულს“:

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,



სულგანაბული მარო და მისი მეგობარი

მერე შვილსა და ცოლსაო“...

— ნაღვლიანი ხმით აგრძელებდა ნიკა პაპა. შრომის, საწესჩვეულებო, თესვის, მკის, კალოობის დროს, ნათლობა-ქორწილებში, სოფლის დღეობა-დღესასწაულებზე ბავშვობისას ათასჯერ მოსმენილი სიმღერები მაროს სამუდამოდ რჩებოდა მეხსიერებაში.

პატარა მარო ურმის კოფოზე, პატარა მარო ხის ტოტზე, პატარა მარო სოფლის თავში გოგო-ბიჭებში გამორჩევით მომღერალი, პატარა მარო თავის მიერვე მოწყობილ სოფლის ლხინსა თუ ოჯახში შეკრებილი მეტად ცნობილი გვარიშვილების წინაშე ამღერებული... გამორჩეული ტემბრის ხმის მქონე, უაღრესად ნიჭიერი პატარა არსება დიდ მოწონებასა და აღტაცებას იწვევდა. კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის სტუმრობისას მარო მრავალ ქართულ მარგალიტს აგროვებდა გონებაში.

იმ დროს ბატონი ნიკო ოპერაზე „პატარა კახი“ მუშაობდა და ერთ დღეს სტუმრებისათვის — „დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან“ — უმღერია... ძია ნიკოს მუხლზე დასკუპებული პატარა მარო, აძგერებული გულით, მთელი არსებით უსმენდა დიდ ქართველ კომპოზიტორს და სწორედ მაშინდელი, ბავშვური ყურით დამახსოვრებული „დაიგვიანეს“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მის საკონცერტო რეპერტუარში — რაღა თქმა უნდა, თავისებურად გადამღერებული, უკვე მაროსეული ინტერპრეტაციით აჟღერებული. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „პატარა კახის“ ეს ბრწყინვალე არია სულხანიშვილის ოპერის სხვა ფრაგმენტებთან ერთად არ დაიკარგა.

გადიოდა წლები. განუყრელი სიმღერების თანხლებით იზრდებოდა მარო. მშობლებს გადიასთან ერთად თბილისში მიჰყავთ სასწავლებლად, თავისუფალ დროს კი კვლავაც ოჯახთან ატარებს.

ესტატე თარხან-მოურავის ცხრავე შვილი კარგად მღეროდა, განსაკუთრებულად კი მაროზე ცამეტი წლით უფროსი და — ეკატერინე თარხან-მოურავი ფალავანდიშვილისა. წლების განმავლობაში მაროსთან ერთად მაროს მიერვე ჩამოყალიბებულ ანსამბლში, დები თარხნიშვილების სახელით გამოდიოდა და დიდი აღიარებაც მოიპოვა. გუნდის რეპერტუარს ამშვენებდა: „ბერიკაცი ვარ“, „ჩაუხტეთ ბარათაშვილსა“, „ჭონა“, „ზამთარი“ და სხვა მრავალი ქართულ-კახური სიმღერა. მარო და ეკატერინე მცირერიცხოვანი ანსამბლით სცენაზე იმ დროს გამოვიდნენ, როცა ქართული სიტყვა იკრძალებოდა. დები თარხნიშვილები, თავადის ქალები კი ქართველებს მოუწოდებენ: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, დრო დადგა გამარჯვებისა“. ეს გმირობის ტოლფასი იყო, მაგრამ უკან დასახევი არც მათ და არც ერთ ქართველს არ ჰქონდათ. ასეთი თავდადებითა და თავგანწირვით მარო თარხნიშვილმა ასობით ქართულ-კახური სიმღერა შემოუნახა შთამომავლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაროს ათხოვებენ

ესტატე და ნატო თარხან-მოურავების ბედნიერ ოჯახს უბედურებამაც არ დააკლო ხელი. ცხრა შვილიდან სამი ვაჟი სიჭაბუკის წლებში გარდაეცვალათ და დამწუხრებულ მშობლებს გვარის გამგრძელებელი აღარ დარჩათ.

ესტატემ ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა: გვარის გასაგრძელებლად თავისი ნაბოლარა შვილი სოფელ ახალქალაქის მკვიდრზე, თავისივე მოგვარე დიმიტრი თარხან-მოურავზე გაეთხოვებინა. თუმცა ორივე გვარი ერთი ძირიდან მოდიოდა — ორივე გიორგი სააკაძის შთამომავალი იყო, მაგრამ დროის სიშორის გამო ნათესაური კავშირი აღარ არსებობდა. ეკლესიამ ქორწინების ნება დართო და ჯვარიც დასწერა. ასე და ამგვარად, ცამეტი წლის მარო ულამაზეს, მოხდენილ, ლურჯთვალება, კეთილშობილებით გამორჩეულ ვაჟკაცს — ოცი წლის დიმიტრი ზაალის ძე თარხან-მოურავს მიათხოვეს.

ბებიაჩემი იხსენებდა: უკვე პატარძალი „ტიკინებით“ როგორ თამაშობდა.

მაროს გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი კავთისხევში სახლდება. ესტატე ხშირად ავადმყოფობს და საყვარელ სიძეს თავის პატრონად, ძედ და გვარის გამგრძელებლად მიიჩნევს.

ახალგაზრდა მაროსა და დიმიტრის ოთხი შვილი შეეძინათ. უფროსი მარგო თერთმეტი თვისა გარდაიცვალა, რამაც გაუნელებელი ტკივილი მიაყენა ახალგაზრდა მშობლებს. შემდეგ დაიბადნენ ივანე, თამარი და ნუნუ. კარგი სმენა და ხმა დაჰყვა სამივეს, მშობლებთან ერთად მღეროდნენ და შეხმატკბილებული სიმღერის ხმა ისმოდა თარხან-მოურავების ოჯახიდან. თამარი და ივანე კონსერვატორიაში სწავლობდნენ: თამარს აღმოაჩნდა შესანიშნავი, ულამაზესი სოპრანო, ივანეს — განუმეორებელი, ხავერდოვანი, მსუყე ტემბრის ტენორი, როგორც პროფესიონალები ამბობდნენ და ჩემს მეხსიერებასაც კარგად შემორჩა, ეს იყო უნიკალური, ღვთითბოძებული ხმა. უმცროსი ქალიშვილი ნუნუ შესანიშნავად უკრავდა როიალზე და დედას აკომპანიატორობას უწევდა რომანსების შესრულების დროს. სამივე შვილი, ნიჭთან ერთად, კარგი გარეგნობითაც გამოირჩეოდა.

პირველი ანსამბლი

სიმღერა მაროს განუყოფელი თანამგზავრი იყო. მას უსიმღეროდ არასოდეს უცხოვრია — ლხინსა თუ ჭირში სიმღერა ეხმარებოდა. მიზანდასახული, პრინციპული, ჭკვიანი, შეუპოვარი, სამართლიანი, ენერგიული, თავისი საქმის უბადლო მცოდნე, არაჩვეულებრივი ორგანიზატორი, წინდახედული და გაწონასწორებული პიროვნება არასოდეს აძლევდა საკუთარ თავს თუ გვერდში მყოფთ მოდუნების უფლებას. ეს მაროს ცხოვრების წესი იყო.

განსაკუთრებულმა ხმამ — დაბალმა ხავერდოვანმა კონტრალტომ — გაუკვლია გზა მსმენელთა გულებისკენ, მოუპოვა დიდი ავტორიტეტი, სახელი, არაერთი ჯილდო, ორი საიუბილეო საღამო და საყოველთაო აღიარება.

მარო თარხნიშვილის სასცენო მოღვაწეობა 1910 წლიდან იწყება. ცხრამეტი წლის მარო აყალიბებს მცირერიცხოვან გუნდს, რომელშიც მისი მეუღლე — ოცდაექვსი წლის დიმიტრი თარხან-მოურავი, ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი მომღერალი, ულამაზესი ხავერდოვანი ხმით სიმღერაში ტოლს არავის უდებდა. ანსამბლს მარო ხელმძღვანელობს, გვერდს უფროსი და, ეკატერინე უმშვენებს — განსაკუთრებული პირველი ხმის მთქმელი.

კონცერტები, აღიარება, მოწონება, პრესა... ცნობილ მომღერლებსა და მსახიობებთან ერთად საჯარო გამოსვლები. შეიძლება ითქვას, რომ მათ გარეშე საღამო არ ტარდებოდა. ასე დაიწყო თარხნიშვილებისეული სიმღერის აღმასვლა და პოპულარობა თბილისში, გორსა და მთელ საქართველოში.

მაროს ცხოვრება წარმატებული და აღმავალი იყო იმ დრომდე, რომელზეც ქვემოთ მოგიყვებით.

1924 წელი. თავადთა აკლება-აწიოკება

განა რა ჰქონდათ ისეთი, რის გამოც უნდა დაეხვრიტათ ან იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალთათვის მიეყარათ მიწა?! — გადანახული ფული ან ქონება? — არა! სასახლეები? — არა! მაშ, რა? თუმც ბევრი ჰქონდა პატიოსანი შრომით მოწეული ჭირნახული, დოვლათი და ბარაქა, არ აკლდათ სტუმარი და დროსტარება, მაგრამ ყველაზე დიდი სიმდიდრე მაინც

ახლობლების, ნაცნობ-მეგობრებისა და გლეხობის უზადო სიყვარული იყო. არავის არაფერს ართმევდნენ, არავის ავიწროებდნენ: დადიოდნენ ქართულ სამოსში გამოწყობილნი დინჯად, ნაღდი ქართული მიხვრა-მოხვრით, სიტყვა-პასუხით, განათლებით, ვაჟკაცობით, უბოროტობით, ოჯახიშვილობით გამორჩეულნი. განა გვარიშვილობა, „სერიოზული მიზეზი“, საბაბი იყო კაცის დასახვრეტად, მით უმეტეს, მათი მცირეწლოვანი შვილებისა? ნეტავ ვიცოდე, რითი ამძიმებდნენ ისედაც ცოდვილ მიწას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე მოხდა და ჩვენს ოჯახსაც შეეხო.

1924 წლის გვიანი შემოდგომა, თითქოს ბუნებაც კვდომას იწყებს. მაროს მეუღლეს და თხუთმეტი წლის ვაჟს იჭერენ. იწყება თავადთა აწიოკება, დახვრეტა, ჩაცხრილვა, აჩეხვა ოჯახებში თუ საჯაროდ — ყველას თვალწინ... დაპატიმრების შემდეგ კი სრული განუკითხაობა... ბევრი უდანაშაულო ოჯახი განადგურდა და გაცამტვერდა. რა იყო ეს? — ბედის ირონია თუ გაბოროტებული, უგვანო და უგვარო ადამიანების შურისძიება!

გამწარებულ მაროს თავისი ქუდბედი ეხმარება. სასწრაფოდ ჩადის თბილისში და არასრულწლოვანი შვილის გათავისუფლების საბუთს იღებს. გორში კი იმ დროს ჩაუსწრებს შვილს, როდესაც გათხრილი სამარის წინ მუხლებზე დაჩოქილი, ხელებშეკრული და თვალებახვეული, გაოგნებული, გარინდული და დაბნეული მოზარდი საშინელებას ელოდება. დილით უკვე დახვრეტილი მამის ცრემლით დასველებულ ღაწვებს თითქოს ნიავი ეალერსება, ამშვიდებს, მის სულს ზეცისაკენ მიაცილებს, რათა ღმერთმა იქ მაინც დაუმკვიდროს სასუფეველი. შვილის დასახვრეტად გამზადებულ ტყვიას კი დედის ქუდბედი ეღობება — სამარის კართან ვიღაცის ხელი ათავისუფლებს ჯერ კიდევ გონსმოუსვლელ ბიჭს. მარო გულში იხუტებს გამოტირებულ ვაჟს და უკანმოუხედავად მიჰყავს სისხლიანი, მგმინავი, მბორგავი მიწიდან შორს.

შვილის გადარჩენამ ოცდაცამეტი წლის დაქვრივებულ მაროს ქმრის სიკვდილი გაუქარწყლა, თუმცა ტირილის უფლებაც არ ჰქონდა: რომელი სახლიდანაც ტირილის ხმას გაიგებდნენ, შედიოდნენ და დახვრეტილთა ოჯახის წევრებსაც სასტიკად უსწორდებოდნენ.

მაროს მწუხარებისათვის არ სცალია: თამარი ამ დროს 15 წლისაა! თამარსა და ნუნუზე დარდი არ ასვენებს, მაგრამ რა ქნას, როგორ გამოჩნდეს კავთისხევში, სადაც გლეხებმა დაიტოვეს ბატონის შვილები, ფარულად უვლიდნენ და, შეძლებისდაგვარად, ცივ ნიავს არ აკარებდნენ. უფრთხილდებოდნენ, ვინმეს არ დაენახა და მშობლების ჯავრი მათზე არ ეყარათ. უდიდესი რისკის ფასად ბოლომდე მაინც კეთილი ბატონის ერთგულნი რჩებოდნენ, გამჟღავნების შემთხვევაში კი მათაც თავადების გზას გაუყენებდნენ.

რა ქნას, რა გააკეთოს, როგორ მოუყაროს შვილებს თავი?! მარო მოთმინებით ლოცულობს, ღმერთს შესთხოვს დახმარებას — ბავშვების უვნებელ დაბრუნებას. ვერაფერს იგებს, რა ხდება კავთისხევში, მოლოდინს კი ბოლო არ უჩანს. ნათესავთან შეკედლებული მარო ჩუმად ტირის, გოდებს: არ იცის, რომელი ერთი იტიროს — დახვრეტილი ოჯახის წევრები, შვილები თუ უმწეოდ დარჩენილი თავი, როგორ გაზარდოს დაობლებული შვილები, როცა მათთვის ყველა კარი გადარაზულია. რეპრესიების შემდეგ ყველა ოჯახი გაცხრილეს — თავადთა ნაშიერი არ უნდა დარჩეს სადმე.

ქუდბედი აქაც არ ტოვებს მაროს.

შეშინებულმა გლეხებმა (როგორც დედაჩემი თამარი იხსენებდა) — პაპა გიგამ და პაპა ნიკამ — ურემში თივა ჩააფინეს, ზედ თამარი და ნუნუ დააწვინეს, ზევიდანაც თივა დააფარეს, შებინდებულზე გორში ჩაიყვანეს, ბავშვებს გზა დაულოცეს და უთხრეს: აბა, შვილებო, ყოჩაღად იყავით, დედა აქ არის, ნუ შეგეშინდებათ, იპოვით ერთმანეთსო, — და მალულად გაეცალნენ იქაურობას.

ატირებულმა, შეშინებულმა, ხელიხელჩაკიდებულმა დებმა არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. ბავშვები წესრიგის დამცველმა შეაჩერა და ჰკითხა, ვინ იყვნენ და სად მიდიოდნენ. უცებ თამარი გონს მოეგო და იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი მთავრობის წევრის სახელი დაასახელა, თან, როგორც ახლობელი და ნათესავი, „ძიათი“ მოიხსენია. თამარი და ნუნუ ეტლით მიჰგვარეს ე.წ. „ძიას“ და ჰკითხეს: ეს ბავშვები ამბობენ, რომ თქვენი ნათესავები არიან და როგორ მოვიქცეთო. ამ კეთილ „ძიას“ უცვნია ბავშვები, გაუშლია ორივე ხელი და უთქვამს: — „მოდით, შვილებო, ჩემთანო“... დედაჩემი ჰყვებოდა: მთელი სხეული შიშით მიკანკალებდა, რომ ამ კაცს უარი არ ეთქვა ჩვენ ახლობლობაზეო.

— ახლავე წაიყვანეთ ჩემს სახლში, — უბრძანა „ძიამ“, — და ჩემს ცოლს მიუყვანეთ! კეთილმა „დეიდამ“ და „ძიამ“, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ დიმიტრისა და მაროს ოჯახს, მეორე დღესვე შვილებს დედა აპოვნინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარაფერი ახსოვდა მაროს გარდა იმისა, რომ სამივე შვილი დაიბრუნა, გულში ჩაიკრა და იმ წუთიდანვე დაიწყო მათზე ზრუნვა.

მიუხედავად მომხდარისა მარო არ იბნევა, იბრძვის, გამოსავალს ეძებს: ბავშვები არ უნდა მოაშიოს და მათ მომავალზეც იზრუნოს. გლეხები არ წყვეტენ მასთან ურთიერთობას — თვითონაც უქონელნი მაროს და ობლებს უკანასკნელ ლუკმას უყოფენ, ცხადლივ თუ ჩუმად, არ ივიწყებენ ბატონის ამაგს.

მარო გორში სახლდება

ცხოვრება თანდათან კალაპოტში ჩადგა, მარო გორში ბინას ქირაობს. ბავშვები სკოლაში მიჰყავს და იმავე სკოლაში სიმღერის მასწავლებლად მუშაობს.

როგორ გამოადგა მაროს ბავშვობისდროინდელი ცნობისმოყვარეობა, რის გამოც ხან თონეში უვარდებოდა ხაბაზებს, ხან საქსოვი ჩხირებით ისისხლიანებდა პატარა თითებს, ხანაც მაკრატლისა და ნემსის ხმარებას ცდილობდა და თავის ტიკინებს ტანსაცმელს უკერავდა... ბოლოს კი ყველაფერი სრულყოფილებამდე მიჰყავდა, ნახევარი საქმის კეთება არ იცოდა. ღამით, ჭრაქის შუქზე, ლეიბიდან ამოღებულ მატყლს ართავს — ბავშვებს წინდებს უქსოვს, ლეიბის პირებისაგან კი გოგონებს ულამაზეს კაბებს უკერავს — ვინმემ აბუჩად არ აიგდოს მისი ობლები (სტუდენტობის დროს, საკმაოდ თავმომწონეს, მისი შეკერილი კაბები მეცვა).

მარო თავის ძირითად საქმეს მაინც არ წყდება: ისევ მოუყრის თავს კარგა ხნით დადუმებულ ანსამბლის წევრებს და ქართულ მინავლებულ სიმღერას კვლავაც მისეულ ძლიერ სულს შთაბერავს, აახმიანებს, ააზვირთებს, ააბობოქრებს და მთელ საქართველოს მოჰფენს. ისევ დგება ფეხზე. სამოთახიან ბინას იძენს, დიდი შრომით ოჯახს აწყობს და შვილებს უმამობას არ აგრძნობინებს.

ოჯახიდან შემორჩენილი ხატები და ლოცვა იმედს, რწმენას და ძალას მატებს. მაროს სახელმა კვლავაც გაიელვა და მის გარეშე არც ერთი კონცერტი არ იმართებოდა გორში, თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ისევ ბედის ირონიაა...

გორს საშინელი დილა უთენდება, ირყევა დედამიწა, პანიკა, ხმაური, ნგრევა, კივილი, ყველა შველას ითხოვს. რამდენიმე წუთი და ყველაფერი ჩერდება, ქალაქი მტვრის ბუღშია გახვეული, ნანგრევებიდან ადამიანთა გმინვა ისმის. ნელ-ნელა გონს ეგება ხალხი, ყველა შიშით უბრუნდება თავის საცხოვრებელს, მაგრამ, ვის რა ხვდება, კიდევ საკითხავია.

ამ ისტორიულმა მიწისძვრამ მაროსაც არ დააკლო ხელი. მას აქაც ქუდბედი ეხმარება: იღბლად, იმ დროს შვილებთან ერთად თბილისში იმყოფებოდა კონცერტის ჩასატარებლად. ამ ამბით შეძრწუნებული მარო სასწრაფოდ ჩადის გორში და საკუთარი ბინის ადგილას ხახადაღებული მიწა ხვდება, რომელმაც სრულიად შთანთქა, რაც კი დიდი შრომით მარტოხელა ქალს მოეპოვებინა.

ისევ ყველაფერი თავიდან, მაგრამ არა გორში, სადაც აღარაფერი ეგულება, არამედ თბილისში და უკვე სამუდამოდ.

მაროს თბილისური ცხოვრება

მარო უკვე მყარად დგას ფეხზე — სახელიანი და ავტორიტეტმოხვეჭილი, მაგრამ დაკარგულის აღდგენა არც თუ ისე იოლია.

თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, იმ დროისთვის ერთ-ერთი ცნობილი, ღვინის ქარხნის „უდელის" — მთავარი მეღვინე მაროს მაზლი იორამ თარხან-მოურავია, რომელიც რეპრესიებს სწავლა-განათლების მისაღებად საზღვარგარეთ ყოფნამ გადაარჩინა. იორამი უსახლკაროდ დარჩენილ რძალსა და ძმისშვილებს ცხოვრების პირობებს უქმნის, ეხმარება და გაჭირვებას არ აგრძნობინებს. თბილისში ცხოვრობენ აგრეთვე მაროს და ეკატერინე თარხნიშვილი-ფალავანდიშვილისა და მული ეკატერინე თარხან-მოურავი (პარიზში სილამაზის პრიზი მოიპოვა). ასე რომ, ნათესაური წრე იზრდება და ერთიანდება.

მარო თავისი მომაჯადოებელი ხმითა და საშემსრულებლო ოსტატობით დღითიდღე იპყრობს მსმენელთა გულებს. მალე კონსერვატორიაში ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელად იწვევენ. კონსერვატორიის რექტორი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი, აღფრთოვანებულია მისი ვოკალური მონაცემებით. ანსამბლში მომღერალთა რაოდენობა მატულობს, ძალას იკრებს და ახალი შემართებით გამოდის. მაროს ქალ-ვაჟი — თამარი და ივანე — ანსამბლში მღერიან და კონსერვატორიაში სწავლობენ.

მარო მთავრობის ყურადღების ცენტრში ექცევა და ვარდისუბნის ქუჩაზე სამოთახიან ბინას აძლევენ. კომპოზიტორები მისთვის წერენ სიმღერებს, რომლებსაც სოლო-კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცერტებზე მღერის და ამ ჟანრშიც ოსტატობის მწვერვალს აღწევს, როიალზე თანხლებას უმცროსი ქალიშვილი ნუნუ თარხნიშვილი უწევს. მძიმე წლების გამო გვარი თარხანმოურავი თარხნიშვილად შეიცვალა.

***

მარო — მომღერალი, მარო — ლოტბარი, მარო — პედაგოგი, შემდეგში კი ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და ლოტბარი... გასტროლები საქართველოსა და რუსეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში... ყველგან წარმატება, გამარჯვება, ჯილდოები და დიდი აღიარება...

მარო მეორედ თხოვდება უაღრესად განათლებულ და დახვეწილ, შესანიშნავი სმენისა და ხმის მქონე პიროვნებაზე — პროვიზორ სერგო ნადარეიშვილზე. მაროს მზრუნველი მეუღლე, ჩვენ კი მოსიყვარულე ბაბუა გვყავდა მისი სახით. იმ დროს მაროს შვილები სამივე დაოჯახებულია: თამარი გათხოვილია შესანიშნავ ოჯახისშვილზე მხატვარ კოტე კვალიაშვილზე. ნუნუ ცნობილ ფეხბურთელზე, სიკეთითა და სისხარტით გამორჩეულ, აკაკი ყალიჩავაზე. ივანეს მეუღლე ბარბარე თარხნიშვილია — ნიჭიერი, გონიერი, ლამაზი და სათნო ბუნების მქონე ქალი. მარო ხუთი შვილიშვილის ბებია ხდება: თამარისა და კოტესაგან — ფირანი და მარიკა კვალიაშვილები, ნუნუსა და აკაკისაგან — მერაბ და თინა ყალიჩავები, ივანესაგან — თამილა თარხნიშვილი. ყველანი შეხმატკბილებულად, პატივისცემითა და სიყვარულით ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით. ყველაფერს კი მაინც მარო აწესრიგებდა და, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, მისი ხელი ყველას სწვდებოდა, განსაკუთრებით კი პატარებს არ გვაკლებდა სითბოსა და სიყვარულს.

მეორე მსოფლიო ომი

1941 წელი. მოულოდნელი, თავზარდამცემი ამბავი: დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. მღელვარებამ მოიცვა ქვეყანა — შიში, ჩაბნელებული ქალაქები, ყველა ოჯახიდან გაწვეული ვაჟკაცები. სიკვდილის მაუწყებელი სამკუთხა ბარათები. მღელვარე მოლოდინი, გაჭირვება, დადარდიანებულ და დადუმებულ ქალაქს დროდადრო ლევიტანის ხმა აფხიზლებს. მომრავლდნენ დათალხული დედები. არაერთი ოჯახიდან ისმის შემზარავი გოდება.

მარო შიშით ელოდება შეტყობინებას ე.წ. „პოვესტკას“... სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს, თავისი ავტორიტეტით ივანეს დახსნას როგორმე შეძლებს, მაგრამ იცის შვილის მტკიცე გადაწყვეტილება: თუ არ გაიწვევენ, მოხალისედ წავა. დედის წინააღმდეგობას აზრი აღარ აქვს. ასეც მოხდა. ივანეს ოჯახთან განშორების დღეც დადგა. გამოსათხოვარ სუფრასთან ცრემლგამშრალი, მაგრამ იმედიანი დედა, ილიას სიტყვებით აცილებს ერთადერთ ვაჟს:

„ის დღეა დღეს, რომ მამულს უძღვნა
ძის სიყვარული
ან ძეს შესწირო საყვარელი დიდი
მამული“

წასასვლელად გამზადებულს საყელო გაუხსნა, დავაჟკაცებული შვილის მკერდს ჩაეკონა, დაკოცნა, ჯვარი მოიხსნა, ჯარისკაცს ჩამოჰკიდა და ძალდატანებული სიმშვიდით, იმედიანად უთხრა: შვილო, გენაცვალოს დედა, სხვებთან ერთად შენს დაბრუნებასაც მაღირსებს ღმერთი! ივანე თვალს მიეფარა, დაგუბებულმა ცრემლმა და დარდმა ამოხეთქა და გონწასული დედა ახლობელთა განვდილ ხელებს მიესვენა.

გადის დღეები, თვეები, მარო გონს ეგება. დარდი არ შველის საქმეს და გადაწყვეტს, ზურგში კონცერტები ჩაატაროს დაჭრილი ჯარისკაცების გასამხნევებლად. ამაში მთავრობაც უწყობს ხელს. სადაც კი ჩადის, ყველგან ეძებს შვილს, მაგრამ ის უკვე ბრძოლის ველიდან იწერება წერილებს.

შვილის წერილით დაიმედებული დედა სხვის შვილებს უმღერის, ეფერება და შეუძახებს:

„თოფ-იარაღი აისხით,
დრო დადგა გამარჯვებისა“...

ბებიაჩემი გვიამბობდა: ჰოსპიტალში კონცერტებზე საკაცეებით შემოჰყავდათ ხეიბრები, უსინათლონი, მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცები. ისინი გულმოდგინედ უსმენდნენ მონატრებულ ქართულ სიმღერას, რომელიც მხნეობას მატებდა ძალაგამოცლილ, სისხლდაღვრილ ვაჟკაცებს. მარო ვერ ტოვებს დაჭრილებს, დედის სითბოსა და ალერსმოკლებულ ბიჭებს და მათთან ერთორ დღეს რჩება. თითოეულში თავის შვილს ხედავს, ნანას უმღერის, იმედიანი სიტყვებით ანუგეშებს, ხელით აჭმევს და ღამეს უთევს.

სახლში დაბრუნებული მარო უამრავ წერილს იღებს, რომლებშიც ჯარისკაცები ასე მიმართავენ: ძვირფასო დედა, თქვენმა დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობრივმა სითბომ და სიმღერამ ძალა შეგვმატა, იმედი ჩაგვისახა და სხვა სულისკვეთება გვაგრძნობინა. თითო ხელიც რომ შეგვრჩეს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ და მტერს ერთი ნაბიჯით წინ წაწევის საშუალებას არ მივცემთ. დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

მარო უპასუხოდ არც ერთ წერილს არ ტოვებს, ამასობაში გადის მძიმე ოთხი წელი. ომს კი ბოლო არ უჩანს.

რამდენიმე თვეა ივანეს შესახებ ოჯახმა არაფერი იცის, დედა ყველგან ეძებს შვილს, მაგრამ ამაოდ. ავი ფიქრი მოსვენებას უკარგავს. კარზე კაკუნი შიშის ზარს სცემს.

1945 წლის დასაწყისი. საღამო ხანია. ოჯახის ყველა წევრი შინაა. უცებ ზარის ხმა ისმის, ამ დროს არავის ელიან, ნეტავი ვინ უნდა იყოს? ჩემი ძმა კარს აღებს — მის წინ გამხდარი, უფერული კაცი დგას. ფირანი ეკითხება:

— ვინ გნებავთ? — და ინტერესით აკვირდება სტუმარს.

— ფირუზ, ბიჭო, ველარ მცნობ? — და ივანე იხუტებს სიხარულისაგან გაოგნებულ საყვარელ დისშვილს. დაჭრილი დემობილიზებული ჯარისკაცი ოჯახში ბრუნდება.

იმ სიხარულის, იმ ბედნიერი წუთების სიტყვით აღწერა შეუძლებელია.

მარო სიკვდილისაგან მეორედ გადარჩენილ შვილს მკერდში იხუტებს და სიხარულის ცრემლს ველარ უჭერს სადავეს.

ივანეს ბრძოლის ველზე მაროს ქუდბედი და მკერდზე დაკიდებული ჯვარი იცავს. მძიმედ დაჭრილი და უგონოდ მყოფი თავის ცხენს „კარლიკას“ გამოყავს ბრძოლის ველიდან.

აბა, რა ჰქვია ამას, თუ არა სასიკვდილოდ გაუმეტებელი სიცოცხლე.

ომის შემდეგ

1945 წლის 9 მაისი. ისევ ლევიტანის ხმა, რომელმაც დიდი ხნის ნანატრი ამცნო ქვეყანას: ომი დამთავრდა!

ქუჩაში გამოსული ხალხი ზარ-ზეიმით აღნიშნავს სასიხარულო მოვლენას.

ნაომარი ვაჟკაცები უბრუნდებიან ოჯახებს. ზოგი უვნებელი, ზოგიც — ხეიბარი. ვინც ვერ დაბრუნდა, მათი გამწარებული დედები ძმათა სასაფლაოზე იოხებენ გულს — ისიც არ იციან, სად ეძებონ თავიანთი დაუტირებელი შვილების საფლავები. მაგონდება ილიას „ქართლის დედა“.

„დამტირებელი დედა ახლოს არ
გეყოლება,
მის ცხარე ცრემლი სისხლიან მკერდს
არ გეპკურება...
დედისა ხელით ვერ შეიხვევ განგმირულ
გულსა
და ეგრეთ შენს თავს მტლად დაუდებ
შენსა მამულსა“.

დრო თავისას შვრება... ქვეყანა ძალას იკრებს, გონსმოსული და ბედსშეგუებული ხალხი თავთავიანთ საქმეს უბრუნდება.

საქართველოში აკვნებმა იმრავლა. დიდი დანაკლისი უნდა შეივსოს, დაღუპულთა ნაკვალევში მომავალი თაობა უნდა ჩადგეს.

მარო ახალი შემართებით შეუდგა მოღვაწეობას: ხელმძღვანელობს სამოცდაათკაციან სახელმწიფო ანსამბლს და მისი სახელი ქვეყნის ფარგლებს სცდება.

არ დარჩა ჯილდო, რომლითაც მთავრობას მისი ღვაწლი არ დაეფასებინოს. გადაღებულია დოკუმენტური ფილმი — „მარო თარხნიშვილი“. მხატვრულში — „სოფლის სურათები“თვით მარო და მისი ანსამბლის წევრები მონაწილეობენ.

1935 წელს ოპერის თეატრში აღინიშნა მარო თარხნიშვილის მოღვაწეობის 25 წელი, 1956 წელს კი რუსთაველის თეატრში დაბადებიდან 65 და შემოქმედებიდან — 45 წლისთავი. ალბათ იშვიათად უნახავს მაყურებელს მსგავსი საღამო.

მიწვევები და გასტროლები არ წყდება. პრესა და ტელევიზია სისტემატიურად აშუქებენ მის შემოქმედებას. საზოგადოება და მთავრობა დიდ პატივს მიაგებს, ვინაიდან დიდია მისი დამსახურება ქართული სიმღერის პროპაგანდის საქმეში.

1939 წლიდან მაჩაბლის ქუჩაზე (4ა) გადავიდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა და დღეს იქ მისი სახლ-მუზეუმია. რას არ გადაუვლია მის თავზე, მაგრამ ვერაფერმა გატეხა, ვერ წააქცია, ვერ დააჩოქა. იგი დაუღლელად და მუხლჩაუხრელად ემსახურა ეროვნულ საქმეს, სუსტი ქალური მხრებით მაინც შეძლო და ჩვენამდე მოიტანა მარგალიტებით სავსე უმძიმესი სკივრი — თავის სათაყვანებელ ქართველ ერსა და შთამომავლობას გადმოგვცა. მართლაცდა დიდია მარო თარხნიშვილის დამსახურება სამშობლოს წინაშე.

მაროს ასაკის მატებასთან ერთად იზრდებოდა მისი შთამომავლობაც, რომელიც მის სიცოცხლეში ოცდაათნი ვიყავით. მას ყველაზე დიდი ამაგი ჰქონდა, როგორც დედას, ბებიას და დიდედას. მის ფოლადისებურ, წინდახედულ და გონიერ სიტყვას, სახლსა და

დები თარხნიშვილების ქართლ-კახური სიმღერების მომღერალთა გუნდი, 1924 წლი

ანსამბლში, ყველა ემორჩილებოდა და ასრულებდა. დიდი და პატარა ჭკუას ეკითხებოდა, ისიც დარბაისლურად არიგებდა და ვისაც რაიმე უჭირდა, ეხმარებოდა. არაერთი ოჯახი იხსნა შიმშილისაგან. იგი უსათნოესი, მაგრამ მკაცრი ბებია იყო — დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ჩვენს აღზრდაში.

დღეს მე მადლიერებით ვიხსენებ ბებოს იმისთვის, რაც მან ჩემთვის გააკეთა და, თუ რაღაც წვლილი მეც მიმიძღვის ქართულ ტრადიციულ მუსიკაში, ეს მისი დამსახურებაა, ეს კრებული კი ჩემი მადლიერების დასტურია. ბებო ქვეყნისა და ადამიანების წინაშე ვალმოხდილი წავიდა სასუფეველში.

1969 წლის 3 ოქტომბერს 78 წლისა გარდაიცვალა დიდი ადამიანი, ქართული სიმღერის დედა, ცნობილი მომღერალი და ლოტბარი,

საქართველოს სახალხო არტისტი მარო თარხნიშვილი — ასე ცხადდებოდა პრესაში. სულიც ერთ გაბმულ ბგერაზე აღმოხდა — თითქოს სიმღერისგანაც დაიცალაო.

დღეს ბებიაჩემის, მარო თარხნიშვილის მონაგარი ოცდათვრამეტნი ვართ და უკვე თავად ვართ ბებიებიც და დიდი ბებიებიც. დიდი წინაპრის გენი კი თავისას აკეთებს: ჩვენი შვილებისაგან არაჩვეულებრივი ხმით, სიმღერის ოსტატობით, ნიჭითა და კომპოზიციის დიდი უნარით გამოირჩევა ფირანის ქალიშვილი, ესტრადის თვალსაჩინო მომღერალი, ეკა კვალიაშვილი. ასევე თამილა თარხნიშვილის ქალიშვილი, თეატრალური სარდაფის ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ნატო გულისაშვილი, რომელსაც ლამაზი ტემბრის მეცოსოპრანო აქვს, მაგრამ სიმღერას თეატრი არჩია. სხვებმა სხვა არჩევანი გააკეთეს — ღმერთმა ხელი მოუმართოთ და ზეციური საქართველოდან დიდი მარო ბებოს ლოცვა-კურთხევა არ მოჰკლებოდეთ.

ახლა კი შემიძლია მშვიდად ვთქვა: ჩემო უსაყვარლესო და მოამაგე ბებო, შენი სახელის უკვდავსაყოფად შევადგინე და გამოვეცი ეს კრებული. ძალიან გვიან, მაგრამ მაინც მოვალ დიდუბის პანთეონში, სადაც მშვიდად განისვენებთ შენ და ჩემი ტკბილი დედა თამარ თარხნიშვილი, რომელიც ორმოცი წელი გედგა გვერდით და არც მანდ მიგატოვა, და ჩამოგძახებთ: დანაპირები შეგისრულეთ — ვალმოხდილი და პირნათელი ვარ თქვენი ხსოვნის წინაშე.

მიყვარხართ, მახსოვხართ, მენატრებით.



მისი გვიანდელი

ᲯᲐᲭᲕᲘᲡ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲝᲡᲐᲜᲘ

ᲯᲣᲐᲜᲨᲔᲠ ᲯᲣᲠᲮᲐᲫᲔ

ბევრი ადამიანის სიცოცხლე უფრო ლეგენდას ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. მათ შეუძლიათ იამაყონ განვლილი გზით, შინაგანი სჯულით, თავისი ფესვებით, სულიერი ფასეულობანით, ღრმა ცოდნით... ისინი ერისკაცურად ცხოვრობენ. დრო კი უძლურია ასეთი სახეების გაფერმკრთალებისთვის.

„ვისაც გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების თბილისი ახსოვს, არ შეიძლება საღამოობით რუსთაველსა და ვერაზე მოსეირნე იმ ზღვა ხალხში არ შეემჩნია, არ შეემჩნია კი არა, არ გამოერჩია, ქართული ჯიშისა და იერსახის ახალგაზრდა. ასეთივე ჯიშიანი, დარბაისელი ვაჟკაცის, დათიკო ჯურხაძის ერთადერთი ვაჟი ჯუანშერი.

ჩვენ შორის ასაკში სამი წელი იყო სხვაობა. მაშინ ფრიად მნიშვნელოვანი, ახლა რა მოგახსენოთ, ძმობა გვაქვს“ — ამბობს ბატონი თენგიზ არჩვაძე.

ჯუანშერ ჯურხაძე — ქართული ჯიშის გამორჩეული თვისებებით შემკულ ამ კეთილშობილ რაინდს ყველა განსაკუთრებული მოკრძალებით ხვდება. ერთმა უმცროსმა მეგობარმა მას დიდი მახვში უწოდა. იშვიათია შემთხვევა, სულიერი და გარეგნული მშვენიერების ასეთი თანხვედრა ხდებოდეს კაცში. ცნობილი ფილოლოგი და გამორჩეული კოლორიტი სიმონ სხირტლაძე ბატონ ჯუანშერს „ვეფხისტყაოსნის“ გმირს და არსენა ოძელაშვილს ადარებდა. თანამედროვენი მუდამ გაოცებულნი იყვნენ მისი ფიზიკური ძალით. ამიტომაც დადიოდა ლეგენდები თბილისში ჯუანშერის შესახებ.

ქართულ კინოში სულ რამდენიმე როლი შეასრულა, მაგრამ ერთი მათგანი ნამდვილ აღმოჩენად მიიჩნიეს. ზვიად სპასალარის კინოროლმა დიდი პოპულარობა მოუტანა. თავად კონსტანტინე გამსახურდიასაც ძალიან მოსწონებია ჯუანშერის მიერ შესრულებული გმირი.

მწერალი ფილმის გასინჯვაზე მიბრძანებულა. რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილთან ერთად ყურადღებით შესცქეროდა ეკრანს და სულ სამ მომენტზე გამოუხატავს ემოცია: ერთხელ, ღამის ეპიზოდში, ჭრიჭინების ხმაზე გაოცებულა, ეს რა საამოდ ჭრიჭინებენო, მეორედ, ძაღლი რომ მოწამლულ ჯვარს ლოკავს, ეს რა კარგი ძაღლია, ხომ არ გაყიდის პატრონიო და მესამედ, როცა ჯუანშერ ჯურხაძე გამოჩენილა, ბიჭოს, აი, ნამდვილი ზვიადიო. კინოსტუდიაში ხუმრობდნენ, ბატონ კონსტანტინეს მთელ ფილმში მხოლოდ ჭრიჭინები, ძაღლი და ჯუანშერ ჯურხაძე მოეწონაო.

სასინჯ გადაღებებზე საკუთარი ჯაჭვის პერანგი მეცვა, — მიამბობს ბატონი ჯუანშერი. ერთხელ ზურაბ წერეთელმა მთხოვა, პარიზში ქართული ეთნოგრაფიული ნივთების გამოფენა ეწყობა და იქნებ მომყიდო. უარზე დავდექი. ჩემი ჰობი თოფ-იარაღების, სატევრების, ხმლების, ფარების კოლექციონერობაა და ძალიან მეძნელებოდა ამ ჯაჭვის პერანგის გაყიდვა. შემიჩნდა და აღარ მომეშვა, რამდენჯერმე გამომიგზავნა კაცი. ვიფიქრე, ისეთ ფასს დავადებ, რომ ეძვიროს-მეთქი. ორმოცდაათი ათასი მანეთი დავაფასე. მეორე დღეს სულ ტკიცინა ასმანეთიანები ჩამითვალეს. ვეღარ გავუძელი ცდუნებას, ფული ძალიან მჭირდებოდა იმ მომენტში, თუმცა ახლა კი ძალიან ვნანობ.

სამწუხაროდ, მხოლოდ ჯაჭვის პერანგმა არ დატოვა ბატონი ჯუანშერის უნიკალური კოლექცია. ფაქტობრივად იგი აღარ არსებობს. რამდენიმე ნივთიღა შემორჩენია კედელს. გაჭირვების გამო ნელ-ნელა მიატოვეს საყვარელი პატრონი ხმლებმა, ხანჯლებმა, ფარებმა... მათ გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. ჯერ კიდევ შვილის დაბადებამდე დაუწყია მათი შეგროვება. ბევრს ყიდულობდა, ბევრს ჩუქნიდნენ. ახლა კი ხშირად ესიზმრება დიდებული კოლექციის „შვილები“. მათი გახსენებისას ტკივილს ვერ მალავს ბატონი ჯუანშერი.

საბრძოლო იარაღების მხოლოდ კოლექციონერი არ ყოფილა, იგი შესანიშნავი რესტავრატორიცაა, „ძალიან ძლიერი სპეციალისტი ვარ, მე არ ვტრაბახობ. მაინტერესებდა და მე თვითონ ვისწავლე“.

კინო ბავშვობიდან უყვარდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ თავის თავში რეჟისორიც აღმოაჩინა და კინოოპერატორიც. სამოყვარულო კინოაპარატით შემოიარა საქართველოს თვალწარმტაცი სანახები, ფირზე იღებდა ისტორიულ ადგილებს, ტაძრებს, ციხეებს. წერდა ძალზე საინტერესო მინიფილმების სცენარებს. თავად იყო იდეის ავტორიც, რეჟისორიც, პროდიუსერიც, ოპერატორიც, ხმის ოპერატორიც და ფირის ლაბორატორიულად დამმუშავებელიც. ანიმაციურმა ფილმა „არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა“ დიდი მოწონება დაიმსახურა. არ შეიძლება არ გაოცდეთ ავტორის ორიგინალური გამომგონებლობით, როდესაც ნახავთ მინიფილმ „თითს“. მეტად საინტერესო და მდიდარია ბატონი ჯუანშერის კინოარქივი. იქ ჩანს ჩვენი მამულის ხატოვანი ხილვადობა.

სპორტსმენობა არასოდეს უცდია, თუმც დღემდე ვარჯიშობს. მის ფიზიკურ სიძლიერეზე ლეგენდები დადიოდა.

„14-15 წლისას გიორგი სააკაძის გმირობის ყველა ამბავი უკვე წაკითხული მქონდა. ჯერ კიდევ მაშინ ჩამოყალიბდა ჩემთვის ქართველთა ეს დიდი რაინდი კერპად. მინდოდა მასავით ძლიერი ვყოფილიყავი. სულ ვვარჯიშობდი. გირები არ მქონდა. ავიღებდი „ვედროს“, შიგ ქვებს ვყრიდი და იმას ვწევდი. მეშვიდე ვაჟთა გიმნაზიაში ვსწავლობდი. თანაკლასელების გვერდით ყოჩივით გამოვიყურებოდი. ორფუთიან გირს ცალი ხელით ადვილად ვეწეოდი.

ერთხელ ცირკში ვიმყოფებოდით მეგობრები. მთავარ ნომერს ასრულებდა დიდი ძალოსანი, ვეებერთელა კაცი ნადჯაფოვი. მასაც ორფუთიანი გირები ჰქონდა. მხოლოდ ორჯერ ეწეოდა და შემდეგ შორს ისროდა. ბიჭებმა შემაგულიანეს: ეს რუსი გაჯგიმული რომ დადის სცენაზე, უჩვენე ნამდვილი ძალოსნობა რას ნიშნავსო. 18-ჯერ ავწიე გირები. დიდი ოვაცია დავიმსახურე. ნადჯაფოვი მეხვეწებოდა, იარე ჩვენთან, დიდ წარმატებებს მიაღწევო. სპორტის მრავალ სახეობაში მთავაზობდნენ, რომ მევარჯიშა. ყოველთვის უარს ვამბობდი. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ კაცი, რომელიც გიორგი სააკაძეს ვბაძავდი, „ტრუსიკი“ როგორ ჩამეცვა“.

ცირკშივე ნახა, როგორ აჭედებდა ვიღაც რუსი ხელით ლურსმანს ფიცარში. დაიწყო ვარჯიში და შედეგიც მალე მიიღო. ჯერ სკოლის მერხებში აჭედებდა, შემდეგ ფანჯრის რაფებზეც.

ერთხელ რესტორან „თბილისში“ ბატონი ჯუანშერისა და მისი მეგობრების ყურადღება ცნობილმა რუსმა გოლიათმა ჟერებცოვმა მიიპყრო. იგი მაგიდასთან დამჯდარიყო და ქართველებს იწვევდა, მკლავის გადაწევას სთავაზობდა. პირველად იქ მყოფ სამხედრო პირებს მიმართა. ოფიცერი ვახტანგ ნარიშელაშვილი მაშინვე დაამარცხა. ვეღარავინ ბედავდა ამ გოლიათთან შებმას.

მეგობრებმა ბატონ ჯუანშერს სთხოვეს, საქართველო არ შეარცხვინოო. რუსმა გიგანტმა რომ დაინახა მისკენ მიმავალი ჯურხაძე, შესძახა: „ოგო, სამ არსენ პოიავილსია“. ჯუანშერმა ორიოდ წამში რუსი ფალავნის მარჯვენა მაგიდას დაუზომა. გაოგნებულმა ჟერებცოვმა გამეორება მოინდომა. ქართველმა ამჯერად უფრო მეტად გააოცა მოწინააღმდეგე. რუსმა ათლეტმა ცალ მუხლზე დაუჩოქა ბატონ ჯუანშერს, 43 წლის ისე გავხდი, ჯერ ჩემთვის ხელი არავის გადაუწევიაო.

ჯუანშერ ჯურხაძე ბევრი მხატვრის ნატურაც გამხდარა. საინტერესო იყო ალექსანდრე (შურა) ბანძელაძესთან მუშაობა:

„ბატონ შურას არსენას პროტოტიპად სურდა დავეხატე. ცოლი ახალი შერთული მყავდა.

ძლივს დამითანხმა. საათობით იჯდა ჩემთან. ძალიან დამღალა. შევეხვეწე, ოღონდ ერთი კვირა დამასვენე და ნეკით აგწევ-მეთქი. დამთანხმდა, შენ თუ ამას გააკეთებ, თავსაც დაგანებებ და მცხეთაშიც წაგიყვან საქეიფოდო. შურა სამოცდაათამდე კილო იყო. წელზე მაგრად შემოვუჭირე ქამარი და ნეკით ავწიე. თან ვეკითხებოდი: „ხომ ნამდვილად ჰაერში ხარ-მეთქი“. იყვირა: „გამიშვი, დავიხრჩეო“. ქამარი დიაფრაგმაზე დაეჭირა.

ბატონი ჯუანშერი დიდი სითბოთი იხსენებს დოდო აბაშიძეს. ჩემი საოცნებო კაცი იყოო. მათი გაცნობა ქუჩაში მომხდარა: „დამიძახა და მითხრა, რამ გაგზარდა ამხელაო და თან მხრებზე ხელი დამარტყა. მას შემდეგ ვმეგობრობდით. ხუთი წლით იყო ჩემზე უფროსი, ვბაძავდი კიდეც. ძალიან თავისუფალი კაცი იყო. პირველად ფილმში მასთან ერთად გადამიღეს — ეს იყო „მაგდანას ლურჯა“. ჩვენთან ერთად იყო კარლო საკანდელიძეც“.

ბატონი ჯუანშერი პროფესიით ისტორიკოსია. 36 წელი ემსახურა მომავალი თაობის აღზრდას. ბოლო 26 წელი კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლის მასწავლებელი იყო.

საქართველოს ისტორიას ასწავლიდა. სამშობლოს სიყვარულის მადლს აზიარებდა თითოეულ მოსწავლეს. ბევრი მათგანი დღესაც არ ივიწყებს საყვარელ პედაგოგს და ხშირად ეხმიანებიან. ის შაურიანებიც შენახული აქვთ, თითებით რომ დაულუნია ჯუანშერ მასწავლებელს.

18 აპრილს 80 წელი შეუსრულდა დიდ მახვშს. იგი ისეთივე ძალას ასხივებს, როგორც ორმოცი წლის წინ „დიდოსტატის მარჯვენის" გადაღებისას. შეხედავთ და აუცილებლად შუა საუკუნეების რაინდი გაგახსენდებათ, ნამდვილი ზვიად სპასალარი, „მეამაყება, რომ ტარზანივით ერთხელ ვითამაშე ფილმში და მაინც ყველას ვახსოვარ".

მთელი ცხოვრების მანძილზე თილისმად ჯიბეში უძველეს ქართულ თეთრს ატარებს, ხელს რომ შევახებ მათბობსო. ალბათ ამ გრძნობამ შეაქმნევინა ფილმი „მონეტების ცეკვა".

ჯუანშერ ჯურხაძე იმერეთის ერთ ლამაზ, ისტორიულ სოფელ ხრესილში დაიბადა. პედაგოგების ოჯახში იზრდებოდა. მეუღლეც პედაგოგი შეირთო, ქალბატონი რუსიკო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აზიარებდა ბავშვებს ქართული ენისა და ლიტერატურის მადლს. ამიტომაც უწოდებდნენ ჯურხაძეების ოჯახს „დიდ პედაგოგიურ საბჭოს".

ბატონი ჯუანშერი ღიმილით ამბობს: „მხოლოდშობილი შვილი ვიყავი და ჩემი შთამომავლობაც სულ ერთზე წავიდაო". მისი ქალიშვილი მანანა იხსენებს: „ჩემი თანდასწრებით ბევრჯერ უთქვამთ, საცოდაობა არ არის ასეთი კაცი სამი ან მეტი ვაჟკაცის მამა არ იყოსო? ამის პასუხად მამა, ალბათ ჩემი გულის მოსაგებად, იტყვის ხოლმე, ბიჭი არასდროს მინატრიაო... და მეც ძალიან კმაყოფილი ვარ. სხვა თუ არაფერი, ჯუანშერ ჯურხაძეს დღეს გვერდით სამი ვაჟკაცი უდგას — ჩემი მეუღლე, ჩემი ვაჟი და შვილიშვილი გიორგი".

„მე დავიბადე აპრილის თვეში" — ჩაილაპარაკებს ბატონი ჯუანშერი და თავისებური უჩვეულო მზერით გაიხედება წარსულის ბილიკისკენ, სადაც ყოველთვის დიდი სიდარბაისლით უვლია. დიდი ვაჟა-ფშაველა ალბათ მისთანა კაი ყმებზე იტყოდა: „სწორს ფიქრს აძლევდა თემ-სოფელს".

ბატონი ჯუანშერის გაცნობის შემდეგ არ შეიძლება ერთი დიდი სინანული და ტკივილი არ გაგიჩნდეს: რატომ დაკარგა ქართულმა კინორეჟისურამ ეს რაინდული სახე, რატომ აკმარა მხოლოდ ერთი გმირის როლი. მაგრამ ზვიად სპასალარითაც ძალზედ შეიყვარა ხალხმა იგი. იქცა სახელოვან თანამედროვედ, ღირსეულ მამულიშვილად.

ვულოცავთ ბატონ ჯუანშერს იუბილეს, ჯანმრთელობას ვუსურვებთ თავის საყვარელ ოჯახთან ერთად. საქართველოს კი მისნაირი შვილების გამრავლებას.

წერილი კი ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესის სიტყვებით მინდა დავამთავრო: „სამი წლით ყოფილხარ უფროსი. სკოლაში შენზე ამბობდნენ, ნეკნების მაგივრად გულმკერდის ერთი მთლიანი ძვალი აქვსო. გვჯეროდა! სილამაზე ღვთის ნაბოძებიაო — იტყვიან. შენც დიდად დაგასაჩუქრა ბუნებამ არაჩვეულებრივად ძლიერი, ვაჟკაცური გარეგნობით. ყმაწვილობაშივე ყველას სჯობდი ღირსების გრძნობით, ნაადრევი სიდარბაისლით, ძლიერი სიკეთით. არ გამიგია, ვინმესთან გეჩხუბოს. ვინ გაგიბედავდა. ალბათ, შენც არ კადრულობდი შენზე სუსტზე აღგემართა ხელი. შენი დარი კი ჩვენს გარშემო არავინ იყო".

ძმები ავთანდილ და ტარიელ ვართაგავები

ლიმონ ჩაფაძე

„მე“-თა ხიდული სამყარო

ვიდრე ჭეშმარიტი შემოქმედებითი ნაწარმოები ხორცს შეისხამს და წარსდგება საზოგადოების წინაშე, მან უნდა გაიაროს ხელოვანის რთული და იდუმალებით მოცული სამყარო, რომელიც საგნებისა და მოვლენების მიმართ თავისებური განსაკუთრებული დამოკიდებულებით არის ნასაზრდოები.

შემოქმედებითი ენერგიის იმპულსებს წარმოქმნის ხელოვანის მრავალმხრივი ინტერესები სამყაროსადმი, წრფელი და უკომპრომისო დამოკიდებულება საზოგადოებისა და საკუთარი თავის წინაშე.

მას, ვისაც შეუძლია სხვათაგან გამოსხივებული სიკეთის აღთქმა და შეთვისება, იგი თავადაც ჯილდოვდება სიკეთის გამოსხივების ნიჭით, მით უფრო თუ ეს ნიჭი ხელოვნებაშია განსხეულებული.

აღორძინების ხანის იტალიელი ხელოვანი და მოაზროვნე პიკო დელა მირანდოლა თავის სიტყვაში — „ადამიანის ღირსებისათვის“, — პიროვნების მრწამსის ჩამოყალიბების პრობლემებზე საუბრისას აღნიშნავს: „ადამიანი საკუთარი თვითნებობით მოხაზავს ხოლმე თავის ბუნების საზღვრებს, საკუთარი სურვილით ირჩევს თავისი მეცადინეობის ადგილს, საქმეს ან მიზანს, ის თვითონ არის თავისი თავის შემოქმედი და თავად სჭედს საბოლოოდ თავის სახეს, ვინაიდან „გასაოცარი“ და ამაღლებული დანიშნულება ადამიანისა ის არის, რომ უნარი შესწევს მიაღწიოს იმას, რასაც ესწრაფვის და იყოს ის, რაც მას სურს იყოს! “

ისევე, როგორც იმ შორეულ საუკუნეში, დღესაც ხელოვანის შემოქმედებას, ცხოვრებისეული ფაქტორების განცდა და ზემოქმედება განაპირობებს, მაგრამ საბოლოო წარმატებას ის აღწევს, ვისაც ღრმად აქვს გააზრებული ადამიანის „გასაოცარი და ამაღლებული დანიშნულება“.

ხელოვანი თავისი შემოქმედებით, საკუთარ „მე“-თა შესაძლებლობებს ერთად უყრის თავს, რათა მიიტანოს იგი თაობათა შემეცნებამდე.

„ძმები ვართაგავები ტყუპები არიან და მათი ნახატებიც ერთი კაცის ნამუშევრებს ჰგავს... თითქოს, ისინი ერთმანეთის ორეულებად, პროტოტიპებად არიან გაჩენილნი, მათ შორის თითქოს სარკეა და ეს სარკე მათი შემოქმედებაა, რომელშიც თანამედროვე ადამიანის სიხარული, ტკივილი და ინტელექტუალური ინტერესები ასახულა.“

პოეტ შოთა ნიშნიანიძის ეს სიტყვები ძმები — ავთანდილ და ტარიელ ვართაგავების შემოქმედების შესახებ, ოთხი ათეული წლის წინ დაიწერა, მაგრამ მსგავსი განცდა მუდამ ეუფლება მნახველს, როდესაც ერთად თავმოყრილი, მრავალფეროვანი და ღრმააზროვანი ფერწერული ნამუშევრების ხილვის შესაძლებლობა ეძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული მშობლიური მიწისა, პატივისცემა წინაპართა ხსოვნისადმი, მდიდარი ოჯახური ტრადიციები, საკუთარი მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის მძაფრი განცდა და ამაღლებული პოეტური განწყობილებები ასაზრდდოებდა მათ სულიერ მოთხოვნილებებს, აყალიბებდა პიროვნებებად, განსაზღვრავდა მათი ცხოვრებისა და შემოქმედების სტილს.

ზნეობრივი ჯაჭვის შემაკავშირებელი რგოლების სიმტკიცეს, საკაცობრიო ღირებულებებისადმი ხელოვანის გულრწფელი დამოკიდებულება და პრინციპებისადმი უკომპრომისობა განაპირობებს.

ამიტომ ვერ თავსდება მხატვარი ძმების შემოქმედებითი ინტერესები ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებისეული ნორმების ჩარჩოებში და მუდამ რაღაც ახლის, უფრო აღმატებულის, გულისა და გონების გამამდიდრებლის, ამამაღლებელი, სულიერი ფასეულობების მაძიებელნი არიან პრაგმატული ყოველდღიურობით გადატვირთულ, გლობალური კატაკლიზმებით შეშფოთებულ, ღირებულებათა დევალვაციით და-თრგუნულ მკაცრ სინამდვილეში.

„ჩვენი საუკუნის იერსახე" — ასე ეწოდება სიკეიროსის ფერწერულ სურათს, რომელიც შეუტანია ავთანდილ ვართაგავას თავის წიგნში „როგორ ცხოვრობენ ფრესკები". ეს მეტაფორული „სახე", ადამიანს უზარმაზარ სხეულზე დაფუძნებულ ლოდს გამოხატავს, რომელიც სულის უძრაობისა და უგრძნობლობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ამ დიდი ხელოვანისაგან განსხვავებით, თავიანთი პორტრეტების სერიაში, ავთანდილ და ტარიელ ვართაგავები, სხვა თვალთახედვით აღიქვამენ ადამიანს: პერსონაჟთა პორტრეტულ სახეებზე აღბეჭდილია ქართული ხასიათისათვის ნიშანდობლივი, ზოგადადამიანური, ცხოვრებისეული განცდები და განწყობილებები.

ავტორთა განსხვავებული, შემოქმედებითი კონსერვატიზმისაგან თავისუფალი პორტრეტული სერიების საილუსტრაციოდ, სახელწოდებების ჩამოთვლაც საკმარისია, რომლებიც შეიძლება თემატურადაც დავა-ჯგუფოთ; „ყოფნა არ ყოფნა", „ხილვები", „ნამდვილი ლეგენდა", „ბრმა მევიოლინე", „ბოჰემა", „დედაშვილობა" და სხვ. პორტრეტული განწყობილების გადმოსაცემად მათ არ სჭირდებათ ნატურის გამოყენება; ხშირად, გარეგნული ფორმების დეფორმაციით, მნახველთა ყურადღებას პორტრეტის შინაგანი სამყაროსაკენ მიმართავენ, რასაც ისინი, ზოგჯერ პერსონაჟის ერთი დამახასიათებელი შტრიხით, მოძრაობით ან გამომეტყველებით გამოსახავენ. მხატვრების ძიების მთავარი მიზანი, ადამიანის შინაგანი იდუმალი ბუნების გადმოცემა გახლავთ, „ადამიანი ინტერიერში" — არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული შემთხვევით გამოვლენილი, არამედ განზოგადებული ისტორიული, საერთო ადამიანური ხასიათებით აღბეჭდილი.

მათ თავიანთ ქმნილებებში ხშირად შემოაქვთ ეთნოგრაფიული თუ მისტიური, ზოგჯერ კი კოსმიური პასაჟები.

ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ავთანდილ ვართაგავას ტილოები: „მატარებელი ცენტავრის ალფასაკენ", „სატურნის მოტაცება", „ცისა და მიწის ერთიანობა", „დროის წარმავლობის მისტერია" და მრავა-ლი სხვა... მისსავე მითოლოგიურ თემებზე შექმნილი ნახატებიდან გავიხსენებდი ისეთ ტილოებს, როგორიცაა: „ხევსური მტრის მოკვეთილი მარჯვენით ხელში", „ხორგაის მინდია", „გველის მჭამელი", „ძლევის ზარები" და სხვ.

ტარიელ ვართაგავას ფუნჯს ეკუთვნის ტილოები თუ გრაფიკული სერიები: „ლომისობა", „ამირანის დაბადება", „ამორძალი", „მლოცველი მამაკაცი ხატის უღელით", „მე ვუსმენ პაგანინის", აგრეთვე ძველი თბილისის ცხოვრებისადმი მიძღვნილი გრაფიკული სერიები და უამრავი სხვა.

ეპოქათა ჯაჭვის ერთიანობაში ჩართული ძმები გენეტიკურად არიან შერწყმული საკა-

ცობრიო განცდებთან, რითაც კიდევ უფრო მეტ შინაარსს ანიჭებენ თავიანთ ნამუშევრებს.

საკაცობრიო თემას წარმოადგენს თუნდაც ხევსურული მითი იახსარისა და დევის შერკინების შესახებ, როგორც კეთილისა და ბოროტის მარადიული ბრძოლის გამოხატულება. ეს თემა ავთანდილ ვართაგავას გადმოცემული აქვს თავის ზემოხსენებულ დიდ ფერწერულ ტილოში, რომელსაც „ძლევის ზარები" ჰქვია და რომელიც ტყუპი ძმების სხვა ფერწერულ ნამუშევრებთან ერთად ინახება იტალიაში, ერთ-ერთ კერძო კოლექციაში.

„ხევსურეთის სოფელ როშკადან განდევნილ დევ-კერპებს შორის გამორჩეული თეთრი, ცალთვალა დევ-კერპი აბუდელაურის ტბაში ჩავარდა, გმირი იახსარი თან ჩაჰყვა და ტბის ძირში ჩაკლა. დევის სისხლმა გზა შეუკრა იახსარს და ტბიდან ვეღარ ამოვიდა. ქადაგის რჩევით ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი ტბაში ჩაკლეს. ცხვრის სისხლმა გზა განათლა, ძალა დაუკარგა დევის სისხლს და იახსარი ტბიდან მშვიდობით ამოვიდა."

გასული საუკუნის 90-ან წლებში ქართული მითოლოგიური პანთეონის მკვლევარი აპოლონ ცანავა წერდა, რომ ამ მითოსურ თემებს „არც ერთი ქართველი მწერლის კალამი არ შეხებია. არც რომელიმე ფერმწერს აუსახავს ტილოზე და არც სკულპტორის საჭრეთელი მიკარებია".

ქართულ სახვით ხელოვნებაში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სკულპტურულ ნამუშევარს აღნიშნულ თემატიკაზე, იშვითად თუ მიუმართავთ მხატვრებს მითოლოგიური სიუჟეტისათვის, რითაც ასე მდიდარია ქა-რთული მითოსური პანთეონი.

შეიძლება ითქვას, რომ გამოთქმული გულისტკივილის ერთგვარი გამოძახილია ზემოთ განხილული, ავთანდილ ვართაგავას „ძლევის ზარების" კომპოზიციის თემატიკა, რომელიც მხატვარს, ბოროტებაზე სიკეთის ძლევის ნიშნად ზარებითა და გამარჯვების დროშებით აღზევებული იახსარის ფიგურით გაუმრავალფეროვნებია.

მითოსი გარესამყაროს თავისებური ასახვაა და კარგად მიესადაგება გამოსახვის იმ ფორმას, რომელსაც ძმები — ტარიელ და ავთანდილ ვართაგავები იყენებენ თავიანთი სათქმელის გადმოსაცემად თავიანთ ფერწერულ ტილოებში. ამ ტილოების ავტორებმა, ფრესკებზე მუშაობის პარალელურად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებლური აღმსარებლობის ორიათასწლოვან ტრადიციას საქართველოში, გაუცოცხლეს და წინ წაუმძღვარეს მითოსში ჩაკარგული შორეული საუკუნეები...

ამ მრავალფეროვანი მასალის გააზრებისათვის ხელოვანს სათანადო პროფესიული ცოდნაც სჭირდება. ეს ის სამყაროა, სადაც მხოლოდ ინტუიციითა და ემოციებით გზას ვერ გაიკვალავ. ძმებმა სათანადო პროფესიული და პრაქტიკული ცოდნა დააგროვეს იმისათვის, რომ შესაძლებლობა ჰქონოდათ, შემოქმედებითად დაემუშავებინათ ჯერ კიდევ აუთვისებელი ეს სფერო.

ტარიელ და ავთანდილ ვართაგავებმა დაამთავრეს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერთმა — ჟურნალისტიკის, მეორემ — ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო 1970წ. დაამთავრეს იმავე უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი გრაფიკისა და ფერწერის განხრით.

ტარიელ ვართაგავა ხანგრძლივი დროის მანძილზე მოღვაწეობდა თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც ემსახურებოდა თვითნასწავლ მხატვართა გამოვლენასა და მათი ნამუშევრების გამოფენა-პოპულარიზაციას, ამასთან როგორც ჟურნალისტი, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს ლიტერატურისა და ხელოვნების პროფილით, წერდა შესანიშნავ ლექსებსა თუ ლირიკულ-პროზაულ ასოციაციებს, აზროვნებდა სიმბოლურ-მისტიკური სახეებით.

„შეუძლებელია კალმისა და ფუნჯის ერთმანეთისაგან გათიშვა ან მათი დაპირისპირება; არა, ეს შეუძლებელია: ერთსაც და მეორესაც უფლის ნება და ჯადოსნური კვერთხი მართავს, მათ უკან უზენაესი დგას დირიჟორად".

შეიძლება ითქვას, ამ სტიქონით თავად

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი გვევლინება თავისებური ლეგენდის ავტორად... ისევე როგორც ტარიელის, ავთანდილის მთელი ცხოვრება განსახიერებაა ინდივიდუალობისა, რომლის გარეშე ხელოვანი ძნელად თუ მიაღწევს პიროვნული „მე"-ს სრულყოფილებას, საკუთარი შემოქმედებითი სტილის შექმნას.

როგორც ფერმწერმა, მან წრთობა გაიარა დიდი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახელოსნოში. ამ მხატვრის ცხოვრებას, რომლის სახელსაც ატარებს გალაქტიკის ერთ-ერთი პლანეტა, ხოლო ქაშუეთის ეკლესიის გუმბათიდან დედათბილისს დასცქერის მისი „ღვთისმშობლის" ხატება. შემდგომ წლებში 400-გვერდიანი მოგონებათა წიგნი მიუძღვნა მადლიერმა შეგირდმა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გამომცემელთა კეთილ ნებას ელოდება, რათა მზის შუქი იხილოს და მკითხველამდე მივიდეს....

ავთანდილ ვართაგავა, როგორც ისტორიკოსი-მკვლევარი და ამასთან მხატვარი, ხანგრძლივი დროის მანძილზე მსახურობდა საქართველოს ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, სწავლობდა კლდეში ნაკვეთ საკულტო ძეგლებს და იქ არსებულ ფრესკებს. ხოლო 1978 წლიდან მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელობით კოლეგიაში ჯერ მხატვრულ რედაქტორად, ხოლო შემდეგ მთავარ მხატვრად.

ავთანდილ ვართაგავას შემოქმედების არეალიც საკმაოდ ფართოა. ლექსებთან და



მოთხრობებთან ერთად წერდა და აქვეყნებდა წერილებს რელიგიის, ისტორიის, ლიტერატურისა თუ ხელოვნების ირგვლივ. მის მიერ დაწერილი წიგნი „როგორ ცხოვრობენ ფრესკები" წარმოადგენს რელიგიის, ხელოვნების, ისტორიის, პოეზიისა და მუსიკის ნაზავს. ახლახან მან დაამთავრა მხატვრობის პრობლემებისადმი მიძღვნილი წიგნი — „ბედი მხატვრისა და ნახატისა"...

ძმებმა ერთობლივად თარგმნეს ფრანგი მოქანდაკისა და მოაზროვნის ემილ ბურდელის „ქანდაკების ხელოვნება" — 400 გვერდიანი წიგნი. გრაფიკულად გააფორმეს ედგარ პოს, უილიამ ფოლკნერის, ჯონ გოლზუორთის, ლევ ტოლსტოის, ფიცჯერალდის, ჰელენა ბობინსკას, ანა მარია მატუტეს, ჯეიმს დრამ-სტერის, ონა სურვილაიტეს, რამინო პინილიას და სხვა შემოქმედთა წიგნები თუ ცალკეული ნაწარმოებები.

ხელოვანი ძმების ინტერესთა სამყარო მრავალფეროვანია, მათი კალამი და ფუნჯი ერთნაირი აქტიურობით ეძებს და ჰპოვებს თემებს ახლო თუ შორეული წარსულიდან.

ბავშვობიდან შრომაში აღზრდილი ძმები, რომლებმაც მამა ადრე დაკარგეს მეორე მსოფლიო ომში, შემდეგ კი საბჭოური დიქტატურის გაუსაძლის გარემოშიც არ დაკლებიათ წინაღობები და დაბრკოლებები, რომელთა დაძლევას უდიდესი სულიერი და ფიზიკური ენერგია მოჰქონდა, ისინი მაინც ქმნიდნენ, რადგან

იცოდნენ — „ბედნიერება შექმნაშია და არა შექმნილით ტკბობაში“.

1971 წელს, მოსკოვის ხელოვნების ცენტრალურ სახლში, ძმები ვართაგავების ნახატების პერსონალური გამოფენა მოეწყო. მათთვის დღემდე უცნობმა ქართველმა მხატვარმა, მოსკოვში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომელთა უშუალო ჩარევით, ისეთი საკავშირო განგაში ატეხა, რომ მხატვრებს ლამის დასაჭერად გაუხდა საქმე.

მეორე დიდი უსიამოვნება 1974 წელს დაატეხეს თავს, როდესაც სახელოვანი ქართველი მხატვრის, ლადო გუდიაშვილის რედაქტორობით, მათი ნამუშევრების მეორე, სამენოვანი კატალოგი დაიბეჭდა. საუბედუროდ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაჭრეს ამ კატალოგის მთელი ტირაჟი. ლადო გუდიაშვილმა, როგორც რედაქტორმა, სცადა გადაერჩინა კატალოგი, მაგრამ მის ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია, კატალოგი მაინც გაანადგურეს...

მხატვართა კავშირში მისულნი მისმა თავმჯდომარემ მოღალატეებადაც კი მონათლა და „ანტისაბჭოური ხელოვანის“ კონტექსტით, იმთავითვე გრიგოლ რობაქიძის გვერდით მოიხსენია. იმ დროს საბჭოური ფუნქციონერისათვის, გერმანიაში ლტოლვილი მწერლის სახელი, რომელიც ნობელის პრემიაზეც იყო წარდგენილი — ჩვენში, სამშობლოს გამყიდველის სინონიმად ქცეულიყო...

ზოგიერთმა იმდროინდელმა მხატვარმა და ხელოვნებათმცოდნემაც არ დააკლეს „სოციალური რეალიზმისათვის“ დამახასიათებელი ეპითეტები და მათ ხელოვნებას „პორნოგრაფიულიც“ კი უწოდეს. მაგრამ არ-იან შემოქმედნი, რომელთაც ეჭვი არ ეპარებათ თავიანთი პრინციპებისა და პოზიციების ჭეშმარიტებაში; არსებული წინააღმდეგობანი მათ აძლევს სტიმულს, ახალი ძალით აღივსონ და შემოქმედებითი აქტიურობით დათრგუნონ იგი.

შემოქმედებითი უნარი ადამიანს გაჩენისთანავე არ დაჰყვება, „იგი იქმნება ღვთაებრივი არსის სახით, რომელიც უნდა აითვისოს მან და გადასცეს თაობიდან თაობამდე“... (ზ. კიკნაძე) ღვთაებრივთან მიახლოებას ბეთჰოვენი მშვენიერებად მიიჩნევდა...

ხელოვანის ბუნება წარმოადგენს შემოქმედებით პროცესში ჩამოყალიბებულ და სრულყოფილ „მე“-თა ერთობლიობას და თუნდაც ერთი „მე“ რომ ამოვარდეს ამ ჰარმონიიდან — ინგრევა შემოქმედებითი შენობა. ხელოვანს, შემოქმედს, სწორედ ის თვისებები განასხვავებს დანარჩენი საზოგადოებისაგან, რა გარემოებაშიც არ უნდა მოხვდეს იგი, მიუღებელია კომპრომისი საკუთარ სინდისთან და ტენდენციურობა, ხშირად ყოფითი ინტერესები რომ განაპირობებს სხვათათვის.

ხელოვანი თავადაა ტენდენციების შემქმნელი და შემოქმედებითად მათი ხორცშესხმისათვის მებრძოლი; ამდენად ის ვერ იქნება მორჩილი გარემოებათა მიმართ.

სრულქმნილების მექანიზმი უტყუარად მოქმედებს, როცა გარდასახავს იდეებს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარი ხედვის პრიზმაში ალეგორიებად, სიმბოლოებად, განასახიერებს ამა თუ იმ მხატვრულ ფორმებად....

მხატვრული ფორმა და ლიტერატურული ან ისტორიული შინაარსი მკაფიოდაა შერწყმული ძმების მიერ შექმნილ ტილოებში.

ფორმა და შინაარსი — ამ ორი ფენომენის კავშირი არსებობს ხელოვანის რწმენაში და ეს რწმენა ღმერთის რწმენასთანაა წილნაყარი.

ამ რწმენის გამოხატულებაა წმინდა სალოცავთა საკურთხეველზე უანგაროდ მიტანილი შესაწირავი — საკუთარი ძალებით აღდგენილი და მოხატული ქართული ეკლესიები: საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის უდერძის წმ. გიორგის ეკლესია და დუნთის მთავარანგელოზის სამლოცველო, რომლებიც როგორც ზვარაკი, ისე შეიწირა 1991 წ. მიწისძვრამ...

ახალი ძალით ისევ უბრუნდებოდნენ ეკლესიათა ფრესკულ მხატვრობას და ეს ძალა არა მარტო შინაგანად, რაოდენობრივადაც იზრდებოდა: მხატვრებს, ავთანდილის შვილები — გიორგი, დავითი და ირაკლი უდგნენ შემოქმედებითი ძალის წარმატების გარანტად.

2007 წელს ძმებმა საჩხერის რ-ნის სოფ. სარეკის ეკლესია მოხატეს. ეს ეკლესია უკანასკნელი ასპარეზი და საჯილდაო ქვა აღმოჩნდა ტრაგიკულად დაღუპული ტყუპისცალი ძმის — ტარიელის შემოქმედებისათვის; 2008 წლის აპრილის თვეში, როდესაც ჩიტების გალობა ადამიანის სმენას ჰპირდება „მიახლოებას რაღაც უზენაესთან“, ხოლო „ზესკნელ-ქვესკნელის შემაერთებელ“ ხეთა რტოებს ის-ის იყო





კვირტი გამოჰქონდა, შემოქმედებით ცეცხლთან ერთად ხანძრად აბრიალებული კერიის ალში ფერფლად-ქცეულმა მისმა სხეულმა სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა მშობლიურ სოფელ ბჟინევის ახლადაგებული ეკლესიის ეზოში, რომლის მოხატვაში მონაწილეობა მან სამწუხაროდ ველარ მოასწრო.

ორთაგან ერთმა მხატვარმა დატოვა მიწიერი საუფლო და ახლა შორეული სამყაროს ბინადარია.. ბიბლიური სიბრძნე გვასწავლის, რომ თითოეული მოკვდავის მისია შესრულებულად ჩაითვლება მაშინ, თუ ის სიცოცხლეს გალევს მოსიყვარულე გულითა და შინაგანი პატიოსნებით...

ტყუპისცალი ძმის „მეორე მე“ — ავთანდილი შვილებთან ერთად აგრძელებს უკვე გაორმაგებული ტვირთის ზიდვას ხელოვნების გზაზე. ამ გზაზე მავალ შემოქმედს ზეციური ძალაც ეხმარება მძიმე ტვირთის ტარებაში. ძველი აღთქმის წიგნებიც ხომ ამას გვიდასტურებენ:

„და უფალმა აღავსო ისინი გულის სიბრძნით, რათა ექმნათ ყოველი საქმე ხელოვანისა და მხატვრისა, ჩუქურთმების გამომყვანისა“...(გამოსვლათა წიგნი XXXV, 31-35).

ქართველი მწერლების შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან

2008 წლის თებერვალი

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“– ტელ: 93-64-72, 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

დიზაინერ-დამკაბადონებელი
ლექსო ოთარაშვილი

ოპერატორები:
თამარ ტყაბლაძე
ნინო ნეკერიშვილი

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ავთანდილ და ტარიელ ვართაგავები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 1512-3189

ფასი 3 ლარი

3—
609/30



ნომერი დაიბეჭდა თბილისის მერიის თანადგომით